ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲞᲔᲗᲘᲔᲕᲐᲜ
ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲘᲥᲘᲩᲘ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ „ᲛᲔᲠᲐᲜᲘ“ 1989

VII საუკუნის გამოჩენილი მოღვაწის იოანე მოსხის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა დღესაც უაღრესად აქტუალურია. სწორედ იოანე მოსხის ცხოვრებას, მისი პიროვნების წარმოჩენას ეძღვნება ქეთევან ნუცუბიძის ეს ისტორიული რომანიც, რომელიც უთუოდ სასარგებლო და საჭირო წვლილს შეიტანს ქართული კულტურის შესწავლის ისტორიაში.

რედაქტორი მერი გუგუშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ლალი თურგანდიშვილი

ილუსტრაციები ლადო გუდიაშვილისა

4702017200—62
———————— 26—89
Ш 604 (08)—89
© გამომცემლობა „მერანი“

ვუძღვნი მეგობრის გამოუთქმელ გრძნობათა სამარადისო ხსოვნას.

ავტორი

წინათქმა

ადრინდელ საუკუნეებში, როდესაც დიდი მოაზროვნენი არ ეძიებდნენ სახელსა და ჯიდებას, გაურბოდნენ ამქვეყნიურ აღიარებას, აზრებს გამოთქვამდნენ გულის კარნახით, ისე, როგორც სჯეროდათ, როგორც ამას სათქმელის სიღრმე და მნიშვნელობა მოითხოვდა, ნაწარმოებებს კი სიფრთხილისათვის ანონიმურად აქვეყნებდნენ, ან სხვა ავტორიტეტულ პიროვნებას მიაწერდნენ. ჭეშმარიტების მაძიებელნი იყვნენ და არ ეძიებდნენ, თუ მათ აზრებს ვინმე მიითვისებდა, და თუ მაინც მიითვისებდა— ეს გამარჯვების მაუწყებელი იქნებოდა.

თანამედროვეთათვის დამწერის ვინაობა, ასე თუ ისე, ცნობილი ხდებოდა, რადგან ისინი თავიანთ აზრებს ერთმანეთს უზიარებდნენ, საჭიროების მიხედვით საჯაროდაც ქადაგებდნენ, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში ეს ცოცხალი კვალი ქრებოდა, მნიშვნელოვანი აზრები საერთო კუთვნილებად იქცეოდა და უკვე სადაო და საძიებელი ხდებოდა თხზულების დამწერის ვინაობა. ასეთი ბედი ხვდა წილად პეტრე იბერს, ასე დაემართა იოანე მოსხის შემოქმედებასაც.

იოანე მოსხი ცნობილი იყო როგორც თხრობათა კრებულის, „სამოთხის“ დამწერი, რომელსაც სიკეთისა და ბოროტების „უტყუარ სარკეს“ უწოდებდნენ. მას იმოწმებდნენ, როგორც ავტორიტეტს მსოფლიო კრებებზე, ადარებდნენ პლატონისა, ციცერონისა და მოგვიანებით კი ბოკაჩოს თხზულებებს.

მოსხის ნოველები „სულის მარგებელ თხრობებს“ წარმოადგენენ და ამდენად, ტრაგიკულ ელემენტებსაც შეიცავენ; მათში ნაკლები ყურადღება ეთმობა მოქმედების ადგილს, პერსონაჟთა დახასიათებას, რის გამოც ზოგად ხასიათს იძენენ. მასვე მიეწერება ჰაგიოგრაფიული ძეგლი „სიბრძნე ბალაჰვარისი“.

„სიბრძნე ბალაჰვარისი“ მუდამ მიმზიდველ და რთულ საკითხებს აყენებდა მეცნიერების წინაშე და მხატვრულ ლიტერატურას კი „შემოქმედებით გენიის ნაპერწკლებით აღაგზნებდა“. და აი, შალვა ნუცუბიძემ საბაწმინდელ ბერში განსჭვრიტა რა იოანე მოსხი, „სიბრძნე ბალაჰვარისის“ დამწერადაც იგი აღიარა.

ძუნწია მატიანე და ამდენად ძნელია, თითქოსდა შეუძლებელიც იოანე მოსხის, ამ შორეულ საუკუნეთა ადამიანის ცხოვრების აღწერა და მით უფრო, მისი ცოცხლად წარმოჩინება. მაგრამ როდესაც ვეხებით ისეთ დიდ მოაზროვნესა და შემოქმედს, რომლის ნაწარმოებები შეიძლება ითქვას მხატვრული ენით დაწერილი დღიურებია, სულდგმულებენ რა იმ რწმენით, რომ დაბადება არ არის ცხოვრების დასაწყისი, ცხოვრება იწყება შეხვედრებიდან... რომ ადამიანებსა და მათ შეხვედრებშია ჩადებული ცხოვრების საიდუმლოება, რომლის გახსნა „დაფარულის წადიერია,

იგი უკვდავებისაკენ ხიდია“, ამდენად ჩვენთვის უკვე ჟამთა აღმწერელის დუმილიც კი მეტყველია და იოანე მოსხის ცხოვრება, აღსავსე დიდი კულტურულ-ისტორიული მოვლენებით ჩვენს წინაშე ცოცხლად წარმოსდგება.

დიდად გავლენიანი და სახელგანთქმული ანაქორეტი, იოანე მოსხი, დაიბადა მესხეთში 555 წელს. იგი ოცი წლისა უკვე პალესტინაში მოღვაწეობს და მთელი სიცოცხლის მანძილზე რჩება სამშობლოს გარეთ — სირია-პალესტინასა და ეგვიპტეში. იგი მოღვაწეობს იმ დიდ ადამიანებთან ერთად, რომელნიც მიმართულებას აძლევენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას: მისი მოწაფე და შემდეგ განუყრელი მეგობარი — სოფრონ პალესტინელი იერუსალიმის უთვალსაჩინოესი პატრიარქია; იოანე სინელი — წინამძღვარი, სათნოების კიბის აღმწერელი (ბერძნულად ცნობილი „კლემაქსისა“), მასთან უშუალო კავშირშია; იგი ახლო ურთიერთობაშია იოანე მოწყალესთან, პატრიარქთან ალექსანდრიისა; მას შეხვდრა აქვს იმ დროის უდიდეს ქრისტიან-ღვთისმეტყველთან — მაქსიმე კონფესორთან.

ეს ის დროა, როდესაც შუამდინარეთიდან საქართველოში შემოდის ათასამეტი სირიელი მამა, რომელთა ქართველობაც მეცნიერებისათვის სავარაუდოა და რომელნიც, ფლობდნენ რა ქართულ ენას, ქვეყნის უკაცრიელ კუთხეებს კულტურულ ცენტრად აქცევენ, ხელს უწყობენ ქვეყნის დაწინაურებას და მრავალ საუკუნეთა მანძილზე დიდ გავლენას ახდენენ ადამიანთა აზროვნებაზე.

იოანე მოსხის საუკეთესო ნაწარმოებები დაიწერა სიცოცხლის უკანასკნელ ათწლეულში, 60—75 წლის ასაკში (620—634); გარდაიცვალა 634 წელს, დაკრძალულია იერუსალიმის მახლობლად, თეოდოსე დიდის სავანეში. იოანე მოსხის შემოქმედება დღესაც აქტუალურია, და ამიტომაც ვთავაზობ მკითხველს ამ თხზულებას.

თავი I

ციხარტყელა

დიდხანს გაჰყურებდა იოანე ბერი სენაკის ვიწრო სარკმლიდან გრძელ გზას, რომელიც მთას გარს უვლიდა და თვალსაწიერიდან იკარგებოდა. არც თუ ვინმეს ელოდა, არც ვისმეს გამცილებელ თვალს გააყოლებდა; გონებაში ქალის სახე ელავდა, ქალისა, რომელსაც ერთი გაღიმებით ჩამოექცია სამყაროსაგან გამთიშველი ჯებირები. უსაზღვრო სივრცეში ნავარდს ჩვეული მიწაზე დანარცხებულიყო, მიწის სიხარული განეცადა და სიამისა და ტკივილის გრძნობას ველარ განარჩევდა, რამეთუ შინაგანი კმაყოფილებით გამსჭვალულს აოცებდა ის ახალი და მოულოდნელი, რაც მასში ხდებოდა, რაც იმავე დროს ჩვეულებრივიც უნდა ყოფილიყო.

დროს კი ეს უჩვეულო სიხარული გაემძაფრებინა, გაელრმავებინა და იოანე ქალის ბედზე ფიქრს თავს ვერ ართმევდა. სად წავიდოდა ქალი? რა გზას დაადგებოდა? ღვთაებრივის მაძიებელი თვალთმაქცი ვერ იქნებოდა, ვერც დედათა მონასტერს შეეკედლებოდა — იუდაველი იყო იგი, მაგრამ გულწრფელი, გულწრფელი ადამიანი კი ყველგან დაუმარცხებელი იქნებოდა.

უზენაესს მის მფარველობას ავედრებდა, შესთხოვდა ცოდვას აღარ დაებრკოლებინა.

და აი, როგორც კი ფეხის ხმა შემოესმა, გულმა ისეთი ფრთონა ასტეხა, ლამის მივარდა კარს, ურდულის საიმედობა მოსინჯა, ფართოდ გაშლილი ხელებით კარს აეკრა. ვინ უნდა ყოფილიყო? — ნუთუ ქალი იგი კვლავაც მოაკითხავდა? — და ეს დამფრთხალი კრავი უფლისა ყაფაზში გამომწყვდეულ ვეფხვს უფრო ჰგავდა. რას იფიქრებდა, რომ ვისაც ახლა კარს უკეტავდა, ვისთან განშორებისთვისაც ღმერთს ჰმადლობდა, მთელ სიცოცხლეს მასზე ფიქრს შესწირავდა!

ფეხის ხმა სულ ახლოს მოვიდა კართან და გაისმა:

—გვაკურთხენ, მამაო.

მამაკაცის ხმა იყო და იოანე უცებ მოეშვა, დაბნეულ აზრებს გაფაციცებით დაუწყო კრეფა, საკეტი ფრთხილად დაუშვა, ფრთხილად გადადგა რამოდენიმე ნაბიჯი სიღრმეში და დაბალი ხმით მიუგო:

— გაკურთხოს ზეციერმან.

კინოვიაში შემოვიდა ყმაწვილი კაცი, რომლის საოცრად ნათელმა სახემ, ფართო თვალებმა, მზესავით შემოანათეს და სენაკის კე-

დელზე გამოსახულმა ანგელოზ მიქელის მიერ წყვდიადის ძლევის დათრგუნვის ხატებამაც საზეიმო ელფერი მიიღო.

ყმაწვილის ახოვანი გარეგნობა, მოხდენილი ჩაცმულობა, გამჭოლავი, მაგრამ თავაზიანი გამოხედვა, მის დიდებულებაზე მეტყველებდა. აღარ იყო საჭირო ვინაობის გამოკითხვა, მით უფრო, რომ ერთი შეხედვით სულმა სული იცნო.

წმიდა ადგილების მომლოცავს დიდგვაროვან ჭაბუკს გზად თეოდოსე დიდის სავანეშიც შემოეხედა.

ჭეშმარიტების მაძიებელი იყო ჭაბუკი. მისი მეფური სიმშვიდე ძლიერებაზე მეტყველებდა, თუმც ურჩი ბაგენი ყმაწვილის უსუსურობას აღიარებდნენ.

— მე მიყვარდა სოფელი ესე, — ამბობდა იგი, — მაგრამ რა ვსცან, დიდი თუ მცირე, ძლიერი თუ უძლური, ბრძენი თუ სულელი, ყოველნი წარვალთ, განვიბნევით, და მესმა სიტყვა ღვთის წიგნთაგან, რამეთუ სიკვდილის ხიდით წარვალთ ყოველნი ქვეყნად უცხოდ, რომელსა შინა არიან ორნი სადგურნი: ერთი იგი არს სავანე ყოველთა კეთილთა დაიცვეს მცნებანი ღვთისა, ხოლო მეორე იგი სავანე სავსე არს სატანჯველითა მათთვის, რომელნიც განუდგეს ქრისტესა, მეშინის, რამეთუ მრავალ არიან ცოდვანი ჩემნი, მე ვერ დავძლიე ტრფიალი დიაცისა და უფრო მეტიც, ვერ შევიცან, თუ რატომ არის იგი ცოდვა და თუ ცოდვაა, მითხარ, მამაო, როგორ უარჰყავ შენ იგი?

— ტრფიალი ადამიანის მიმართ დაუძლეველია, გაუმართლებელია მისი უარყოფა, რამეთუ იგი ამაღლებს მას. ადამიანი საკუთარი თავისთვის არ იბადება, ადამიანი ადამიანისთვისაა გაჩენილი და მისი არსებობაც იმდენადაა ღირებული, რამდენადაც იგი საჭიროა სხვისთვის, მაგრამ სიძვა კი დასცემს ადამიანს.

ცდილობდა რა იოანე მოსხი ჭაბუკის გათვითცნობიერებას, გრძნობდა, თავადაც რაღაც მნიშვნელოვანში ერკვეოდა.

— რა უფრო დიდი ცოდვაა, — კითხულობდა კრძალვით ჭაბუკი,— რასაცა ვიქმთ, თუ რასაც არა ვიქმთ?

იოანე მსჯავრდადებულივით იდგა ამ უზარმაზარი კითხვის წინაშე. ახლა თავად უფრო საჭიროებდა ამ კითხვის განმარტებას, მაგრამ მოძღვარი იყო და პასუხი ახლავე უნდა გაეცა, პასუხი კი ღრმა განსჯას, დროს მოითხოვდა: „მიწყალე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გული წმიდა დაბადე ჩემთანა და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა, აღმიდგინე, უფალო, წმიდა სამკვიდრებელი შენი და გამინათე დაბნეული გონება ჩემი“, — ლოცულობდა გულში და პასუხს აგვიანებდა.

ჭაბუკი კი ისევ კითხვით მიმართავდა:

— როდესაც ღმერთმა ადამიანს ცნობიერება მიანიჭა, ამით დასწყევლა თუ..? — კითხვა ვეღარ დაამთავრა, ეგონა, ბერი ასლა მას სულაც არ უსმენდა, მაგრამ აქ უკვე იოანემ უმალ მიუგო:

— ცნობიერება არის დიდი წყალობა, თუ გინდ კურთხევა ღვთისა და არა წყევლა.

ჭაბუკს სანდომიანმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, თუმცა იოანე გრძნობდა, რომ მისთვის ეს სიტყვიერი რწმუნება ასე ადვილად დამაჯერებელი ვერ იქნებოდა. წამოდგა და ბუნებაში გასვლა, იერუსალიმის მონახულება შესთავაზა.

— ბუნება გაგვცემს პასუხს ყველაფერზე, — ამბობდა იოანე.

იერუსალიმი, უძველეს დროში „სალემად“ ანუ „სამყაროდ“ წოდებული, ყველა საუკუნეებში რელიგიით სუნთქავდა და პატივდებული იყო წმიდა ქალაქად. ებრაელთათვის იგი მიწიერი და სულიერი სამშობლო იყო, ქრისტიანები მას თაყვანს სცემდნენ, როგორც აკვანს სარწმუნოებისას. იერუსალიმი თავისი ღვთაებრივი მოგონებებით სამყაროს ყველა კუთხიდან იზიდავდა ადამიანს, ყველა ტომისასა და წოდებისას მოკრძალებით თავს ახრევინებდა. იერუსალიმს უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ იგი იყო სავანე კაცობრიობის იდუმალ ზრახვათა, იგი წარმოადგენდა ყველას კუთვნილებას, მაგრამ არავის საკუთრებას.

გზად სოფელი მალხა უნდა გაევლოთ. ეს იყო ქართველთა სოფელი, სადაც „ქრისტეს საფლავის“ მცველი ქართველთა ლეგიონი იბანაკებდა ხოლმე.

— იბერიის განმგებელთ, — ამბობდა იოანე, — თავი მოაქვთ, რომ ბიბლიური ეპოქის სიღრმეში აქვთ გადგმული ფესვები, ბიბლიური დავითის ჩამომავალნი არიან ქართველებიო და საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილებაც შემთხვევითი არ იყო, — ისე ამბობდა იოანე, ეტყობოდა, მათზე ნაკლებად არ მოსწონდა თავი.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი თავისი ვერცხლისფერი გუმბათითა და სამრეკლოს ბრწყინვალებით შორიდანვე თვალს იტაცებდა. ეს ადგილი ქართველებს ბერძენთა და რომთა იმპერატორისაგან ღიდი კონსტანტინესაგან მიეღოთ, პირველი მსოფლიო კრების განწინებით.

თლილი ქვის გალავნით გარემოცული მონასტერი, მასიურ ლოდებში მოქცეულ ვიწრო რკინის კარით, ჩაფლული იყო ზვრებში, ზეთის ხილისა და ბროწეულის ბაღებში. ეს და სხვა მრავალი შესანიშნავი ტაძარი და მონასტერი, პეტრე იბერს აეგო. შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელი იყო ისიც, რომ სწორედ იმ ადგილზე იყო აგებული ჯვრის მონასტერი, სადაც ქრისტეს საწამებელი ჯვრისათვის მოეჭრათ ხე. „ლაზთა მონასტერში“ კი განისვენებდა თვით პეტრე იბერი თავის მასწავლებელ, იოანე ლაზთან ერთად.

გაზაფხული იდგა და ბუნება დაფდაფით ხვდებოდა ყვავილების ღღესასწაულს, ცაზე ცისარტყელა გადაჭიმულიყო და იერუსალიმი ნაირფერი სამოსელით იკაზმებოდა.

— ბუნება ყველას ერთნაირად გვაუწყებს: გიხაროდეთ ხილვა ცი-

სარტყელისა, იგი ადამისა და ნოეს ბედის მოგონებაა, ცისარტყელა ხსოვნაა ღვთისა. არავის ივიწყებს ღმერთი, ვინც კი მას მიენდობა, ახსოვს ღმერთს თავისი აღთქმა, — ამბობდა იოანე.

მინდვრის ყვავილები თავს იწონებდნენ, ნამი სამკაულად აბრწყინებულიყო მათ სადა სამოსელზე. ყველაფერს საზეიმო ელფერი მისცემოდა. აქ ყველაფერი ქრისტეზე მოგონებით სუნთქავდა.

ცისარტყელა მთელი თავისი ფერთა ელვარებით სადაფივით ციალებდა და აღფრთოვანებული ჭაბუკის სულში შვიდივე ფერით ირეკლებოდა. პირველად ადგამდა ფეხს წმიდა მიწაზე და ეკრძალებოდა, თავს უღირსად მიიჩნევდა და დუმილს არჩევდა. რა იცოდა, რომ მასში იერუსალიმის უთვალსაჩინოესი პატრიარქი სუფევდა!

ხმა დუმილისა ქადაგებდა: გულგრილია ბუნება ადამიანის მიმართ, იგი ხარობს მაშინაც, როდესაც ადამიანი იტანჯება, მაგრამ ბრძენია იგი, თავისი გულგრილობითაც ნუგეშს იძლევა, აგრძნობინებს ადამიანს, რომ დიდ მწუხარებას დიდი სიხარული მოჰყვება, როგორც ზამთარს—გაზაფხული; მწუხარებაში იბადება ადამიანი, მწუხარებაშივე იბადება ჭეშმარიტი აზრი. ეს ხომ სუმბულმაც კარგად იცოდა — ზამთრის სუსხით დედამიწის პირისგან აღგვილი, გაზაფხულზე რომ მთელის მშვენიერებით ამოიზიდებოდა და სურნელებას აფრქვევდა!

ელეონის მთის მწვერვალიდან იერუსალიმი მთელი თავისი სიდიადით მოჩანდა.

ტბა ტიბერიისა კი, რომლის ტალღებიც საუკუნეების მანძილზე ერთსა და იმავე ადგილს აწყდებოდნენ, ყვავილებთან ერთად დარჩენილიყო მოწმედ ღვთაებრივი ადამიანის არსებობისა, ახლა რომ საუკუნეთა სიღრმიდან იხედებოდა.

ამაყად იდგნენ საუკუნოვანი ზეთის ხილის ხეები გეთსიმანიის ბაღისა; იგივე სინათლე, იგივე ჩრდილები, ნიავიც იგივე თრთოლვას იწვევდა და იგივ სურნელი მოჰქონდა.

ეს პატარა ხიდი კი, რომელზედაც იესო გადადიოდა, ჯადოსნურ ჯილად ქცეულიყო — ადამიანები ამქვეყნიდან იმქვეყნად გადაჰყავდა.

ამ ბილიკებზეც არაერთხელ გაევლო იესოს!

„ვნების გზაზე" ყოველი ქვა, ყოველი ხე მიუთითებდა ქრისტეს შესვენების ადგილს ჯვარცმისაკენ. გოლგოთაზე ათასი პატარა ანემონი სისხლის წვეთებად მოსჩანდა. ლოდები, რომლის წინაშეც ახლა ორივენი მუხლს იდრეკდნენ, ნაკურთხი იყო იესოს ცრემლითა და სისხლით.

ამ ღია ცისქვეშ ერთად წარმოსთქვეს „მამაო ჩვენო" და მოხდა საოცარი რამ, ისეთი შვება იგრძნეს, ვითარცა მტვერი განეყარათ, და შეტბორებულ აზროვნებასაც მდინარება მიეცა.

ჭაბუკი ხან ცას გახედავდა, ხან მიწას დააცქერდებოდა, გული ზეციურის მიწიერთან შერწყმას ლამობდა.

ისე ეწვიმა და გადაეკარა, იოანეს ვერც შეეტყო. მას გონებაში თავისივე ნათქვამი უტრიალებდა, თითქოს იმ დღეს პირველად გაი-

გო და ისევ და ისევ უნდოდა გაემეორებინა — ადამიანი საკუთარი ბედნიერებისათვის არ იბადება, ადამიანის ბედნიერება მეორე ადამიანის ბედნიერებაშია, უმაღლესი ბედნიერება კი ღვთის ხილვაშია.

და თითქოს ჭაბუკი მის ფიქრებს განაგრძობდა, ამბობდა:

— ღმერთი იხილვების სიწმინდეში, სილამაზეში, სიყვარულში, თავისუფლებაში, გმირობაში.

— ყველაფერი ეს კი ბრძოლით მოიპოვება, ბრძოლით, — დაუმატა იოანემ.

— რომ იბრძოლო, ამისათვის საკუთარ სიმტკიცეს უნდა გრძნობდე. ჭეშმარიტებას ნათლად შეიცნობდე. — თითქოს სინანულით წარმოთქვა ჭაბუკმა.

— თუ ბუნებას დააკვირდები და აზრის სიღრმეში ჩაიხედავ, დაინახავ, რომ ის, რაც სასრულია, სიმბოლოა უსასრულოებისა, ანარეკლია უხილავი ქვეყნისა. ბუნება სავსეა ხელთუქმნელი სიმბოლოებით...

ჭაბუკი აღარაფერს ეკითხებოდა, იგი უსმენდა.

ირგვლივ ყოველივე საოცნებოდ იწვევდა, თავისი მშვენიერებით თვალს ათრობდა და ადამიანს ავიწყებდა ქვეყნიურ საქმეთ, ყოველივეს, სატანჯველს რომ უქმნიდა.

ანტონ წამებულს ეზრდელონის ხეობისათვის ქვეყნიური სამოთხე ეწოდებინა, და სწორედ აქ, სადაც წყაროები ამხიარულებდნენ მიდამოს, იკრიბებოდნენ ახალგაზრდა ქალწულნი, იგი ქალი კი ყველაში გამოირჩეოდა ბაგეთა წყობით, თმის ვარცხნილობით, მაგრამ ახლა აღარ მოჩანდა მათ შორის, და მათი სიცილი დაცინვად ესმოდა ჭაბუკს. გულს რაღაც მოსწყდა და სიღრმეში მძიმედ ჩაწვა. უსიამო გრძნობამ მთელი არსებით მოიცვა, თითქოს თავბრუც დაეხვა, უნებლიეთ თავი დახარა და თვალი მოარიდა მათ. უცხო იყო მისთვის ასეთი განცდა, და წუხდა.

ქალებისაკენ არ მიუხედავს, დროდადრო იოანეს სახეში აცქერდებოდა, თან ფიქრობდა: ადამიანები ყოველთვის ასე დაკვირვებით რომ უცქერდნენ ერთმანეთს სახეში, უფრო მეტს ამოიკითხავდნენ და მეტის პატივისცემით განიმსჭვალებოდნენ ერთურთის მიმართ. იმ ქალის სახეშიც დროზე ამოიკითხავდა ყოველივეს და ცოდვასაც აღარ ჩაიდენდა. მაგრამ ულამაზესი იყო იგი, ვნებიანი და თვალთ უბნელებდა.

—ადამიანი ჰგავს ბროლის სასახლეს, — როგორც იქნა, იოანემ დასძრა სიტყვა, — რომელშიაც ვიღაცა სუფევს, და ადამიანის სახეში ცქერა არ მოგწყინდება ისევე, როგორც მდინარის ცქერა, რომელიც მიედინება სადღაც შორს და შენც თან მიჰყვები. ასევე გიტაცებს ცეცხლთან ყოფნა, მისი გიზგიზიც სხეულთან ერთად სულს გითბობს და მივიწყებულს მოგაგონებს.

— კარგი ნათქვამია, — ამბობდა ჭაბუკი. — ოღონდ როდესაც ეს ცეცხლი ხანძრად გადაიქცევა, წაგეკიდება, მდინარე ნიაღვრად გარდაიქცევა და შენც წალეკვით დაგემუქრება, მაშინ კი გარბისარ თავის საშველად.

იოანესაც მოეწონა ნათქვამი.

მოვიდნენ გოლგოთას.

— ვილოცოთ საიდუმლოდ, მაგრამ აშკარა რწმენით, — თქვა იოანემ და მუსლთ მოიყარეს, ისევ „მამაო ჩვენო“ წარმოსთქვეს.

იოანემ ახლა უკვე ლოცვისაგან შვება ვერ მიიღო და აჩქარდა. თავს ცუდად გრძნობდა, თითქოს შეაცია კიდეც.

— იქნებ, — გაბედა ჭაბუკმა გოლგოთიდან გამობრუნებისას, — იქნებ ლოცვა მხოლოდ ზნეობრივი ვარჯიშია, სულიერი წრთვნაა, იქნებ იძულებაა ყოველგვარი ღვთაებრივის ჩაურევლად? ან იქნებ ლოცვა ისეთივე ნიჭია, როგორც მჭევრმეტყველება?

— ლოცვა მარტოოდენ ზნეობრივი ვარჯიში არაა, ლოცვა გონებით შეერთებაა უფალთან, ყოველივე, რასაც რწმენით ვითხოვ, შეწყნარებული იქნება უფლისა მიერ, — ამბობდა იოანე და მის გამოხედვაში რაღაც მკაცრი გამოსჭვიოდა.

იოანე სინელი ამბობს: — განაგრძობდა იგი — „თუ გრძნობებში ყველაზე უკეთესი მხედველობაა, ყველა სიკეთეზე უკეთესი ღვთაებრივი ლოცვაა და როგორც დაბორკილ ადამიანს არ ძალუძს გაქცევა, ასევე ვნებების მორჩილებაში მყოფ გონებას არ ძალუძს აღმაფრენა“.

ჭაბუკი კი დამშვიდებით ველარ უსმენდა, ამჩნევდა იოანეს სატკივარი რამ აღონებდა — სიტყვის დროს სუნთქვა ეკვროდა, ფერი შესცვლოდა, სიარულიც უჭირდა. გზის პირად ჩამოსხდნენ.

ჭაბუკი შიშჩამდგარი თვალებით შესცქეროდა.

იოანე თავს ძალას ატანდა, სატკივარს არ ამხელდა, თითქოს უნდოდა მოესწრო მისი შეგონება, — მერე? მერე, — ფიქრობდა, — იყოს ნება ღვთისა და განაგრძობდა:

—...ლოცვა სუნთქვაა სულისა, ლოცვა კიბეა უზენაესთან მისადგომი, ლოცვა გასაღებია საუფლოში შესასვლელი, რწმენა კი ჯილდოა ღვთისა ჩვენი ღვაწლისათვის, სიმდაბლე და სინანული საფასურია, რითაც ქრისტე მოისყიდება... ქრისტიანული სრულქმნილება ქრისტეს ჯვარცმაშია დაფარული...

ესა სთქვა იოანემ და ცხელებამაც შეიპყრო.

შეშფოთდა ჭაბუკი, აღარ იცოდა რა ექნა.

— ნუ შეშინდები, ოღონდ ჩქარა მივიდეთ სავანეს, — ნაძალადევი ღიმილით ამბობდა იოანე ჭაბუკის დასამშვიდებლად, თორემ სენი მასში ყოველთვის მისტიურ შიშს იწვევდა, სიკვდილზე აფიქრებდა, სიკვდილი კი მხოლოდ ამქვეყნიდან ცოდვების მოუნანიებლად წასვლით აძრწოლებდა.

რა მოვიდნენ სავანეს, იოანემ ჭაბუკს ძლივს გასაგონად შესთხოვა:

— ილოცე ჩემთვის, შვილო ჩემო, შესთხოვე უფალს, რათა განმკურნოს.

იოანე ხედავდა, როგორ მხურვალედ აღავლენდა ჭაბუკი ლოცვას და იმედი ძალას აძლევდა.

არ გასულა დიდი ხანი და იოანეს ცხელებამ გაუარა.

გაიხარეს ორივემ, მაგრამ ჭაბუკს თავის დამსახურებად არ მიაჩნდა იოანეს განკურნება, იჭვი არ ასვენებდა და სთქვა:

— ჩემი ლოცვით საკუთარი თავის განკურნება ვერ მირწმუნებია. მით უფრო, ვითარ ვირწმუნო, რომ ჩემი ლოცვით განიკურნე შენ?!

— აბა, დააკვირდი ქრისტეს ლოცვას, — სთქვა იოანემ, — „მამაო ჩვენო“ და არა მამაო ჩემოს ამბობს მაცხოვარი, „მოგვეც ჩვენ“ და არა მომეც მე, „მოგვიტევენ ჩვენ“ და არა მომიტევე მე, „გვიხსენ ჩვენ“ და არა მიხსენ მე... ჩვენი თავისთვის კი არ ვითხოვთ, არამედ კაცთათვის. ჩვენ ვლოცულობთ ყველასათვის და ამიტომაც ჩვენი ლოცვით სხვასაც შევეწევით.

ყველაფერი ეს ჩინებულად იყო ნათქვამი, მაგრამ, ჭეშმარიტად სარწმუნო რომ გამხდარიყო, ჭაბუკი გრძნობდა, ამისათვის დრო იყო საჭირო და რადგან ერთმანეთიც მოეწონათ, ერთმანეთის საჭიროებას ხედავდნენ, იმ დღიდან გადაწყვიტეს ერთად ეღვაწათ და დარჩა ჭაბუკი იოანესთან.

გავიდა დრო, ახლა ჭაბუკი შეიპყრო ცხელებამ, ახლა მან სთხოვა იოანეს ელოცა მისთვის.

ილოცა იოანემ, მაგრამ ჭაბუკი ვერ განიკურნა.

მკურნალის მოყვანა დასჭირდათ...

განკურნებულმა ჭაბუკმა მერე ღიმილით თქვა:

— მამაო, ეს ამბავი მე ძალიან მაფიქრებს, რამეთუ, როდესაც ავად იყავი შენ, მთხოვე მე და შევღაღადე ღმერთს, მან ისწრაფა ჩემი შეწყნარება და მყის განიკურნე. შენ კი, როცა ითხოვე ჩემი განკურნება, ღმერთმა არ მოიღო ჩემზე წყალობა.

მაშინ იოანემ ღიმილით მიუგო:

— რაც შემეხება მე, შვილო ჩემო, როდესაც გთხოვე, რომ ჩემთვის გელოცა, მე მწამდა შენი ლოცვისა, შენ კი როდესაც მთხოვე, შენთვის მელოცა, ჩემი ლოცვისა არ გწამდა და ამის გამო არ ვიქენი შეწყნარებული, რამეთუ სწერია: „მსგავსად შენი რწმენისა მოგეზღვება შენ“.

თავი II

სპარსელნი

ბიზანტიელთა მეფის ტიბერის მეფობისას, როცა სტრატეგოსმა მავრიკიმ წარმატებით უმეთაურა სპარსთა წინააღმდეგ საომარ მოქმედებას, მეფემ ცოლად შერთო მას თავისი უფროსი ქალიშვილი და სიცოცხლეშივე, მძიმედ ავადმყოფმა, მავრიკი მეფედ აკურთხა. მავრიკი თავის მხრივ მემკვიდრედ ამზადებდა თავის ვაჟს, თეოდოსის.

გავიდა დრო და რომაელთა და სპარსთა შორის ომი ისევ განახლდა. ვერაგი ინტრიგის მსხვერპლი გახდა კეისარი მავრიკი. მოხდა ისე, რომ სამხედრო გადატრიალების შედეგად ტახტზე ავიდა ერთი უთვისტომო, ბედის მაძიებელი ჯარისკაცი ფ ო კ ა.

ფოკამ მავრიკის მთელი ოჯახი ამოწყვიტა. მხოლოდ ერთი ვაჟი გადარჩა, თეოდოსი, რომელსაც ლაშქრობიდან დაბრუნებისას მოწამე ავტონომეს ტაძარში შეეფარებინა თავი. გავრცელდა ხმები, რომ ფოკამ ისიც მოაკვლევინაო. ამბობდნენ იმასაც, რომ თეოდოსის მაგივრად სხვა მოჰკლეს, თეოდოსი აღმოსავლეთში გაიქცა და, რაკი ცოცხალი გადარჩა, ტახტსაც დაიბრუნებსო, ზოგი კი იმასაც ამბობდა, რომ ტირანს თავდაღწეულმა თეოდოსიმ კოლხეთს შეაფარა თავი და დაუძლურებულ სხეულს თავად მოუღო ბოლოო. ხალხის უმრავლესობას უნდოდა დაეჯერებინა, რომ თეოდოსი ნამდვილად ცოცხალი იყო. ერთ დღესაც დაირხა ხმა, რომ თეოდოსის, მართლაც, გადაერჩინა თავი და ალექსანდრიის ერთ მონასტერში ეპოვა თავშესაფარი. ამან ფოკასაგან დაზარალებულთ განწყობილება იმდენად გამოუკეთა, რომ სამეფო კარზე შეთქმულება მოეწყო.

ამავე დროს სპარსეთის მეფის ხოსროს კარზე გამოჩნდა თვითმარქვია თეოდოსი, რომელიც თავს მავრიკის შვილად აცხადებდა. ხოსრომ უბრძანა პატრიარქს, იგი მეფედ ეკურთხებინა. მერე მისცა ჯარი და გაგზავნა ვითომდა თავისი სამეფოს დასაბრუნებლად.

იმპერიის საზღვრებში შეჭრილ თვითმარქვია თეოდოსის წინააღმდეგ გამოვიდნენ რომის ჯარები და დაამარცხეს იგი. გაიგო თუ არა ეს ხოსრომ, მაშინვე გაეშურა მისაშველებლად. პირველი შეხვედრა რომის ჯარებთან წარუმატებლად დამთავრდა. მაგრამ მეორე დღეს, სპარსელებმა სასტიკად დაამარცხეს რომაელები.

ფოკამ მოლაპარაკება გამართა ავარების ხანთან. ამასობაში, ხოსრომ სასაზღვრო სიმაგრეს ალყა შემოარტყა. ძირი გამოუთხარა ქალაქის კედლებს და ფართო სამხედრო ჩანაფიქრის განხორციელება დაიწყო. თვითმარქვია თეოდოსის მეთაურობით სპარსელებმა დაიპყრეს ქალაქი სატალი, თეოდოსიპოლი, რის შემდეგ სამხედრო მოქმედება გადაიტანეს კაპადოკიაში და მიადგნენ ქალაქ კესარიას.

ქრისტიანები სპარსელებში ხედავდნენ ნაციონალურ მტერს, იუდაველები კი სპარსელებისაგან ელოდნენ განთავისუფლებას იმ ჩაგვრისაგან, რომელსაც ისინი განიცდიდნენ იმპერიაში და ამიტომ თავგამოდებით უჭერდნენ მხარს სპარსეთის ჯარებს.

იოანე და ჭაბუკი თვალს ადევნებდნენ მოვლენებს. ანუგეშებდნენ და გზას უჩვენებდნენ ხალხს.

ჭაბუკი იმდენად გაიტაცა თვითმარქვია თეოდოსის ამბებმა, რომ შექმნა თხზულება, გალექსა და უკვდავყო იგი ისტორიაში.

ფოკას უმწეობამ სპარსელებთან ომებში, მისმა ვერაგობამ მოთმინების ფიალა აღუვსო დიდებულთ. მოაწყვეს შეთქმულება, თუმცა

შეთქმულება გამხელილ იქნა, ფოკა მაინც დაეცა, და ტახტზე ავიდა ჰერაკლე.

კეისარმა ჰერაკლემ, აღიჭურვა რა სამხედრო ძალაუფლებით, დაამყარა ახალი დინასტია და ბიზანტია აღმოსავლეთის ყაიდაზე გარდასაქმნელად აღმოსავლეთისაკენ შემოაბრუნა.

სასელმწიფო წესრიგის დიდი მოყვარული, ყველასათვის მისაწვდომი, გამოცდილი სტრატეგოსი, ჰერაკლე ამბობდა: მტერი კი არ უნდა მოჰკლა, უნდა დაიმორჩილოო.

ჰერაკლეს ცოლი ვაჟის შეძენას გადაჰყვა და სულ მალე ჰერაკლემ ცოლად შეირთო თავისი დის, მარიამის ქალიშვილი მარტინა. ამ ქორწინებამ სამეფო კარისა და ხალხის აღშფოთება გამოიწვია.

არც პატრიარქი სერგი იწონებდა კეისრის მოქმედებას. მაგრამ კეისრის ნება-სურვილი ასეთი იყო და წინ ვერავინ აღუდგებოდა..

გამოფიტულ იმპერიას სპარსთა მხრიდან კვლავ მრისხანე საფრთხის აჩრდილი წამოადგა. ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ჰერაკლეს ბევრი რამის დათმობა და თავის დამცირებაც დასჭირდა.

მან ხოსროს გაუგზავნა ელჩები. იგი სწერდა:

„ფოკა მოვკალი, რადგან მან შენი მეგობარი მავრიკი მოკლა, ამიტომ გთხოვ, ზავი შევკრათო“.

ხოსრომ ამაზე არც კი უპასუხა, პირიქით, დააჩქარა სირიაზე გალაშქრება. აიღო ანტიოქია, დამასკო, ალყა შემოარტყა იერუსალიმს და ოც დღეს ფალაკვანთა ძლიერი სროლით აიღო კიდეც.

პალესტინაში მას წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ იმპერიის დასუსტებული სამხედრო ძალები, ადგილობრივი იუდაველები კი სპარსელებს ხვდებოდნენ, როგორც იმპერიის ჩაგვრისაგან მხსნელებს და შურს იძიებდნენ რა ქრისტეანებზე, სძარცვავდნენ და ანგრევდნენ ქრისტეანულ ტაძრებს, სპარსელებმა კი არ დაუფასეს იუდაველებს ასეთი მხარდაჭერა, მეტიც — აუკრძალეს მათ იერუსალიმში ცხოვრება.

ტყვეებითა და ალაფით აღვსილმა ხოსრომ სპარსეთს წაიღო წმიდა ძელი, ცხოველმყოფელი ჯვარი მაცხოვრისა, და თან გაიყოლია პატრიარქი იერუსალიმისა ზაქარია, რომელმაც ტყვეობაში 14 წელი დაჰყო.

ხოსროს საყვარელი ცოლი, შირინ, ქრისტეანი იყო და ძელი თავის სასახლეში მოათავსა.

ამბობდნენ: სპარსელები ქრისტეანებს რომ ულეტდნენ, ქალაქს სისხლის მდინარე სდიოდა, ყრმანი, ვითარცა ფრინველთ მართვენი ჟიოდნენ, დედები გოდებდნენ შვილთა განშორებას, ქალწულნი — თავის ქალწულებას, ცოლნი ქმართა და ქმარნი ცოლთა სტიროდნენო.

ხოსროს მხედართმთავარმა შაჰრაბაზრმა დატოვა რა იერუსალიმი, გადაიარა მთელი მცირე აზია და მიადგა ბოსფორს. აიღო ქალკედონი და ჯვარი განაწყო ქრიზოპოლისთან.

ჰერაკლემ მდიდარი საჩუქრებით ძლივს დაითანხმა ხოსრო ზავი

დაედო. მაგრამ, რადგან ხოსრო ჰერაკლეს არ სცნობდა, მოითხოვა, გუჯარი სენატის სახელით წარედგინათ.

გუჯარში ეწერა:

„ღმერთმა, რომელმაც ყოველივე შექმნა და ხელთ უპყრია ყოველივე თავის ძლევამოსილებით, მისცა ადამიანთა მოდგმას ნიჭი ღირსეული მისი სახიერებისა — სამეფო ძალაუფლება, რისი წყალობითაც ჩვენ მოვიპოვებთ ცხოვრების უზრუნველყოფას ქვეყანაზე და ვპოულობთ კურნებას უბედურების შემთხვევაში. იმედი გვაქვს ამ ძალაუფლებისა და თქვენი მოწყალებისა, რომ გვაპატიებთ გამბედაობას მოგმართოთ თხოვნით.

ჩვენ ვიცით, ადრინდელ დროში მიღებულ იყო წესი ორივე თვითმპყრობელობას შორის წარმოქმნილი უთანხმოება თვითონ მეფეთა უშუალო განცხადებებით გადაწყვეტილიყო, მაგრამ ეს წესი დაარღვია ფოკამ, რომის სამეფოს მიმტაცებელმა.

შფოთმა, რომელიც მოერია თვითმპყრობელობას, არ მისცა ჰერაკლეს საშუალება მიეზღო პატივი წარმომადგენლობის საშუალებით თქვენი სიმშვიდის უზომო ძლიერებისათვის. და აი, ჩვენ, უმნიშველო კაცუნები, მოგმართავთ ვედრებით თქვენს სამეფო უდიდებულესობას, მეფეთა მეფეს, ჩათვალოთ თქვენი უკეთილმსახურესი მეფე ჰერაკლე ღვიძლ შვილად, რომელიც მზად არის ყოველგვარი სამსახური გაუწიოს თქვენს გულმოწყალებას. და აღვავლენთ ლოცვას ღვთისადმი თქვენი დღეგრძელობისათვის, მოვიხსენებთ რა თქვენს სიკეთეს რომის მეფობაში უკუნითი უკუნისამდე“.

მოწინააღმდეგის ამ დამამცირებელი სიმდაბლით ხოსროს თავბრუ დაესხა, და მოლაპარაკების ნაცვლად იმპერიის წარმომადგენლობა საპყრობილეში დაამწყვდია, აღჭურვა გემები და კვლავ შეუტია ბიზანტიას, მაგრამ ამჯერად ჰერაკლეს საზღვაო ფლოტილიამ სპარსნი სამარცხვინოდ აოტა.

იმპერია მაინც დიდ განსაცდელში იყო — ლანგობარდებმა დაიპყრეს იტალიის მხარეები და იმპერიამ საბოლოოდ დაკარგა თავისი ესპანური სამფლობელოები.

სლავები, რომლებსაც ბიზანტიის ჩრდილოეთ პროვინციები ეკავათ, იჭრებოდნენ საზღვრებში და სახლდებოდნენ ახალ ადგილებში, სძარცვავდნენ ეგეოსის ზღვის კუნძულებს.

ავარების ხანმაც ვერაგულად უღალატა აღთქმულ მეგობრობას და დაიწყო კონსტანტინოპოლის რბევა.

ორმხრივი საფრთხე ჰერაკლეს ილაჯს უწყვეტდა, ამ ჩამოწოლილ წყვდიადში გლეხის ტანისამოსში გადაცმულმა იმპერატორმა ქალაქი დატოვა.

ავარებმა აიღეს ევდომი, ტყვეებითა და დიდძალი ნაძარცვით დატვირთულნი დედაქალაქიდან გავიდნენ.

ჰერაკლე დაბრუნდა კონსტანტინოპოლს, აღადგინა ხანთან კეთილი განწყობილება, დედაქალაქი იხსნა დარბევისაგან, ხოსრომ კვლავ

დასძრა ლაშქარი იმპერიის დასაპყრობად. ჰერაკლე სასოწარკვეთილებას მიეცა და ხალხის რისხვა რომ აეცდინა, გადაწყვიტა დედაქალაქი კართაგენში გადაეტანა.

უკვე სამეფო განძით იტვირთებოდა აფრიკაში მიმავალი გემები, რომ კეისრის განზრახვა ქალაქში გაცხადდა, შეიქმნა საერთო ალიაქოთი, შეიტყო პატრიარქმა სერგიმ, რომლის ძლევამოსილ გავლენას ქვეყანა ყოველთვის გრძნობდა და ახლაც თავი უნდა ეჩინა.

სერგიმ წმიდა სოფიოს ტაძარში მოუხმო ჰერაკლეს და მოსთხოვა, უარი ეთქვა გადაწყვეტილებაზე. ხალხს კი თვითონ მიმართა:

— შვილნო და ძმანო! ნუ შეშინდებით მტერთა სიმრავლისაგან რომელთა გარე მოგვიცვეს ჩვენ! ძლიერებაში როდია ნება ღვთისა, არამედ — სიმართლეში! მტერი იარაღით წამოსულა ჩვენზედა, ჩვენ კი უმეტეს უფლის რწმენით აღვიჭურვოთ, მის სახელს მოვუხმოთ და დაეცეს მტერი, რამეთუ უსამართლოა საქმე მისი. მაკედონელმა მხნეობითადა სასოებით დაიპყრო სამყარო, მხნეობითა და სასოებით დავწყვიტოთ ჩვენც აპეურნი და განვაგდოთ ჩვენგან უღელი მათი.

ღმერთო! შენ დასცე ყოველი, რომელნი გვემტრნეს ჩვენ ამაოდ, რამეთუ ყოველი კაცთაგან შეუძლებელი, ღვთისა მიერ შესაძლებელ არს და ნუმცა უხარონ ჩვენზედა მტერთა ჩვენთა უსამართლოდ!

— ამინ! — იყო ერთხმად შეძახილი აღფრთოვანებული ხალხისა.

სერგის ზეშთაგონებულმა სიტყვამ, ხალხის შემართებამ, ჰერაკლე შინაგანი ცეცხლით აღანთო და წარმოთქვა:

— ერთი იყოს ნება ღვთისა და ნება ერისა! უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით!

ჰერაკლე დაეუფლა თავის თავს და მეტი ძალით ჩაეჭიდა სამეფო საჭეს.

ჰერაკლემ მთავარსარდლის მოვალეობა თავისთავზე აიღო, რამაც დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. ტრადიციულად იმპერატორს მხოლოდ მიმართულება უნდა მიეცა სახელმწიფოს ცხოვრებისათვის. მაგრამ ჰერაკლემ მაინც თავისი გაიტანა, სახელმწიფოს მმართველობა კი პატრიარქ სერგის დააკისრა.

წარსდგა რა ჰერაკლე, როგორც მთავარსარდალი საბრძოლოდ განწყობილ მეომართა წინაშე, ქება შეასხა მათ:

—ძმებო, ვაჟკაცნო! შევიარაღდეთ რწმენით, ვიქონიოთ ღვთის შიში და გულადად დავხვდეთ მტერს, რომელმაც მრავალი საშინელება დაატეხა თავს ქრისტეანობას, სირცხვილისაგან დავიცვათ რომაელთა თავისუფალი სახელმწიფო; გვახსოვდეს, რომ მტრის გარემოცვაში ვიმყოფებით და დიდი საფრთხე მოელის მას, ვინც გაქცევას გაბედავს. შური ვიძიოთ ქალწულთა გახრწნისათვის, ჩვენი ჯარისკაცების დაკოდილ სხეულთათვის.

ხოსროს კი წერილით მიმართა, რომელშიც კვლავ სთხოვდა ზავი დაედოთ. წინააღმდეგობის შემთხვევაში, სპარსეთის დაპყრობით ემუქრებოდა.

ამაზე ხოსრომ უპასუხა:

„ღმერთების მიერ საყვარელი ბატონი, მთელი დედამიწის მეფე, დიდი ორმუზდის შობილი ხოსრო—ჰერაკლეს, ჩვენს უგუნურ და უვარგის მონას.

არ გინდოდა რა გაგეწია ჩვენთვის მონური სამსახური, შენ თავს უწოდებ ბატონსა და მეფეს, შენ ანიავებ ჩემს განძეულს, განა მე არ ამოვწყვიტე ბერძნები? შენ ამბობ, რომ ღმერთის იმედით ხარ. რატომ არ იხსნა მან იერუსალიმი და ალექსანდრია ჩემს ხელთაგან? ნუთუ ასლაც არ იცი, რომ მე დავიმორჩილე ზღვა და სმელეთი? განა მე ახლა არ შემიძლია კონსტანტინეპოლს ძირი გამოვუთხარო? მაგრამ მინდა მოგიტევო ყველა შენი დანაშაული. და წამოიყვანო შენი ცოლი, შვილები და მოხვიდე აქ. მე მოგცემ მინდვრებს, ბაღებს, რომლებისაგან შენ შესძლებ იცხოვრო. მეც მოწყალე თვალით შეგხედავ. ნუ მოტყუვდებით ამაოდ იმედით თქვენი ქრისტესი, რომელმაც თავისი თავი ვერ გადაარჩინა იუდაველებისაგან და მათ ჯვარს აცვეს. თუ შენ შთახვალ ზღვის უფსკრულში, იქაც შეგიპყრობ და შენ მაშინ დამინახავ მე ისეთს, როგორსაც არ ისურვებდი ვენახე“.

ამ შეურაცხმყოფელმა, მუქარით სავსე წერილმა ჰერაკლე კიდევ უფრო გაამძვინვარა. მთელის საბრძოლო ძალების დარაზმვით გაღაიარა არაქსი და შეიჭრა სპარსეთში, როგორც დაუნდობელი მომსვრელი.

ხოსროს აღარ ეგონა, ჰერაკლე მასთან ომის გაგრძელებას თუ გაბედავდა, ამიტომაც არავითარი სამზადისი არ ჰქონდა და საქმე გასაქცევად შეექნა. გაიქცა შაჰრაბაზრიც და იერუსალიმში ჰერაკლეს არავითარი წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია. შესვლისთანავე, უპირველეს, სპარსთა მარადიული ცეცხლის საკურთხეველი დაანგრია.

თავი III

ქოსა ბერი

ქვეყნის შფოთსა და ვერაგობას განშორებული, სულ ახალგაზრდა, უწვერ-ულვაშო იუდაველი მოადგა ადგილსა უშენსა და უმკვიდროსა. ცა ღრუბლებით მოგრაგნილიყო, უცებ დასჭექა კიდეც და ხშირმა წვიმამაც წამოუშინა. მწირმა გამოქვაბული დაინახა და თავი შეაფარა. წვიმა მოდიოდა და მოდიოდა. მიიხედ-მოიხედა — სიღრმეში დაყუდებული ბერი შენიშნა: თმა თეთრად უბზინავდა. თეთრი გრძელი წვერი კი მიწას სწვდებოდა.

მეტანია ჰყო მისთვის და კრძალვით წარმოსთქვა:

— ჩემთვისაც ილოცე, მამაო.

მაგრამ მოძღვარი არას იტყოდა.

დიდხანს ელოდა იგი ბერის ლოცვის დასრულებას, მაგრამ ამაოდ, ახლოს მივიდა. ნახა, მკვდარი იყო.

შიშნაკრავი მყის გარეთ გამოენთო. შორით მიმავალს უსმო და ორივემ იქვე დაჰფლეს.

ღვთის განგებად მიიჩნია თავის აქ შეფარება და აღარ ინდომა იქიდან წასვლა, მისთვის ხომ მაინც სულერთი იყო, საღ ღაივანებდა!

ჭრაქი აანთო, იქვე ხის მორისგან გამოჩორკნილი ორი მცირე დგამი იყო — ერთზე სატრაპეზოდ თიხის ქოთანი და ხის ფიალა იდო, მეორეზე — საღრმთო საკითხავი წიგნები, პაპირუსები და სიძველისაგან მთლად გაყვითლებული ეგვიპტური „მკვდრების წიგნი“.

შუაღამემდე ათვალიერებდა, რა დაამთავრებდა ერთის კითხვას, მეორეს იწყებდა, მაგრამ „მკვდრების წიგნმა“ მაინც ყველაზე მეტად დაიპყრო.

წიგნი ესე იუწყებოდა: ქვეყანა შექმნილია კვერცხიდან, რომელიც დადო საუცხოო ფრინველმა ფენიკმა მზის საკურთხეველში. კვერცხშია მოცემული სიცოცხლის საწყისები, კვერცხი თავისი საიდუმლოებით მუდმივი სასწაულია: ნაჭუჭი — ცაა, გარსი — ღრუბლები, ცილა —წყალია და გული კვერცხისა კი — მიწა, ნაყოფის გამომღებელი. კვერცხი არის წმინდა სიმბოლო სიცოცხლის შემოქმედებითი ჩასასვისა, იგი განგების ამოუხსნელი სიდიადის ხსოვნის სამკაულია და საფლავებზეც მიაქვთ ნიშნად ურთიერთკავშირისა. ეგვიპტელები კვერცს არ სჭამდნენ სიცოცხლის მოსპობის შიშით და სარკოფაგებშიც მუმიასთან დებდნენ, როგორც სიმბოლოს მომავალი დაბადებისა.

ამოუხსნელი რჩებოდა რიცხვი 40. მოსეს ღმერთი გამოეცხადა მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუსრულდა 40 წელი; 40 დღე ლოცვაში იყო მოსე სინას მთაზე; 40 დღე მოგზაურობდა ილია სარიკოსან; 40 დღე და ღამე გრძელდებოდა წარღვნა; 40 წელი მოგზაურობდნენ ებრაელნი კადიშის უდაბნოში, ქრისტე დაბადებიდან მე-40 დღეს მიიყვანეს ტაძარში მსხვერპლის შესაწირავად; 40 დღე გაატარა ქრისტემ ნათლისღების შემდეგ უდაბნოში მარხვასა და ლოცვაში, 40 დღე ეცხადებოდა ქრისტე თავის მოწაფეებს ჯვარცმის შემდეგ: გარდაცვალებიდან მე-40 დღე საიქიო ცხოვრების მიღების გამოცდადაა მიჩნეული, დაბადებიდან მე-40 დღეს უნდა ინათლებოდეს ადამიანი, 40-ჯერ ითქმის „უფალო შეგვიწყალენ“!

წიგნის კითხვაში შუაღამეც გადასულიყო. მოქანცული და ძილმორეული სიცივისაგან ბაბანებდა, დასაძინებლად არა გააჩნდა რა, გარდა ბერის ერთი ჭილობისა, რომლის ერთი ნახევარი ზემოდან უნდა გადაეფარა, მეორე ნახევარი კი მიწაზე დაეგო, ლეიბად. ამ ჭილობში გასახვევად ისე ემზადებოდა, თითქოს ბუმბულში უნდა ეაგორებულიყო. — მადლობა უფალსა, — ამბობდა გულში, — რომ ჩემი თავი მრავალს ამჯობინა. რამდენი მდიდარია, ასლა ბორკილებგაყრილი საპყრობილეში, ფეხებიც ფალაკში აქვთ და არ ძალუძთ თავიანთ ნე-

ბაზე იარონ, მე კი მოსვენებული მეფესავით ვჭიმავ ფეხებს, როგორც მინდა და წავალ, სადაც მინდა.

დედის ნათქვამიც ასსენდებოდა: მთავარია გქონდეს ღმერთის ძიების სურვილი და ღმერთი თავად მოვა შენთანო.

გულის ძილით ეძინა, მიუსაფრობის შიში არ ჰქონდა, გაუცნობიერებულ შთაგონებას მინდობილს იმედი რწმენად ჰქცეოდა.

როდესაც მზე ალისფრად ჩაესვენებოდა, ცის თაღზე ცთომილნი გამობრწყინდებოდნენ და მთვარე ვერცხლის ელვარებით ამოცურდებოდა. ოცნება იტაცებდა და ლოცვით იძინებდა:

„მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ და გამოაჩინე პირი შენი ჩვენზედა, ჰეი, ყოვლად მოწყალეო· იესო! შეიწირე აწ მცირედი ესე ვედრება ჩემი; ვითარცა შეიწირე ოდესმე ქვრივისა მის ორი წვლილი“.

ხელსაქმობდა და დროდადრო ნაქმნარს გასასყიდად ქალაქს წაიღებდა, მიღებული საფასურით სახმარს შეიძენდა. ზამთარში ტყიდან ფიჩხს ეზიდებოდა.

ერთხელ ერთი კარგი შეკვრა ფიჩხი ქალაქს გასასყიდად თან წაიტანა.

მოღრუბლული და ცრიატი დღე იყო. მწირი, ჩვეულებრივ ფლასებში გამოხვეული, უნდილად მიაბიჯებდა, რომ გზად ერთი უბადრუკი ვინმე შემოხვდა, კურთხევისათვის ორივ ხელი გაუწოდა და უთხრა:

— წყალობა მიიღე, ტყის ბერო.

— ღმერთმან გიწყალობოსო, — გაუბედავად წარმოსთქვა მწირმა და ჯვარი გადასახა უცნობს.

ეს პირველი და უცაბედი კურთხევის გაღება იყო მისთვის. ჯერ შეშფოთდა, ჰქონდა თუ არა ამის უფლება? შემდეგ რაღაც უცნობმა მღელვარებამ მოიცვა. გრძნობდა, რომ მისთვის მონასტერი უფრო შესაფერისი იქნებოდა და თავისი მსახურებითაც იქ სხვისთვისაც მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო.

გამოქვაბულში, მობრუნებული, ლოცვად დაემხო.

„გარემოვადგე საკურთხეველსა შენსა, შევიყვარო შვენიერება სახლისა შენისა, ადგილი საყოფელი დიდებისა შენისა. ნუ წარსწყმედ უღმრთოთა თანა სულსა ჩემსა“.

რაღა ამ უკაცრიელ ტყეში თივასავით ჩამოვხმე, ბარემ ნამდვილი ბერი ვიქნებიო, — იფიქრა, და ერთ დღეს მივიდა კიდეც მახლობელ მონასტერში შეურვებული.

მონასტრის კართან ბერი იჯდა და ფერხთ ჩაუვარდა:

— მაკურთხენ, მამაო, — ძლივს წარმოთქვა.

ბერმა წამოაყენა და უთხრა:

— არასდროს, არა კაცთაგანს არ დაუჩოქო, შვილო, მხოლოდ ღვთის წინაშე ხამს მუხლთ მოყრაო.

მწირიც მკვირცხლად წამოიჭრა და შეჰვედრა:

— ჰყავ სიყვარული ღვთის გულისათვის, მამაო, მიმიღე მსახურად და, თუ ღირს ვიყო, შემმოსე სქიმა მონაზვნობისა.

რაისაგან მოგიპოვებია ასეთი გულისტკივილი? — ჰკითხა ბერმა.

— მე ვარ უფსკრული ცოდვათა, შევცდი, ვითარცა ცხოვარი წარწყმენდილი, — თქვა მწირმა.

ბერმა კი ისევ განუმეორა კითხვა:

— შვილო ჩემო, აღსარება კეთილ არს კერძოთა საქმეთა აღიარებით და ვითარცა ყოველთა სენთა უძლურებათა შესაფერისი საკურნებელი წამალი არს, ეგრეთვე ცოდვისა მსგავსად სინარული არს. ცოდვილნი ვართ ჩვენ ყველანი, შეცთომილნი, ადამიანად წარმომავალნი. აწ მაუწყე ცოდვა შენი და შესაბამისად მისსა მიიღე საკურნებელი, რამეთუ სხვა არს სინანულისათვის კაცის კვლისა...

აქ მწირმა ხელებისა და თავის ქნევით უარყო ესე ცოდვა და ბერმა განაგრძო:

—...სხვაა სიძვათა მყოფლთათვის...

აქ მწირმა თავი დახარა ისე, არც შერხეულა. ბერმა იმავე სიდინჯით განაგრძო:

—...სხვაა გრძნეულთათვის, სხვაა მპარავთათვის.

აქ მწირი ისევ გაიმართა წელში და ბოლომდე შემართებული დარჩა.

— იქნებ ვისიმე გმართებს რაიმე? — ცნობისმოყვარეობით აცქერდებოდა ბერი მოსულს.

— სინანულად და ტირილად ვარ მოსული სიჭაბუკის ცოდვათა ჩემთათვის, მოსწრაფე ვართ ათივ მცნების აღსრულებად, მონაზვნობის ღვაწლთათვის, — თქვა უკვე შეშფოთებულმა.

— შვილო ჩემო, აიძულე თავი შენი, — განუმეორა ბერმა, — და მითხარი რა არს საქმე შენი და შეწევნითა ღვთისითა მიიღე კურნება. სინანულმა უძღებსა შვილსა მარგალიტი სათნოებისა აპოვნინა და დიადი სახე მიენიჭა, ბიბლიურმა მეზვერემ შენდობა მიიღო. უფალმა მონანულსა მეძავსა სიწმინდე შეჰმოსა, მონანულსა ავაზაკსა სამოთხის კარი გაუღო. ეგრეთვე შენცა შეგიწყნაროს ოდეს აღიარო დანაშაული.

მოსული ისეთი მავედრებელი, გულწრფელი თვალებით შესცქეროდა, რომ ბერმა ამოოხვრით წარმოთქვა:

— დაგტოვებ ერთხანს, ილოცე, შვილო; ამ ღამით დაიძინებ მონასტრის კართან და თუ ცისკრამდის მხეცნი ტყისანი არას გავნებენ, გასწავლი გზასა სინანულისასა, განგებას მონაზვნობისასა და შეგმოსავ წმინდა სქიმითა.

ის ღამე მწირმა სავანის კარიბჭესთან გაათენა და არა მხეცნი მიჰკარებიან მას, მაგრამ მის სულში ყველა მხეცის ღმუილი ისმოდა, სინდისი არ ასვენებდა, რადგან მას არ ძალედვა სიმართლის ბოლომდე აღიარება და თავს ინუგეშებდა მხოლოდ იმით, რომ ის, ქმედება რაც მიაჩნდა, სხვას ვნებას არ მოუტანდა და უფალთანაც პირნათლად წააყენებდა.

რაკი ღამეს მშვიდად ჩაევლო, მოძღვარი კეთილი ღიმილით შე-

მოხვდა, აღარაფერს შეეკითხა, მაგრამ აგრძნობინა, რომ მთელის კეთილგანწყობით მზად იყო მოსასმენად და, მართლაც, ისეთი გულისყურით, ისე სანდომიანად უსმენდა, რომ მწირი მთელის გულწრფელობით აღიარებდა, როგორ შეჰყვარებოდა უმშვენიერესი არსება, რომელსაც აღთქმა დაედო უბიწოებისა, მაგრამ იმდენად მომხიბვლელი, იმდენად მიმზიდველი და ბუნებრივის განცდების აღმძვრელი იყო იგი, რომ მწირი შეიქმნა მიზეზი მისი ფიცის დარღვევისა და ახლა თავადაც უნდა დაედო ფიცი სიწმინდის დაცვისა და ელოცა მისთვის შენდობის მოპოვებისათვის ელოცა.

მის გულწრფელობაში, ნათქვამის სიმართლეში მოძღვარს ეჭვი არ შეჰპარვია, აღსარების ბოლოსაც მწირს ბგერები რომ უწყდებოდა და თითქოს რაღაც რომ რჩებოდა უთქმელი, აღარ ნაეკითხებოდა, რამეთუ ფიქრობდა: ნამდვილი აღსარება მხოლოდ წმინდანს და იმ ადამიანს შეუძლია თქვას, რომელიც სიცოცხლეს ეყრებაო. განა თვითონ კი აღსარებისას გულის სიღრმიდან ყველაფერს ამოსწურავდა? ყველაფერს მხოლოდ ჩურჩულით გაანდობდა ხოლმე მაცხოვარს ჯვარცმასთან. ეს გამართლებულად მიაჩნდა, რადგან სჯეროდა, რომ ყოველი ადამიანი უფლებამოსილი იყო ჰქონოდა ისეთი საიდუმლო, რომელიც თვითონ ცოდვად არ მიაჩნდა.

— ღმერთმა შეგინდოსო, — თქვა მოძღვარმა და იმავე დღეს საზეიმოდ შემოსეს მოსული წმიდა სქიმით და სასელად თეოდორე უწოდეს.

არქიმანდრიტმაც საქმე მაშინვე მიუჩინა:

— ძმაო თეოდორე, გევალება ბოსტნის მორწყვა, ძმათა შეჭამანდის მომზადება და ძმათათანავე ლოცვა დაუცადებელი. ქალაქადაც წასვალ ძმათა მსახურებისათვის.

ამ დარიგების შემდეგ მოძღვარმა საიდუმლოდ აჩვენა ის ბალახი, რომელიც ხორცის მხურვალებას გაანელებდა.

თეოდორეს უფრო მოკრძალებული თავაზიანობით ეღიმებოდა, ვიდრე მადლიერებას გამოხატავდა საშვებელისათვის, რადგან მას ამის საჭიროება არ ჰქონდა, მოძღვარმა კი გაიფიქრა — ეს მისთვის ისედაც ცნობილიაო.

მკაცრი იყო თეოდორეს მრწამსი, მაგრამ სუსტი იყო არსება მისი, იმდენად სუსტი, რომ ხშირად ავიწყდებოდა ლოცვა წარმოეთქვა საზრდელის მიღებისა თუ დამთავრებისას, ისე ჩაეძინებოდა, ძილად მისვლის ლოცვას არ წარმოსთქვამდა. ბოსტანს კი მუდამ ხალისიანად რწყავდა, არანაკლებ მზრუნველობით ამზადებდა შეჭამანდს ძმათათვის.

განცვიფრებას იწვევდა მისი ყველასადმი თავაზიანობა და მორჩილება, ისეთი სიყვარულით მსახურობდა განსაკუთრებით სნეულთ, რომ მათ მკურნალი აღარ სჭიროდათ.

ერთი იყო ჭამადით განლაღებულს ძილი ისე მეყსეულად მოეკიდებოდა, ბოსტანშიც კი მიეძინებოდა ხოლმე.

მოძღვარმა პირველი დღიდანვე გამოარჩია სხვებში და სამაგალი-

თოდ აქებდა, რაც ძმებში შურის გრძნობას იწვევდა, ვერას უხიაკს კი ვერ დასწამებდნენ, რომ მოძღვარის განწყობა გაეცუდებინათ, მეტიც— ვინც კი მასთან ახლო, უშუალო ურთიერთობაში იყო მისადმი სიყვარულითა და მეგობრობით განეწყობოდა.

მამა თეოდორემ მოიკეთა, ფერი მიეცა და ერთ დღეს ძმათა მსახურებისათვის ქალაქად რომ ვიდოდა, ანაზდად იგივ მავანი ვინმე შემოხვდა, — ტყის ბერად რომ მიმართავდა და ის იყო თეოდორეს თავისი სქემითა და კუნკულით თავი უნდა მოეწონებინა, რომ ქვასავით მოხვდა მისი სიტყვები:

—გამარჯობა, მონასტრის ღორო!

თეოდორე შეკრთა, გუნებაწამხდარს ველარ მოეფიქრებინა, როგორ უნდა მოქცეულიყო — უნდა ეპასუხნა, თუ ისე გაევლო, ვითომც არც გაუგონიაო. მაგრამ ვიდრე რაიმეს მოისაზრებდა, მთქმელი უკვე აღარცა ჩანდა, მისი ხმის ვესლი კი გულში ჩარჩენოდა და მთელ არსებას უშხამავდა. იმ დღიდან საგონებელს მისცემოდა, თუმცა ვერავისთან ამხელდა საწუხარს. ღამეებს თეთრად ათენებდა, გულმოდგინედ ლოცულობდა, ჭამადს სრულიად იკრძალავდა მარხვაში და დაუბრუნდა სინატიფე, მოერია თავის თავს — ერთი ჭეშმარიტებაც ირწმუნა, რასაც ძმაო ეაანდობდა:

— სჯობს გენატრებოდეს, ვიდრე გენაყრებოდესო.

მალე გუნება-განწყობილება გამოუსწორდა, მაგრამ მაინც შეიცვალა — თამამი — მოკრძალებული გახდა, მოდავე — დამთმობი.

მოძღვარს კი ასეთმა აშკარა და უცაბედმა ცვლილებამ საფრთხე რამ აფიქრებინა, იჭვნაკრავ თვალს ადევნებდა და მიზეზს ეძებდა.

მამა თეოდორე უმეტესად მონასტრიდან გასასვლელ საქმეებს ეტანებოდა და ესეც აფიქრებდა მამასახლისს, თეოდორეს კი უნდოდა კვლავაც შეხვედროდა იმ მავანს, დანახვებოდა, ახლა რაღას ეტყოდა?

მაგრამ ამაოდ, ველარსად შეხვდა და ფიქრობდა: შესაძლოა ის სულაც ჩვეულებრივი ადამიანი კი არ იყო, არამედ ადამიანის სახით მოვლენილი ანგელოსი, რომელიც მას ჭეშმარიტ გზაზე აყენებდა და რაკი თეოდორე მართლაც მიმხვდარიყო, როგორ უნდა ეცხოვრა, ამიტომ მისი შეხვედრაც აღარ მოხდებოდა. ხან თავს ძალას ატანდა დაევიწყებინა იგი, როგორც სრულიად შემთხვევითი ამბავი, მაგრამ ის, რომ ამ შემთხვევამ მასზე გარდამქმნელი გავლენა მოახდინა, ეს მისთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალო შემთხვევა.

ყველაზე გამოცდილ ბერებსაც კი აოცებდათ თეოდორეს გამუდმებული ღამის თევა მუხლმოყრილი ლოცვით. ამით ყველას სიყვარულს იმსახურებდა.

ერთხელაც მონასტერს შემოაკლდა ხორბალი, ზეთი და უბრძანა მამასახლისმა:

— წარასხამ აქლემთ ალექსანდრიას, შეიძენ ყოველ სახმარს მონასტრისათვის. უკეთუ გზაში დაგაღამდეს, ენატის მონასტერს განუსვენე აქლემთ, — თან ღიმილით დასძინა, — დედათა მონასტერია და ღამეს აქლემებთან ერთად გაათევ კარიბჭესთან. აბა, შენ იცი. ახლა შენც

ფიცის გამტეხი არ შეიქნე, თორემ ვეღარაფერი ლოცვა ვეღარ გიშველისო.

ალექსანდრიიდან მობრუნებისას, მამა თეოდორეს, მართლაც, დაალამდა გზაში. დაღლილმა ენატის დედათა სავანეში ითხოვა განსასვენებელი გათენებამდე.

დედანი შეწუხდნენ, მამაკაცი როგორ უნდა მოესვენებინათ სენაკში, მაგრამ ადამიანს თავშესაფარზე უარს ვერ ეტყოდნენ. თეოდორემ ბევრიც არ დააღონა დედანი და თავად უთხრა:

— აქლემებთან ერთად გავათევ ღამეს, და ისე წავალ უთენია, თქვენ ვერც გაიგებთო.

ყველას მოეწონა ეს აზრი, მხოლოდ დედამ ვერ მოითმინა და მიუგო:

— თუკი გარეთაც შეგიძლია გაათენო, რაღა მაინცდამაინც მონასტრის კართან, მოშორებით გარეკე ეგ შენი აქლემებიო.

არავინ დედათაგანმა არ მოიწონა ეს სიტყვები. თეოდორეს იქვე მიუჩინეს ადგილი, ლოგინად ჩალა დაუგეს და ისიც ისე მიიყუჟა აქლემებთან ერთად მონასტრის კართან, რომ ვერც შეამჩნევდა ვინმე, თუ იქ აქლემების გარდა ადამიანი იყო.

ცა ლეგა ღრუბლებმა დაბურეს, სინათლის სხივიც კი არსაიდან ჭიატებდა. მაგრამ თვალი რომ შეაჩვია სიბნელეს, კარგად გაარჩია ირგვლივ ყველაფერი. კარგ გუნებაზე იყო, ჩალაზე მოსვენება ეამა. უკვე ძილბურნაში იყო, როცა გაიგონა როგორ გაიჭრიალა მონასტრის კარებმა და იქიდან პირბადე აფარებული მონაზონი გამოვიდა. კარებთან ერთხანს შეჩერდა. თეოდორემ იფიქრა, ქალს ის აფიქრებდა, მას ეძინა თუ არა და კიდევ უფრო მოიმძინარა თავი, ხვრინვაც კი ამოუშვა. მონაზონი უმალ ციმციმ უკანვე შეიპარა და კარი ღიად დატოვა. თეოდორემ ახლა ფეხის ხმა გაიგონა და შენიშნა, იქვე, მოფარებით მომლოდინე ახალგაზრდა ვაჟი. თეოდორე დაიძაბა, ვაჟი ისე თამამად მივიდა ღია კართან, ჩანდა თეოდორე მისთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. თეოდორემ თვალები დააჭყიტა — ჩაცმულობით სასულიერო პირს არა ჰგავდა, მოხდენილობით, უეჭველად, დიდგვაროვანი უნდა ყოფილიყო. მისი სახე კარგად დაახსომდა, განსაკუთრებით, დიდრონი თვალები. ვაჟის სავანეში შესვლისთანავე კარი შიგნიდან უმალ ჩაირაზა.

ამ გარემოებამ თეოდორეს ძილი დაუფრთხო. საოცარი გრძნობა დაეუფლა, გული ისე აჩქარებით უძგერდა, უნებურად ხელს აფარებდა ზედ.

თუმც თეოდორე მათ ქმედებაში საძრახისს ვერას ხედავდა და თითქოს ამართლებდა კიდეც, მონაზონი ქალი მაინც ებრალებოდა — იგი თავის უბიწოების ფიცს ღალატობდა და რა სინანულით, რა სასჯელით გამოისყიდიდა მას?! მაგრამ დანაშაული თუ თავისთავად ხდებოდა, ბუნებრივიც იქნებოდა და ამდენად, აუცილებელიც. მათ ბედს შინაგანი ძვრები გადასწყვეტდნენ და ორივენი თუ არა, ერთი მაინც ჭეშმარიტების გზას დაადგებოდა. ასეთი ფიქრით მოცული, თავისი

საერო ცხოვრების უკანასკნელ დღეს იგონებდა. რა ამაღლებული, წმინდა გრძნობებით მიილტვოდა მშვენიერებით შემკულ ადამიანისაკენ, რა აღტაცებით, რა ჯადოსნურ მოლოდინით შეეხო კიდეც, თითქოს შეუცნობელისაკენ გადაედგა ნაბიჯი, უცხო ბაღნარში გადაეხედა, და უჩვეულო სილამაზის ყვავილი დაენახა, მის სურნელებას დაეთრო და შემდეგ... შემდეგ აღასრულა ბუნებამ ნება თვისი. რა მღელვარება იფარებოდა იმ უსიტყვო თანხმობაში, რა ამბოხება მზადდებოდა იმ მორჩილებაში. რა ძალნი თრთოდნენ მაშინ მის გულში?! და თუ აქამდე მონაზონი დედა ებრალებოდა, როგორც ცთომილი, ახლა ვაჟიც შეებრალა, რადგან მიზეზი იყო ცთომილებისა და რას მოუტანდა მას ეს წამიერი ნეტარება?

ამ ფიქრებში დრო გასულიყო. სავანის კარი ისევ ფრთხილად გაიღო და ისევე ფრთხილად დაიკეტა, ვაჟი კედელ-კედელ გაჰყვა სავანეს, მოხდენილად გადაასტა ზღუდეს და სიბნელეში გაუჩინარდა.

ამ ამბავმა თითქოს შეუმსუბუქა კიდეც ფიქრები წარსულზე, თუმცა აღარ დაუძინია და ალიონზე აქლემებს თავისი მონასტრისაკენ მიერეკებოდა უკვე.

სავანეში მისი დაბრუნებით ყველამ გაიხარა, თავადაც კმაყოფილი ჩანდა, არც დაღლა ემჩნეოდა და მაშინვე საქმიანობას შეუდგა, რამეთუ სხვისი ამბების მოყოლა არ სჩვეოდა და ამ შემთხვევის გაცხადებაც თავისი ცოდვის საჯაროდ აღიარებად მიაჩნდა, ამიტომაც არავისთვის არაფერი უთქვამს.

გავიდა რამოდენიმე თვე და ენატის იღუმენიამ შეიტყო, რომ მისი მორჩილი დედა მიდგომილია, იხმო იგი და ჰკითხა:

— მითხარ, ვინ არს ესე შენთანა?

ხოლო დედამ დაფარა ის ყმაწვილი და თქვა:

— თქვენ რომ აქლემებთან ერთად მონაზონს კარიბჭესთან განუსვენეთ, ღამით რა გავედი რაიმესათვის საქმისა, მან ვითარცა მხეცმან შემიპყრო, ესრეთ წარმწყმიდა.

აღშფოთდა იღუმენია, აღშფოთდნენ მონასტრისანი და ყოველივე ესე აცნობეს იმ სავანის წინამძღოლს, სადაც თეოდორე მოღვაწეობდა.

პასუხი რომ ვერ მიიღეს, აქოშინებით მოცვივდნენ სავანეს, თითქოს მიწიდან ძვრებოდნენ, ისე იზრდებოდა მათი სიმრავლე და მძვინვარებით ყვიროდნენ:

— სადა არს უმსგავსო იგი მონაზონი, რომელიც ჩვენ შევიფარეთ და მან კი განხრწნა ქალწული ჩვენი?

წინამძღვარმა გამოიყვანა თეოდორე.

თეოდორეს, ვითარცა ქურციკს ვეფხვთა შორის, თვალები მიეფეთებინა მათთვის და ბრალდებას ფიცით უარობდა:

— როგორ? როგორ? — იმეორებდა გაოცებული.

მის ხმაში ისეთი გულწრფელი წყრომა გამოსჭვიოდა, წინამძღვარმა ეს ბრალდება ცილისწამებად შერაცხა და თეოდორე განარიდა.

ძლივს განდევნეს ენატოსელნი სავანის გარემოდან, მაგრამ მათი,

ფიცი, რომ თეოდორეს დაუსჯელად არ დასტოვებდნენ, ყურთასმენას არ შორდებოდა.

თეოდორეს შეეძლო ერთი სიტყვით თავის მართლება, მაგრამ ეს ის სიტყვა იქნებოდა, რომელიც მის საიდუმლოებასაც გააცხადებდა და მაშინ კი მართლაც ბრალდებული გახდებოდა, ამიტომ — დუმილი არჩია.

— მრიდებელი ბაგისა გონიერ იყოს, — თქვა წინამძღვარმა თეოდორეს მდუმარებით კმაყოფილმა.

მონასტერში კი დიდხანს იდგა ქოთქოთი — უქმსიტყვაობის მოყვარულნი, ძვირის მზრახველნი არ ცხრებოდნენ და თეოდორეს გასაგონათაც იტყოდნენ:

— უყურებ შენ ამ ქოსას! ჩვენ რას ვფიქრობდით და ეს ვინა ყოფილა!

როდესაც წინამძღვარი მასთან შევიდა სენაკში, უმალ გაჩნდნენ ჭუჭრუტანებიდან მოთვალთვალენი, კარებთან მიყურადებულნი და ეგონათ რასმე მამხილებელს გაიგონებდნენ, მაგრამ ესმოდათ მხოლოდ თეოდორეს აუღელვებელი სიტყვები: ღმერთმა ხომ იცის სიმართლე და მან განმსაჯოსო.

თეოდორეს დანახვისას ძმანი მაინც ჩუმ-ჩუმად ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდნენ და ჩაიქირქილებდნენ ხოლმე.

— რა მაგის საქმე იყო ბერობა, — ამბობდნენ, — ღმერთი ადამიანს რაიმე ნიჭს რომ მოამადლებს, შესაფერისადაც ამკობს: მემუსიკეს ჯადოსნური თითებით აჯილდოვებს, მგალობელს — სმენითა და სმოვანებით, ამ ბიდშავისათვის კი წვერ-ულვაშიც ვერ გაუმეტებიაო!

— რა იცით, იქნებ ანგელოზია კაცის სახით მოვლენილი?! — გამკილავი სერიოზულობით იტყოდა ვინმე.

თეოდორე კი მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით გახედავდა მათ და ზურგს აქცევდა უსიტყვოდ. ხედავდა, რომ ძმანი საერთოდაც უზნეობას უფრო პატიობდნენ ადამიანს, ვიდრე გარეგნულ ნაკლს, მასაც ხომ დაცინვით ქოსა ბერად მოიხსენიებდნენ, და ვინ იცის კიდევ რაღას არ დასწამებდნენ! წინამძღვარს აგონებდნენ, იჭვს აწვეთებდნენ, მაგრამ მაინც ვერ ამსედრებდნენ, რამეთუ მან იცოდა, რომ ადამიანი თანავრძნობით უფრო განიკურნებოდა, ვიდრე გაკიცხვით, მით უფრო, თუ დარწმუნებული არ იყო ადამიანის დანაშაულში. თუმცა იგი თეოდორეს მაინც შეაგონებდა:

— ჩვენი მფარველი ანგელოზნი იწერენ ცხოვრებას ჩვენსას. წიგნი ესე დამარხულ არს ქრისტეს მეორედ მოსვლამდე. მაშინ განეხვნებიან წიგნი თითოეულისა საქმეთანი, რათა მიეხდებოდეს თითეულსა თავისი ვალი და ვითარცა უცვლელია ღმერთი, უცვლელია განჩინება ჟამსა მას; არცა ქრთამი, არცა სიტყვა, არც ცრემლიანი სინანული არ შეიწირების, არცა დრო მოგვეცეს გამოსასყიდად. ცხოვრება ვითარცა ქურაა რკინისათვის. ვიდრე ცეცხლი უკიდია, იჭედება და რა გაცივდება, მას ველარაფერი შესცვლის. ვიდრე ცოცხალნი ვართ, უნდა ვაღიაროთ ჩვენი ცოდვანი, რამეთუ ყველანი ცოდვილნი ვართ და

აღსარებით მიღებულ შენდობას კი დიდი ძალა აქვს — რასაც აქ მოძღვარი შეგინდობს, ის ცოდვა თან არ წარიტანება, ამიტომ მუდამ ეცადე შენი აღსარებაც გულწრფელი და სრული იყოს.

თეოდორე კი ისევ და ისევ ფიცით განამტკიცებდა ამ ბრალში თავის უცოდველობას.

ამდენმა დაცინვამ, უნდობლობამ, შეგონებებმა თეოდორეს გული აუცრუეს ყველაფერზე, ინანა ბერად აღკვეცა და იმაზე ფიქრობდა რამდენად უფრო ბედნიერი იქნებოდა, რომ დარჩენილიყო იმ წმინდა ბერის გამოქვაბულში! იქ თუ სიმარტვე აღონებდა, აქ ცხოვრებას მთელი თავისი დავიდარაბა მასზე მიესვეტა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეღწია თავი აქაურობისათვის — ტაძარი ღვთისა სატანის სარბიელად ჰქცეოდა და რწმენა, რომელიც სალ კლდედ მიაჩნდა, მოჩვენებასავით ციალებდა. მაგრამ თეოდორი არ დრტვინავდა, ფიქრობდა, ალბათ ასეთი იყო მისი ბედი, რომ დაბადებული იყო იმისათვის, ყველასაგან შეურაცხება მიეღო და მაინც შეუბღალავი დარჩენილიყო.

დრომ ყველაფერი გადაწყვიტა — ქალმა შვა ყრმა.

ენატოსელთა აჩოჩეოლებული ბრბო ასლა უკვე ყრმით ხელში მოაწყდა მონასტერს. ხმამაღლა ისმობდნენ თეოდორეს, მაგრამ წინამძღვრის ბრძანებით არავინ არ უნდა გასულიყო.

მაშინ დედათა ბრბომ ასლადშობილი დატოვა კარის ზღურბლზე და ღვთის რისხვის მოწოდებით განეშორნენ მამათა სავანეს.

პირველი მაინც თეოდორე გამოვიდა. მოულოდნელი იყო მისთვის არა ის, რაც მოხდა, არამედ აზრი, რომელიც იმ წუთას დაებადა.

— რა მოხდებოდა აეყვანა ბავშვი და გაქცეულიყო შორს, შორს მონასტრისაგან? მაგრამ ეს ხომ დასტური იქნებოდა ბრალდებისა! მაშინ სიცილს დააყრიდნენ, ყრმას წაართმევდნენ და რომელსამე ქალთა მონასტერში გააძიძავებდნენ. რა უნდა ექნა, როგორ უნდა დაეჭირა თავი, რომ ეს არ მომხდარიყო?

ამ ფიქრებში იყო, რომ გამოვიდნენ მონასტრისანი. თეოდორემ ერთი კი გადახედა ყველას, მაგრამ სიტყვა არ დასცდენია, თავდახრილი იდგა ასალშობილთან. იდუმალ მრავალგზის წარსთქვამდა: „იყოს ნებაი შენი“.

წინამძღვარმა სამსჯავროდ მოუხმო ყველას.

ძმანი წუხილის ნაცვლად თეოდორეს ნიშნის მოგებით, ალმაცერად გახედავდნენ. იგი ნაბიჯის გადადგმასაც არ აპირებდა, თითქოს ეშინოდა ასლადშობილი არავის გადაემალა და მხოლოდ წინამძღვრის ბრძანებით გაჰყვა ბერებს უკან.

— თავად აღიაროს ყოველივე, — აიმაღლა ხმა ერთმა ძმათაგანმა,— და შემდეგ განვსაჯოთ.

თეოდორემ არ იცოდა, როგორ წარემართა სიტყვა, რომ ასლადშობილი სხვისთვის არ მიეცათ და, რაკი არ იყო ჩვეული მრუდსა და ცბიერ სიტყვას, ერთხელ კიდევ გამომწვევად გადახედა ყველას, წინამძღვარსაც თამამად გაუსწორა თვალი და პირდაპირ განაცხადა:

— უცოდველი ვარ ამ ახლადშობილი ადამიანის ბედში, მაგრამ ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მისი მშობელი ვყოფილიყავი.

ამ მოულოდნელი აღიარებით ყველა სასტად დარჩა.

წინამძღვარს მის სახეში ამპარტავნობა თუ ზვიადობა ამოეკითხა და შთამაგონებელი ხმით მიმართა:

— ყოველთვის გიჯობდეს ცოდვის აღიარება სიმდაბლითა და სინანულით.

ამაზე თეოდორემ აღარაფერი თქვა.

— მამა თეოდორემ კარგი გამოსავალი მოუნახა მის ცოდვის დაფარვასა და აღიარებასაც, მაგრამ, თუ კანონი სჯის საფლავების მძარცველებს, მით უფრო მეტად უნდა დაისაჯოს ქალწულობის მიმტაცებელი, — სთქვა ერთმა.

და იქმნა თეოდორე საყვედრელ და საკიცხელ ყველასაგან.

— ცილისწამებამ უნდა მაცხოვნოსო, — ფიქრობდა თეოდორე წარბშეუხრელად და სადღაც შორს იყურებოდა.

ძმათა სამსჯავრომ მას მონასტრიდან გაძევება მიუსაჯა:

— რაკი მამა თეოდორეს ბედნიერებად მიუჩნევია იყოს მშობელი, ახლადშობილი თან წაიყვანოს და მისი ზრუნვა მის კისერზე იყოს.

მაშინ, როდესაც ძმანი ფიქრობდნენ, თეოდორესათვის ეს უმძიმესი დოლაბი იქნებოდა, თეოდორეს თითქოს ფრთები შეესხა. სიხარული რომ დაეფარა, თავს უფრო მეტად დაბლა ხრიდა და გულში იმეორებდა: „ამინ“.

დიდი მოწყალება იყო სამსჯავროსაგან, რომ სქიმა არ გახადეს და უდაბნოდ მოსანანიებლად განუტევეს.

თეოდორემ, როგორც კი ხელში აიყვანა ახლადშობილი, თავი მაღლა ასწია და გაბრწყინებული სახით წარმოთქვა:

— ღმერთმა ყველას თავისი სიმართლით გაუმარჯოს და რამდენადაც თქვენ მართალი არ იყოთ, იმდენად მე მომხედოსო.

წინამძღვარმა რაღაც მამხილებელი ამოიკითხა მის ხმასა და სიტყვებში, მაგრამ ვეღარას იქმოდა.

მამა თეოდორეს თავი სიზმარში ეგონა, სიხარულისაგან ლამის გაქცევას ლამობდა, მაგრამ გონიერებას მოუხმო. წინამძღვართან მოკრძალებით დამშვიდობება სცადა. ახლოს მივიდა და უსიტყვოდ ანიშნა, რომ უდანაშაულო ყრმისათვის კურთხევა გაეღო.

წინამძღვარმა ფლასებში გამოხვეულ ადამიანს ჯვარი გადასახა და მდუმარედ, დამძიმებული გულით გზა დაულოცა.

მართალია თეოდორე დიდის გზნებით ჩაეჭიდა ბედის გამოწვდილ ხელს. მაინც ეშინოდა, შეძლებდა განა იგი ჩვილის გაზრდას? სად ჰპოვებდა თავშესაფარს? ახლა მას თავის თავზე ფიქრის უფლებაც აღარ ჰქონდა, მონასტრიდან კი იმისათვის გააძევეს, რომ ცოდვები სინანულით გამოესყიდა.

უფალმა შეისმინა მისი ლოცვა, უფალმა დაინახა მისი სიმართლე და რაკი თავისუფლების გზა გაუხსნა, თავშესაფარსაც აღმოუჩენდა.

ლოცვა-ღაღადისით ფეხს უჩქარებდა, რომ დაღამებამდე მახლო-

ბელ სოფლამდე მიეღწია. თუმცა არც იცოდა, ვინ იყო ეს დაბადებიდანვე საიდუმლოებით მოცული და სხვისათვის სასიხარულოდ მოვლენილი არსება — ქალი თუ ვაჟი? ქალი ნამდვილად არ ენდომებოდა და მთრთოლვარე ხელებით შეხსნა ჩვილს სახვევი.

თითქოს განძი რამ ეპოვოს — ვაჟი იყო, გაიხარა, ახლადშობილი უფრო მეტის სასოებით მიიკრა მკერდთან და სადიდებელი საგალობელით განაგრძო გზა, თან ფიქრობდა: რა მარტივი ყოფილა ეს ბრძენთაგან ამოუცნობი სამყარო და რა შესაბრალისია ადამიანიო!

თავი IV

იოანე მოწყალე

იმ დროს, როდესაც სპარსეთი ანადგურებდა პალესტინას, უტევდა ბიზანტიას, ეგვიპტე შეუვალი რჩებოდა, ალექსანდრია — შეუხებელი, თავისი ძლიერი კედლებით. ზღვაზეც თავისუფალი იყო მიმოსვლა, რადგან სპარსეთს არ ჰყავდა ფლოტი.

იოანესა და ჭაბუკს ამიტომაც აქეთ გადაეწყვიტათ წამოსვლა.

გზად ყველაფერი განსაცვიფრებელი და შთამბეჭდავი იყო.

ეს უნაპირო ზღვაც კი სულ სხვა ელვარებით ღელავდა, ხეოპსის, ხეფრენისა თუ მიკერინოსის პირამიდები, ეს ბუმბერაზი ქანდაკებანი — საუკუნეების მდუმარე გუშაგნი, ფარაონთა საძვალეებში მითიურ სამოსელში გახვეული, ზღაპრული სამყაროს საოცრებათა მოწმენი „მზის შვილები", ცივი, იდუმალებით განისვენებდნენ. სფინქსი თავისი მკაცრი სიდიადით უდაბნოში მარადიულობას ეტოქებოდა. მათი შემქმნელნი მოქანდაკენი კი იდუმალებით მოცულნი საუკუნეთა წყვდიადში გამქრალიყვნენ.

და აი ქალაქი ალექსანდრიაც, რომის შემდეგ რომ პირველ ქალაქად ითვლებოდა ზღვაზე. იგი, ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე, ალექსანდრე მაკედონელს დაეარსებინა და როგორც წარმართული განათლების, ისე ქრისტეანობის მგზნებარე კერას წარმოადგენდა. მისი გარემო კი, მოფენილი უთვალავი განდეგილთა სკიტეებით, სამართლიანად იწოდებოდა მიწიერ ვარსკვლავთა სამყაროდ.

ვიდრე ქალაქში შევიდოდნენ, გადაეწყვიტათ მიეღოთ რჩევა-დარიგებანი ცნობილ მწირთა თუ ბერძენთაგან.

მოვიდნენ ერთ ლავრაში, სადაც იოანეს ეგულებოდა ეგვიპტელი ხუცესი, პალადიოსი, განთქმული თავისი სიბრძნით, სწავლულებითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით.

— წმინდაო, გვითხარ სიტყვა სულის ცხოვრებისათვის, — მიმართა იოანემ პალადიოსს, როგორც ძველ ნაცნობს, — ჭაბუკს სურს განეშოროს ამაქვეყნიურ ამაოებათ და გახდეს მონაზონი.

კეთილმოღვაწე პალადოსს სახე გაუბრწყინდა. მათი ხილვით გაიხარა და ჭაბუკს ღიმილით მიმართა:

—კარგი გაგიკეთებია, შვილო, რაკი გსურს დატოვება ამაოებათა სულის ხსნისათვის. მაგრამ მეტად ახალგაზრდა ხარ, სიფრთხილე გვმართებს, რამეთუ აღთქმის გატეხა უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე ადამიანური ბუნების სისუსტით დაცემა. თქვენ, ალბათ, ილოცეთ, აქ მოსვლამდე, ილოცეთ ჩვენს ლავრაშიც და ყოვლად მოწყალე ღმერთმა დაგაყენოთ ჭეშმარიტ გზაზე.

ასე მოიქცნენ. წავიდნენ მახლობელ ლავრაში.

გზად ჭაბუკმა იოანეს ჰკითხა:

— რატომ მიიჩნევა სულიერ დაცემად ბუნების ძალთათვის დამორჩილება, კაცთა მოდგმა ხომ სხვანაირად ვერ გადარჩება?

— ჭეშმარიტს იტყვი, კაცთა მოდგმა სხვანაირად ვერ გადარჩება. ცოლ-ქმრობაც ეკლესიით კურთხეულია, ქორწინებასაც თუ სულიერი ამოძრავებს, მარადიულისაკენ მისწრაფებას ხელს არ შეუშლის, მაგრამ ხორციელი სწრაფვა აშორებს ადამიანს მარადიულს და ამდენად დაცემაცაა, ისევე, როგორც სიმდიდრით გატაცება, საკუთარი თავის განდიდება, ამპარტავნობა.

ჭაბუკს აღარაფერი უთქვამს. ილოცეს ლავრში და მობრუნდნენ პალადიოსთან.

მაგრამ პალადიოსმა თავისი სიტყვა მაინც დილისათვის გადადო.

დილით ამავე აზრით გამოცხადდნენ პალადიოსთან და მაშინღა მისცა მან კურთხევა მონაზვნობისა.

ჭაბუკმა იმავე დღეს მიიღო მონაზვნობა და იყო ამიერიდან სახელი მისი ს ო ფ რ ო ნ ი.

მეორე დილას სოფრონი ჰყვებოდა:

ძილ-ღვიძილში ვიყავი, რომ რომელიღაც გზით მოვიდა ჩემთან მთელი გუნდი ქალწულისა და სიხარულით იტყოდნენ: დაგვირგვინდა სოფრონი, სოფრონი დაგვირგვინდა! და ზეიმობდნენ ამისათვის ჩემს წინაშე.

ეს ზმანება განგების ნებად მიიჩნიეს სამივემ და გაიხარეს.

— შვილნო ჩემნო, — ამბობდა პალადიოსი, — რათა მუნ საუკუნოდ ვიხარებდეთ, მოსწრაფე ვიქმნეთ ამა სოფლისა მცირედსა ჟამსა სულთა ჩვენთათვის, გავიხსენებდეთ მუდამ ვითარ იგვემებოდნენ ქრისტესათვის სატანჯველთა შინა ურჯულოთა მიერ და სიხარულით მოითმენდნენ წმინდანნი; რომელთამე მათგანთ დაჰლეწდნენ, ცეცხლითა დასწვავდნენ, ზღვასა დანთქმიდნენ. და უკეთუ ჩვენცა ვიღვაწოთ ჟამსა ამას, შევირაცხნეთ სამარადისოთ.

აღფრთოვანებულნი წამოვიდნენ იმ ბრძენის მოსანახულებლად, რომელთანაც სოფრონის განათლება უნდა მიეღო.

სამხრის ჟამი იყო და ბრძენის მსახურებმა მათ უთხრა:

— სძინავს, ცოტა მოითმინეთ, ვიდრე გაიღვიძებსო.

იქ მოცდას არჩიეს მახლობელ სავანეში წასულიყვნენ, სადაც ასევე ცნობილი ბერი ცხოვრობდა.

ბერი იგი ჭილობსა ქსოვდა. ჩამოუსხდნენ, ეგების, საუბარში მისგანაც რაიმე სასარგებლო ვპოვოთო.

ბერი კი სდუმდა და ჭილობის ქსოვას არ სწყვეტდა.

მაშინ მორიდებულად განუცხადეს:

— ჩვენ მოვსულვართ, რათა ვისმინოთ შენგან სიტყვა, რომლისაგანაც გვსურს სარგებელი მივიღოთ. სწავლის მოსწრაფენი ვართ და სიტყვაში ვვარჯიშობთ.

ბერმა ქსოვა შეაჩერა, გახედა და მშვიდად უთხრა:

— თქვენ აგებთ თქვენს მონაგებს, რათა ისწავლოთ სიტყვა, ხოლო, მე დავუტევე სოფელი, რათა ვისწავლო დუმილი.

გაკვირდნენ, მაგრამ მაინც მადლიერები დარჩნენ.

წამოვიდნენ იქიდან ალექსანდრიელთა სამრეკლოსთან, და მის ტალანებში შეიცადეს.

ეს ადგილი წმიდა ადგილად იყო მიჩნეული, ქალაქის დაარსებისას ალექსანდრე მაკედონელს აქ გადმოეტანა იერემია წინასწარმეტყველის გვამი და დაეკრძალა. უყვარდათ ალექსანდრიელებს აქ მოსვლა. ეს იყო მკვიდრთა თავშეყრის ადგილი, სადაც ხალხი ამბების გასაგებადაც მოდიოდა.

იოანემ და სოფრონიმ ამჟამად ვერავინ კაცთაგანი ჰპოვეს თვინიერ სამი მობაასე ბრმისა.

მოვიდნენ მათთან ახლოს და შეუმჩნევლად ჩამოუსხდნენ, რომ მათი ბაასი მოესმინათ.

ერთი ბრმა ეკითხებოდა მეორეს:

— გვითხარ შენ, თუ როგორ დაბრმავდიო.

— ოდეს ჭაბუკი მეზღვაური ვიყავ, — ამბობდა მეორე, — ანტიოქიაში წავედი სავაჭროდ და დაბრუნებისას გზაში ძალიან ბევრს ვუცქერდი ზღვას, იმდენად ბევრს, რომ თვალებმა ჩხვლეტა დამიწყეს, შემდეგ ლიბრი გადამეკრა. მკურნალი ვერ ვპოვე და აი ასე დამემართა.

მესამემ თქვა:

— მე მინაზე ვმუშაობდი და ცეცხლის მხურვალებისგან დავბრმავდიო.

ახლა ორივემ ჰკითხა პირველს:

— შენ როგორღა დაბრმავდიო?

პირველმაც მოჰყვა:

— ნამდვილს მოგახსენებთ. როდესაც ჭაბუკი ვიყავი, არ მიყვარდა შრომა და მომწონდა ხანჯლის ტრიალი, მაგრამ არა მქონდა რა, რომ მეჭამა, მესვა, მენებივრა, ამან კი ქურდობისაკენ მიბიძგა. ერთ დღეს დავინახე, მოასვენებდნენ მიცვალებულს, შემოსილს მდიდრულად. ავედევნე. მიცვალებული დამარხეს წმინდა იოანეს ეკლესიის უკან. როდესაც ხალხი დაიშალა, შევედი საფლავში და გავძარცვე მკვდარი. იგი სამოსელი საუცხოო იყო და არ დავუტოვე მას არაფერი, თვინიერ ერთი პერანგისა; როდესაც გამოვდიოდი, არ მომასვენა უკე-

თურობამ ჩემის სულისა და უთხარი ჩემს თავს: აიღე დარჩენილი პერანგიც-მეთქი. დავბრუნდი მე საწყალობელი და, როდესაც შემოვეძარცვე უკანასკნელი ტანსაცმელი, ჩემ წინ წამოჯდა მიცვალებული და თვალები დამთხარა. მაშინ დავტოვე იქვე ყველაფერი უბადრუკმან და მრავალი ჭირით გამოვედი საფლავიდან.

— აი, რა იცის სიხარბემ! — თქვა მეორემ.

— არ არს ქვეყნად ვინმე, ვინც ჩაიდენს ესოდენ დიდ ბოროტებას და შეძლოს მისი დაფარვა, — ამოოხვრით თქვა მესამემ.

როდესაც ეს მოისმინეს, იოანემ თვალით ანიშნა სოფრონის და წამოვიდენ.

— ნამდვილად გეტყვი, უფალო იოანე, — ამბობდა სოფრონი, — ღღეს აღარ გვინდა ვისიმე ნახვა. საკმარისია ჩვენთვის ის სასარგებლო, რაც მოვისმინეთ

— ამინ, — სთქვა იოანემ.

მაგრამ რა დააპირეს გასცლოდნენ იქაურობას შეჩერდნენ. დაინახეს ხალხი იყრიდა თავს, ისმოდა ხმამაღალი კამათი.

იმ დროს ეგვიპტეში ბრძოლა სეეროსის მწვალებლობასთან დღითიდღე მწვავდებოდა და სარწმუნოების სიწმინდე საჭიროებდა მეტ და მეტ მხარდაჭერას.

იოანემ მათში ნაცნობი დაინახა. ალექსანდრიის პატრიარქის ქორეპისკოპოსი, რომელიც ყველაზე მეტ აღშფოთებას იჩენდა და მგზნებარებით წარმოსთქვამდა:

— იესოს სახელით შეუპოვრად დავკრათ მტერს, რადგან არც ცაზე, არც დედამიწაზე არ არსებობს უფრო მძლავრი იარაღი.

სოფრონი იოანეზე მეტ ინტერესს იჩენდა საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენებისადმი და მეტის მხურვალებითაც ერთვოდა კამათში, ამასთან, გამოსთქვამდა სურვილს, კვლავაც შეხვედროდა ამ ხალხს.

შეეჩვივნენ აქ სიარულს და იოანესაც სოფრონისაგან ედებოდა ეს შინაგანი ჯანყი და ყოველთვის ერთად ესწრებოდნენ ხალხთა თავყრილობებს, სადაც ამხელდნენ მწვალებლურ მიმდინარეობათა მცდელობას იმარჯვებდნენ კიდეც მწვალებლებთან შეტაკებისას, რითაც მართლმადიდებელთ აღაფრთოვანებდნენ.

მათი მოღვაწეობის ამბავი ალექსანდრიის პატრიარქის ყურამდეც მივიდა. მან მოუხმო ბერებს თავისთან, რადგან მისი უპირველესი საზრუნავი სწორედ ამ მწვალებლობის საბოლოო დამარცხება, სამწყსოს ერესისაგან განწმენდა იყო.

იოანე და სოფრონიც, გახარებულნი ამ ყურადღებით, დაუყოვნებლივ ეახლნენ პატრიარქს.

პატრიარქმა პირველი შეხვედრისთანავე მათში საიმედო ძალა დაინახა, რამეთუ იგი ადამიანის სახეში ამოიკითხავდა მის ბუნებას, და რასაც ჩვეულებრივი ადამიანები მხოლოდ ხვდებოდნენ, იგი თვალნათლივ ხედავდა. პატრიარქის დიდებული სისადავე არ ზღუდავდა მათ, ბევრი რამ საერთოც დაინახეს და სულ მალე გულწრფელი

ურთიერთობა დამყარდა მათ შორის. პატრიარქმა აღარ მოიცილა იოანე და სოფრონი და თავისთან საცხოვრებლად დატოვა.

იოანე მოწყალე — ასე უწოდებდნენ ალექსანდრიის პატრიარქს. კვიპროსის მხედართმთავრის შვილი, ადრე ცოლ-შვილიანი, ცხოვრობდა ქალაქ ამაფუნტში. ბედნიერ მამასა და მეუღლეს მძვინვარე სტიქიამ ერთბაშად მოსტაცა ყველანი, მაგრამ ამ უბედურებამ იგი ბერად არ შეაყენა, არც ეკლესიის მსახურად აქცია, ჭეშმარიტებას თავის სულის სიღრმეში ეძიებდა და თავისუფლება აირჩია, თავისუფლება იმდენად სრული, რომ სიმდიდრისაგანაც კი არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული და მთელი ქონება უპოვართ გასუყო. თავისთვის მხოლოდ იმდენი დაეტოვებინა — „მოწყალეს ღმერთი წყალობას არ მოაკლებსო“.

იოანე მოწყალე იმდენად იყო განთქმული თავისი სიბრძნითაც, რომ როგორც კი განთავისუფლდა ეგვიპტის საპატრიარქო ტახტი, ხალხის სურვილით და იმპერატორ ჰელეს ბრძანებით იგი აღზევებულ იქნა. თავად იოანე ამის დიდი წინააღმდეგი იყო, მაგრამ იმპერატორის რწმუნებას, რომ ეს ხალხის კეთილდღეობისათვის იყო აუცილებელი, დათანხმდა.

ჩვეულებრივ, ტახტზე ასვლისას, იმპერატორთან მიდიოდა მოქანდაკე და ეკითხებოდა, რომელი მარმარილოსაგან გაეკეთებინა პატრიარქის საფლავი და იოანემაც უბრძანა მოქანდაკეს:

— საფლავი იქ გამიკეთეთ, სადაც ჩემი წინა პატრიარქები განისვენებენო. სასაფლაო არ დაასრულოთ, ყოველ დღესასწაულზე ჩემთან მოდით და ყველას თანდასწრებით მითხარით: შენი საფლავი არ არის დასრულებული, გვიბრძანე, რომ დავამთავროთ, რადგან არ იცი, რა დღეს, რა საათს გეწევა სიკვდილიო.

ეკონომოსებს კი დაავალა:

— შემოიარეთ მთელი ქალაქი და აღწერეთ ყველა ჩემი ბატონიო.

ეკონომოსები გაჰკვირდნენ, ვინ უნდა ყოფილიყვნენ პატრიარქის ბატონები და შეეკითხნენ:

— ვინ არიან თქვენი ბატონები?

— ისინი, — უპასუხებდა პატრიარქი, — რომელთაც თქვენ უწოდებთ მათხოვრებს, რომელთაც შეუძლიათ მომეხმარონ მე მივაღწიო ხსნას და შემიყვანონ სასუფეველში.

შემდეგ შეეკითხნენ:

— არიან კარგად შემოსილნი ასულნი, მოწყალებას კი თხოულობენ, ისინიც მათხოვრებად ჩავთვალოთ?

— თუ თქვენ ქრისტეს მსახურნი ხართ, — უპასუხა პატრიარქმა, ისინიც ჩათვალეთ, — ყველა, განურჩევლად, ვინც თხოულობს მოწყალებას; ნუ გამოკითხავთ მათ ცხოვრებას, ვისაც უნდა ღვთისაგან მოწყალება მოიპოვოს, თავადაც მოწყალე უნდა იყოს.

მონათმფლობელებს კი არიგებდა:

— მონების დანაშაული მაშინ განსაჯეთ, როდესაც რისხვა გადა-

გივლით, თქვენც ხომ არ გისდათ უფალმა მაშინვე დაგსაჯოთ, როგორც კი რამეს დააშავებთ? მონა იმიტომ გყავთ, რომ საწყლები არიან. არა არს მონება, არცა აზნაურება, არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, თქვენ ყველა ერთი ხართ, ღმერთი ერთნაირად ჰხედავს მაღალთა და მდაბალთა.

გამოაცხადა: ვინც მრუდე სასწორსა თუ საწყაოს იხმარს, მას მთელი ქონება ჩამოერთმევა და ღარიბებს დაურიგდებაო. მექრთამეებს ჯამაგირები მოუმატა და დაემუქრა — ქრთამის ამღების სასლი ცეცხლში დაიწვებაო. ამის შემდეგ მექრთამეობა, მართლაც მოისპო.

იოანესა და სოფრონს კი თავისი ცხოვრებიდან უყვებოდა:

— როდესაც შიმშილობა იყო ალექსანდრიაში, ჩემთან მოვიდა ჩემი მონასტრის მსახური კოზმა, რომელსაც ორცოლიანობის გამო აღარ ჰქონდა უფლება სამღვდელო წოდების მიღებისა და იფიქრა, გაჭირვებაშია პატრიარქი, მოვისყიდიო. მითხრა: მაქვს აუარებელი ხორბალი, ოქრო, რომელიც შენი ხელით მინდა ქრისტეს მივართვა, მე ვუსაყვედურე სასულიერო წოდების ქრთამით მიღების მცდელობისათვის, რაც იმავე დროს ჩემს შეურაცხყოფასაც ნიშნავდა. ვუთხარი: შენი ძღვენი დიდად დიდია და ფრიად საჭირო ამ დროისათვის, მაგრამ ეს ძღვენი წმინდა არ არის. უნდა იცოდე, რომ უფალი მსოლოდ იმ ძღვენს შეიწირავს, რომელიც წმინდა და კეთილი გულით შეიწირება. ხოლო ჩემს გაჭირვებულ ძმებს ღმერთი მაშინაც ასაზრდოვებდა, როცა არც მე არც შენ დაბადებული არ ვიყავით. საზრდოს ახლაც აღმოუჩენს ღმერთი ღარიბებს. მოინანიე შენი ცოდვა და გეშინოდეს გიეზის სასჯელისა. იქნებ შენ არც იცი გიეზი ვინ არის-მეთქი? ძველი აღთქმით გიეზი ელისეს მსახური იყო. ერთხელ, როდესაც ელისემ განკურნა სირიელი მხედართმთავარი ნეემანი კეთროვანებისაგან, არ აიღო მისგან საფასური. გიეზიმ კი ნეემს გამოსტყუა ბევრი ვერცხლი, ვითომცდა ელისესათვის. როცა ელისემ გაიგო ეს, გიეზის უთხრა: „დეე, ნეემის კეთროვანება შენზედ იყოს და შენს მემკვიდრეობაზე მარადისო". გამოვიდა გიეზი ელისესაგან კეთროვანებისაგან თოვლივით გათეთრებული. კოზმა ჯერ კიდევ ჩემთან იყო, რომ მომივიდა ცნობა — სიცილიიდან დაბრუნდა ხორბლით დატვირთული ორი დიდი ხომალდი და შევღაღადე უფალს: გმადლობ, შენ უფალო, რომ ფულზე არ გამაყიდვინე შენი მადლი და მაჩვენე კიდევ ერთხელ, რომ „რომელნი ეძიებენ უფალსა, არა ნაკლულევან იქმნენ ყოვლისაგან კეთილისა".

პატრიარქს მუდამ გზაზე ეჭირა თვალი, რომ ყოველი მომჩივანისათვის გულის წადილი აღესრულებინა.

— ვისაც უნდოდეს, რომ ღმერთმა მისი გულისწადილი აღასრულოს, მანაც უნდა აღასრულოს კაცთა წადილი გულისა. რომელმანც ქრისტეანის გული გააახაროს, ყოველთა წმიდათა და წამებულთა მადლი მას მოხვდეს. ვისაც რომ თავის ცოდვების შენდობა ეწადოს ღვთისაგან, მანაც უნდა შეუნდოს, — ამბობდა იგი.

ერთხელ, წირვის დროს, შენიშნა მრევლი საუბრობდა, გადიოდნენ და ისევ შემოდიოდნენ. სახარების კითხვა რომ ჩაამთავრა, თვითონაც გაჰყვა ზარმაც მლოცველებს, კიბესთან ჩამოჯდა და საუბარი გაუბა ყველას, ვინც კი გამოელაპარაკა.

მისი ასეთი საქციელი ყველას გაუკვირდა და რაკი შეკითხვას ვერავინ გაუბედავდა, თვითონ, ყველას გასაგონად წარმოთქვა:

— რატომ გაკვირვებთ ჩემი თქვენთან ერთად ყოფნა? სადაც ცხვარია, მწყემსიც იქ უნდა იყოს. ამ წმიდა ტაძარში თქვენი გულისათვის მოვდივარ, თორემ მე არა მჭირდება აქ მოსვლა, შემიძლია ვწიროო.

ერთხელ კი, როდესაც ეკლესიაში მიბრძანდებოდა ღარიბი მოხუცი დედაკაცი შემოხვდა თვალცრემლიანი: სიძე უდიერად მეპყრობაო. პატრიარქი შედგა. იოანემ და სოფრონიმ მოაგონეს — წირვის ჟამია და ამ დედაკაცს მერეც სცემო ნუგეშს. მაგრამ მან მიუგო:

— ჩემ ლოცვას შეისმენს კი უფალი, თუ მე ამ განაწყენებულ დედაკაცს არ მოვუსმინე? რა ვიცი, იქნებ ხვალამდე არც კი ვიცოცხლო, მაშინ რა პასუხს გავცემ უფალს? ვაი იმას, ვისაც სიკეთე სწადია და ამბობს მერე ვიქმო!

პატრიარქთან უწყვეტად მოედინებოდა მრავალი ჯურისა და საჭიროების ადამიანი, მაგრამ მსახურნი ყველას შესახებ არ მოახსენებდნენ მიღების დღეებში, ამასთან, ისინი ხშირად თავიანთ უფლებებს ბოროტადაც იყენებდნენ და საქმეს სწორ მსვლელობას არ აძლევდნენ.

იცოდა ეს პატრიარქმა, ებრალვოდა მზით გარუჯულნი თუ ყინვით დამზრალნი ღატაკნი და სნეულნი, ამისთვის ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს ჩამოჯდებოდა მონასტრის შესასვლელთან იოანესა და სოფრონისთან ერთად; ნებას აძლევდა ყველას მასთან მისულიყო და მიეღო მოწყალება, მსახურთ კი ეტყოდა:

— თუკი უფალთან არასოდეს არ არის დახშული კარი, არასოდეს გვეკრძალება ლოცვაში მასთან საუბარი, რატომ არ უნდა დავუშვათ ჩემთან ჩემი მოყვასი, რათა მან მთხოვოს რაც უნდა? თუ გინდათ, რომ ხალხი თქვენ მოგექცეთ სამართლიანად, თქვენც უნდა სამართლიანები იყოთო.

თუ მოხდებოდა ისე, რომ უამინდობის გამო მასთან არავინ მოვიდოდა, სევდიანად იტყოდა:

— დღეს ვერაფერი ჰპოვა მორჩილმა იოანემ უფალთან მისატანად.

სოფრონი და იოანე კი ანუგეშებდნენ:

— ჭეშმარიტად დღეს უნდა გიხაროდენ, რომ თქვენი სამწყსო ცხოვრობს უშფოთველად, როგორც ანგელოზნი, არავის არაფერი უჭირს.

მაგრამ შფოთავდნენ არამც თუ ცალკეული ადამიანები, შფოთავდა მთელი იმპერია, როგორც გარედან მომდგარი მტრის ვერაგობით, ისე შინაგანი განხეთქილებებით. ეს განხეთქილებანი იწვევდნენ ხალხთა შორის შუღლსა და საფრთხეს უქმნიდნენ იმპერიის სახელმწიფოებრივ მთლიანობას. ამიტომაც ალექსანდრიაში შედგა მსოფლიო საეკლესიო

კრება, რომელსაც ესწრებოდა მაქსიმე კონფესორი თავისი მოწაფით ანასტასი აპოკრიარისით.

აქ შეხვდნენ პირველად იოანე და სოფრონი მაქსიმე კონფესორს.

მონოთელიტობის საწინააღმდეგოდ მებრძოლ იდეურ მიმართულებას გეზს აძლევდა მაქსიმე კონფესორი. იგი იყო ეპოქის განწყობილებათა ყველაზე უკეთესი გამომხატველი. მემატიანე მის შესახებ ასე წერს:

„სამოქალაქოთა საქმეთა შინა განშვენებული, ვითარცა ყოვლად სიტყვიერი და ზესთა მგონებელთა პატივთა მიერ შემკული, მას წილად ხვდა დიდი სამეფისკარო თანამდებობა და საერო პატივი, რომლითა შემკული იყო მაქსიმე ჰერაკლე კეისარის დროს. ჰერაკლე აიძულებდა რა მას პალატასა მისსა ყოფად მისცა მას პატივი სამეფოთა მწიგნობართა მთავრობისა და იყო იგი პატივცემულ ყოველთა მიერ ხელმწიფეთა და მთავართა და ყოვლისავე მხედრობისა ერისა თავთა სპასპეტთა და ყოველთა მიერ საწადელ იყო და საქებელ“.

მაქსიმე ქრისტეანული აღმოსავლეთის უძლიერესი ფილოსოფოსია. კაცი წმინდა და ნიადაგ მოქმედი.

იგი ხატოვნად და გასაგებად წერდა: „ღმერთი არის ის, რაც გამოვლენილია ბუნებაში. ღმერთის არსებობა მის არ არსებობაშია, ...რაც პეტრე იბერის შრომებში ასეთი სირთულითა და სიღრმითაა მოცემული.

მაქსიმეს წიგნების ხელნაწერები ხელიდან ხელში გადადიოდა და მისი თანამოაზრეების დიდ არმიას ჰქმნიდა, იმდენად დიდს, რომ სახელმწიფოთა მეთაურთ შეაშფოთებდა.

მისი წიგნები ალექსანდრიისათვისაც ხელმისაწვდომი იყო და მათგან წიგნი „სიყვარულისათვის“ იოანე მოსსს მუდამ სასთუმალს ედო „სახარებასა“ და „დავითნთან“ ერთად საკითხავად.

რასაც მაქსიმე აკეთებდა ბიზანტიაში, იმასვე ავითარებდნენ ეგვიპტესა და პალესტინაში იოანე მოწყალე, იოანე მოსხი და სოფრონი. ისინი წარმოადგენდნენ იმ სალ კლდეს, რომელზედაც უნდა დამსხვრეულიყო მონოთელიტობა.

ახლა კი გარედან მომდგარი მტერი ყველაფერს ერთნაირად ამსხვრევდა.

ქრისტეანები, რომელნიც პალესტინიდან ეგვიპტეს გამორბოდნენ, თავს აფარებდნენ იოანე მოწყალეს, სადაც მათ ხვდებოდათ გულუხვი მზრუნველობა, პალესტინაში დარჩენილთ ეგზავნებოდათ ოქროთი და სანოვაგით დატვირთული ქარავნები ტყვეების დასახსნელად.

მაგრამ შაჰრაბაზრმა დაიპყრო რა პელუზია, დელტას გასაღები, ნილოსით სამხრეთ ბაბილონისაკენ დაიძრა და აიღო მემფისი; ნიკიუს აღებამ კი გზა გაუხსნა ალექსანდრიისაკენ.

სპარსელნი მოადგნენ თუ არა ალექსანდრიას, იოანე მოწყალემ, მოსხთან და სოფრონისთან ერთად დატოვა ალექსანდრია, მათ კონსტანტინოპოლს გასწიეს, რათა ეთხოვათ იმპერატორისაგან მხედრობა ქალაქის დასაცავად.

ალექსანდრიიდან მათი წამოსვლისთანავე თავი იჩინა ღალატმა, არავიიდან სასწავლებლად ჩამოსულმა ერთმა ახალგაზრდამ შაჰრაბაზრს აცნობა, რომ ქალაქის აღება მხოლოდ ზღვიდან შეიძლებაო.

სპარსელნიც უმალ დაერივნენ მეთევზეთა ნავებს, ეადაიცვეს ბიზანტიელეპის ტანსაცმელი, ჩასხდნენ ნავებში, მოუსვეს ნიჩბები და უთენია შეერივნენ რა ეგვიპტელ მეთევზეთა ნავებს, შეიჭრნენ დასავლეთის კარიბჭეში. ამოჟლიტეს დაცვა, აცოცდნენ კედლებზე და საქვეყნოდ გამოაცსადეს ხოსროს გამარჯვება.

მტრის გამოჩენამ იმ მხრიდან, საიდანაც არავინ ელოდა, საშინელი დაბნეულობა გამოიწვია, ხალხი გარბოდა, საეკლესიო, სახელმწიფო თუ პირადი სიმდიდრით იტვირთებოდა ნავები, პირქარი კი მთელ ფლოტილიას სპარსელთ უგდებდა ხელში.

სპარსელებმა ქალაქის კარიბჭის გასაღები გაუგზავნეს ხოსროს კტეზიფონში, ლაშქრობა კი განაგრძეს ეთიოპიის საზღვრებამდე.

ეგვიპტის დაკარგვა იმპერიისათვის ძლიერი დარტყმა იყო — იმპერია ჰკარგავდა უმთავრეს შემოსავლიან პროვინციას, დედაქალაქი კი — ბელელს.

თავი V

სადა არს ვანი იგი ჩემი

მამა თეოდორეს გულზე ასუტებული მიჰყავდა ჩვილი. ფიქრებით კი ისე შორს წასულიყო, რომ ჩვილ არსებაში უკვე ჭაბუკს ხედავდა. მის ცხოვრებასაც აზრი ეპოვა, სწამდა, იგი მეორე არსებისათვის იყო საჭირო. უცნობი იყო ასალი გზა, მაგრამ მომხიბლავი. ბუნებით თამამი ამ განწირულებაში არ იბნეოდა და შიშის ნაცვლად შვებას გრძნობდა, სიმართლის ყოვლისშემძლეობით სუნთქავდა, ადამიანის ბედში ღვთის განგების უშუალო მონაწილეობას შეუცნობლად განიცდიდა; შეურაცხმყოფ ცეცხლს მოთმინების წყალი ეპკურებოდა, ქრებოდა და უფალს სასოებით შეჰღაღადებდა: ჰეი, უფალო, იხსენ სული ჩემი, ჰეი უფალო, წარეკვიმართე ჩვენ!

ჩქარობდა, მაგრამ სოფლამდის მაინც შემოაღამდა.

ხედავს, ცვილის სანთლიანი ფარნით ხელში სოფელს ვიღაცა გარს უვლის. მალე უცნობი მოუახლოვდა. ფარანი სახეში შეანათა და ჰკითხა, საით მიდიხარო, შემდეგ თავშესაფარიც შესთავაზა.

მასპინძელი გაოცებით შესცქეროდა ჩვილს. მაგრამ თეოდორე არაფერს ამბობდა; მხოლოდ საზრდელს ითხოვდა ჩვილისათვის. და უცნობმაც სულ მალე მოჰგვარა მეძუძური ქალი.

ჩვილი ხარბად დაეწაფა საზრდელს და ისევ ღრმა ძილს მიეცა.

— ისე მოეკიდა საწოვარს, ფხიანი იქნება, ღვთის წყალობა ნუ მოაკლოს გამჩენმა, მეც შვება მივიღე. ჩემი ახლადშობილი ვერ ერევა, ერთის მეტს ვერა სცლის და, ვიდრე საჭირო ვიქნები, თავად მოვალ, მადლობელი მე თვით დაგრჩებით, — სთქვა ქალმა, რომელსაც, მართლაც სატკივარი მოეხსნა გახურებული და გამკვრივებული მკერდიდან.

მასპინძელმა სტუმარს ფეხები დაბანა, ავახშმა, ნარჩენები ძაღლებს გადაუყარა და მაშინღა მიუჯდა თეოდორეს, რომ გაეგო, ვინ იყო და სადაური.

თეოდორეს არც სურვილი ჰქონდა ახსნა-განმარტებისა და აღარც საუბრის თავი ჰქონდა. ისე დაღლილიყო, ძილის გარდა აღარაფერზე ფიქრობდა, მაგრამ, რაკიღა აღარ მოეშვა ცნობისმოყვარე, მოკლედ თქვა:

— ჩვილი უპატრონოდ დაგდებული ვნახე და გადავწყვიტე მისი პატრონობა, — ადამიანი ვისმესთვის საჭირო უნდა იყო.

— მე კი ყველაფერს მხოლოდ იმისათვის ვაკეთებ, რომ ღვთის წინაშე მოვიპოვო დამსახურება, — ზვიადად წარმოსთქვა მასპინძელმა.

— შენ ვიღა ხარ, კეთილო კაცო? — უკვე მთქნარებით ეკითხებოდა თეოდორე.

— მე ვარ ქვის მჭრელი, სახელად ევლოგი, — ამბობდა იგი, — ჩემი შრომით საზრდელს ვყიდულობ და უცხო სტუმრებთან ერთად ვვახშმობ, დაინახავს, ალბათ, ღმერთი ჩემს სიკეთეს, — წამოდგა და პირჯვარი გადაისახა, თან დასძინა, — ხომ კარგია, რომ შეგიფარე? ახლა იფიქრე, რამდენი სიკეთის გაკეთებას შევძლებდი, ბევრი ფული რომ მქონოდა!

დაძინებისას, როგორც ყველას, ევლოგიმ თეოდორესაც შესთხოვა ელოცა მისთვის, რათა ღმერთს მეტი ფული მიეცა.

ევლოგის თეოდორე მოეწონა თავისი მოკრძალებითა და გამრჯეობით და აღარ გაუშვა, საკუჭნაოს გამგებლობაც შესთავაზა, რაკი შეატყო, რომ ყაირათიანიც იყო. ეს დიდი წყალობა იყო მისგან, ყველას არ ანდობდა, რადგან იქ მრავალ სანუკვარს ინახავდა.

მადლიერებით აღსავსე თეოდორე ყოველ ლოცვაში ღმერთს დაჟინებით შესთხოვდა ევლოგისათვის ბევრი ფული ეწყალობებინა, რათა მას კიდევ უფრო მეტი სიკეთე ეკეთებინა.

ევლოგის სარწმუნოება პირზე ეკერა, თორემ გული ცივი ჰქონდა. მას, უფრო ქვეყნიური ამბები იტაცებდა, განსაკუთრებით კი სამეფოთა საქმეთა ვითარებით ინტერესდებოდა. ისე დაწვრილებით, ისეთი კრძალულებითა და თაყვანისცემით ჰყვებოდა იმპერატორ იუსტინიანესა და დედოფალ თეოდორას ფუფუნებით აღსავსე ცხოვრებაზე, რომ თუ არა საუკუნეების სიშორე, კაცი იფიქრებდა, ევლოგი მათი უშუალო თანამოსაგრე უნდა ყოფილიყო. კონსტანტინოპოლი რომ რომს ედრებოდა, მსოფლიო ქალაქსა ჰგავდა, ესეც მათ დამსახურებად მიაჩნდა. განსაკუთრებით აღიარებდა ხოლმე, რომ იმპერატორიცა და დედოფალიც, ორივენი მდაბიო ხალხისაგან ყოფილან წარმოშობილნი, ის-

ინი ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, როგორც თვით ევლოგი. როგორ ეთქვა, თორემ თვითონ მათთან შედარებით უპირატესობაც კი ჰქონდა, ისინი უბრალო ცირკის მსახიობები იყვნენ და ევლოგი კი, თავადაც ხედავდა თეოდორე, ღვთიურ საქმიანობას ეწეოდა. — მაგრამ, — ნაღვლიანად დასძენდა ხოლმე ევლოგი, — ბედიც უნდა გწყალობდეს, თორემ აგერ ფოკა ვერაგობითაც კი ავიდა ტახტზეო.

თეოდორეს ყველაფერი არამც თუ აინტერესებდა, აღონებდა კიდეც, მაგრამ მადლიერების გრძნობა აიძულებდა ღიმილითაც კი მოესმინა. მალ-მალ იშმუშნებოდა, თვალების უფრო ფართოდ გახელას ცდილობდა, რომ უეცრად არ ჩასძინებოდა. გულის სიღრმეში თავის თავსაც საყვედურობდა, რომ არ შეეძლო გაეზიარებინა ევლოგის საქვეყნო საქმეებით ესოდენ დიდი დაინტერესება.

ერთ დღეს, როცა თეოდორე ჩვეულებრივ ევლოგისათვის ეველდრებოდა ღმერთს, უცბად შეწუხდა. შუადღე იყო, თითქოს არც ეძინებოდა, მაგრამ მკვდარივით ჩაეძინა. ერთი ლამაზი ბერი დაეზმანა: „რაა შენს თავს თეოდორე?“ — შეეკითხა. „მისმინოს უფალმან და უწყალობოს ევლოგის ბევრი ფული, რათა მან მრავალ ადამიანს არგოს“, — მიუგო თეოდორემ. მაშინ მოხუცმა თქვა: „ევლოგი კარგად არის, დაეხსენ, იყოს როგორცაა“. „არა უფალო, უწყალობეო“, — დაჟინებით იმეორებდა თეოდორე. ბერმა კვლავ თქვა: „მე შენ გეუბნები დაეხსენ, რამეთუ იგი კარგად არის, ხოლო შენ თუ მაინცდამაინც გინდა, რომ ბევრი ფული ეწყალობოს, მაშინ თავდებად დამიდექი, რომ იგი გაუფრთხილდება იმ ფულს და მე მივცემ იმას, რასაც ითხოვ“. „ჩემით განიკითხე იგი, უფალო“, — აღტაცებით მიუგო თეოდორემ. „ჭეშმარიტად შენ მოგკითხავ პასუხსო,“ — მიუგო ბერმა და გაუჩინარდა.

თეოდორემ ძლივს წაართვა ძილს თავი. ისე გამოიყურებოდა, თითქოს ვიღაცას ცხადლივ ესაუბრებოდა. დიდხანს იჯდა ასე გაოგნებული. ეგონა, ბედნიერი იყო ამ გამოცხადებით, მაგრამ ზმანებას ისე ჩაეფიქრებინა, სიხარულის ნაცვლად წუხილი დაუფლებოდა — რატომ ითხოვდნენ მისგან თავდებობას? ბევრნაირად ასწონ-ღასწონა, ვერ გარკვეულიყო, რა შეიძლებოდა ისეთი მომხდარიყო, რომ იგი პასუხისმგებელი შექმნილიყო მისთვის, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ევლოგისათვის არ გაემხილა. იქნებ სულაც მისი დაჟინებული ფიქრი იყო ეს და იმის დაჯერებით, რომ იგი ღირსი გახდა ღვთაებრივი ხილვისა, შეიძლება სასაცილოც კი გამხდარიყო.

დრო გაიოდა, ზმანებით გამოწვეული განცდები უფერულდებოდა, დაბოლოს, სიზმარი სულაც დავიწყებას მიეცა. ჩვილს საზრუნავი ბლომად გაეჩინა, ყრმა დღითიდღე იზრდებოდა, იცვლებოდა, თეოდორე მთელი არსებით დაეპყრო. როცა ყრმამ ბგერების გამოთქმა დაიწყო, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაშინ ქათმების კაკანი, ძროხის ბღავილი, თხის კიკინი, ყველაფერი მუსიკასავით ესმოდა, ჩიტების სტვენას ხომ როგორც საგალობლებს ისე უსმენდა.

ერთ დღეს ევლოგის კართან აუარება ხალხმა მოიყარა თავი. ისინი ენატოსელი მონაზვნები იყვნენ. მათ წესად ჰქონებოდათ დიდ ხუთშა-

ბათ დღეს იმ მიდამოს ყველა ღატაკისა და ქვრივ-ობოლთათვის წყალობა დაერიგებინათ: ხორბალი, პური, ღვინო და თაფლი. ეს ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ ისინი ხომ ენატოსელნი იყვნენ, კარგს რას ეტყოდნენ ევლოგის მის შესახებ. იქნებ განგებაც კი არიან მოსულნი, რომ ყრმა მომტაცონო, ფიქრობდა თეოდორე და შეშინებული აცქერდებოდა ყველას, იქნება როგორმე გაეგო მათში რომელი იყო მშობელი ყრმისა? და აი, მოუახლოვდა კიდეც ერთი მათგანი, შორიდანვე რომ რაღაც არაბუნებრივად იღიმებოდა. თეოდორესათვის არც შეუხედავს, ყრმას დააცქერდა, მიეალერსა კიდეცა. თეოდორეს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. მისი ნართაული სიტყვებისაგან თეოდორეს გული ისეთნაირად უძგერდა, თითქოს ამოვარდნას ლამობსო. ველარ გაუძლო ამ შემაძრწუნებელ შიშს, ყრმა უსეშად მოარიდა მონაზონ დედას, უცებ შემოტრიალდა, სენაკში შევიდა და მათ წასვლამდე აღარც გამოსულა.

წავიდნენ ყველანი, ჩამოვარდა სიწყნარე, მაგრამ თეოდორე ვერ დამშვიდდა. ევლოგის კუშტმა სახემაც შეაცბუნა. აშკარა იყო, ენატოსელმა მონაზვნებმა რაღაც უთხრეს, შეიძლება კიდეც გააფრთხილეს, რომ ამისთანა ადამიანის შეფარება, ღვთის წინაშე ვერაფერი მოსაწონი იქნებაო და ბევრიც აღარ უფიქრია, გადაწყვიტა გასცლოდა იქაურობას.

წასასვლელადაც ისეთი მორიდებით ემზადებოდა, ეგონა, ევლოგის აწყენინებდა, სახეში ვერ უყურებდა, მაგრამ გაოცებული დარჩა იმ ამბით, რომ როდესაც გაუბედავად წარმოსთქვა წასვლის შესახებ, ევლოგი, უბრალოდ ზრდილობისთვისაც კი არ შეეკითხა, ასე უმიზეზოდ, ასე სწრაფად რატომ გადაეწყვიტა წასვლა. პირიქით, თეოდორე ხედავდა, თითქოს იგი ამ დღეს ელოდა კიდეც.

დამშვიდობებისას ევლოგიმ კეთილი მგზავრობა უსურვა თეოდორეს და იმედი გამოთქვა, რომ მის სიკეთეს არ დაივიწყებდა, კვლავაც მისთვის ილოცებდა და ისე სწრაფად მიიხურა კარი, თითქოს გაუსარდა კიდეც თეოდორეს თავიდან მოშორება.

თეოდორე დარწმუნებული იყო, რომ ის უსიამო ქალი ჭეშმარიტად მშობელი უნდა ყოფილიყო ყრმისა. მიუხედავად ამისა, იმ დღეს ქალს ყრმის გატაცების მცდელობაც კი არ ემჩნეოდა, თეოდორე გრძნობდა — მისი სასჯელი სწორედ იმაში იქნებოდა, რომ დედობის დაუძლეველი გრძნობა არ მოასვენებდა.

თეოდორე კი ღმერთს გულმხურვალედ ჰმადლობდა იმ სასჯელისათვის, რომელიც მისთვის ჯილდოდ ქცეულიყო და ევედრებოდა უფალს შეენდო იმ ბედშავი ქალისათვის ცილისწამების ცოდვა, რამეთუ ეს ცილისწამება თეოდორესათვის მადლს მოასწავებდა.

თეოდორეს ყრმა გულზე აეხუტებინა და თავისუფლების შეგრძნებით იმედიანად გასცქეროდა ცას.

გზა უდაბნოდ გაწოლილიყო, რომელსაც ეწოდებოდა ვადი ჰაბიბ.

სოფელს მიადგნენ და სოფლის განაპირას მიტოვებულ ფარდულს შეაფარეს თავი.

— სად არის ვანი იგი ჩემი? — ფიქრობდა თეოდორე და თითქოს ეპოვოს, წუხილს არ გრძნობდა.

უკვე ბინდი ეშვებოდა, დედამიწას ღამის ცაც გადაეფარა და მთვარის მიმქრალ შუქზე გზა გაუღწეველი ჩანდა. აჩვილებულ ეერძნობათა ნიავს ნამი მოჰქონდა და თვალები ცრემლებით ებინდებოდა. გათენებამდე იქ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ჩათვლემდა თუ არა, რაღაც საშინელებანი ეზმანებოდა: თითქოს მხეცთა სიმრავლე მოდიოდა მასზე, თითქოს ზღვა უეცრად შთანთქავდა, „ღირს არს შეჭმად მხეცთა, ულმრთო ესე", ესმოდა და რა გაახელდა თვალს, დახედავდა მშვიდად ჩაძინებულ ყრმას, მადლობდა ღმერთს, რამეთუ ყოველივე ეს ზმანება იყო.

ამ განცდებში იყო, რაღაც მოციმციმე რომ შენიშნა. ადამიანი უახლოვდებოდა სანათურით, ხახეში უნათებდა სარტყელზე თოფრაკგამობმული ბერი:

— საით გაგიწევიაო? — შეეკითხა. — საითაც განგება გზას მიჩვენებსო, — მიუგო თეოდორემ.

მაშინ ბერმა შესთავაზა მის ჭერქვეშ შეეფარებინა თავი.

თეოდორე ფიქრობდა ღამეს გავათევ და უთენია, ისევ გზას გავუდგებიო.

— ღმერთი გადაგიხდის ამ დიდ სიკეთეს და მე კი რა მოგაგოო?— თქვა თეოდორემ.

— შენ უფრო დიდ სიკეთეს აკეთებ ჩემთვის, ვიდრე მე შენთვის,— უპასუხა ბერმა.

და ეს მართალიც იყო. რადგან მას სწამდა, რომ სამარადისოსათვის მხოლოდ სიკეთე იუნჯებოდა, რაც ამქვეყნად გადაუხდელი დარჩებოდა. ბერს ჩვევად ჰქონდა ყველაფერზე ხალხური სიბრძნის დამოწმება და ახლაც დასძინა:

— წისქვილის ქვები ერთმანეთს რომ არ ეხმარებოდნენ, ცალმა რამდენიც უნდა იტრიალოს, ვერას დაფქვავსო.

წყალობაუხვი კაცი იყო ბერი იოაკიმე. იგი მუდამ გამოდიოდა სოლმე იერუსალიმის გზაზე, რომელიც იორლანედან მოემართებოდა. თოფრაკში რაიმე ხემსს იქონიებდა. თან სადგისსა და ღვედსაც წამოიღებდა. თუ შეხვდებოდა კაცს, რომელსაც ფეხსაცმელი გასწყვეტოდა, დაუჯდებოდა და დაუკერებდა; თუ ტვირთის ზიდვით დამაშვრალს ნახავდა — ტვირთს ჩამოართმევდა და წაუღებდა, ვიდრე არ მიაღწევდა ზეთის ხილის მთას. იქიდან გამობრუნებულს თუ სხვა მომავალ კაცს შეხვდებოდა, ახლა იმას ამოუდგებოდა მხარში, თუ ამ კაცს ბავშვი ჰყავდა, მხარზე შეისვამდა და წაიყვანდა, ვიდრე იერიქოს არ მოვიღოდა. მიცვალებულს ნახავდა გზაში — დამარხავდა. ასეთი ბუნება ჰქონდა, ასეთი იყო მისი ცხოვრების წესი. თავის სამყოფელში კი იშვიათად თუ ვისმე მოიყვანდა, ადვილად ვერავის ენდობოდა, თეოდორე კი თავიდანვე სანდომიანად ეჩვენა, მიუხვდა როგორღაც, მსხვერპლი უნდა ყოფილიყო სხვისი ცოდვისა. თუნდაც მისი საკუთარი ცოდვის ნაყოფი ყოფილიყო ეს ჩვილი, მაინც კეთილშობილება მეტყველებდა მისი არ-

სებიდან და აღარ გაუშვა, თავისთან დატოვა. სულ მალე კი ისე შეეწყვნენ ერთმანეთს, სამარადისო მეგობრობის აღთქმა დადვეს.

მამა იოაკიმე ყრმის ბაბუობასაც ჩემულობდა. თეოდორესაც ახლა მხოლოდ მოხუცებულები და ყრმანი თუ შეუყვარდებოდა, თორემ თავისი ტოლი მამაკაცისათვის გული სამუდამოდ გამოკეტილი ჰქონდა.

ორთავეს ერთნაირად აფიქრებდა და ამოქმედებდა ჩვილის საზრუნავი. ერთნაირად აღაფრთოვანებდა ყრმის სიცილი თუ ტირილი, მასზე უკეთესი არსება არ ეგულებოდათ, იგი იყო მათთვის ქურციკი სიყვარულისა.

უმეტეს სილითა და მცენარეულობით, თხის აუდულარი რძით იკვებებოდნენ.

ბრძენი იყო მამა იოაკიმე, თეოდორეს პირველსავე დღეს უთხრა:

— თუ ადამიანს შვილისათვის ბოროტი არ უნდა, იგი მას ყველა სურვილს არ შეუსრულებს. შემოქმედიც თავის შექმნილს მხოლოდ მას უსრულებს, რაც მისთვის სასიკეთოა. სშირად ადამიანს ჰგონია, ღმერთი არ უსმენს და მისი საწადელის შესრულების მაგიერ სასჯელსაც უვლენს, მაგრამ სწორედ ამ სასჯელმა უნდა დააფიქროს ადამიანი და მასში სიკეთე ამოიცნოს. ვინ იცის, შეიძლება დღევანდელი სასჯელი მომავალი სიკეთის სამზადისია. როგორც შვილი მშობლის ნაწილია და მონაწილეა მისი ცხოვრებისა, ისე შექმნილი მონაწილეა შემქმნელის შემოქმედებისა და არავინ იცის, ღმერთს უფრო სჭირდება ადამიანი, თუ ადამიანს ღმერთი. ღმერთი თავის შესახებ იმდენად აცნობიერებს ადამიანს, რამდენადაც ადამიანი ეძებს მას. ერთი უტყუარია — ადამიანი ადამიანისათვის უფრო მეტი სარგებლობის მომტანია, ვიდრე თავისთავისათვის, სხვისთვის ბოროტებით კი თავისთავს მეტად ვნებს, ამიტომ, ჩვენ ერთმანეთის სიკეთისათვის უფრო უნდა ვიზრუნოთ, ვიდრე საკუთარი თავისათვის.

მან ისიც კარგად იცოდა, რომ, თუ მშობელს შვილი განუსჯელად უყვარს, შვილი მშობელს განუსჯის, ბავშვი ეკითხება მშობელს „გიყვარვარ მე შენ?“ და არა მშობელი შვილს. დაკვირვებული იყო იოაკიმე და მას შეუმჩნეველი არა რჩებოდა, როდესაც ყრმა დიდხანს იდგა ხოლმე განმარტოებით სარკმელთან, და რაღაცას გაჰყურებდა. ეტყობოდა ნაღვლობდა რაღაცას მაშინ ბავშვი და უმალ რითიმე დაასაქმებდა, ან მოჰკიდებდა ხელს და თავის ლამაზად მოვლილ ბაღნარში გაასეირნებდა. ხედავდა იგი, ბავშვის სახიდან ღრუბელი როგორ გადაიყრებოდა და მის თვალებში მზის სხივი აბრწყინდებოდა. კიდევ სხვადასხვა ნივთების გაკეთებას ასწავლიდა პალმის ფოთლების ქერქისაგან, გრძელი წიწვებისაგან პატარა კალათებს აქსოვინებდა. ხილს, ყვავილებს დააკრეფინებდა, იმ კალათებში ჩააწყობინებდა და ურჩევდა, რომელიმე მგზავრისთვის შეეთავაზებინა. ეს ბავშვს ძალიან ახალისებდა და უკვე დამოუკიდებლად ცდილობდა ყოველივე ამის გაკეთებას. ყრმას განსაკუთრებით, მგზავრებთან გამოსაუბრება, მათგან შექება სიამოვნებდა.

დანაშაულზე პატარას სასჯელად წკეპლები არ ელოდა, მაგრამ იოაკიმეს საყვედური მაინც მტკივნეული იყო. თეოდორე ბავშვს ჯიუტობისთვისაც რომ არა სტუქსავდა, მამა იოაკიმეს არ მოსწონდა და ეტყოდა:

—პატარა ღრუბელს ხშირად დიდი წვიმა მოჰყავსო.

ბავშვი ყვავილებზე უფრო ფოთლებს ეფერებოდა, რადგან იოაკიმესაგან გაგონილი ჰქონდა — ფოთოლი მცენარისათვის კუჭია, სამზარეულო, უფოთლოდ მცენარე ვერ გაიზრდებაო, ცხოველებს კი ისე ექცეოდა, როგორც დიდები ექცევიან ბავშვებს.

ერთ დღეს მამა იოაკიმეს შეეკითხა:

— ჩვენც ხომ ისეთივე არსებანი ვართ, როგორც ცხოველები, ფრინველები, თუნდაც მცენარეები, ჩვენც მათსავით ერთ დღეს მოვკვდებით, გავქრებით აჩრდილებივით ისე, როგორც ღრუბელი გადაუვლის ცას უკვალოდ. ბიწად ვიქცევით. რა საშინელი იქნება მიწის ქვეშ ყოფნა! და კიდევ უფრო საშინელია ფიქრი იმაზე, რომ ამქვეყნად ველარასოდეს მოხვალ, ველარასოდეს იხილავ შენს საყვარელ ადამიანებს!

მამა იოაკიმესათვის მოულოდნელი არ ყოფილა ეს უზარმაზარი და თავის დროზე საშინელებით განცდილი კითხვა, რადგან ყრმის ეს იჭვები გამოწვეული იყო ჭეშმარიტების მიგნების სურვილით და ყველაფერზე თავს უქნევდა ყრმას, ღიმილითაც კი განუმარტავდა:

— თუკი ადამიანი თავის თავს ცხოველებისა და მცენარეებისაგან ვერ გამოარჩევს, მართლაც ასე უნდა იყოს.

— მაშ, მე ადამიანი არა ვარ? — წყრომით შეეკითხა ყრმა.

— ჰო, შენ ჯერ ცხოველის მდგომარეობაში ხარ, მაგრამ რაკი ბუნებამ ადამიანად გაგაჩინა, გაიგებ კიდეც, რომ ადამიანი არ კვდება, რომ უკვდავება ისეთივე ბუნებრივია, როგორც ზამთრის მერე გაზაფხული.

ბავშვი მხიარულდებოდა და ფიქრს თავს ანებებდა.

ერთხელ თეოდორეს, როცა ყრმა და იოაკიმე საუბრობდნენ, ჩაეძინა, უცებ გველნაკბენივით წამოვარდა დაფეთებული, თითქოს ევლოგი ეძახდა, ისე ცხადად გაეგონა მისი სასოწარკვეთილი ხმა.

— ნამდვილად რაღაც გასაჭირი მისდგომია ევლოგის, — უთხრა იოაკიმეს და ბევრიც აღარ უფიქრია, გადაწყვიტა მასთან წასვლა.

ყრმამაც მოიწადინა თან გაჰყოლოდა.

გაუდგნენ გზას.

დიდი გზა განვლეს და შეისვენეს. არავის მიუქცევია მათთვის ყურადღება. მაგრამ აი, გამოიარა მონაზონმა ქალმა, რომელიც თითქოს მოსდევდა კიდეც მათ, ქალმა ხელით ანიშნა ყრმას, მასთან მისულიყო, ყრმამაც ხალისიანად მიირბინა. მონაზონი მიეალერსა და სათუთ ხელზე ლამაზად ნაქარგი, გროშებით სავსე პატარა ქისა ჩამოჰკიდა, პირჯვარი გადასახა და ისე სწრაფად წავიდა, თეოდორემ ვერც კი დაინახა მისი სახე.

ყრმამ ქისა რომ გახსნა და შიგ გროშები ნახა, იწყინა:

— რატომ მომცა იმ ქალმა გროშები? ჩვენ სომ მათხოვრები არა ვართ! მოდი, დავეწევი და დავუბრუნებ. ქისა კი ძალიან ლამაზია და დავიტოვებ.

თეოდორემ ყრმას ხელი ჩაავლო, არ გაუშვა, რაღაც აზრმა გაუელვა. ამ დროს იჭექა კიდეც, ახლოს მეხი დაეცა. თეოდორემ ბავშვს არაფერი აკრძნობინა და ჩვეულებრივი სიმშვიდით უთხრა:

— მართალია ჩვენ არ გვიჭირს, მაგრამ შესაძლოა მას უჭირს, და ჩვენთვის მოწყალების გაღებით სიკეთეს იქმს. შენც ამ გროშებით ვისმე დაასაჩუქრებ და გაახარებ, ქისას კი შენთვის დაიტოვებ, რომ იმ ქალის სიკეთე დაგახსომდეს.

ყრმას მოეწონა ნათქვამი და სულ იმაზე ფიქრობდა, თუ ვის გაახარებდა ამ გროშებით, ქისას კი სულ ათვალიერებდა, ისე ლამაზად იყო ამოქარგული მძივებივით.

თეოდორე ხელს აღარ უშვებდა ბავშვს და აფრთხილებდა კიდეც, რომ თუ კიდევ ვინმე დაუძახებდა, მარტო არავისთან მისულიყო; აშინებდა, ეუბნებოდა, რომ ქვეყანა სავსეა ბოროტი ადამიანებითო.

ამ განცდებსა და ბაასში მოადგნენ ევლოგის სოფელს. ევლოგის სახლი გამოკეტილი დახვდათ.

— სად არის ის ქრისტეს მოყვარული კაცი, აქ რომ ცხოვრობდა? — შეშფოთებით იკითხა თეოდორემ.

— ვინ არის შენი ქრისტეს მოყვარე, ევლოგი?! მიუგო მოხუცმა.

— ჰო, ევლოგი, ქვის მტეხი, — გაუხარდა თეოდორეს..

— ჰოდა, როდესაც ღმერთმა ისილა მშვენიერება მისი მოღვაწეობისა, წყალობა მოიღო მასზე, მისცა ბევრი ფული და გახდა იგი პატრიკიოსი კონსტანტინოპოლისა, — თქვა მოხუცმა ნიშნის მოგებით.

თეოდორეს თავზარი დაეცა და უმალ პირი კონსტანტინოპოლისაკენ იბრუნა.

ყრმას გაუხარდა, რომ ამ ზღაპრულ ქალაქს ნახავდა და გზაზე თეოდორეს შეკითხვებით დაფიქრების საშუალებას არ აძლევდა.

თეოდორეს მთელი არსება შეძრულიყო და რას პასუხობდა და რას არა აღარ გაეგებოდა.

მოვიდნენ კონსტანტინოპოლსაც, კითხვა-კითხვით მიადგნენ ევლოგის ხვიარა ვარდებით შემოვლებულ სრა-სასახლესაც.

ჩამოსხდნენ მის სადარბაზოსთან და დაელოდნენ.

და აი, ისილეს კიდეც მრავალრიცხოვან მხლებლებითურთ გარშემორტყმული დიდ პატივსა და ღირსებაში, თვითკმაყოფილი სახით მომავალი ევლოგი.

თეოდორე თვალებს არ უჯერებდა, გაოგნებული შესცქეროდა ფარშევანგივით გაფხორილ, გაბღენძილ, სულ სხვა ადამიანს, სად გამქრალიყო ის ღვთისმოსავი, გაჭირვებულთა მწყალობელი კაცი? მის მდიდრულად მოოჭვილ მოსასხამში მხოლოდ შინაგანი სიღატაკე

გამოსჭვიოდა, მის გამოხედვაში — უგუნურება, მაგრამ თეოდორემ მაინც გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ხმით შესძახა:

— შემიწყალე, უფალო ჩემო!

ევლოგიმ მხოლოდ ქედმაღლურ-შემწყალებლური ღიმილით ერთი კი შეხედა და მსახურთ ანიშნა მხოლოდ: თუ რამ მოწყალებას ითხოვდნენ მისგან, მიეცათ.

თეოდორე კი მის მოწყალებას არ უყურებდა და გაიძახოდა:

— სიტყვა მაქვს შენთან, სიტყვა, უფალო ჩემო!

მაშინ მისმა მცველებმა უხეშად წაავლეს ხელი და მოაცილეს გზიდან.

გონებააბნეული თეოდორე ღამის გასათევად უცხოთათვის განსასვენებელ სახლში მივიდა.

ყრმას ებრალებოდა თეოდორე, უნდოდა გარკვეულიყო, რა ხდებოდა, რისთვის ეძალებოდა ასე ამ ვიღაც ევლოგის, ამ ურჩხულივით შემზარავ ადამიანს, მაგრამ ვერავითარ პასუხს ვერ ღებულობდა.

მოსასვენებელ სახლში გულმოწყალე მასპინძელი დახვდათ. მასპინძელმა ყრმა თავის ბავშვებს გააცნო და ვიდრე თეოდორე თავის საქმეს მოაგვარებდა, მათთან ამყოფა.

ბავშვებს ისე მოეწონათ ერთმანეთი, ყრმამ იფიქრა, ამათზე უკეთესს ვის დავასაჩუქრებო და რაც კი იყო ქისაში, მათ სათამაშო მაგიდაზე გადმოუყარა, ქისა კი ვერ გაიმეტა და თავისთვის შეინახა. ეს გროშები ყოველგვარ მოსალოდნელ ჯილდოს აღემატებოდა და მასპინძელმაც უფრო მეტი პატივი და ყურადღება მიაგო.

ბავშვები თითქმის თანატოლები იყვნენ და უმალ დამეგობრდნენ. ყრმისთვის ეს პირველი შეხვედრა იყო თანატოლებთან და უზომოდ გაიხარა, მასში ახალმა გრძნობებმა გაიღვიძეს. უკვირდა ამდენ ხანს როგორ გაეძლო მათ გარეშე და სთხოვდა მათ, ეპატიჟებოდა, მისი სამყოფელიც მოენახულებინათ, სადაც ბევრ საინტერესოსაც ნახავდნენ.

თეოდორე კი მეორე დღეს უარეს განსაცდელში ჩავარდა. ახლა უკვე გზად გადაეღობა ევლოგის, უკეთ დავენახვებიო.

— თეოდორე ვარ, თქვენო მოწყალებავ, თეოდორე, თქვენგან დავალებული, არასა გთხოვ, სიტყვა მაქვს შენთან, მომისმინე, — შესძახა სასოწარკვეთილმა.

მაგრამ ამაოდ. ევლოგის უფრო მაღლა აეწია თავი და მცველებს ანიშნებდა, ჩამომაცალეთო. მცველებიც მივარდნენ და კეთროვანივით მოაშორეს იმ არემარეს.

თეოდორე მაინც არ ეპუებოდა და ყოველდღე უსაფრდებოდა, იქნებ რა გუნებაზე შევხვდე და მომხედოსო, ათასნაირ ხერხს ჰღონობდა, ათასსაირ შეურაცხყობას ითმენდა და ვიდრე მცველებისაგან წკეპლებიც არ იგემა, არ მოეშვა. მაშინ კი წავიდა მონასტერში და ღვთისმშობლის ხატს შეჰღაღადა:

„უფალო, განმათავისუფლე ევლოგის თავდებობისაგან, თუ არა,

მაშინ მე მივატოვებ მონაზვნობას და ერისკაცობას დავუბრუნდებიო“.

ერთხელაც ამ გოდებაში რომ იყო, ხატთან ჩაეძინა. ხედავს უამრავ ხალხს და ესმის: „დედოფალი მოდის!“ შეშინებულმა შორიდანვე შესტირა მას: „შემიწყალე, შემიწყალე, დედოფალო!“ „რა გინდა?“ ჰკითხა დედოფალმა. მე ვარ ევლოგის, პატრიკიოსთა უფროსის თავდები და გევედრები, გამათავისუფლო მისი თავდებობისაგან, — სულმოუთქმელად შესძახა თეოდორემ, მაგრამ დედოფალმა მშვიდად მიუგო: „მე ვერ შეგიწყალებ და შენ როგორც გინდა ისე მოექეცი შენს თავდებობასო“.

გამოღვიძებულმა თეოდორემ თავს შემოიკრა:

— ვაი, მე ცოდვილს, როგორ დავღუპე თავი!

სხვა გზა არ იყო, ისევ რამენაირად ევლოგისათვის უნდა გაეგებინებინა, რომ არა მარტო თავად არის ცოდვაში, არამედ თეოდორეც ცოდვაშია ჩავარდნილი და სანამ დროა, სანამ გვაცლის ღმერთი, გონს მოეგოსო.

ამჯერად, უკვე ყრმაც თან წაიყვანა, მარტო მას მივუშვებ, იქნებ მას მაინც შეხედოს მოწყალე თვალითო და ყრმაც დაარიგა, რა უნდა ეთქვა ევლოგისათვის.

რარიგ მოწადინებული იყო ყრმა, რა გულფიცხლად ემზადებოდა ევლოგისთან შესასვედრად, თეოდორეს თხოვნის შესასრულებლად, მაგრამ მეკარემ შორიდანვე იცნო ღობეს ამოფარებული თეოდორე, მათრახი შეატრიალა ჰაერში და გააგონა, რომ უკეთესს ვერას მიაღწევდნენ, თუ ნებით გზიდან არ ჩამოსცილდებოდნენ. თეოდორე ადგილიდან არ იძვროდა, ყმაწვილი ლამის ფეხებში უვარდებოდა უკვე მომავალ ევლოგის, რომ უეცრად თავბრუ დაესხა და უგონოდ გზის მეორე ნაპირას აღმოჩნდა.

თეოდორე ხედავდა, რაც ელოდა ყრმას, მაგრამ ყველაფერზე თვალებს ხუჭავდა, ოღონდ ევლოგი წამიერად შეეჩერებინა და ორი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ევლოგიმ მცველებს ყრმა გზიდან გადააგდებინა. უკიდურესობამდე გამწარებულმა თეოდორემ თავის თავს უთხრა: „უდაბნოსაკენ გაუყევი, საცოდავო. ღმერთს თუ სურს ევლოგის გადარჩენა — გადაარჩენს და მე კი რაც თავდებობისათვის სასჯელია, მაინც არ ამცდებაო“.

ხელი ჩაჰკიდა თავზარდაცემულ ყმაწვილს, ცდილობდა, ენუგეშებინა, მაგრამ ყრმა თავად ამხნევებდა, და აფიცებდა, რომ ამიერიდან მის სახელს არასოდეს აღარ ახსენებდა. უნდოდა რამენაირად გაეცინებინა და წარმოიდგენდა, თუ როგორ მოუყვებოდა ყველაფერს.

უკვე ზღვის ნაპირთან მოსულიყვნენ. გემზე თეოდორე ისეთ შვებასა გრძნობდა, თითქოს ჯოჯოხეთიდან დააღწია თავიო. ყრმას კი გული სწყდებოდა, რომ მეგობრებს ვერ დაემშვიდობა.

იმ ღამეს, გემზე, თეოდორემ კვლავ ნახა სიზმარი: იგი დაეჭირათ, ხელები უკან გაეკრათ, თავქვე ჩამოეკიდათ, საწამებლებით აწამებდნენ და თან შეაგონებდნენ: „თავს ნუ იდებ ისეთ რამეს, რაც არ ძალ-

გიძს და უფალსაც ნუ ეურჩები“. „აღარ ვიქმ, უფალო, ცუდი ვქმენ, მომიტევე“ — ძლივს გამოსთქვამდა თეოდორე. დაბოლოს, როგორც იქნა, გაათავისუფლეს, პიროპით, რომ მეტს აღარ იკისრებდა თავდებობას.

რომ გაიღვიძა, გაიხარა და უკვე დაშშეიდებული იყო, როცა მოვიდნენ სკიტეში.

— კაცი კაცითა ხარობს, ხე — ფოთლითა, — ამბობდა გახარებული იოაკიმე, და არ აცლიდნენ ერთმანეთს სვევნა-ამბორს.

ყრმა არ აცლიდა თეოდორეს რამის თქმას, თავად ჰყვებოდა ყველაფერს, განსაკუთრებით თავის თავგადასავალს, როგორ სდრუზეს და გადააგდეს გზიდან. თეოდორეს ახლა მხოლოდ ეღიმებოდა და დაღლილი, თითო-ოროლა სიტყვას თუ ჩაურთავდა. ყრმა იმდენად აღგზნებული იყო, რომ არც უკითხავს იოაკიმესათვის, როგორ იყო მათ არ ყოფნაში.

შეუწყვეტელი ლაპარაკით მიჰყვებ-მოჰყვებოდა იოაკიმეს ყრმა საკუჭნაოში, ახლა უკვე თავის ახალ მეგობრებს აცნობდა, კონსტანტინოპოლის შესანიშნაობებს აღუწერდა.

მოილხინეს საგანგებოდ შენახული ღვინოებით და მხოლოდ მაშინ თქვა თავისი სიტყვა იოაკიმემ:

— თავდებობა იგივ ფიცით შებრკოლებაა, არ იცის ადამიანმა რისი შესრულება შეუძლია და რისი არა, მით უფრო არ იცი, სხვა რისი მომქმედია.

ყრმას კი საგანგებოდ უთხრა:

— აქლემი უფრო ადვილად გავა ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა სამოთხეში, — და ბავშვის გაოცებული სახე რომ დაინახა, დასძინა, — „ნემსის ყუნწში“, განა მართლა საკერავი ნემსის ყუნწია, „ნემსის ყუნწი“ იერუსალიმის გალავნის ერთ-ერთ კარიბჭეს ჰქვია, რომელიც ყველაზე დაბალია და აქლემს მისი გავლა მხოლოდ წაწოლით შეუძლია, რაც იმას გულისხმობს, რომ მდიდარს სამოთხეში შესასვლელად გასაჭირი არ ასცდება.

დრო გადიოდა, მაგრამ თეოდორეს ევლოგის ბედი მაინც აფიქრებდა. ერთხელაც ევლოგის ძველ საცხოვრებელ ადგილზე გავლისას, შემოაღამდა, ჩამოჯდა იმ ქვაზე, სადაც ევლოგის პირველად შეხვდა, სევდიანად მოავლო თვალი იქაურობას და უცებ მისკენ მომავალი ანთებულფანრიანი კაცი შენიშნა. სულ მალე კი მის წინაშე წარმოსდგა წელში მოხრილი, გაცვეთილ მოკლე ჯუბიანი ხნიერი კაცი. ჩახედა სახეში და იცნო ევლოგი.

როდესაც პირველმა განცვიფრებამ გაიარა, ევლოგიმ შესთავაზა, სახლში წავიდეთო. თეოდორემ არც კი დაამთავრებინა სიტყვა, უარით გააქნია თავი.

ევლოგიმაც აღარაფერი სთქვა. გამოხუნებული, ჩამქრალი თვალებით სადღაც შორს იყურებოდა და მთვლემარესავით იჯდა.

ისევ თეოდორემ დაარღვია სიჩუმე და ევლოგიც გამოფხიზლდასავით.

— როგორ სარ დღეს? — შეეკითხა თეოდორე.

— ილოცე ჩემთვის, მამაო, რამეთუ ერთი ღატაკი კაცი ვარ, არაფერი ვამაჩნია.

— მე ვიცი შენი ყველაფერი და ნეტავ რაც გქონდა, ისიც არა ვქონებოდა, — მოუჭრა თეოდორემ.

ევლოგი აიძურწა, აიბუზა, არ იცოდა, რა ექნა, გაქცეულიყო, თუ მუსლებში ჩავარდნოდა.

— საიდან იცი? — წაილუღლუღა ცხვირში ქსუტუნით.

თეოდორემ ყველაფერი გაასსენა.

ევლოგი ხმას ვერ იღებდა. ისევ თეოდორემ ჰკითხა:

— მაინც, როგორ გახდი პატრიკიოსი?

ევლოგიმ მოიწმინდა ღვარადწამოსული ჭირის ოფლი და მოგუდული ხმით დაიწყო:

— ერთ დღეს კლდეს მეორე მხრიდან მივადექი ქვების სატეხად და როდესაც დავარტყი, ვიგრძენი, კლდეს ღრმული ჰქონდა. დავარტყი კიდევ, კიდევ და აი, ოქროთი სავსე ქვაბთან აღმოვჩნდი. შევცბი და განვცვიფრდი, — ლაპარაკისას ევლოგის თვალები დაეყვლიპა, მერე მოჭუტა, სახე დაებრიცა, მეჩხერი კბილები გამოუჩნდა და შემზარავი გახდა.

თეოდორეს გულმა ბაგაბუგი ასტეხა.

— ...ვიფიქრე: ამოდენა ფული სახლში წამეღო — წამართმევდნენ. შემეშინდა და გადავწყვიტე, წავსულიყავი სხვა ქალაქში, სადაც არ მიცნობდნენ. დავიქირავე სახედრები, ვითომ ქვებს ვეზიდებოდი და შუაღამეს ეს ფული გემზე მოვათავსე. მივცურე ბერძენთა მიწაზე, კონსტანტინოპოლს. მეორე დღიდანვე დავიწყე მოქრთამვა იმათი, ვინც კეისარს იყვნენ შეფარებულნი. კეისარსაც საჩუქრებს ვუგზავნიდი, ვიდრე არ გავხდი მეც სასახლის ერთ-ერთი დიდებული. როცა კეისარი წავიდა საომრად, მისმა მოადგილემ, პატრიარქმა სერგიმ, ბევრი დიდებული ამხილა დანაშაულში და მათთან, ჩემი მფარველიც. მეც ბრალი დამედო და იყო განაჩენი ყველას საპყრობილეში გამომწყვდევისა. მე მოვახერხე შუაღამეს გამოქცევა და აქ თავის შეფარება, ჩემი ქონება კი მთლიანად იქ დარჩა, — ატირდა ევლოგი. — ჩავიცვი ჩემი ძველი ტანისამოსი და ისევ ქვის ტეხას მივყევი. როდესაც სოფელმა ჩემი დაბრუნების ამბავი გაიგო, მითხრეს: გავიგეთ, კონსტანტინოპოლის პატრიკიოსი გამხდარხარ და აქ რაღაზე იწუხებ თავსაო, მე ვუთხარი: ის სხვა ევლოგია-მეთქი, მე მოლოდ იერუსალიმში წავედი წმიდა ადგილების მოსალოცავად და ღვთის მადლით ისევ დავბრუნდი-მეთქი. დაიჯერეს. მე კი ახლა მხოლოდ მოგონებებით ვცხოვრობ, ვიხსენებ კეისრის ნუგბარ-ნუგბარ კერძებს, დიდებულთ კრებულს, იმ სიუხვეს, იმ პატივს, — აქ ძლივს გადაყლაპა ნერწყვი, — ვარწმუნებ ჩემს თავს, უნდა დავეხსნა ამ ფიქრებს-მეთქი, მაგრამ ვერ ვახერხებ...

— შენ კი გამოქცეულხარ, მაგრამ პატივმოყვარეობის ჟინი თან

გამოგყოლიაო, — თქვა თეოდორემ, წამოდგა და ზურგი შეაქცია.

ევლოგი ხელების მტვრევით, ვედრებით აედევნა:

— წმიდა მამაო, ილოცე კიდევ ჩემთვის და ამიერიდან გამოვსწორდები.

— არ გყოფნის ის, რომ აქ უშიშრად ხარ? — ნაბიჯის შეუჩერებლად უპასუხა თეოდორემ, ისე რომ ზედაც არ შეუხედავს.

— ცარიელ უშიშროებას რას ვაქნევ, თუ სიმდიდრე აღარ მექნება,— გამყინავი ხმით პასუხობდა ევლოგი.

— იმედი ნუ გაქვს, უფალმა ვისმეს კიდევ უსმინოს შენს გასამდიდრებლად, სამუდამოდ დაიხსომე, უმჯობესია სასოება უფლისა მიმართ, ვიდრე სასოება მთავართა მიმართ.

თეოდორემ აუჩქარა ნაბიჯს და დარჩა ევლოგი მარტო.

თეოდორე ლამის გარბოდა, ლოცულობდა, ღმერთს მადლობდა, თან ევედრებოდა ღვთისმშობელს, ჩვენებით განეცხადებინა, თუ ვის ედრებოდა, რაკი ღირსი გამხდარა უფლის შეწყნარების.

სკიტეში მოსულს იოაკიმე არ დახვდა, ყრმასაც ჩასძინებოდა და დაღლილს გზითა და განცდილით, სალოცავად დაყრდნობილს უჭმელს ჩაეძინა.

სძინავს თეოდორეს და ესმის: „შენ ედრები მეპატრაკე სერგის, რომელი არს ალექსანდრიას, მჯდომარე ყოველსა შესაკრებელსა“.

გაეღვიძა, ეგონა სინამდვილეში ვინმე ეხუმრებოდა, მაგრამ სკიტეში არავინ ჩანდა, კარიც ისევ დაკეტილი იყო. ეს, რაც გაიგონა, ნამდვილად პასუხი იყო მის ვედრებაზე და დაღონებულმა თავის თავს უთხრა: ვაი, შენ თეოდორე, საწყალობელო, რამდენი წელი გაქვს მსახურებისა ჯაფითა და ჭირითა და აჰა, შეირაცხე ყოველთა შესაკრებელსა მის თანა!

ფიქრები საზარელ მოგონებებს აღუძრავდა. ჯერ ეგონა განგება ძველ ცოდვებს არ მპატიობსო, მერე ზმანება ცდუნებად ჩათვალა, მაგრამ რა დანებდა ძილს, ისევე ესმა: „მეპატრაკე სერგის ედრები შენ. რომელი არს ალექსანდრიას, მჯდომარე ყოველთა შესაკრებელსა“.

გონებაამღვრეული წამოიჭრა.

მამა იოაკიმე კარს მოსდგომოდა.

დადგა თუ არა ფარანი იოაკიმემ, მაშინვე აიძულა თეოდორემ დამჯდარიყო და მისთვის მოესმინა:

იოაკიმე ამჩნევდა შეძრულიყო თეოდორეს არსება და მთელის გულისყურით უსმენდა. უსმენდა და თან თავის აღფრთოვანებას ვეღარ ფარავდა, სიტყვას აწყვეტინებდა, სახე სიხარულისაგან უბრწყინავდა და ეუბნებოდა:

— ახლა მისმინე, მე მრავალს მსგავსს ღვთის განჩინებისას გეტყვი. აი იმას ანტონ დიდმა რომ შესთხოვა ღმერთს ეცნობა მისთვის ზომა მისი სრულქმნილებისა და იყო ზეციური მის მიმართ: „შენ ჯერ კიდევ არ მიგიწევია საზომსა მეპატრაკისასა, რომელიც ცხოვრობს ალექსანდრიას“. და მონახა ანტონმა მეპატრაკე იგი, ანუ

დაბალი, მოვაჭრე ტყავითა და ჰკითხა მას, თუ რას აკეთებს იგი თავის გადარჩენისათვის. მეპატრაკემ მიუგო, რომ მას არ ახსოვს, ოდესმე სიკეთე თუ გაუკეთებია და ამიტომ მუდამ თავს ეუბნებოდა, რომ ალექსანდრიის ყველა მცხოვრები შევა ღვთის სასუფეველში და თვითონ კი თავისი ცოდვების გამო სამარადისო სატანჯველში წავა.

თეოდორეს უნდოდა ეთქვა, რომ ანტონ დიდი წმიდანი იყო და მას შეეძლო ღმერთთან ბაასი, მაგრამ თვითონ...

იოაკიმე კი სათქმელს განაგრძობდა:

— გეტყვი კიდევ: ერთი მონაზონი ქალი შენსავით ევედრებოდა ღვთისმშობელს, გაეცხადებინა მისთვის, თუ ვინ იყო მასზე მაღლა, რომ მისთვის მიებაძა და მიიღო გაცხადება: „წასულიყო ერთ სოფელში, მოენახა იქ ვინმე ქალი და მისთვის ეკითხა. მანაც მონახა იგი ქალი ბავშვებით გარემოცული და შეეკითხა, თუ რას აკეთებს იგი თავის გადარჩენისათვის? შემკრთალმა ქალმა უპასუხა, რომ ძალიან ცოტას, სულის ხსნისათვის თითქმის ვერაფერს, რადგან ძალიან ბევრი საზრუნავი აქვს დიდი ოჯახის გამო. ერთადერთი, რასაც ვახერხებ, ამბობდა ქალი, ეს არის მუდმივ, ყოველ საქმიანობის დროს, თუ საზრდელის მიღებისას წარმოვსთქვამ „მამაო ჩვენოს“.

— „მამაო ჩვენო“ არც მე მავიწყდება არასდროს, — მოკრძალებით ჩაილაპარაკა თეოდორემ.

— ჰოდა,—დაამთავრა მამა იოაკიმემ,—მუდმივი ლოცვაა ყველაზე ძლიერი, მუდმივი ფიქრი თავის უღირსობაზე, წადი ალექსანდრიას, მონახე მეპატრაკე სერგი. დარწმუნებული ვარ, ეს შენთვის მხოლოდ სასიკეთო იქნება და ჩვენც ყველანი კიდევ ერთხელ კარგად მოვილხენთ.

თეოდორე მადლიერებით გადაეხვია იოაკიმეს და აღუთქვა:

— არა დავჯდე, ვიდრემდის არ ვიხილო, თუ ვინ არის, გინა თუ არა გავიგო რა არს საქმე ვინმე სერგისა.

თავი VI

რ ო მ შ ი

იოანე მოწყალემ, მოსხმა და სოფრონიმ ალექსანდრიიდან კონსტანტინოპოლს ვერ ჩააღწიეს. როდოსში გემი ქარიშხალში მოჰყვა, და იოანე მოწყალესათვის ეს მგზავრობა საბედისწერო აღმოჩნდა — ზღვის სენის მძვინვარებამ შეიპყრო და აღსასრულზე დააფიქრა, ამიტომაც მეგობრებს სთხოვა:

— შვილნო ჩემნო და ძმანო, აიძულეთ გონებანი თქვენნი, რათა

მერწმუნოთ, აღსასრულის მოახლოვებას ვგრძნობ და მსურს ჩემს სამშობლოში, ამაფუნტის მიწას მიმაბაროთ.

შეჭირვებულნი მეგობრის ბედით ამაფუნტიისაკენ მობრუნდნენ.

იოანე მოწყალემ უპირველეს თავისი ცოლ-შვილისა და მშობლების საფლავები მოინახულა. ატირდა მოგონებებით, ატირდა სიხარულითაც, რომ სულ მალე მათთან შეხვედრა ელოდა.

მადლიერმა ამაფუნტიელებმა კი დიდად გაიხარეს საამაყო შვილის სამშობლოში დაბრუნებით. აქ ყველაფერმა საზეიმო ელფერი მიიღო, ხალხი დაუსრულებლად მოედინებოდა იოანესთან კურთხევის მისაღებად; იგონებდნენ, ვინ როგორ გადარჩენილიყო მისი რჩევა-დარიგებით, რა წარმატება მოეპოვებინათ მისი შემწეობით, რამდენ ობლისა და ქვრივის სიდუხჭირე შვებად ექცია, იხსენებდნენ მის გამონათქვამებს, უმთავრესად კი, იმას, რომ უმეტესად „სიმდიდრე არის დედა მცონარებისა, ბოროტებისა“,

ყოველივე ამან იოანე მოწყალეს ისეთი მხნეობა დაუბრუნა, ეგონათ, საშიშროებამ გაუარაო, მაგრამ სულ რამოდენიმე დღეში სნეულებამ იმძლავრა, თავისი გაიტანა, იოანეს რვა ათეული წლის ნაჯაფი სხეული გარდუვალს დანებდა და მეგობრებთან მშვიდი საუბრისას აღესრულა.

იგი დაკრძალეს წმიდა ტიხონ სასწაულმოქმედის ეკლესიაში ორ ეპისკოპოსს შუა. მთელი მისი ქონება კი, მისივე სურვილით მათხოვრებს დაურიგეს.

თუ ამაფუნტიელები ადრე ალექსანდრიაში მის გამეზავრებას სევდიანად შეხვდნენ, ახლა, სულ უცნობ სამყაროში გაღასვლისათვის სუგეშობდნენ, რომ იგი სამუდამოდ მათთან იქნებოდა, მათზე მფარველობასაც გააგრძელებდა, რამეთუ სწამდათ იგი წმიდანად შეირაცხებოდა.

რადგან საომარ მდგომარეობაში მყოფი კონსტანტინოპოლი უკვე ალყაშემორტყმული იყო, იოანე და სოფრონი რომს წამოვიდნენ.

რომი იმ დროს სათავეში ედგა მთელ სამყაროს.

აქ მათ შემოხვდათ იერუსალიმელი მონაზონნი — თეოდოსე განგრელი თავისი ძმითურთ, ისინი სამარადისოს მოპოვებისათვის იღწვოდნენ და თავიანთ სიმდიდრეს ახმარდნენ მართლმადიდებლობისათვის მებრძოლთ. ისინი დიდხანს ცხოვრობდნენ კონსტანტინოპოლში პატივით განშვენებულნი, ახლა კი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდნენ, ქველმოქმედებდნენ, თანაუგრძნობდნენ ბიზანტიის ხელისუფალთა მიერ ექსორიაქმნილთ და კიდეც ჰმადლობდნენ, რამეთუ მათი საშუალებით ეძლეოდათ შესაძლებლობა ეთესათ სიკეთე.

რომში იყო თვით მაქსიმე კონფესორი, თავისი მოწაფითურთ, ანასტასი აპოკრიარისით.

ჰერაკლე კეისარი, როგორც მხედრობათა და ბრძოლათა შინა აღზრდილი, ვერ გარკვეულიყო რელიგიის საკითხებში, ეანუსჯელად აჰყოლოდა მღვდელმთავართა და მონაზონთა სიტყვას და გამოეცა

ბრძანებულება „საწამებელი“ ანუ „ეკთეზისი“, რაც მოასწავებდა მწვალებლობის შემწეობას. ამან მაქსიმე აიძულა გასცლოდა სამეფო კარს, კეისარს კი უთვლიდა:

„ჩვენ არა შიშისაგან სიკვდილისა ვიქმენით განსავლად ქვეყნით შენით, არამედ რათა არა შემწე გექმნეთ სიბოროტესა შინა და მიზეზ გექმნეთ უღმერთოებისა“.

ჰერაკლე დაღონდა მაქსიმესთან განშორებით, მაგრამ ვერას იქმდა მის დასაბრუნებლად, რამეთუ მაქსიმე აღკვეცილიყო ბერად და ახლა ქრიზოპოლისის ბერ-მონაზონი გაძხდარიყო, ჰერაკლეს ერთიღა დარჩენოდა — არ შეეზღუდა, ხელშეუხებელი ჰყოლოდა იგი, რაც მაქსიმესათვის დიდი წყალობა იქნებოდა.

მაქსიმეს მოქმედი და მგზნებარე ბუნება სენაკის კედლებში ვერ იკეტებოდა, იგი ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში ჩნდებოდა, გამწვავებული ბრძოლა ყველგან მის უშუალო მონაწილეობას ითხოვდა. მას იცნობდნენ როგორც ორნებიანთა წინამძღვარს, ბრძოლაში მამაცსა და პაექრობაში ბრძენს, ამიტომაც ახლად არჩეულმა პაპმა, მარტინე პირველმა მიიწვია ლატერანის სინოდზე, მონოთელიტების შესაჩვენებლად. სულ მალე კი, თვით პაპი, წმიდა მარტინე ამისათვის, დაგმობილ, დევნილ იქნა და ახლა იგიც რომში იმყოფებოდა.

ასევე კონსტანტინოპოლიდან გაძევებული ყოფილი პატრიარქი პიროსიც აქ იყო და ყველანი ერთად, შეთანხმებით უტევდნენ მონოთელიტებს, და იბრძოდნენ მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცებისათვის.

ამ შერისხულ ჭეშმარიტების მაძიებელთ კი ამა ქვეყნის დიდების დაკარგვა კიდევაც შვენოდათ და შერისხვაც მათში მხოლოდ სულიერ აღზევებას იწვევდა.

როდესაც ყველა პაექრობდა, დაობდა, სოფრონი მთელის არსებით ერთვოდა, იგი თავის მსოფლგაგებასთან ერთად თავის ადამიანურ რაობასაც ავლენდა, რითაც დიდ მოწონებას იმსახურებდა და მრავალი ადამიანის გულს იგებდა.

იოანე მოსხი კი სდუმდა, ღიმილით უთმობდა მოპაექრეთ და თუკი რასმე იტყოდა, მის უბრალოდ ნათქვამსაც საგანგებო მნიშვნელობა ეძლეოდა. მუდამ განზე იჯდა ჩაფიქრებული და რაღაცას უკვირდებოდა, თავისთვის მსჯელობდა:

„თუ შავი მიწის ლაბირინთებში ჩამარხულია ბუნების, სიცოცხლის საიდუმლოება, სულიერ სამყაროში დაფარულია ჭეშმარიტება. ადამიანი ღმერთს გონებით ვერ მისწვდება, ცოდნა არ შველის ადამიანს ღმერთთან მისასვლელად, მასთან უშუალობის დასამყარებლად. ადამიანი მხოლოდ ისწრაფვის მისკენ, და ამ ქვეყანაზე რომ ვერ აღწევს, იმიერ ქვეყნით იმედოვნებს. რწმენა და სინდისი ყველასათვის პირდაპირი გზაა ღმერთთან მიახლოებისა, როდესაც ჩვენში გულის ცაზე ჭეშმარიტი სიყვარული აღინთება, ჩვენ შევიცნობთ ღვთაებრივ სამყაროს“.

გულში კი ახლა იოანეს სამუმის სიცხე უტრიალებდა, ვერა და ვერ შეგუებოდა იოანე მოწყალის გარდაცვალებას, ფრთებდალეწილი არწივივით გამოიყურებოდა. გემის რყევასაც არ ჩაევლო მისთვის უშედეგოდ. სხეული დაძაბუნებოდა, სიარული უჭირდა, სმირად განმარტოვდებოდა, არავის შესჩიოდა თავის უძლურებას, არ უყვარდა საკუთარი განსაცდელით სხვისი დაღონება, მაგრამ ერთ დღეს რომ მიწვა, სარეცელზე, სულაც ვეღარ წამოდგა. გული უტევდა და შეძრწუნებულმა სიკვდილს თვალებში რომ ჩახედა, დიდის აჩქარებით, უკანასკნელი ძალის სმევით სოფრონისათვის ანდერძი დაწერა, სთხოვდა ეზრუნა მისი თსროსათა კრებული „სამოთხე" ავტორის განუცხადებლად ძმათათვის საკითხავად გაევრცელებინა.

შეშფოთებული სოფრონი თავის შეჭირვებას ვერ ფარავდა, მაგრამ მაინც ნაძალადევი ღიმილით ეტყოდა:

— ილოცე გრძნობით, სისანულით, ილოცე ცრემლებით, ილოცე არა სურვილების შესრულებისათვის, არამედ მისთვის, რომ ნება ღვთისა იყოს შენში.

იოანეს მიმქრალ თვალებში ნაპერწკალმა ინათა, ეს სომ მისივე სიტყვები იყო, ახლად მოსული სოფრონი რომ დამოძღვრა.

ბადლიერების, სიყვარულის ცრემლებმა გულიდან საფლავის ლოდი გადააგორეს.

მოინახულა ყველამ. არავინ დაიშურა მისთვის გასამხნევებელი სიტყვა და ლოცვა.

იოანემ მოიხედა, იმედი გაჩნდა, მოიკეთა.

ჟამი აცლიდა კვლავაც ეღვაწა.

ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე ვინმე სახალისო ამბავსაც რომ მოყვებოდა, რაც სნეულს გუნებას გამოუკეთებდა. ერთმა უამბო, თან გააფრთხილა იოანე, რომ ახლავე არ ჩაეწერა, მერეც მოასწრებდა.

— დავაქსის მონასტრის ორ ძმას აღთქმა დაედოთ, არ გაჰყოდნენ ერთმანეთს არც სიცოცხლეში და არც აღსასრულისას, — ისინი ბიზანტიის მონასტრის მშენებელნი იყვნენ და ერთ ღღეს ერთად მივიღნენ ქალაქს რიღაცის საჭიროებაზე. ერთმა ძმამ დაინახა მშვენიერი ასული და მისგან შეძრულ იქმნა. უთხრა ძმას: გამიშვი, ძმაო ჩემო, რამეთუ სიძვა მებრძვისო. ძმამ დაუწყო შეგონება: ნუ იქმ, ნუ წარწყმედ შენს შრომას წუთიერ ვნებისათვის. ქალი იგი მეძავი აღმოჩნდა. როდესაც ნახა ძმამ, მასთან ვერას გააწყობდა, მიუშვა. ვნებით ძლეული ძმა შევიდა მეძავის სახლში. მისი ძმა კი კარებთან იჯდა გულდასერილი. როდესაც იმრუშა და გამოვიდა იგი, ძმამ უთხრა: რა სარგებლობა ჰპოვე ახლა ამ ცოდვისაგანო? ძმა სდუმდა. მაინც წამოდი მონასტერშიო, უთხრა ისევ დაღონებულმა ძმამ. არა, მე აღარ შემიძლია უდაბნოში წამოსვლაო, უპასუხა. მაშინ უბიწო ძმამ უთხრა: მომიცადე, რათა აგრეთვე მეცა შევცოდო და შემდეგ ერთად წავიდეთ და მოვინანიოთო. მართლაც, შევიდა იგი მეძავთან, მისცა მისი გასამრჯელო ისე, რომ არც მიუხედია მისკენ, გამოსულმა კი თავი ისე

წარმოადგინა, თითქოს მასაც ჩაედინა ცოდვა, რათა ძმას იმედი არ გაწყვეტოდა და მასთან ერთად მონასტერს დაბრუნებოდა. მაგრამ, ამაოდ. ვნებით ძლეულმა ძმამ მაინც არ ინდომა მონასტერს წასვლა და მაშინ დარჩა მასთან უბიწო ძმა. იგი დღისით მიდიოდა მშენებლობაზე, ორთავეს მაგიერ მუშაობდა და საფასური მოჰქონდა. ძმა, რომელიც მრუშობდა, ყოველდღე იღებდა ორივე ქისას და საჭმელ-სასმელისათვის ხარჯავდა, მეორე კი ყოველდღე მარხულობდა, ლოცულობდა, იყო ჯაფაში და არავის სმას არა სცემდა. როდესაც მშენებლებმა ნახეს, რომ იგი არცა ჭამს, არც ლაპარაკობს, აუწყეს წმიდა აბრაამს, რომელიც მშენებლობის საქმეს განაგებდა. აბრაამმა მოიხმო იგი და ჰკითხა: საიდან ხარ, მიამბე შენი ამბავიო, ძმამაც მოუთხრო მთელი ამბავი. როდესაც აბმაამმა მოუსმინა, თქვა: იცოდე, ღმერთმა უკვე მოგიძღვნა შენ შენი, ძმაო. როდესაც დაუძლურებულმა ძმამ აღსასრული შეიგრძნო და აძ ქვეყნიდან მისი გასვლის ჟამი დადგა, ხელი მოჰკიდა თავის ვნებით ძლეულ ძმას და უთხრა: იცოდე, ჩემო ძმაო, მე შეუბღალავი ვარ იმ ცოდვით, რომელიც შენ გგონია, რომ ჩავიდინე. მაგრამ მე შენგამო ვეწეოდი გულმოდგინედ მთელ ამ შრომას, რათა შეეწყნარებინა ღმერთს შენი სინანული, მაშინ გამოჰყვა ძმა მონასტერში და როს გარდაიცვალა უბიწო ძმა, თავად დარჩა იმ ქვაბში, რათა მოენანიებინა და დაეცვა ის ფიცი, რომელიც მათ შორის იყო დადებული. შემდგომად ამისა, რაც მიიცვალა მისი ძმა, მივიდა მასთან ბერი კალამონის მონასტრიდან და ჰკითხა: მითხარი, ძმაო ჩემო, ამ წლების მანძილზე რას მიაღწიეო? მან უპასუხა: შემინდე, მამაო, რამეთუ არასოდეს არ ვუთმობდი მე გონებას მიწიერ ამბებს მაშინ, როდესაც ჩემს წესს ვასრულებდიო.

დაამთავრა მთხრობელმა ამბის თქმა და დასძინა:

— ისე რომ, ღმერთი ჩვენს გულმოდგინე ლოცვასაც შეისმენს, შენს ზღვის სენსაც უკვალოდ გააქრობს და შენც ისევე დაამშვენებ ჩვენს ძმობას და კიდევ ბევრს გააკეთებ სულთა სასარგებლოდ.

სხვა კიდევ სხვა ამბავს ჰყვებოდა და ასე...

იოანე გამოჯანმრთელდა, მოიკეთა და როგორც კი სიარული შესძლო, სთხოვა სოფრონის წასულიყვნენ სადმე მყუდრო ადგილას მოსასვენებლად, და დატოვეს კიდეც რომი.

წამოვიდნენ რაბენს, სადაც დიდხანს უნახავი მეგობარი ეგულებოდათ.

მეგობარს ომი გამოევლო და ბევრს რასმე საინტერესოსაც იტყოდა.

— ბარბაროსებთან ტყვედ მოვხვდი, — ამბობდა იგი, — ერთ დღეს რამოდენიმე ძმამ თავი დავაღწიეთ პყრობილებას, გამოვიპარეთ. მრავალ ღამეს ვიდოდით თრაკიის უდაბნოში, რადგან დღისით გვეშინოდა შემოგველია საზრდელი და სიკვდილის პირას მივიწიეთ, ვწუხდიო არა მხოლოდ საზრდელისათვის, არამედ იმისათვის, რომ განვიდოდით ამ საწუთროსაგან უზიარებელნი. ძმები ფიცით მაიძულებდნ

მეზიარებინა, მე ვარწმუნებდი, რომ არა ვარ ხუცესი და არც პური გვაქვს-მეთქი. ადგა ერთი მათგანი, გადმობერტყა ყველა ჩვენი აბგები და ჰპოვა მცირე პურისა და მაშინ მომცეს რა ის ნატეხი, მრავლითა ტირილითა მაიძულეს მეზიარებინა. დავცვივდით ყველანი მიწაზე მუხლთ მოყრით, შემდეგ აღვდექ და ვყავ ლოცვა დიაკონებისა. მერე ვთქვით ერთად, „მრწამსი", „მამაო ჩვენო", „ერთ არსი" და „რომელი შეუდგეს მას". ვეზიარენით ნატეხისაგან პურისა და განვძლიერდით, განვახლდით და უვნებლად მოვედით სოფლად.

ყველამ გაიხარეს ლოცვის ძალით.

იოანე და სოფრონი კი შეუდგნენ წერას წიგნისა: „ცხოვრება იოანე მოწყალისა".

თავი VII

ი ო ა ნ ე ს ი ნ ე ლ ი

იოანე მოწყალეს გარდაცვალებისა და იმის გამოც, რომ იმ შფოთიან, არეულ დროში მშვიდობიან განათლებაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა, იოანემ და სოფრონიმ სიმყუდროვისათვის სელევკიას მიაშურეს.

ეს ქვეყანა შუამდინარეთისა, განთქმული კეთილ ჰაეროვნებითა და იაფობისათვის ნაყოფთა, ყოველის მხრიდან იზიდავდა ადამიანებს. უმეტესად კი იგი ცნობილი იყო საჩინო მამაკაცთათვის, სწორედ მის მახლობელი დაბებიდან იყვნენ საქართველოში შემოსული ათცამეტი მამანი, თავდადებულნი მართლმადიდებლობისათვის. ანტიოქიასა და საქართველოს შორის ცოცხალი ხიდი იყო გადებული. აქ მუდამ შეხვდებოდით ქართველებს. ანტონ ქართველს ზეგარდამო ბრძანებაც კი მიეღო „ჯერ არს მისდა თანამკვიდრობა სვიმეონ მესვეტისა"-ო და იგიც წამოსულიყო პალესტინას. აქ ბერად შემდგარიყო, შემდეგ კი შავ მთაზე სვიმეონ მესვეტისათვის რომ ქრისტეს ჯვრის ნაწილები მიეტანა, სვიმეონს სულ მალე ეკურთხებინა იგი სელევკიის ეპისკოპოსად.

ახლა კი მათ იქ დახვდათ პონტოელი ხუცესი პეტრე.

გაიხარეს ქართველებმა ერთმანეთის ნახვით. სოფრონი იოანეს არც აცლიდა სიტყვას, თავად გამოჰკითხავდა, რამეთუ ქართველი მას უკვე თავის ნათესავად მიაჩნდა.

პეტრე ხუცესისაგან კი გაიგო, როს სიტყვა ქართული ნიშნავდა სიბრძნეს და ვისიმე ბრძნულ ნათქვამზე იტყოდა: ეს ქართულიაო.

— ყველა ქართველს კი არ შეუძლია სთქვას, მე ქართველი ვარო, — ნაღვლიანად დასძინა ხუცესმა ისე, თითქოს რაღაცას იხსენებსო.

საუბარი ალბათ დიდხანს გასტანდა, რომ მოულოდნელად არ მო-

სულიყო ვინმე მოგზაური და არ მოეტანა სამწუხარო ამბავი იოანე სინელის მძიმედ დაავადებისა.

იოანე არც დაფიქრებულა, უმალ წამოდგა და სოფრონისთან ერთად სინას მთისაკენ გაუდგა გზას.

იოანე სინელი მისთვის უახლოესი მეგობარიც იყო და მასწავლებელიც, სოფრონის კი მის შესახებ მხოლოდ შორიდან სმენოდა და სინას მთის მონახულება იზიდავდა ძველი აღთქმის მოგონებებით.

სინას ნახევარკუნძულის მთათა შორის სინას წმიდა მთა უმაღლესი იყო. აქ მიეღო ისრაელს უზენაესისაგან მცნებანი კანონისა, აქ იყო თავშესაფარი დევნილი ქრისტიანებისა, აქ ააშენა იმპერატორმა იუსტინიანემ სავანე, რომელშიც 600 ყარიბს მოეყარა თავი.

გზად იოანე შეუწყვეტლივ ლაპარაკობდა სინელზე, სიტყვას რატომღაც წარსულში იტყოდა.

— ერთხელ შევეკითხე — ამბობდა იოანე ამ შრომასა და ღვაწლში რას მიაღწიე-მეთქი და მიპასუხა: ლოცვისას არ ვუთმობ გონებას მიწიერს და მხოლოდ ერთხელ შევძელ მეთქვა: „უფალო, იყავ ჩემს მიმართ ისეთი, როგორიც მე ვარ სხვის მიმართ"-ო. „ადამიანი ღვთიურის ძიებაში მეტ სარგებლობას პოულობს, ვიდრე წიგნებიდან მიღებულ ცოდნაში, სწავლა კარგიაო, მაგრამ სულიერი მდგომარეობა მაინც მთავარიაო..."

იოანეს სიტყვა უწყდებოდა, სვლა უჭირდა და მალ-მალ შეჩერდებოდა.

— ...ეს სულიერი სამყაროს ხუროთმოძღვარი, — განაგრძობდა იოანე, — შემკული ღვთაებრივ უმწიკვლოებითა და მიწიერ უბიწოებითა მუდამ ჰუმორით აციაგებულ სახით ეგებებოდა ყველას. მასთან შეხვედრები ნადიმებად იქცეოდა. არასოდეს გვინახავს იგი მჭმუნვარე, რამეთუ პირად საწუხარს, შინაგან ჭიდილს განმარტოვებაში დასძლევდა, ძმებსაც ეტყოდა: „ყველამ თავისი საწუხარი უნდა თავად დასძლიოს, სხვა არ დააღონოსო. საწუხარია, რომ ამაღლებს, ამდიდრებს ადამიანს, წუხილი ყველასათვის სასარგებლოა. ჭეშმარიტი გლოვა ღეზია ოქროსი, რომელიც ყოველსა ჟამსა სჩხვლეტს სულსა, იგი გლოვა განშორებულია ყოვლისაგან ამა სოფლის სიყვარულისა და ხორცის ნუგეშისცემისაგან. ჭეშმარიტად მგლოვიარე სულს არ შეეხება სული მოწყინებისა. რა ჟამს ისილო მგლოვიარეთა თანა მრისხანება და ამპარტავნება — მათი ცრემლი და გლოვა ცთომილად შერაცხეო. ეგეც არ იყოს, არის დრო მდუმარებისა და არის დრო მეტყველებისა. მდუმარება გამართლებულია მაშინაც, როდესაც პირადად შეურაცხყოფენ, გყვედრიან, გზრახავენ, ბოროტ განზრახვით გეკითხებიან — იქნებ გარიგებენ, რასმე შეგაგონებენ, მაგრამ გახსოვდეთ, დუმილი ბოროტებაა — როდესაც ეკლესიას უპატიოდ ექცევიან, შენს წინაშე ადამიანს ცილს სწამებენ, როდესაც შენი დუმილი სხვისთვის შეურაცხყოფაა, შენ კი თავს იწონებ... ძმანი ყოველდღე ვამოწმებდით თავს, თუ სათნოების რომელ კიბეზე ავსულვართ, ზოგს ფეხი დასცდენოდა,

ზოგს რომელიმე კიბე ვერაფრით ვერ დაეძლია, მე კი ხშირად სულ მაღლა ასული სულ დაბლა დავგორებულვარ... პირველ საფეხურად კიბისა კლემაქსს მიაჩნდა მდაბლობა, რამეთუ სიმდაბლეა კარი ცათა სასუფეველისა, „კაცი, რომელიც ებრძვის ბოროტებას თვინიერ სიმდაბლისა, — მსგავს არს კაცისა, რომელსაც ენებოს ხელითა თვისითა შეპყრობა ელვის“, „ვინც ვერცხლის მოყვარეობისაგან ან შეკრულ იყოს, ვერ ოდეს ილოცოს წმინდა გულითა და კაცი, რომელიც განმრავლდეს ზრუნვითა, მსგავს არს კაცისა, რომელმან შეიკრან ფერხნი და ენებოს მალიად რბენა“...

ისე გაეტაცათ მოგონებებს სინელზე, რომ ვერც გაიგეს როგორ გაელიათ გზა და სინას მთას მოახლოვებოდნენ.

შორიდანვე ავის მაუწყებლად ეწერნათ შავი ღრუბლები, რომელთაც მთა ჯანყით მოეცვათ. მთაზე უამრავი ბერ-მონაზონი ერთ ადგილს შეგროვილიყო. რა დაინახეს მათკენ მომავალნი, ერთმანეთს გადაულაპარაკეს სიხარულით: „ჩვენი იოანე“, „ჩვენი სოფრონი“ მოდიანო.

შეკრებილობა ორად გაიპო და გზა დაუთმეს ახლად მოსულებს.

იოანე შეტორტმანდა და ატირებული დაემხო სინელის საფლავს.

ყველა აქვითინდა. მძიმე იყო მოძღვართან დაუმოძღვრებლად განშორება, მაგრამ საერთო იყო მწუხარება და ერთობის ძალა მის სიმძაფრეს ანელებდა. ეს განშორებაც ხომ სამუდამო არ იქნებოდა, ისინი კვლავაც შესვდებოდნენ ერთმანეთს, თუკი სათნოების კიბის უმაღლეს საფეხურს მიაღწევდნენ.

უნუგეშოდ გამოიყურებოდა მხოლოდ სინელის უერთგულესი მსახური მოსე, რომელიც ცრემლებით მოიგონებდა:

— ერთსა დღესა მიბრძანა ნეტარმა, ერთი ადგილიდან მიწა მეზიდა ბოსტნისათვის და მეც წარვედი ადგილსა მას აღსრულებად მისი სიტყვისა. ფიცხელი გულმოდგინებით ვეზიდებოდი და როდესაც განძლიერდა სიცხე, შევედი დიდსა ლოდსა ქვეშე და მიმეძინა. უეცრად ხმა მესმა იოანესი, ვითარცა მიხმობდა და უმალ გამოვედ ადგილისაგან მისგან სირბილით და, ვითარცა გამოვედ, მეყსეულად დაეცა დიდი ლოდი იგი და მე გადავრჩი სიკვდილს. ხოლო რა მოვბრუნდი ჟამსა მწუხრისასა, მკითხა ნეტარმან: ჭირი რამ ხომ არ მოიწია შენზედა, შვილოო და მე ვუთხარი მას ყოველი. მან მაშინ არა მითხრა რა, არამედ გალობითა ადიდა ღმერთი და შემდგომად განაცხადა ხილვა თვისი.

ეხილა ვინმე მღვდელი მშვენიერი, რომელი განაღვიძებდა და ეტყოდა: ჰოი, იოანე, ვითარ შენ უზრუნველად გძინავს, მოწაფე შენი მოსე ჭირსა არისო და მეყსეულად განეღვიძა რა, ილოცვიდა ჩემთვის.

ყველამ ცრემლიანი სიხარულით განიხარა და ახლა იოანემაც მოიგონა:

— მოვიდა ოდესმე მასთან ტირილით მონაზონი ვინმე, რომელიც იმძლავრებოდა ბრძოლისაგან ხორცისა... სარწმუნოება მისი გაუკვირ-

და ნეტარსა მას და უთხრა: დავდგეთ ორნივე ლოცვად, საყვარელოო. და ვითარცა მოიდრიკეს მუხლნი და აღასრულეს ლოცვა, გველი იგი ილტვოდა ლოცვითა განდევნილი, ხოლო სნეული იგი ხედვიდა თავსა თვისსა განკურნებულად და თაყვანს სცემდა ნეტარსა, სულიერთა წყეულებათა მკურნალსა.

სოფრონისათვის ყოველივე ეს უბრალოდ მოსასმენი ამბავი არ იყო, იმ დღიდან მან სამუდამოდ იწამა, რომ ლოცვას არამარტო მლოცველისათვისა აქვს მნიშვნელობა, არამედ ლოცვას შეუძლია სხვის ბედზეც იმოქმედოს, თუ იგი ჭეშმარიტი ლოცვაა.

თითოეული თავის მხრივ კიდევ მრავალს მნიშვნელოვანს გაიხსენებდა. იგონებდნენ, თუ როგორ ვერ უბედავდნენ ხშირად ამ ცათამბჯენ გოლიათს რამის შეკითხვას, ის კი ხვდებოდა მათ სათქმელს და თავისთვის, მაგრამ ყველას გასაგონად იტყოდა:

„ძნელია, შეუძლებელიც, ყოველთვის, ყველასათვის იყო მოსაწონი. თუ ზედმეტად ნაღვლიანი ხარ — იტყვიან, აბეზარიაო, ზედმეტად მხიარული ხარ — სულელიაო, თუ მეტად თავაზიანი ხარ — მლიქვნელიაო, არც პირქუშობა ვარგა — იტყვიან, დათვიაო“.

თუ ვისიმე საუბარს მოჰკრავდა ყურს, ჩაილაპარაკებდა:

„დაუძლეველია უარყოფა სიყვარულისა! სიყვარული შეიძლება დაჰკარგო, სიყვარული შეიძლება ბიწიერებაში დაახრჩო, მაგრამ, რომ არც დაჰკარგო და არც დაახრჩო, იგი სიწმინდე უნდა აამაღლო და სამარადისოსათვის დაიუნჯო“.

ეს კი თითქოს მხოლოდ იოანესათვის იყო თქმული, მისთვის გამოუთქმელი სთქვეს და იდუმალ პირჯვარს გადაისახავდა.

ყველასათვის კი ერთნაირად ნათელი იყო, თუ რა ძლიერი იყო უხილავი სამყარო ხილულზე და დავითნს დაიმოწმებდნენ: „რომელმან შექმნა თვალი იგი არა ხედავს? ვინც დანერგა ყური — არ ესმის მას? რომელმან სამართალი განგვიჩინა — არ განგვიკითხავს?

ამ ფიქრებსა და მოგონებებში იყვნენ, რომ მოსემ სინელის სენაკიდან გამოიტანა შეკვრა პერგამენტებისა, რომელშიც თავმოყრილი იყო რაც სინელს ზეგარდმო ეუწყა მარადიულ საუფლოსთან შესაერთებლად გარდაცვალებიდან გასავლელ საზვერავებზე და რადგან ვისიმესათვის გაცხადების უფლება არ მიეღო, პერგამენტისათვის მაინც გაენდო.

თავი VIII

ცდუნება

სპარსთაგან დარბეული იერუსალიმი განსაცდელში იყო. სასჯელის შიშით აყრილნი ქრისტეანენი დაფანტულიყვნენ.

იოანემ ურჩია სოფრონის, წასულიყო იერუსალიმს, ხალხისათვის პატრონობა გაეწია.

სოფრონისაც ეფიქრა ამაზე, მაგრამ თქმა ვერ გაებედა, იოანესთან დაშორება ვერ გადაეწყვიტა, ახლა კი, თავად იოანე ავალებდა, ერთი კი სთქვა „შევძლებ განაო?“ და დაუყოვნებლივ გასწია, რადგან მას უმეტეს საზოგადო მოღვაწეობა იზიდავდა. თავისი მრწამსის ღუზა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაუშვა და მთელის მონდომებით, თავდავიწყებით, შეუდგა საეკლესიო მოღვაწეობას.

იოანე დარჩა სინას წმიდა მთაზე. სინელის საფლავთან ახლოს ყოფნა ეწადა. აქ, ამ მართლაც სამოთხის კართან, შეეძლო ლაღად ესუნთქა, აზრის მთელი სიღრმის წვდომით ესაზრდოვა. მხოლოდ განმარტოებას შეეძლო ახლა მისთვის შვების მოტანა, შეეძლო ეწერა გატაცებით, შეუსვენებლივ, რითაც იმ დაუკმაყოფილებელ სურვილებს შეავსებდა, იმ ოცნებათ ხორცს შეასხამდა, რაც მასში სულიერ ძვრებს იწვევდა, რაც იმ ღირსშესანიშნავ ამბებს აღწერდა, რომელთა მიხედვითაც საერთოდ აღინუსხება ადამიანთა ცხოვრება. ამასთან, ყველაფერი იყო ძმათა საკითხავად სულის მარგებელ თხრობებად რომ იკინძებოდა. ფიქრობდა იმაზე, თუ რისი გაცემის შემძლებელი იყო და არა იმაზე, თუ სხვისგან რას მიიღებდა. მაგრამ შვილივით შეზრდილ სოფრონისთან განშორება გულს ნაკლულევანს ხდიდა და დროდადრო იერუსალიმს მიაკითხავდა.

იერუსალიმში კი სოფრონის წარმატებით გაიხარებდა, ეს ხომ მისი წარმატებაც იყო! სოფრონის ქადაგებანი მის ირგვლივ შემოკრებილ მკვიდრთ აღაფრთოვანებდა. მისი მოწოდებანი დანგრეული იერუსალიმის აღდგენისათვის ხალხის ნებისყოფას ამტკიცებდა, იგი მტერს იმითაც ამარცხებდა, რომ მასში არ იყო წადილი ადამიანის გმობისა და არც სხვისი დამცირებით საკუთარი უპირატესობის წარმოჩინებისა.

სოფრონისთან შესვედრებს საზეიმო ელფერი ეძლეოდა. იოანეც იმდენს რასმე ყვებოდა, თითქოს მთელი ქვეყანა შემოევლოს, მაშინ, როდესაც სინას მთიდან შორსაც არ გაიხედავდა.

იოანეს წარსულის განცდები გაუჩინარებულ ქალზე გაუფერულებულიყო. მის გამოკვეთილ სილამაზიდანაც მხოლოდ ნისლოვანი მოხატულობანი დარჩენილიყო და სულაც გაქრებოდა თუ არა ერთი საოცარი შემთხვევა, რამაც მთელი წარსული არა თუ განუახლა, მეტი ბრწყინვალებითაც კი შეჰმოსა.

აქ, იერუსალიმში, ისევე, როგორც ყველგან, იოანე ყველასათვის სასურველი მოსაუბრე იყო, ყველას ხალისიანად ეგებებოდა, მეგობრებსაც ადვილად იძენდა და აი, ერთ დიდებულ ერის კაცსაც დაუახლოვდა. იგი იოანეს ბევრს ისეთ რასმესაც გაანდობდა, რის გაცხადებაზე კანონი პასუხს აგებინებდა. ეს იოანეს ხიბლავდა, რამეთუ იცოდა — გენდობა ის, ვინც თვითონაც სანდოა და სულ მალე ამ კაცში მგზნებარე მეგობარიც ჰპოვა.

კაცი იგი წარმართი იყო, მაგრამ განსწავლული, კერპებს ვერ მიანდობდა თავის ბედს, რადგან მაშინ ადამიანის ყოველი მცდელობა

უაზრობა ხდებოდა, ვერც ქრისტეანობა მიეღო, ბევრი რამ იყო მასში დაუჯერებელი და იჭვის ჭია ღრღნიდა, ესოდენ რთული და საოცრად მიზანშეწონილი არსება, როგორიც ადამიანია, უმიზნოდ როგორ უნდა შეექმნა ბუნებას და მართალი გული მეცნიერებაში ეძებდა ადამიანის დანიშნულების გაგებას. ხუმრობით, მაგრამ მაინც სერიოზულის გაგების მიზნით იოანეს სულ რაღაცაში ედავებოდა.

იოანე კი რწმენის საკითხებში არავის შეედავებოდა, რამეთუ სჯეროდა მხოლოდ საკუთარი თავის, მან კარგად იცოდა, რომ გამოკითხვით და არა სხვისი დაკითხვით შეიცნობდა ადამიანი თავის დანიშნულებას და ამ გარეგნულ ქაოსს მიღმა დაინახავდა ამ თითქოსღა ერთმანეთთან დაუკავშირებელ საგანთა უსასრულო სიმრავლესა და სირთულეში ერთიან, მარტივ, მუდმივსა და ყოვლის შემქმნელ უმაღლეს გონებას, რომელიც წარმმართველია ბუნების კანონზომიერებისა.

ეს მეგობრობა ორივესათვის ერთნაირად მიმზიდველი იყო. იოანეს იდუმალ სწადდა თავადის მოქცევა ჭეშმარიტ სჯულზე, თავადს კი — ზესთა სამყაროს საიდუმლოების მიგნების გზის პოვნა.

იოანე ხედავდა, რომ თავადი გრძნობით უფრო სწვდებოდა ჭეშმარიტებას, ვიდრე გონებით. ეს იყო მთავარი, სწორი გზა, გზა დაკვირვებისა, და თუ ადამიანი სწორ გზაზე დადგებოდა, თვალნათლივ დაინახავდა კიდეც, რომ ცხოვრების სასრულობა და სიცოცხლის უსასრულობა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, რომ დროული მარადიულს ისევე ემორჩილება, როგორც ნაწილი — მთელს. თუ ადამიანების შეხვედრებშია ჩადებული პიროვნების განვითარების საიდუმლოება, ქრისტესთან შეხვედრა — ჭეშმარიტებასთან შეხვედრაა, რადგან ქრისტეა ჭეშმარიტი მეგობარი ადამიანისა, ქრისტე ის მეგობარია, რომელთანაც გარბიხარ, როცა გენგრევა ცხოვრება, [illegible] სამყარო ორად იყოფა. იგი მუდამ მზადაა გამოგიწოდოს ხელი.

იოანემ ისიც იცოდა, რომ ადამიანი ბოლომდე გულწრფელი ვერ იქნებოდა ვერასოდეს და ეს ბუნებრივად მიაჩნდა, რადგან ისევე, როგორც გარე სამყარო ფლობს საიდუმლოებას, რომელსაც არავის გაანდობს, ყოველ ადამიანსაც, როგორც მცირე სამყაროს, აქვს უფლება ჰქონდეს ისეთი რამ, რასაც სხვას ვერ გაანდობს, მაგრამ იოანე მაინც ცდილობდა ამ საიდუმლოების ამოცნობას და ამიტომაც მოსაუბრის მრავალსიტყვაობაში კი არ ეძებდა არსებით მამოძრავებელს, არამედ სიტყვებს მიღმა ისედებოდა გონების თვალით, რამეთუ ყველაფერი სათავეს უთქმელიდან იღებდა, იქიდან გამომდინარეობდა და ამდენად მის მგზნებარე ბუნებას სიცივის ელფერი დაჰკრავდა.

უყვარდა თავადს ადრინდელი ფილოსოფოსების დამოწმება, იოანე კი ერთთავად კლემაქსს იშველიებდა და იტყოდა:

— რად გვინდა აგრე შორს წასვლა, ჯერ კიდევ გუშინ ჩვენთან იყო ბრძენი, რომელიც ამბობდა, რომ „ღმერთის ჩვენთან ყოფნის საბუთებს ჩვენ არ ვეძებთ, ჩვენ ვგრძნობთ, რომ მის ნათელში ვიმყოფებით, ჩვენ ბრმები არა ვართ — საგნებს მხოლოდ შეხებით რომ შე-

ვიცნობდეთ, ჩვენ ვხედავთ უფსკრულს და ვერიდებით, კლდეს შევხედავთ და არ მივასკდებითო.

ამგვარ საუბარში მთელს იერუსალიმს მოივლიდნენ. მთას მიჯარული ტყეებიც თავიანთი ნაირფერადოვნებით, თუ მინდვრის ყვავილები სურნელებით, ფრინველნი გალობით უზესაესის, მარადიულის ჯადოსნურ ძალას ემოწმებოდნენ და ეს მეგობრობაც არც როდის შეწყდებოდა, ცხოვრებას თავად რომ არ დაედო ზღვარი.

ერთ დღეს თავადმან ინდომა გაეცნო იოანესათვის თავისი თანამეცხედრე, ქალი უზადო სილამაზისა, ნატიფი გემოვნებისა, რომელსაც მათზე ნაკლებად არ აღელვებდა ჭეშმარიტების მიგნება. მეტად აღონებდა, რადგან უშვილო იყო, დედობის ღირსებას მოკლებული.

იოანე განაცვიფრა ქალის გარეგნობამ; არა მისმა სილამაზემ, არამედ მსგავსებამ იმ ქალთან, რომელიც ხატად ჰქცეოდა, ახლა კი თითქოს მის ორეულს უცქეროდა, დაიბნა, საკუთარი საიდუმლოების გამხელის საშიშროება იგრძნო. ქალის ხმა მის გარეგნობას ჩრდილავდა, მისი ხმის ბგერების ჰარმონიულობა იოანეს გულის სიღრმეში განცდილს ეხამებოდა. არავისში არ განმეორდებოდა, ეს შეუძლებელი იყო, შეუძლებელი იყო ორი სრულიად მსგავსი ადამიანის არსებობა — ეს სომ ბუნების ერთ-ერთი საოცრებათაგანია!

მაგრამ ბაგეთა წყობა, თმის ვარცხნილობა, მისი თანამგრძნობი ღიმილი, მომხიბლავი მზერა, გამომწვევი სინაზე, ნაბიჯის სიმსუბუქე, ჩაცმულობაც კი — იგივ მაქმანშემოვლებული ცისფერი კაბა, ოქრონემსული მოსასხამი — ჩაფერფლილ მოგონებათა მთელ სამყაროს უცხოველებდა, გულის სიმებს უღერებდა, წინააღმდეგობათა მთელ ჯარს უმხედრებდა, მალ-მალ ქალისაკენ თვალს აპარებდა, უნებლიედ აცქერდებოდა, თითქოს რაღაც უნდოდა ეპოვნა მასში.

უხშირა იოანემ იერუსალიმის და თავადის მონახულება. შეუმჩნევლად ყოველდღიურობა ქრებოდა და რჩებოდა მხოლოდ სილამაზე და აღფრთოვანება. ესმოდა სამყაროს იდუმალების ექო.

იოანეს თითქოს თან შემოჰყვებოდა ვნებათა ამშლელი ნაკადი და ქალიც რაღაც უჩვეულოს შეიგრძნობდა. იოანეს დაკვირვებული და გაკვირვებული მზერა ქალისათვის შეუმჩნეველი არა რჩებოდა, თრთოდა, უჩვეულო სინაზის გრძნობა ეუფლებოდა. თავსაც უკვე მხოლოდ მაშინღა გრძნობდა ბედნიერად, როდესაც იოანე ეწვეოდათ, გულს ია-ვარდი ეფინებოდა მისი მჭერმეტყველებისას.

არც თავადს გამოჰპარვია მეგობრის მალული მზერა, - მეუღლის უჩვეულო აღფრთოვანებამ, ჭარბმა სიცილმა, გაუთავებელმა საუბარმა იოანესთან, იჭვის ნესტარი დაასო, მაგრამ არას იმჩნევდა, ფიქრობდა, ნაჩქარევი მოქმედებით სასაცილო არ გამხდარიყო, ღონდებოდა კი. იოანეს ნათელ სახეს რომ შეხედავდა, თვალს თამამად უსწორებდა, ღრუბელი გადაეყრებოდა, გადასწყვეტდა, რომ ეს ყველაფერი მისი მეუღლის მშვენიერების ბრალი იყო. დარწმუნდა კიდეც, რომ იოანესთან მისი იჭვები შეურაცხმყოფელიც კი იქნებოდა და მასაც დაამცირებდა, თავადს კი დიდსულოვნება და ნდობა უფრო დაშ-

ვენდებოდა, და იგი თავის ღირსების შენარჩუნებაზე ფიქრობდა მხოლოდ.

მდგომარეობა მართლაც რომ არასახარბიელო აღმოჩნდა სამივესათვის.

ჯერ, თითქოს მსუბუქმა ნიავმა დაჰბერა, ოდნავ შეარხია ცხოვრების მყუდრო ყურე, მაგრამ ერთ დღეს უეცრად ამოვარდნილმა ქარიშხალმა ისე შორს გაიტაცა ქალის ფიქრები, გულის სიღრმეში ჩანავლებულმა გრძნობამ ისეთი ძალით ამოხეთქა, რომ აფიქრებინა, იქნებ ახლა მაინც გავხდე დედაო... მერე ისევ სურდა როგორმე ეს მაცდუნებელი ფიქრები ცხრაკლიტულში ჩაემწყვდია, მაგრამ სხეული არ ნებდებოდა, აზვირთებულ ვნებათა ტალღები გულს ყოველის მხრიდან აწყდებოდნენ და ვნებათა პყრობილებაში მოქცეულ ფიქრებს, ვნებათა ჭიდილს ქალი თავს ვერ ართმევდა.

იოანე ყველაფერს ამჩნევდა და რატომღაც საფრთხეს ვერას გრძნობდა, ქალის ზნეობრივი სიმტკიცის, ნებისყოფის იმედი ჰქონდა, იმედი ჰქონდა საკუთარი თავისაც, რამეთუ ქალთან სიახლოვეს არ ეძიებდა, იგი მასში შორეულს ელაციცებოდა და მას როგორც ქალს, კიდევაც გაურბოდა, მისთვის სიყვარული უკვე ვნებიანობას აღარ ნიშნავდა, მაგრამ მეგობრის წინაშე მაინც რაღაც უსერხულობას გრძნობდა, რადგან იმაზე მეტს ფიქრობდა ქალზე, ვიდრე ეს მეგობარს მოეწონებოდა. და გადაწყვიტა, რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიექცია ქალისათვის. ქალიც თითქოს მოერია თავს, დასძლია პირველი შემოტევა და ჩვეული სიდინჯით იქცეოდა. ეტყობოდა კი რომ მასში რაღაც ცვლილება მომხდარიყო.

იოანესდა საბედნიეროდ საოცარი რამ ხდებოდა, როგორც კი ქალი დაილაპარაკებდა, მისი ხმა ქარივით ფანტავდა იოანეს მგზნებარებას, და ფრთაშესხმული აღტაცება დარბაისლურ მდინარებას გზას უთმობდა, ეს ხომ მაინც ბორანი იყო და არა ნავი, რომ აფრა აშვებულს გუნების მიერ გაეცურა! იგი მხოლოდ ფიქრთა მდინარეს გადალახავდა და გაიფიქრებდა:

— ჩვენ ხომ ოცნებებით, წარმოსახვებით ვცხოვრობთ და არა შიშველი სინამდვილით!

იოანეს უნდოდა ქალის მიმართ გამოეჩინა ის უწმინდესი, უფაქიზესი გრძნობები, რაც იმ გაუჩინარებულ ადამიანისათვის ვერ გამოეთქვა და მხოლოდ ახლა ხვდებოდა რა სისავსით, უბიწოებით, სილამაზით შეიძლებოდა მათი ერთად ყოფნა!

ქალი ეკითხებოდა:

— რა დაამტკიცებს ცნობასა ღმრთისასა?

— სოლომონ ბრძენზე უკეთ რა უნდა გითხრათ?

— მაინც, გვითხარ ვითარ სცანით აღდგომა შემდგომ სიკვდილისა?

უპირველეს საცნაურ არს იმისა გამო ესოდენ დიდსა და საოცარსა ხელოვნებას, როგორიც არის სიცოცხლე, შემოქმედი მიწის საპა-

ტიოდ არ შექმნიდა, გასასრწნელად არ გაიმეტებდა. არსებას სხეული, როგორც იარაღი, მიენიჭება ამ რთულსა და მრავალფერ სამყაროში თავისი სულის გამოსაძერწად, პიროვნების გამოსაჭედად, რომ სამარადისოს თავისი შესაფერი ადგილი მოიპოვოს და ორთა საქმეთაგანაც საცნაურ არს ეს, რამეთუ განწვალებულ არს ცხოვრება მორჩილთა, ხოლო ურჩთა ვხედავთ შვებითა, ამით უწყი, რამეთუ მართალმან მან ღმერთმან მორჩილთ, აღდგომასა მას უმეტესი პატივი უყოს, ხოლო ურჩნი იგი დასაჯნეს საქმეთა მათთაებრ. მეორედ — საცნაურ არს ქადაგებითა მოციქულთა, რომელნი თვითმხილველ იქმნენ დიდებისა ღმრთისასა, აჩვენებდნენ ნიშნებსა და სასწაულებსა.

ქალმა ამ განმარტებაში, მაინცდამაინც სარწმუნო ვერა დაინახა რა, მაგრამ აღარ ჩაეძია და ახლა შეეკითხა:

— მითხარ მე სახე სიბრძნისა და რად აქვს ნათესავსა ამას ჩვენსა სიბრძნე სიყვარულისათვის კერპთა მიმართ?

იოანემ აქ უკვე გადასწყვიტა იგავით ეპასუხა.

— კაცმან ვინმე შეიპყრა მჭურინავი და დაჰკვლიდა მას, ხოლო მჭურინავმან ჰრქვა: რაისათვის გნებავს დაკვლა ჩემი? რამეთუ არა რაა ჩემთან გასაძღომელი შენი? უკეთუ განსწავლნე სამნი მცნებანი და უკეთუ დაიმარხნე, სცხონდე და სარგებელ გეყოს და უთხრა: „აუწთომელსა ნუ ეწუთები, გარდასულსა ნუ ინანი და რომელი შენთვის არა გინდოდეს ბოროტი, ნურც სხვასა უზამ და სცხონდე“. ხოლო მან რა განუტევა მჭურინავი იგი, დაჯდა სიმაღლესა რტოთა ხეთასა, რამეთუ უნდოდა გამოცდა კაცისა მის, თუ ვითარ დაიმარხნეს მცნებანი იგი და ხმა უყო მაღლით: „კაცო, უკეთუმცა ცოდნილ იყავ და მე დაგეკალ, ჩემსა ინჩაყვსა იდვა მარგალიტი სირაქლემისა კვერცხის ოდენი და იგიმცა შენ დიდი საფასეს შეგძენდა“. და ვითარცა ესმა კაცსა მას, იწყო სინანული და ენება შეპყრობა მისი კვალად და დაკვლა და ჰრქვა კაცმან მან: „ვინაიდან მასწავენ მცნებანი, სხვა არა მაქვს ნაცვალი, რათა მოგიზღო მის წილ, აწ მოვედ სახედ ჩემდა, რამეთუ ზამთარი ესე ფიცხელ არს და მე კეთილად გიღვაწო, განგისვენო და განგიტევო“. ჰრქვა მას მჭურინავმან: „ცუდ არს სწავლა მცნებათა ჩემთა შენდა მიმართ, რამეთუ სამივე მცნებანი აწვე დაჰკარგე. პირველი იგი: რამეთუ გარდასულ არს გაშვება ჩემი და აწ ინანი; მეორე — შეპყრობა ჩემი არს და შეუძლებელ გსურს კი შემიპყრო; მესამე — სიკვდილი შენი არა გნებავს და ჩემსა დაკვლასა ჰლამობ. და აწ ვითარ გწამს, თუ არს ჩემსა ინჩაყუსა მარგალიტი ვითარცა სირაქლემისა კვერცხისა ოდენი, რამეთუ თვის ნაკრტენითურთ არცა ხოლო თუ ნატამალი ვარ სირაქლემისა კვერცხისა“. ასევე უკეთუ ასწავლიდე კაცთა უგუნურთა, არავე ირწმუნებენ და გარდაჰხდებიან მცნებათა ღმრთისათა და თავის თვისით მოგონებულსა დაამტკიცებენ, რამეთუ ხელითა თვისითა შექმნიან კერპნი და ღმერთად თაყვანს სცემენ და არა გულისხმა ჰყოფენ ვითარმედ ერთი არს ღმერთი დამბადებელი და სხვანი დაბადებულნი, იგი მხოლოდ უჟამო და სხვანი ჟამიერ, ყოველი

მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისსა არცა ერთი რა იქმნა და განუმზადებია მორჩილთათვის საშვებელნი, ხოლო ურჩთათვის სატანჯველნი.

— მადლობა ღმერთს, ჩვენ უგუნურებად ვერ შევირაცხებით, რამეთუ, უფალმა იოანემ თავად უწყის, არა ვართ ჩვენ კერპთთაყვანისმცემელნი, ერთი ღმერთი გვიწამებია და მხოლოდ მასთან მისასვლელ გზას ვეძიებთ, — კიდევაც გამარჯვებულის ღიმილით შესედა იოანეს და უთხრა: შენა სარ ჩვენი მეგზურიო.

ეს სიტყვები ისე ორაზროვნად იყო თქმული, თითქოს დამცინავ კილოთიც კი, რომ იოანეს გულის სიღრმეში ეაკაკრა, სულის ამბოხმა გამოაფხიზლა და ინარჩუნებდა რა გარეგნულ შეუვალობას, მეტის სიდინჯით პასუხობდა ქალს, რომელიც კვლავაც შეკითხვებით მიმართავდა:

— რა არს სიკვდილი?

— რა არს სიკვდილი? — გაიმეორა კითხვა იოანემ და მის ხმაში უკვე მრისხანე ბგერები ეაისმა, უნდოდა ეთქვა, რომ არის ორი სიკვდილი, ერთი ყველასათვის გარდუვალია, მეორე კი ყველას არ შეეხება, ისიც უნდოდა ეთქვა, რატომ და როგორ, მაგრამ სთქვა მხოლოდ:

— ...სიკვდილი ზღვარია, საიდანაც იწყება სამარადისო. ქრისტეანობა კი ხიდია ცხოვრების მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად, ხიდი, რომელზედაც სიკვდილი ყველას ერთნაირად შეაყვარებს და, თუ ვერ გაიგებ რა არის სიკვდილი, ვერ ჩასწვდები უკვდავებას, ვერ მონასავ სწორ გზას. ქართველი იტყვის კაცი კი არ მოკვდა, გარდაიცვალა, ანუ ფერი იცვალა და მხოლოდ...

აღარ დაამთავრა იოანემ, გრძნობდა მეტი აღარ შეეძლო და ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა იქაურობას.

იოანე იმ დღეს მოსწრაფებულად წამოდგა წასასვლელად, არც მათ დაუყოვნებიათ, არ უთხოვიათ დარჩენა, აშკარა იყო, მეგობრობა გაიბზარა.

დამშვიდობებისას თუ თავადს მედიდურობის ღიმილი უკრთოდა თვალთახედვაში, იოანეს სეტყვის ღრუბელივით ჩამოსწოლოდა შიში, სულის სამყაროს ნგრევაზე რომ აფიქრებინებდა და ესეც დასტური იყო თავისი გადაწყვეტილების სისწორისა.

სინას მთისაკენ გზას კი უკვე რაღაცისაგან განთავისუფლებულის, სილაღის გრძნობითაც კი მიჰყვებოდა. გონება მოეხმო განმგებელად. გრძნობებზე და საკუთარ თავზე ბასრობდა, ღმერთს ჰმადლობდა, რომ ხიფათს განარიდებდა და ვიდრე სენაკის კარს შეაღებდა, მის სულში უკვე სინათლე ელვარებდა — ეს იყო შეუჩერებელი სწრაფვა შეუცნობელი მიზნისაკენ, ეს იყო სულის უსაზღვრო ქროლვა, ძიება ნავსაყუდელისა მეორე ადამიანში, ეს იყო თავდავიწყება, იგი თავის საოცნებოს არასოდეს უღალატებდა და ეს გატაცებაც ისევ მისი ხატების თაყვანისცემას მოასწავებდა და იმ ღამეს სოლომონის „ქებათა ქებას“ შეასხამდა მის გაცოცხლებულ ხატებას:

„ასულნო იერუსალიმისანო, სად წავიდა მოყვასი შენი, კეთილო

დედათა შორის, სად მიდრკა მოყვასმან შენმან და ვიპოვო იგი შენთანა, ვითარცა საყოველნი კედარისანი და ვითარცა კრეტსაბმელი სოლომონისა! შენ, მასლობელო ჩემო. უმჯობეს არიან ბაგენი შენნი უფროს ღვინისა და სურნელება სამოსელთა შენთა ვითარცა კეთილსულნელება ლიბანისა, მსგავს არს მოყვასი ჩემი ქურციკსა, ნუკრსა ირემისასა, მთათა ზედა ბეთლემისათა... მოყვასო ჩემო, ვითარცა შროშანი ეკალთა შინა... მე მძინავს და გული ჩემი მღვიძარე არს. ხმა მოყვასისა ჩემისა ბრეკს კარსა შინა. ვეძებდი მას და არა ვპოვე იგი. ვინ არს ესე, რომელი აღმოიჭვირვების ვითარცა ცისკარი, ვითარცა სათნოება, ვითარცა მთოვარე, რჩეული ვითარცა მზე, მშვენიერ — ვითარცა იერუსალიმ, საკვირველი — ვითარცა განწესებული. წყლულ ვარ სიყვარულითა, რამეთუ ძლიერ არს ვითარცა სიკვდილი სიყვარული, ფრთე მისი ფრთე ცეცხლისა, ალი მისი არ ძალუძს წყალსა მრავალსა დაშრეტად სიყვარულისა და მდინარე ვერ წარღვნის მას...“

თავი IX

სერგი

მამა თეოდორე ხალისიანად დასდგომოდა გზას ვინმე სერგის საძებნელად. სიცხით გათანგულ დღეს პირქარი აგრილებდა. ათასფრად გადაფეთქილი მთა-ველი გულის სიღრმეში მიყუჟულ იდუმალებას მათთან საალერსოდ უხმობდა, ზღვით მონაბერ სურნელს იყნოსავდა, ფრინველთ ჟღურტულთან ერთად საგალობელს ღიღინებდა.

მიდიოდა, მიდიოდა და ალექსანდრიასაც მიაღწია. კითხვა-კითხვით სერგისაკენ გზას იკვლევდა.

ერთი ხნიერი დედა ქალი კი აჩრდილივით ასდევნებოდა, იგრძნო თეოდორემ მისი გამჭოლავი მზერა და მოუხედა.

ქალი იგი სახეზეც არ შეხედავდა, წყრომით კი შეაგონებდა:

— ძეო ჩემო, ჭეშმარიტად მონაზონი ხარ, ახალგაზრდა და არაა საჭირო ქალაქს გარს უარო. არ იცი, რომ მონაზვნობას ხამს განმარტოვება? ნუ დადიხარ და სოფლებში ღამეს ნუ ათევ, უდაბნოშია შენი თავშესაფარი.

— იმ დღიდან, რაც მონაზვნობა მივიღე, არ მაგონდება ცოდვილ ადამიანებს დავახლოვებოდე, — აუღელვებლად მიუგო თეოდორემ.

მაგრამ მოხუცი ისე აბუტბუტებულიყო, არ ცხრებოდა.

თეოდორე გააბეზრა მისმა შეუჩერებელმა შეგონებებმა და უკვე გულმოსულმა უთხრა:

— მიხსენ ამ შენს ლაპარაკისაგან, თუ შეგიძლია დამეხმარე, მეპატრაკე სერგის ვეძებ!

მაშინ, ქალმა თითით ანიშნა:

— აგერ, შენი მეპატრაკე, შესაკრებელთან ზის.

თეოდორემ მის კილოში დაცინვა ამოიკითხა და როგორც კი შეესაკრებელს მოუახლოვდა, შემოესმა, როგორ ხმამაღლა და ნიშნის გებით გადაიხარხარა იმ ქალმა, გაიგონა კიდეც მისი გესლიანი სიტყვა: გიცნობთ, გიცნობთ, რა წმინდანებიცა ხართო! თეოდორეს უეცარმა აზრმა ისეთი ძალით გაუელვა, რომ თვალები გაუნათდა, მიხვდა, ეს ქალი სწორედ ის უნდა ყოფილიყო, ვინც ცილი დასწამა, და შიშმა შეიპყრო, ვაითუ, ყრმას მიაგნოს, შეიტყუოს და მაშინ თეოდორე ყველაფერს ერთბაშად ჰკარგავდა. ახლა იგი სერგიზე სულაც აღარ ფიქრობდა, ვერცკი შეამჩნია, როგორ აღმოჩნდა სერგისთან. ვერ ხედავდა ამ განცხრომით მოღიღინე ადამიანს, განცვიფრებით რომ შეჰყურებდა მას.

სერგიმ იფიქრა, მეტად მორცხვიაო, და სქიმას მოსწია, თითქოს უნდოდა ეთქვა: შენისთანებიც გვინახია ჩვენს საშვებელშიო.

თეოდორე გონს მოეგო და დაბნეული ხმით ჰკითხა:

— შენა ხარ, სერგი?

— ჰო, მე ვარ.

— სათქმელი მაქვს შენთან, — ძლივს წარმოსთქვა თეოდორემ.

— კეთილი, დაჯექ, საიდან მოხვედ და რა გსურს ჩემგან? — ისეთი თანამგრძნობი ღიმილით წარმოსთქვა სერგიმ, თითქოს წინასწარ იცოდა, რაც უნდა ეთქვა თეოდორეს.

— აქ ვერაფერს გეტყვი, — ამბობდა თეოდორე და თან დაბნეულად მიიხედ-მოიხედავდა, ის ქალი კიდევ ხომ არ მითვალთვალებსო, და შევიდნენ ქულბაქს.

სერგის უგემურად ეღიმებოდა, უბრძანა მექულბაქეს, საჭმელთან ერთად სასმელიც მოეტანა. ფიქრობდა, ბერს გამბედაობა მიეცემა და სათქმელსაც დროზე იტყვისო.

მშიერმა თეოდორემ მორჩილად გაიზიარა მასთან ტრაპეზი, სასმელს კი მოერიდა.

სერგის ღვინის ციალი უფრო ხიბლავდა, ვიდრე თეოდორესთან საუბარი, საჭმელსაც ისეთი ნეტარებით ეტანებოდა, თითქოს უწმინდეს საქმეს აღასრულებსო.

თეოდორე ისევ მოკრძალებით უმეორებდა:

— სიტყვა მაქვს შენთან, სახლში წამიყვანეო.

სერგიმ უნდობლად გახედა, გაკვირვებული მზერა შეაჩერა მასზე, თვალებში ცნობისმოყვარეობამ გამკილავად გაიკიაფა, მხარზე ხელი ისე დაჰკრა, გეგონებათ თავისი ფიზიკური ძლიერება უნდოდა ეგრძნობინებინა.

თეოდორე წელში მოიხარა და ქვევიდან გახედა.

სერგიმ თავი მოიფხანა და წამოსასვლელად რომ წამოდგა თქვა:

— თავაზიანობას თავაზიანად ვუპასუხებ, დარტყმას — დარტყმითვე მოვიგერიებო.

მოვიდნენ სერგის სახლშიც.

თეოდორემ აღარ იცოდა, საიდან დაეწყო და შეეკითხა:

— ღმერთი თუ გწამსო?

— ღმერთი, ბრიყვსა და უბირსაც კი სწამს და მე როგორ უნდა შევიტანო იჭვი მის არსებობაში?! — გაიკვირვა სერგიმ.

— მე გეძებდი, როგორც მეპატრაკეს, ტყავით მოვაჭრეს, შენ კი შესაკრებელის პატრონი ყოფილხარო, — თქვა თეოდორემ და სახეში ჩახედა.

— ჰო, ჩემი ხელობა ტყავით მოვაჭრეობაა, ფული რომ დამიგროვდა, შესაკრებელი შევისყიდე. უფრო სარფიანია, შრომაც ნაკლებია, ტყავის სუნსაც სუნამოების სურნელება ვარჩიე, ასე უფრო საამოა ცხოვრება, — მიუგო სერგიმ და მუხუდოს ტკვერვა დაიწყო, თან ფიქრობდა: ამას რა, ჩემთან მოსურვილება ხომ არ განუზრახავს, მამათმავალი არ იყოსო და ცერად გახედა.

თეოდორემ მის გამოხედვაში უკვე ნათლად ამოიკითხა მასპინძლის ფიქრები და რომ არ გასცინებოდა, თვალთახედვა მოარიდა, დაბლა დახარა თავი, რამაც სერგი კიდევ მეტად დააეჭვა, თავის გუმანში დაარწმუნა და მუხუდოს ტკვერვას უმატა.

თეოდორეს მუხუდოს ტკვერვა აღიზიანებდა, ზვიგენის კბილების ელვარება აშფოთებდა და შიშნარევი ხმით წარმოსთქვა:

— მერე და, ხომ ცოდვაში ჩამდვარხარ, ტყავით ვაჭრობას ადამიანის სხეულით ვაჭრობა გიმჯობინებია.

— ვეჭვ! — ისეთ რიხიანად წარმოსთქვა სერგიმ ეს ერთმარცვლოვანი სიტყვა, რომ თეოდორე ახლა გაკვირდა.

— შენ, თუ იცი, რა არის ფსალმუნი? — უნდოდა თეოდორეს დავითი დაემოწმებინა, მაგრამ სერგიმ არ აცალა:

— მე რად უნდა ვიცოდე, მედავითნემ რაღა გააკეთოს? კაცო ღმრთისაო, იმაზე, რასაც ღვთის მსახურნი ცოდვას იტყვით, უმეტესი ადამიანური თვისებებია. მე ხომ მოძალადე არა ვარ, თვითონ მოდიან და მადლიერებიც მიდიან, საწყლები არიან, აქ საშვებელს ღებულობენ, ზოგი ადამიანის მოდგმის გაგრძელებისათვისაც კი მოდის.

თეოდორემ იფიქრა, ეს ვის მივმსგავსებივარ, ლამის ნადირს ვედრებიო, მაგრამ მაინც თქვა:

— ხო, მაგრამ, სიცოცხლეცა და სინდისიც ხომ ერთხელ ეძლევა ადამიანს სამარადისოს მოსაპოვებლად?!

სერგის გამჭირდავად გაეცინა:

— მართლაც ერთხელ ცხოვრობს ადამიანი და რამდენი ზღაპარიც არ უნდა მოჰყვე, სიკვდილთან ერთად ყველაფერი ქრება. სულელი იქნება ის მამაკაცი, რომელსაც სიამოვნების საშუალება მიეცემა და უარს იტყვის. კეისრები და შაჰები ჩემზე ბევრად ჭკვიანები არიან და მეტ ფუფუნებაშიც ცხოვრობენ, — ცბიერი სერიოზულობით გახედავდა, გულგვამში კი დაუოკებელი სიცილი უტრიალებდა.

საწუთროს შემტკბობელი ადამიანის უსახურება, ცხოვრების ცვალებად ტალღებს რომ აჰყვებ-დაჰყვებოდა, თავისთავის თაყვანისმცემელი უფრო საზარლად გამოიყურებოდა, ვიდრე ცეცხლისა, თუ გინდ

მთვარისა. მასთან ღვთაებრივ საგანზე სიტყვის ჩამოგდება, ღვთისავე შეურაცხყოფად მიიჩნია თეოდორემ. გუნებაწამხდარმა ზმანებაც ცდუნებად ჩათვალა, წასვლა დააპირა და უთხრა:

— ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ და ნუთუ საწუხარი არაფერი გქონია?

— საწუხარი ვის არა ჰქონია, რომ მე არა მქონდეს? — უპასუხა სერგიმ.

— ჰოდა მოინანიე, თუ რამ ცოდვა ჩაგიდენია და ნახავ, რომ სინანულით მიღებული შვება ყველა სიამოვნებაზე უმეტესია.

— შურისგებაში რომ შვება მიგრძვნია, — ამბობდა სერგი, — იმაზე უმაღლესი რაღა იქნება? ბოღმა ბალღამივით რომ დამინთხევია, იმაზე მარგებელი რამ მალამო იქნება? რა გამისილაქებია, რა ალიყური მიჭმევია! ამას წინათ ისეთი ვდრუზე ჩემს გამქირდავს! — ამბობდა სერგი და სიცილისაგან ლამის ყბები მოჰქცეოდა.

თეოდორეს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. შეტრიალდა.

— ...ჰო, — განაგრძობდა სერგი, — ბოროტება ზოგჯერ შვებასაც ნიშნავს, მაშინ მე ვლოცულობ კიდეც სამადლობელოდ.

— ადამიანს გასსოვდეს ბოროტება და ლოცულობდე, იგივეა, ზღვაზე სთესდე და მოსავალს ელოდე! — ამბობდა გაოგნებული თეოდორე.

— მე არ ვიცი, შენ რას ლაპარაკობ, — უკვე ბრაზმორეული ამბობდა სერგი, — მაგრამ ვიცი, რომ კაცი ვარ და ჭკუაც სწორედ იმისთვისა მაქვს, რომ, რასაც ვაკეთებ, მერე აღარ ვინანო.

— სინანული და მონანიება სულ სხვადასხვაა, — ამბობდა თეოდორე, მაგრამ გრძნობდა კი, რომ უადგილო, უსარგებლო იყო ახლა მისი ქადაგებანი, ისევე, როგორც ცივი რკინის გამოჭედვა იქნებოდა შეუძლებელი.

— მე დამახრჩობდა ეს ცხოვრების ზღვა, — განაგრძობდა სერგი, — ისე რომ არ ვიქცეოდე, როგორც ჩემი გუნება მთხოვს.

— ადამიანს ცხოვრების ზღვა კი არ ახრჩობს, — ამბობდა უკვე სახეშეშლილი თეოდორე, — არამედ, საკუთარი სულის წუმპედ ქცეული გუბე.

— თქვენში რომ მამათმავლობას ამბობენ, იმას რა მონანიება შველის?! ჩალადაც არ მიღირს ეგ თქვენი სინანული?! — ცხარობდა სერგი და უკვე მოთმინებიდან გამოსულს თვალთაგან ნაპერწკლები სცვიოდა.

— თუ გაცხადდა, იმას აღარაფერი შველის, მას ღვთის სამსახური ეკრძალება, — სთქვა, უკვე კარებთან მისულმა თეოდორემ.

სერგის გული ყელში მობჯენოდა, სიტყვის დამთავრებას აღარ აცლიდა. ახლოს მოვიდა მასთან, ძერასავით დააცხრა, მაგრამ მხოლოდ შეანჯღრია, რადგან სტუმრის თვალებში რაღაც შემაკავებელი ამოეკითხა და ხელი შეუშვა:

— ამ ყბედობისათვის მოხვედი აქ? ეს იყო შენი საქმე? — ღრიალებდა სერგი.

ამ მუქარამ თეოდორეს ხასიათი გამოავლინა — გამომწვევი იერი მიიღო, და სერგიმაც უკან დაიხია.

— გაფიცებ, — დაკვირვებული მზერით ამბობდა თეოდორე, — მითხარი ცხოვრება შენი, არა დაფარო რა. თუ გაგიკეთებია სიკეთე ვინმესათვის?

სერგი მიხვდა, რომ თეოდორეს თავისი სათქმელი ჯერ არ ეთქვა და ოდნავ ლმობიერი, მომთმენი ღიმილით უპასუხა:

— შენი თვალით ნახე მოედანზე მეძავთა თანა განვცხრებოდი, სხვა რაღა ცნობა გნებავს?

— აი, რა მნებავს, — ლამის ბრძანებით წარმოსთქვა თეოდორემ, — ქრისტე არს ჩვენს შორის, — პირჯვარი გადაისახა და განუცხადა მოსვლის მიზეზი.

სერგიმ სულთ ითქვა, სახე გაუნათდა, ღმრთივ ბრძენად დაინახა ის, ვისაც ეს არის ყბედი უწოდა.

— შემინდე, ძმაო, უკეთუ ესე ესრეთ არს, — თავი დაღუნა სერგიმ, — ერთხელ მაინც რომ მენახა ღმერთი!

— თუკი ჭეშმარიტად ინდომებ, მისი დანახვა ყველგან და ყოველთვის შესაძლებელია, — სთქვა უკვე გამხნევებულმა თეოდორემ.

სერგი ერთხანს სდუმდა, და მერე ერთბაშად დაიწყო:

— ერთხელ ვიხილე ქალი, ფრიად მშვენიერი, ქსოვდა იგი ფასითა. მე გულმან მითქვა მისთვის და ვუთხარი იმ დედაკაცს, რომელთან ერთად ქსოვდა: ვინ არის ეს ქალი? ამ ქალაქისაა, მითხრა და ვსთქვი: უთხარი, რათა დაწვეს ჩემთან, ხოლო მან მითხრა: არ შემიძლია ამის თქმა, იგი წარჩინებულთაგანია და თუ დღეს ამ ზომამდეა დასული, ეს იმიტომ, რომ მისმა ქმარმა ისესხა მთავრისაგან 100 დრაჰკანი, ვერ დააბრუნა და მთავარმა იგი შეაყენა საპყრობილეში, მასთან მისი ორი ძეც დაიმონა, ამის გამო ეს ქალი ასეთ ჯაფაშია, რათა რითიმე შესძლოს მათი გამოსყიდვა. რა მოვისმინე ეს, მაინც ვთქვი: შენ უთხარი, რომ მოვიდეს ჩემთან და მას 100 დრაჰკანს მივცემ. ხოლო დედაკაცმა კვლავ მითხრა: არცა მგონია, რომ ყოს ესე, რადგან ვიცი, ფრიად ღირსეულიაო. მე კი ისევ გავუმეორე, მიდი და უთხარი, უარს იტყვის თუ არ იტყვის, ეს შენ არ მოგეკითხება, მაშინ დამმორჩილდა და უთხრა მას. ხოლო იმ ქალმა რა სულ ითქვა, ტირილით თქვა: „ღმერთი მოწყალეა და შემინდობს ამ ცოდვას სამთა სულთათვის, უწყის მაღალმან, რომ დღემდე არ ვიცი სხვა მამაკაცი გარდა მეუღლისა ჩემისა". მე წავედი სირბილით, ავიღე ასი დრაჰკანი და მივეცი ხელში. მან. მიიღო ის დრაჰკანი ცრემლითა და სულთქმითა, შევიდა სენაკში და თქვა: „უფალო ღმერთო, შენ უწყი წუხილი ესე ჩემი და შემინდვე ცოდვა ესე ბოროტი". და რა მესმა ეს ხმა, დაიკოდა გული ჩემი და ვთქვი ჩემს გონებაში: უკეთუ ეს ესე წუხს, მაშ, რად არ მივალ მათთან, რომელნი ჩემს ხელთ არიან, ვისთანაც მინდა აღვისრულებ ნებასა ჩემსა? და გავუშვი ქალი იგი დრაჰკანით უვნებლად და წარვიდა და განათავისუფლა ქმარი და მისი ყრმანი მისნი.

თეოდორეს თვალები გაუბრწყინდა და თქვა:

— შენ მარტო სიკეთისათვის კი არა ხარ საქები, არამედ უმეტეს იმისათვის, რომ შეგეძლო ჩაგედინა ბოროტება და არ ჩაიდინე. ბოროტებაა, როდესაც შეგიძლია სიკეთის გაკეთება, შენ კი თავს იკავებ.

სერგი თითქოს არც უსმენდა მას და განაგრძობდა:

— უკეთუ, ეს მიუთვალავს ღმერთსა და ამის გამო ღვთისა მიერ მოხვედ ჩემთან, მოგითხრო სხვაც: იყო მთავარი ერთი მძლავრი, შორს მდგომი ეკლესიისაგან. ერთ ღღეს გაიარა ამას ქალაქს, სადაც არის მონასტერი დედათა და ისილა მათგანნი მონასტრის ეზოს. გულმა უთქვა მათთვის. აღარიცხვინა და ჰპოვა 70 ქალწული. მაშინ მოვიდა ჩემთან და მიბრძანა: როგორც გნებავს ყავ და ოდეს ვითხოვო მომიყვანდე მათ, ვიდრენდის გასრულდეს რიცხვი ესე 70-ისა. როცა ვისილე და მესმა, ვთქვი ეორებასა ჩემსა: ვაჰ მე ცოდვილსა ამას! რამდენი წელი მარხვითა და ყოვლითა შრომითა დაიცვენ თავნი თვისნი უბიწოდ და ჩემი ძალით უნდა შეიგინნენ ბილწისაგან. ვიფიქრე ბევრი, ვითხოვე ღვთისაგან რათა მომეცეს ცნობა მონაზონთა განსათავისუფლებლად ამ შეგინებისაგან, ხოლო ღმერთმან მომცა აზრი კეთილი. აღვდეგ და მივედ მათთან, მეძავთან, რომელნიც ჩემს ხელთ იყვნენ. განუყავ მათ ყოველი მონაგები ჩემი ძალით დავარწმუნე, რათა მოიპარსნონ თავი და შეიმოსონ სქიმა მონაზონთა და შევიყვანე რა იმ მონასტერში იქ დავტოვე, ხოლო იგი ქალწულნი წავიყვანე და დავმალე სხვა ადგილას და მივცემდი იმ მთავარს ყოველთა დღეთა მეძავთა, ვიდრემდის გასრულდა სამოცდაათი. და როდესაც განსრულდა, მაშინ წავიყვანე ქალწულნი იგი და შევიყვანე მონასტერსა და მინდოდა გამომეყვანა მეძავნი იგი. ხოლო მათ, როცა ისილეს მხევალნი იგი და სძალნი ქრისტესანი, აღარ ვამოვიდნენ იქიდან, არამედ თქვეს: უკეთუ ღმერთმა ღირს გვყო ჩვენ შევმოსილიყავით წმიდის სქიმით, ამიერიდან აღარ მივბრუნდეთ ჩვენ გარყვნილებასა, წარმწყმედელთა სულთა! და დაადგინენ იგინი იქაურ მონაზვნებასა და წმიდა და სათნო ეყვნეს ღმერთსა სინანულითა წმიდითა.

თეოდორემ ადიდა შემწე და მხსნელი მათი და უთხრა სერგის:

— მერწმუნე, ძმაო, აწ უწყი, რამეთუ არა ხოლო ჩვენი თანასწორი ხარ სათნოვებითა, არამედ უაღრეს ხარ ჩვენსა, რამეთუ დაგივიწყებიეს ესოდენ დიდი სიკეთე და შენს დიდებულებას კიდევ უფრო გააბრწყინებ, თუ დაიხსომებ იმ სიკეთეს, რომელიც შენთვის გაუკეთებიათ. ხოლო აწ, ლოცვა ყავ ჩემთვის, რათა დავბრუნდე მშვიდობით ჩემს სამყოფელსა.

— როგორ? მე ვილოცო შენთვის, რათა წახვიდე? ცხოველ არს ღმერთი ჩემი უკეთუ შენთანა შერაცხილ ვარ, არათუ გაგიშვებ, მეც შენთან წამოვალ, — წამოიძახა თვალცრემლიანმა სერგიმ.

— თუ მართლაც შენ ამას იქმ, შენ ჯერ კიდევ სიბერის კართან მისული არ იქნები, რომ ამ ღღეს ღალოცავ.

მაშინ აღივსო სიხარულით სერგი და ერთმანეთს გულითადად გამოეთხოვნენ.

წავიდა მამა თეოდორე ღვთის სიყვარულით აღშენებული.

მარტოდ დარჩენილი სერგი ქარიშხლისაგან გატაცებულ ხომალდსა ჰგავდა, რომელსაც გადარჩენის იმედი არ დაეკარგა. მის სულში იბრძოდა სინათლე და სიბნელე. ამ თავისუფალ და მეამბოხე ბუნებაში თეოდორეს გაცხადებას ისე შთაენთქა ბიწიერება, როგორც ცეცხლს — ბურბუშელა. მას ახლავე უნდა ეყარა წილი — ამქვეყნიური კეთილდღეობა და სამარადისო ცხოვრება? თუ იგი ახლა დაცემულია, მაშ, მაღლითაც მდგარა — ამაში თავის ძალას ხედავდა, ამ ძალაშივე იყო ის თვითნებობაც, რომელიც ცხოვრებისათვის აფლანგვინებდა.

შესაკრებლის ღია კარი საპყრობილის ჩარაზულ კარად ეჩვენა. თეოდორეს გახსენებაზე კი სახე ისე გაუნათდებოდა ხოლმე, თითქოს ღვთაებრივ ნათელში იმყოფებოდა. მემრუშეთ ზედაც არ შესედავდა, საფასურს გაურჯელად მიაწოდებდა და ხედავდა ესოდენი მადლიერებით და გაკვირვებით რომ შესციცინებდნენ — ისინი ხომ მხოლოდ საფასურისათვის მოდიოდნენ მასთან?! სერგის უნდოდა მათთვისაც ერჩია გასდგომოდნენ ამქვეყნიურ ხრწნილებას, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მათთვის სასაცილო გახდებოდა და დუმილს არჩევდა.

იმ შობა დილას კი მან თითქოს პირველად დაინახა ის, რასაც ყოველდღე უცქერდა — გააკვირვა მის სარკმელთან ათეული წლების მანძილზე მდგომმა მარად მწვანე კვიპაროსების სიდიადემ, პირველად შეხედა ცაზე ამომავალ მზეს, გაუღიმა, თითქოს იგიც მოუწოდებდა, ღამით კი ღრუბლებიდან ამოცურებული მთვარე თითქოს რაღაც იდუმალის გაცხადებას ჰპირდებოდა, ეკლესიის ზარის ხმაში ესმოდა მოწოდება მიეტოვებინა მიწიერი საზრუნავი და მარადიულისათვის ეზრუნა. დუღდა დაწურული ყურძენი, დადუღებული კი ახალ ჭურჭელს მოითხოვდა, რათა ნალექი ჩამოეცილებინა.

იმ დღეს გადაეწყვიტა კიდეც არჩევანი. მოსწრაფებულად გაყიდა შესაკრებელი, საფასური განუყო გლასაკთ, ერთ მონასტერს მიადგა და ითხოვა მორჩილება.

წინამძღვარმა იცნო, არ ეამა და ცივად მოუჭრა:

— ვერ უძლო შენ აქ დადგომადო.

— თუ მონაზვნობის ღირსი არა ვარ, — ევედრა სერგი, — მიმიღე მონასტრის მეპატრაკედ და თუ ნახო ღირსება რამე ჩემში, ნუ დამიკარგავ.

წინამძღვარი იჭვის თვალით გახედავდა, ეგონა ხუმრობდა სერგი, მაგრამ მის თვალებში რომ სახუმაროს ვერას ხედავდა, შეაგონებდა:

— ერში სიწმინდით მოღვაწე ადამიანი შესაძლოა უფრო მისაღებიც იყოს ღვთისათვის, ვიდრე მონასტრის უღირსი მსახური, შენც შესცვალე შენ ცხოვრებაში რაც საუგოა და შეგინდოს უფალმა.

სერგის თვალებმა დაკვესეს, მოსმენაც არ უნდოდა, ხელებს იქნევდა, ბოლოს დაემხო მის წინაშე მუხლებზე და შეჰღაღადა:

— აღსარებაზე ვარ, მომისმინეო.

წინამძღვარმა დაჩოქილს თავზე ოლარი გადააფარა, ჯვარი გადასახა, იდუმალ ლოცვა წარმოსთქვა და უთხრა:

— ქრისტე არს ჩვენს შორის, ინანიებ შენს ცოდვებს?

— ვინანიებ, ვინანიებ, შემინდოს უფალმა, — მიწამდის თავდახრილი ცრემლებითა და სულთქმით ამბობდა სერგი და თან ყოველივე მიზეზს განუცხადებდა..

— ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნეს უშჯულოებანი და რომელთა დაეფარნეს ცოდვანი, — თქვა წინამძღვარმა და წამოაყენა ცრემლებისაგან დაოსებული სერგი.

წინამძღვარს სახე შესცვლოდა, სერგისადმი მოწიწებით განმსჭვალული, მზად იყო მაშინვე შეეყვანა სენაკში და კურთხევა განეღო მისი მონაზვნობისათვის, მაგრამ სერგი კიდევ ვერ დაშოშმინებულიყო და ისევ ცრემლებით მოსთქვამდა:

— მე შეურაცხ ვიქმენ, ვითარცა პირუტყვი და უფალმან აღმინთო სანთელი ჩემი, იხსნა სული ჩემი სიკვდილისაგან და ფერხნი ჩემი ბორკილისაგან. აწ მყავ მე შემწედ მაცხოვრებისა და მოძღვრებამან შენმან განმსწავლოს მე.

— შენი სიტყვა და ღვთის ნება ერთი იყოს, — წარმოსთქვა უკვე საზეიმო ხმით წინამძღვარმა და იმ დღიდან სერგი მონასტერს დარჩა.

თუ ადრე სერგისათვის მონასტერი საპყრობილეს ნიშნავდა, სადაც იძულებით შეამწყვდევდნენ სამეფო კარის დამნაშავეთ, ან დევნილნი მთავართაგან თავს აფარებდნენ სიკვდილის შიშით, ნებით მისულნი კი მას მცონარებად, ან გონებადახშულ ადამიანებად მიაჩნდა, ახლა აქ, მაღალი გალავნით შემოზღუდულ კედლებში უჩვეულო თავისუფლებას შეიგრძნობდა, აქ ხედავდა გამართლებას ადამიანის ცნებისა, აქ თავისი ბაბილონის გოდოლი აღემართა და სიმაღლიდან გაჰყურებდა ქვეყნის ჯახირს. კაცი, რომელიც სასმისის ფსკერზე პოულობდა უდიდეს შვებას, ახლა ბარძიმიდან მიღებული ზიარების წვეთები ანიჭებ-, და ნეტარებას და ცას ეწეოდა მისი სიხარული.

ფეხაკრეფით დადიოდა, ჩურჩულით ლაპარაკობდა, გრძნობდა, სული სხეულზე როგორ მძლავრობდა. ღამით ყველას კაპაგონებს დაუსინჯავდა, დაუკერებდა, დაუსუფთავებდა და გათენებისას კი თავს მოიმძინარებდა, რომ მადლობა არავის ეთქვა.

ფსალმუნებად შესცვლოდა ამაოდ მეტყველება, გულფიცხობა — მორჩილებად, როკვა — მუხლთდრეკად, ხორცთა მღერანი — ხორცთა გვემით, გემოთმოყვარეობა — მარხვით, ძილის მოყვარეობა — მღვიძრობით, ჯავრისყრა — მოთმინებით, ვერცხლისა და ოქროს მოყვარეობა — სასოებითა ღვთისა.

თავი X

განთავისუფლება

თავადის ოჯახში დიდი განსაცდელი ტრიალებდა. ქალს ტრფიალი გამოუნელებელ სევდად ჰქცეოდა. გზნება ცეცხლად ედებოდა, თითქოს წყალქვეშა კლდეს წასწყდომოდა, ვნებათა ღელვის ქარიშხალი შეჭრილიყო სულის მყუდროებაში და სხეულის გმინვაღა ისმოდა. აღარ იცოდა რა ეღონა, რამეთუ გონება დაბნელებოდა. იოანეს განრიდებაც აღაშფოთებდა, გულგრილობად და სისასტიკედ მიუთვლიდა და იქადნებოდა, რომ ზეციური მართლმსაჯულება ამ გულქვაობისათვის დასჯიდა; ვნებიან კვანძში ჩახლართულიყო თვით ცხოვრება, იმედი აღარაფრისა იყო და უკვე დაუძლეველ სენით პყრობილი სარეცელს მისჯაჭვოდა.

ხედავდა თავადი, როგორ მისცემოდა ქალი საგონებელს, ჭამაც კი აეკრძალა და თვალდახუჭული, მეუღლესთან საუბარსაც ერიდებოდა.

ვერანაირი მიდგომით თუ დაკითხვით, ქმარი ცოლისაგან მიზეზს ვერ იგებდა. არაერთხელ ეცადა ქალიც მასთან აღსარებას, მაგრამ სირცხვილი ჰბოჭავდა.

თავადისათვის საეჭვო აღარაფერი იყო, ამას იოანეს განრიდებაც ემოწმებოდა, იოანე მის თვალებში ახლა უკვე მაცდურად, ცბიერად გამოიყურებოდა, მასში ახლა მხოლოდ კაცსა და მზაკვარს ხედავდა.

ცოლს მკურნალნი მოუყვანა.

ქალის სატკივარს არას უჩიოდა და მკურნალთაც თქვეს:

— არა არს ამასთან სენი ხორცთა, არამედ სულისა.

რა წავიდნენ მკურნალნი, დაჯდა თავადი ქალს და ეკითხა:

— მითხარი, რა არის საქმე შენი?

ხოლო ქალი შეძრწუნდა, შერცხვა და ვერ აღიარა.

ბოლოს, ქმარი რომ აღარ მოეშვა, თქვა:

— შენ იცი, უფალო ჩემო, გინა თუ სიყვარულით, გულუბრყვილობითა, თუ ალალმართლობით, მოიყვანდი აქა მეეობარსა, რომელი არს მსახური ღვთისა, შევძრწუნდი მისგან ვითარცა მთვრალი და ყოველი სიბრძნე ჩემში დაინთქა.

თავადს ახლა უკვე თავის დიდბუნებოვანება, ნდობა უგუნურებად ეჩვენა და გულგასენილი, ფიქრთა ქარღვარით იოანესთან შესახვედრად გასწია, გასწია, მაგრამ უნუგეშობა და შეურაცხყოფის გრძნობა თან მისდევდა, რას მოუტანდა ეს შეხვედრა?!

ფერისცვალების დღესასწაული იყო და იერუსალიმში იყრიდა ყველა თავს. ისმოდა საზეიმო ზარების რეკვა, რომელიც ყველას მოუწოდებდა მიწიერი საზრუნავების მისატოვებლად და სამარადისოზე საზრუნავად.

იოანეც აქ იყო; აღტაცებულ ადამიანთა გარემოცული, რომელნიც ხარბად იჭერდნენ ყოველ მის სიტყვას.

ამ წყნარ ჯანყში მედღესასწაულე დღისა იოანე განთიადს განსჭვრეტდა, მხიარულ გუნებაზე იყო და ზღვა ხალხში თავადი ვერც შეენიშნა, იგი კი შორიახლოს, არწივივით დაფოფრილი იდგა. მისთვის თითქოს დღეც დაბნელებულიყო, არავისთან არ საუბრობდა, მაგრამ დუმილი შინაგან შფოთს ვერა ფარავდა, სახეს ერთთავად სარკასტული ღიმილი უსერავდა.

იოანეს სახე უცინოდა, ენად გაკრეფილიყო. წინა ღამეს მაკარი დიდის ნააზრევს ისე დაეპყრო, ისე შეესისხლხორცებინა პავლე მოციქულის ქადაგებანიც, საკუთრებად მიეჩნია და ყველას გასაგონად ამბობდა:

— ვითარცა ასონი ერთისა გვამისანი, ადამიანები ერთნაირად საჭირონი არიან ურიერთთათვის, ერთს არ შეუძლია მეორის გარეშე იცხოვროს. ასოთა შორის არ არის ერთი დიდი და საპატიო, ხოლო მეორე მცირე და შეურაცხი, ასონი აღემატებიან ერთმანეთს ერთნი სილამაზით, მეორენი კი ძალ-ღონით, ასე თვალი · ლამაზია, ფეხები ძლიერი, თავიც კი ვერ ეტყვის ფეხებს, თქვენ არა მჭირისართო. თვალნი ხედავენ და უძღვიან ფერხთ, კბილნი განცხრომიან, სასა გემოსა იხილავს, ხორხი შთააბნევს სტომაქად. ენა ზრახავს მას, რომელსაც მოსცემს გული და გონება, ყურნი ისმენენ გარეშეთა სიტყვათა და მისცემენ ცნობასა გონებასა; საყნოსელნი იყნოსენ და აცნობენ ტვინს და ყოველსა საცნობელსა. ეგრეთვე შინაგანი ასონი იქმან ყოველსავე განსწორებულად თითოებითა მით ბუნებრივითა მათითა — სახმარსა მას დაიყენებენ განსაძლიერებლად გვამისა და ნივთსა მას ნამეტნავსა გარე განაბნევენ, არარაით მძლავრობენ ურთიერთსა. ეგრეთვე მეფესა სჭირიან ქვეშევრდომნი, ქვეშევრდომებს მეფე, ჩვენც ჯერ არს მორჩილებად და მსახურებად ურთიერთსა, ვითარცა ვის რა ნიჭი მიუღიეს ღმერთისაგან. თვალნი უნდა ხედავდენ სიწმინდით, ყურნი ისმენდნენ მშვიდობით და არ ერთობოდნენ კიცხვაბასრობით; ენა უნდა იტყოდეს მხოლოდ კარგს, ხელნი ქველმოქმედებდნენ, სტომაქნი იცავდეს ზომიერებას, ფერხნი მიილტვოდნენ კეთილ საქმეთათვის. ოდეს ვინმე აგინებდეს, ღებულობდეს მას, როგორც შემწეს სიმდაბლის მოპოვებისათვის, სიმდაბლე კი აღამაღლებს ადამიანს და მოაგონებს სიყვარულს, სიყვარული კი ღვთის სამყოფელს...

აქ თავადს ისე მობჯენოდა ყელში ბრაზი, ლამის ეყვირა, ცბიერ ადამიანს არა აქვს უფლება ილაპარაკოს ღვთაებრივზეო, მაგრამ მხოლოდ გადაიხარხარა.

იოანემ უცებ შესწყვიტა სიტყვა, შემობრუნდა და დაინახა თავადის სრულიად უცხო სახე.

— შეეწიოს დღევანდელი დღის მადლი, — უთხრა იოანემ თავადს, თავადის ნაძალადევ ღიმილში ყველაფერი ამოიკითხა, მაგრამ არ შეიმჩნია; ისევ თავის მსმენელებს მიუბრუნდა, რომელნიც ელოდნენ სიტყვის დამთავრებას და მანაც განაგრძო.

თავადი, რომელსაც სარწმუნოებრივი გზააბნეულობა ისედაც სტან-

ჯავდა, ახლა პირად საწამებელს მთლად დაეთრგუნა და რამდენადაც ყველა მსმენელს იპყრობდა იოანეს აზროვნებისა თუ მეტყველების ხელოვნება, იმდენად თავადს გულს ბოღმით უვსებდა.

იოანე გრძნობდა ამას, შეუცნობლად გამოსავალსაც ეძებდა და უკვე აბნეულად, მაგრამ მაინც დინჯად ამბობდა:

— მომავალი ჩვენი საიდუმლოებითაა მოცული, აღსასრულის ჟამს ადამიანი ხედავს ახალ თუ უკვე დავიწყებულ სახეებს, ასალ საგნებს, რომელნიც მას არ უნახავს; ესმის ხმა, რომელიც არასოდეს არ სმენია და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამ დღისათვის, დღევანდელი დღესასწაულიც შინაგან, სულიერ სამყაროს შეცვლაზე მოგვიწოდებს. დღესასწაული ნავსაყუდელია, რომელშიც შევდივართ ყოფიერების ქარიშხლიან ცურვისას და როგორც ნავსაყუდელში ნაოსნები შეაკეთებენ თავიანთ ხომალდებს, ემზადებიან ახალი ცურვისათვის, იკრეფენ ახალ ძალებს, ასევე ჩვენ ვისარგებლოთ ამ მოკლე დროით და მივუძღვნათ იგი მარადიულობის მოპოვების მცდელობას... უმაღლესი გონება ვლინდება სამყაროს სიმწყობრეში, ქმნილებათა და მოვლენათა ურთიერთმიმართებაში... რწმენამ უნდა აიძულოს ადამიანი თავის სულს მიხედოს, რწმენამ ადამიანი უკეთესი უნდა გახადოს...

იოანეს სიტყვა უწყდებოდა, რადგან გრძნობდა თავადის გამჭოლავ და იმავე დროს დამცინავ მზერას.

თავადმაც თავი ვეღარ შეიკავა და ამაყი, ცბიერი ღიმილით წარმოსთქვა:

— რამდენი ღვთის მსახურია, რომ სახიერების ნაცვლად უსახურობას სჩადის, ჩვენ კი მათი უნდა ვიწამოთ და ხელზეც ვემთხვიოთ!

იოანემ მთელ თავის შინაგან ძალებს მოუხმო და მშვიდად განაგრძო, — ...ადამიანის გონება უმაღლეს გონებას, ღვთაებრივს უნდა ესწრაფვოდეს, გაღმერთებას ლამობდეს, დიახ, ლომის ბუნაგში მოხვედრილი ჭკუამ იხსნა და არა სასწაულთ მოქმედებამ...

თავადი ძალდატანებით აჭყეტდა თვალებს, არც თვითონ უსმენდა და არც სხვებს ასმენინებდა, ერთთავად რასმე ყურადღების მიმტაცებელს ჩაურთავდა, მას ახლა ზესთა სამყაროს არსებობა და მით უფრო, მისი საიდუმლოების ამოხსნა ზღაპრად მიაჩნდა, მას მიწიერ საიდუმლოებათა სივერაგე აწამებდა.

მისი მოუსვენარი, აღგზნებული მოქმედება უკვე ყველასათვის შესამჩნევი ხდებოდა და იოანესათვის უკვე — გასაძლისი, როგორღაც უეცრად შესწყვიტა სიტყვა, თითქოს ფრთები შეიკეცაო, მოუბრუნდა თავადს, ხელი დინჯად მოჰკიდა და განზე გაიყვანა.

მოშორებით, ტაძრის გალავანს მიეყრდნენ და ერთმანეთს თვალი გაუსწორეს. თავადის შუქჩამქრალი მზერა მკვდრის მზერასა ჰგავდა და ამბობდა:

— შენ უწყი, ვითარ შეგიყვარე, ჩემს სახლში შეგიყვანე...

იოანემ დამნაშავედ, წყნარად მიუგო:

— ეგრე არს, უფალო ჩემო, ვითარცა ბრძანე.

— აჰა, ესერა გულისთქმასა შეუპყრია მეუღლე ჩემი...

იოანეს გული განმგმირავი ტკივილისაგან შეეკუმშა, რამეთუ უყვარდა თავადი და თქვა:

— ნუ იურვი, რამეთუ, ძალუძს ღმერთსა შეწევნა ჩვენი.

თავადის გულს პირქუშ ღრუბლად ჩამოწოლილი მტანჯველი განცდა გონებას ბრაზით უჩრდილავდა, იოანეს სიტყვებს ვერაფერი ენუგეშებინა, ვეღარც თქვა რამე.

და დაშორდნენ ერთმანეთს დამძიმებულნი.

პარასკევი დღე იყო, ამ დღეს ევნო უფალი იესო ქრისტე ხსნად ადამიანისა და ამ დღეს უმეტეს ევალებოდა ადამიანს კეთილმსასურება მოყვასისა.

„გულია ხიფათის მქნელი, — მრავალგზის იმეორებდა იოანე თავისთვის. რაოდენ უფრო ადვილია ზრახვებით ჩავარდნა ცოდვაში, ვიდრე საქმით! ზრახვებით ბრძოლაც უფრო ძნელია! მსოლოდ აზრობრივ წარმოდგენის შეცვლას შეუძლია ქალის გამობრუნება, მაგრამ როგორ, რა გზით უნდა მოხდეს ეს?"

ამ ფიქრებით შევიდა იოანე ტაძარში სალოცავად.

„უფალო და ღმერთო ჩვენო. ურვათა ჩემთაგან განმათავისუფლე! ვითარცა დააცხვრე მღელვარება ზღვისა და იხსენ მოწაფენი შენნი დანთქმისაგან, ეგრეთვე, მოიხილე ჩვენზედა და გვიხსენ აღტყინებისაგან ვნებათა ამათგან".

მაგრამ ვით დედამიწას შეუწყვეტელი მიწის ძვრა შეარყევდა, ეგრეთვე მის ბუნებას სიღრმის ძალა მუქარით აზანზარებდა, მომაკვდინებელ საშიშროების წინაშე იდგა, სალოცავ სიტყვებსაც ძლივსღა აბამდა და მხოლოდ „მამაო ჩვენოს" წარმოთქვამდა მრავალგზის.

დიდხანს იყო ამ საგონებელში. სასოწარკვეთაც დაეუფლებოდა, რომ გონებაში ნათელმა აზრმა იელვა და ლამის სირბილით მივიდა დალაქთან.

— მომკვეცე თმა, მომწვი წარბნი, წამწამნი, მომკვეცე წვერი, — ბრძანებით ეუბნებოდა.

განცვიფრებული დალაქი ხელს ვერ ანძრევდა, ვერ დაეჯერებინა ბრძენისაგან ასეთი სიტყვა.

მაშინ იოანემ გამოართვა საკვეცი და თავად იწყო თმების შეკვეცა და დალაქიც დარწმუნდა, რომ იგი სრულს გონებას არის, არ გარდამხდარა მას და გაუღიმა კიდეც.

დალაქმა შეასრულა მისი თხოვნა.

შემდეგ იოანემ მოიბლარდნა თავპირი, ჩაიცვა შეურაცხი ტანისამოსი და თვალწარმტაცი, უკვე გონჯი მივიდა მეგობრის სახლში.

რა შევიდა მათთან, ნახა ქალი მთლად შეცვლილი, მწოლარე და ქმარი მისი მჯდომარე მასთან.

— რა განგეშორეთ თქვენ, — წარმოთქვა იოანემ, — ესრეთ შემქმნა მე ღმერთმან!

ხოლო ქალმა რა იხილა უმსგავსოებად ქცეული მშვენიერება, ჩა-

ფერფლილი თვალები დაეხუჭა, ყელში მოწოლილი ცრემლი სიტყვას გზას უხშობდა და მწარედ ატირდა.

თავადი მოულოდნელობისაგან დაიბნა, სიტყვებს ვერ პოულობდა რაიმეს სათქმელად.

ქალს კი მყის დაუცხრა ღელვა, განეშორა ბრძოლა და დახსნილი სხეულის პყრობილებიდან წამოდგა.

იოანემ გამოიყვანა ქმარი მისი და უთხრა:

— აჰა, შენ ცოლთან არღარა ვნებაა.

და როდესაც შინაგანი კმაყოფილებით განმსჭვალული იოანე მათ წინაშე მთელი დიდებულებით ალმართულიყო, თავადი განცვიფრებული შესცქეროდა.

— ამიერიდან კი არღარა იხილოთ პირი ჩემი, თქვა იოანემ და წამოვიდა.

თავადი ჩაციებით გასცქეროდა მიმავალს და ერთთავად იმეორებდა: რა უნდა მექნა, ან ახლა რა ვქნა? რა ვქნა? და ატირდა დამნაშავედ, რამეთუ ამ დასახიჩრებაში მან მეტი ბრწყინვალება დაინახა, სურნელება სილამაზეზე ძლიერი იყო და ირწმუნა, რომ ჭეშმარიტად ღვთისმსახურება იყო იგი, რაც იოანემ გააკეთა.

ცხადი იყო ისიც, რომ მეგობრობის სიღრმესა და ხანგრძლივობას არ განსაზღვრავდა მუდმივი სიახლოვე, მთავარი იყო მოხდენილი შთაბეჭდილება — მათ ერთმანეთი არაოდეს დაავიწყდებოდათ.

თავადმა მხოლოდ ერთი რამ მოახერხა — წავიდა და იმ დღესვე მოინათლა და თუ მანამდე სამყაროს გაბზარული მინასავით ხედავდა, ახლა მისი უზადო მთლიანობა დაინახა.

იოანე კი გავიდა უდაბნოდ, რომ თავისი სახიერება დაებრუნებინა.

გზად სოფრონი მოინახულა, რომ მის ხანგრძლივ უნახაობას არ დაეღონებინა.

გაკვირვებული სოფრონი ღიმილით შესცქეროდა, ეს რა დაგმართნიაო?

იოანემ ისე მოუთხრო ამბავი, თავის საიდუმლოება მაინც არ გაამხილა.

— როდესაც ადამიანში ერთადაა შერწყმული საქმე ღვაწლისა და საქმე რწმენისა — იგი სრულყოფილია, — თქვა სოფრონიმ.

— შენ სოფისტი გამხდარხარო, — მიუგო იოანემ სიცილით.

სოფისტის წოდება თავისთავად მეტად საპატიო იყო, მაგრამ ახლა

ეს იმასაც ნიშნავდა, რომ მასში იოანე თანასწორს ხედავდა ფილოსოფიურ განსწავლულობით, რაც სოფრონისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო.

— მე ვფიქრობ, — თქვა სოფრონიმ, — შენ ამ ამბავს აღწერ და შენს თხრობათა კრებულშიც იგი ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება.

აქ თვალნათლივ ჩანდა ცდუნებასთან ბრძოლისას როგორ უპირისპირდებოდა ერთ გრძნობას მეორე. ზიზღმა დათრგუნა ნდობა.

თავი XI

ხერთვისი

დრომ იოანეს დაუბრუნა თმა, წვერი. დამშვენდა, სამშობლოს მოწყურებულს ხერთვისის მოსასულება გადაეწყვიტა სოფრონისთან ერთად.

ტრაპეზუნთიას გასცდნენ თუ არა, მოადგნენ ქართველთა და ბერძენთა საზღვარს, ვით მეუფემ კვერთხს აღსავლის კართან, ისეთის აწმენსით, ისეთის ძალით ჩასჭიდა სელი იოანემ სასაზღვრო რკინის ჯალოს. მოსსური მთანი შორიდანვე ეგებებოდნენ, მდინარენი ექუხარედ გალობდნენ სადიდებელს. წყარონი სალოცავ ჰანგებად ყლერდნენ; სირია სტვენანი, ტოროლათა წკრიალი მათ გულისყურსა ესმიანებოდნენ, მთის კალთების ბალახ-ყვავილნი სურნელებით უკმევდნენ; მთის მდინარის ტალღების დგაფუნში ზარის ხმა ისმოდა, მოსეთქილ ჩანჩქერის შხეფები ეამბორებოდნენ და აქაფებული მდინარე მოუსვენარი სწრაფვით, მძლავრი ნაკადით ლოდებს ლასავდა, კლდეებს ტალღებს ასლიდა და ფართოდ გაშლილი იქ, შორს ზღვას უერთდებოდა, რომ ქვეყნისთვის ემცნო იოანეს მობრძანება, სპერის ზღვას კი, როგორც მის მომლოდინე მრევლს ტალღებში ღიმილი უკრთოდა.

იოანეს ისეთი ცათაფრენა შესდგომოდა, ეგონა სამოთხეში ვარო. მუსლებზე დაეშვა და ცრემლები აპკურა სიყრმით მრავალგზის მოვლილს და ფიქრით ნასათუთარ სამშობლო მიწას. მის თვალებში არწივის მრისხანებასთან ერთად ყრმის გულუბრყვილო სიყვარულიც ელავდა, გრძნობათა ღელვაში — მთის მდინარის შეუპოვრობა, გულის ძგერაში — მზის მცხუნვარება, მის ახოვანებაში — სალი კლდის ძალოვანება.

ცაზე ელვა გაიკლაკნა, შსაპუნა წვიმამ გადმოშხეფა: — აიაზმას თვით უზენაესი ასსურებდათ და თვალნი ზეცას მიაპყრეს.

ქარაფების წვეროებზე ციხე-სიმაგრეები ათასფრად გაიბრწყინებდნენ წვიმის წვეთებში.

ისპირის კლდიანსა და ქვიშიან ხეობაში, მთაგრეხილებს შორის, თორთომის მდინარის შესართავს ზემოთ, მთის მდინარე გზას მიიკვლევდა და მისი ხმა მთების ექოში მესსურ მრავალხმიან საგალობლად ეაისმოდა. ქარი მიერეკებოდა წვიმის ღრუბლებს. შეშფოთებული სინამდვილე მოგონებების კორიანტელით სივრცეს შესეოდა და იოანე სიხარულში შეპარულ სევდას იგერიებდა: აქ ნათელიც და ჩრდილიც მდუმარედ ყიოდა.

მლოცავები, მოგზაურები, სოჭოებივით მიმოდიოდნენ. ერთი მათგანი შემოუერთდათ და ჰერაკლე კეისრის გალაშქრების ამბავს მოჰყვა:

— ჰერაკლეს, ხოსროზე ახალ დარტყმას რომ ამზადებდა, მოკავში-

რედ საზარები მოეზიდა. მათ გაიარეს დარუბანდი, მოაოხრეს ხოსროს განმგებლობაში მყოფი მიწები და ალყა შემოარტყეს ტფილისს. ტფილისს რომ ვერაფერი მოუხერხეს, ისევ სპარსეთს შეესივნენ, მაგრამ იმდენად ძნელი იყო საკალად მთიანი ქვეყანა, ხაზარებმა მალე მიატოვეს ბიზანტიელები. სამაგიეროდ, შეუერთდნენ იბერიელნი. ორ წყალშუა მყოფი საქართველო ცდილობდა მოცილე სახელმწიფოთა შუღლით ესარგებლა და მუდამ სანატრელი ოცნება აესრულებინა — დამოუკიდებლობა მოეპოვებინა, რადგან იცოდა ყოველი მფარველის იდუმალი ზრახვა ქვეყნის სიმდიდრეთა დაპატრონება იყო. თანაც კეისარიც და შაჰიც ფიცს როდი სჯერდებოდენ, უმეტეს სიმტკიცისათვის ქართველთაგან მძევალს მოითხოვდენ.

— ჰერაკლე რომ მოვიდა ქართლს, — ამბობდა მეორე, — ციხის თავმა არ დათმო ციხე კალისა, აგინა კიდეც კეისარსა ჰერაკლესა ესრეთ: „წვერნი ვაცისა გასხენ და კისერი ვაც-ბატონისაო“, კეისარს გაეცინებოდა და იტყოდა: „არა არს თქმული ესე ცუდადო“ და წავიდა სპარსეთს, ხოლო ტფილისს დაუტევა ერისთავი თვისი ჯიბლუ და მთავრად ქართლისა — ადარნასე, ძე ბაკურ მეფისა, მცირე ხანში აიღეს ციხე კალისა და გამოიყვანეს ციხისთავი, გააძვრეს ტყავი კადრებისათვის კეისარისა უშვერთა სიტყვათა და მისწიეს კეისარს ტყავი მისი.

ეს განსაცვიფრებელი სილამაზის; მრავალფერი ქვეყანა მუდმივ შფოთსა და რბევას განიცდიდა. მიწის ქვეშა სამალავები მუდმივ მზადყოფნაში ჰქონდათ. ტრაგიკული იყო მესხეთის ბედი, მაგრამ ხალხი შეუდრეკელი, არც როდის ყმობია სპარსეთს, ქართული იყო იგი და ქართულად დარჩა.

სამშობლოს სატკივარი იოანეს გულის სატკივარი იყო. პირღებულ გამოქვაბულთა წინმდგომი მათში მლოცავ, მოღვაწე მამათა სუნთქვას და მათ მგზნებარებას შეიცნობდა. ერის გმირული წარსული თავისუფლების ტრფიალს უმძაფრებდა. ტყავს გააძრობდნენ ქართველს და სულს მაინც ვერ დაუხშობდნენ.

ისპირის მდინარის კიდეზე იხილეს ქალაქი მცირე — ისპირა.

თორთომის ტბასთან დაიოკეს მდულარება სულისა.

გზა ისევ ციცაბო კლდის კალთას მიჰყვებოდა, გარშემო მოწითალოფერის შიშველი კლდეები ხმალამოღებულ მცველებად გადმოჰყურებდნენ, მთანი ყოვლად მაღალნი და უვალნი, ლოდიანნი, მჯიღად შეკრულიყვნენ. ამ კლდიან ფერდობში, ციხის ქვემოდან მრავალი გამოქვაბული იყო, უფრო ქვემოთ კი — ორი თაღოვანი ხიდი და ბრწყინვალე სასახლე.

სოფრონი ამ სასახლის გვირგვინით გადახურულ მოჩუქურთმებულ ქართულ დარბაზებში, რომელიც სულ ზემო სარკმლით თითქოს ცასა სწვდებაო, ქართული სულის სიმაღლეს, გულის სიწმინდეს და ფაქიზ გემოვნებას ხედავდა.

იოანეს სიჭაბუკე განახლებოდა. იქ, გზის მიღმა, ბავშვობა ახსენ-

დებოდა, ველზე ჰაერში აფარფატებულ ბაბუაწვერას რომ დაედევნებოდა. ეგონა, ასლაც ჭალაში ფეხშიშველი გაინავარდებდა.

ისპირის მდინარეს ერთვოდა — მდინარე გურჯი-ბოღაზი. ხეობა ვიწრო ქარაფოვანკლდიანი. მაგრამ ოღროჩოღრო, ღრანტებიან გზას იოანე მკვირცხლად გადაივლიდა, არც სოფრონის უჭირდა; ტყის სიღრმეში თუ დაბურულ ჭალაში, სადაც მზის სხივი ვერ აღწევდა, მათთვის ყველაფერი ბრწყინავდა, ფოთლებით დაბურულ ხეებს დიდი ხნის უნახავი მახლობლებივით შესცქეროდნენ.

ამ დროს ანტიოქიაში გახმაურებულ ყაჩაღების ამბავს მესხეთშიც მოეღწია.

ამბობდნენ: ანტიოქიაში სიმდიდრით განთქმულ დედათა მონასტერში 170 მონაზონი ყოფილა. ყაჩაღებს თვალი სჭერიათ მათზე და ერთ დღეს განუზრახავთ კიდეც მათი გაძარცვა. თორმეტნი ყოფილან. მეთავეს უთქვამს: „მე ჩავიცვამ მონაზვნის სამოსელს, ხმალს ტანსაცმლის ქვეშ დავმალავ. ღამით მივიდეთ. ვთხოვ დაქანცულს კარებთან გამიშალონ დასაწოლად ჭილობი. როდესაც ყველანი დაიძინებენ, გაგიღებთ კარებს და ერთად დავერევითო.

მეთავე მონასტერში, მართლაც, წმინდანად მიუღიათ. შეკრბენ მონაზონნი. მივიდნენ, გადაცმულ ავაზაკთან კურთხევის მისაღებად. შემდეგ დაბანეს ფეხები, მისი ნაბანი კი არ გადააქციეს. მონაზონთა შორის იყო ერთი, რომელიც დავრდომილ მონაზონს უვლიდა და ეს წყალი წაუღო დავრდომილს და უთხრა: ჭეშმარიტად ჩვენს მონასტერში დიდი წმინდანი მოვიდა. ჩვენ მას ფეხები დავბანეთ და მისგან კურთხევა მივიღეთ, აგრეთვე შენც გმართებს მიიღო მისგან კურთხევა ამ წყლითო.

დავრდომილმა მადლიერებითა და სასოებით ის წყალი წაისვა სხეულზე და მყის განიკურნა უძლურებისაგან, წამოდგა და თავისი ფეხით მივიდა ავაზაკთან, თაყვანი სცა.

განცვიფრდნენ ყველანი, რა დაინახეს განკურნებული სნეული და უმეტეს განკვირვებულ თვით ავაზაკს შიში და ძრწოლა დაეცა.

— ღმერთმა ეს სასწაული ჩემს გადასარჩენად ქმნა, რათა იხსნას სული ჩემი წარწყმედისაგან, — თქვა ავაზაკმან და, დაემხო რა მათ წინაშე, იწყო აღსარება და ხედავდა რა შეშინებულ, ერთ ადგილზე გაშეშებულ მონაზონთ, ლუღლუღით წარმოსთქვამდა:

— ნუ გეშინით, მე არ მოვუშვებ მათ ბოროტის ყოფად თქვენდა.

და როგორც თქვა ესე, გამოიღო მახვილი თვისი და დააგო იგი წინაშე მათსა.

შეძრწუნებულნი მონაზონნი კი გათენებამდე ფსალმუნებდნენ.

როდესაც ისინი ლოცვაში იყვნენ, ავაზაკთა მთავარი გავიდა და უთხრა მომლოდინეთ ყოველი და თქვა:

— ამიერიდან აღარ ვიყო მე ავაზაკი, არამედ შევუდგე მე ქრისტესა და ვიქმნე მონაზონი, აჰა, ესერა მომიცემიეს თქვენდა ყოველი მო-

ნაგები ჩემი, წარაგეთ იგი ვითარცა გენებოთ და წარვედით მშვიდობით.

მაშინ ყოველთა ავაზაკთა მიუგეს:

— უკეთუ ბოროტსა ცხოვრებასა გეზიარენით და წინამძღვრობა შენი სათნო იყო ჩვენდა, აჰ, ეს ამიერიდგან ჩვენცა დავუტეოთ ავაზაკობა და არა გასაკეშორნეთ და ეგრეთვე აწ აღვიღოთ უღელი მონაზვნობისა ერთობით შენითა.

და წარვიდნენ ყველანი მამათა მონასტერს.

წინამძღვარმა იცნო და უთხრა:

— ვერ შესძლებთ იყოვნ აქ ყოფნასა.

— ძალმძღელ ვართ ყოველსა წესისა მონაზვნობისა შესრულებად ღმერთს შემწეობით და ნუ უარულებელ ვყოფთ.

— შენი ყოფნა ჩვენთან არ იქნებ, — განუმეორა წინამძღვარმა.

მაშინ ავაზაკმან მიუგო:

— მე ამისთვისა ვარ აქ მოსული, რათა ვსტიროდე ჩემს ცოდვათა ბნელთა ცხოვრებისა ჩემისათა და თუ არ მიმიღებ, გჯეროდეს, ჩემს მოყვასებთან ერთად, მოვსრნით თქვენ ყველას მახვილითა, დაგინგრევთ მონასტერსა და შენზედ იყოს ეს ცოდვა.

რა ესმა ეს წინამძღვარს, შეიყვანა იგი მონასტერს, მას თან მიჰყვენ მისი თორმეტივე ავაზაკი. შემოსეს მათ სქემა მონაზვნებისა და იწყეს მათ მსურველად მოღვაწება მარხვითა და ლოცვითა, მორწმენებითა და სიმდაბლითა. მთავარი იგი ავაზაკი კი იყო მდუმარედ.

იოანე ყოველივე ამას ისმენდა, იწერდა, სოფრონი კი ხარობდა, რამეთუ რწმენდებოდა ლოცვის ძალაში.

ისევ გზას გაუდგნენ.

საკვირველ, მედიდურ სანახაობას წარმოადგენდა ტაო, კლარჯეთი, ერუშეთი, კარწახის ტბა, მდინარე მტკვარი. აქ ჩქეფდა სიცოცხლე და ყოველივე ხალხის სულიერ ძლიერებაზე მეტყველებდა.

მოაღწიეს ციხე-ქალაქ წუნდას. წუნდა გული და კერა იყო ჯავახეთისა.

წუნდის პირდაპირ, მტკვრის ნაპირს, ერუშეთის ციცაბო ფერდობიდან დიდებული და მრისხანე თმოგვის ციხესიმაგრე დაჰყურებდა ქვეყანას დარაჯად, ხეობის ვიწრო გასასვლელის დასაცავად. იქვე მახლობლად ელავდა თვალწარმტაცი წუნდის ტბა.

ქალაქი მდინარის ორსავ ნაპირას იყო განლაგებული. იქვე მახლობლად ჭოლთის გამოქვაბულები იყო.

ციცაბო კლდეზე აღმართული ხერთვისის ციხე ამაყად და ცხოველსტატულად იდგა. იოანეს გული გადაუქანდა, იდუმალ ლოცვას წარსთქვამდა. კლდიდან ჩანჩქერად გადმომსკდარი მდინარე მრისხანებით მოჰქუხდა, იოანეს ცივ შხეფებს აფრქვევდა. იოანე შეღერებულ ხარირმის შეუპოვრობით გამოიყურებოდა, ჰაერსაც ისევე ხარბად ისუნთქავდა, როგორც ნაკადულს ეწაფებოდა. მრავლის აღმქმელი იყო გული, კალმახივით რომ უფართქალებდა.

მშობლების საფლავზე ცრემლად დაიღვარა.

სოფონი საბურველმოხდილი იდგა და საფლავის ქვის წარწერას ხმამაღლა კითხულობდა:

„ო, სიყვარული იდუმალებაა, საუკუნო ტრფიალებაა, სულის უფაქიზესი რხევაა, ტყვე იყო გული, სევდა ჩამარხული".

— აჰა, ეს სევდა გაფანტულია, რაკი მათ სანუკვარ შვილს მათი სამარე დაუტირებია! — თქვა სოფრონიმ.

იოანემ კი მამის სულის საოხად, მისი მოსახელე წმიდანის, შიო მღვიმელის სადიდებელი მდუმარედ წარსთქვა.

—... აწ, გავედრებ მშობელთა ჩემთა სულთა პატიოსანთა, მეოხ ეყო ნათელსა საუფლოსა ღმრთისასა. — ხმამაღლა დაასრულა სადიდებელი.

ტბიდან გამომდინარე მდინარე ლაშქარივით მიედინებოდა ღრმასა და კლდოვან ხრამს, რომლის იმიერ და ამიერ კლდეში გამოკვეთილ ქვაბებში მყოფნი მესხნი ხელდამშვენებულნი მოდიოდნენ საზრდელითა და სასმელით.

სუფრა გაიშალა, გაისმა შემოძახილი და სუფრულმაც დაიგუგუნა. დატრიალდა სუფრის გახსნისას ღვინის თასი, ისმოდა „ვინ დალევს მარნეულ ღვინოს".

სასმელი ძალაში შესულიყო და ყველანი მთელის გულახდილობით ალაპარაკდნენ. დაიწყო სჯა ვის უფრო შესწევდა ძალი უბიწოებისა: მამაკაცსა თუ დედაკაცსა.

მათთან იყო ისიდორე წინამძღვარი, რომელიც მოუთხრობდათ:

— კვიპროსის ხეებმა უთხრეს ლერწმებს: როგორაა, რომ როდესაც დადგება ზამთარი და ატყდება ძლიერი ქარები, თქვენ არა ტყდებით, მაშინ, როდესაც ასე უსუსურნი ხართ, ჩვენ კი ძალა გვაქვს და ვიმსხვრევით, ხშირად ძირთაგანაც აღმოვიფხვრებით? და მიუგეს ლერწმებმა: ჩვენ რაც შეგვეხება, როდესაც მოვა ზამთარი და დაბერავს ძლიერი ქარი, ჩვენ მივიდრიკებით, ქართან ერთად გადავწვებით ან აქეთ ან იქით, ამის გამო არ ვტყდებით, რაც შეგეხებათ თქვენ, თქვენ ქარს ეჭიდებით და ამის გამო გასაჭირს აწყდებით.

ყველამ მოიწონა ნათქვამი. სოფრონიმ კი დასძინა:

— ადამიანი თავის ბედს მაშინ ეწევა, როდესაც მას ემორჩილება, აჰყვებ-დაჰყვება. ახლა მეც მოგიყვებით ერთ ნამდვილ ამბავს.

და თქვა:

— სულ ახლახანს, იერუსალიმში შევხვდი ვინმე ბერს, ზოსიმეს, რომელმაც მომიყვა: ერთხელ იორდანეს უდაბნოში სალოცავად წავედიო, დავინახე შიშველი ქალი სხეულს იფარვიდა ჩამოშლილი თოვლივით თეთრი თმებით. შორიდანვე დამიძახა: „ზოსიმე, შენ ხარო?" გაოცებულმა ზოსიმემ იმით, თუ საიდან უნდა სცოდნოდა ქალს მისი სახელი, ესროლა თავისი მოსასხამი, რომ სიშიშვლე დაეფარა და მიახლოვებოდა. და რა მისულა მასთან ახლოს, უპირველეს უკითხავს, საიდან იცოდა მისი სახელი, მაგრამ ქალს მხოლოდ გაღიმებია და პირდაპირ თავისი ცხოვრების ამბავს მოჰყოლია, უთქვამს, თუ როგორ დატოვა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდამ მშობელთა სახლი, რო-

გორ წამოვიდა ალექსანდრიას, სადაც სიძვის ცდუნებას აჰყოლია. სხეულის სილამაზით მიმზიდველს მალე გაუთქვამს სახელი და უსასყიდლოდ ვიდოდა ყოველთა თანა, სიმდიდრე არ იტაცებდა, მკოდავი ყოფილა, სელსა ქსოვდა და მით მოიპოვებდა საზრდელს. მხოლოდ ადამიანების ცდუნება და ვნების დაცხრობა ყოფილა ტრფიალება მისი, სადაც ჰპოვებდა ჭაბუკს, საფრთხეს უგებდა — ჰგონებია ესაა ცხოვრება, მაგრამ ერთხელ იერუსალიმს ჩამოსულა, პატიოსნისა ჯვრის აღპყრობის დღეს. ჭაბუკთ ესოდენ უდუხჭირეს სიტყვებით აცინებდა, ველარცა ენა იტყვის რაღას არ სჩადიოდა და ოდენ ცისკარს, როდესაც ყველა ეკლესიას მოვიდოდა და დაუბრკოლებლად შევიდოდნენ, იგიც მისულა მათ თანა და ვითარცა ფეხს შესდგამდა ზღურბლსა კარისასა, უსილავი ძალა აყენებდა, არ შეინდობდა შესვლად, გამოაგდებდა კიდედ. პირველ ჰგონებია, ვითარმედ უძლურებითა დედაკაცისათა შეემთხვეოდა და მიეძალებოდა კვალად შესვლად, მაგრამ ვითარცა მიიწევდა ზღურბლად, ფეხს დაადგამდა, ტაძარი იგი კვალად არ შეიწყნარებდა, ყოველნი შევიდოდნენ და იგი მარტოდ რჩებოდა, ბოლოს სულაც გამოაგდეს იგი ეზოსა ტაძრისასა. ესე სამგზის შემთხვევია და მდგარა რა დიდხანს ყურესა მის ტაძრისასა, ჩასძინებია. ძილში უსილავს მიზეზი, რისთვისაც ტაძარი არ მიიღებდა. განთიად წამოსულა უდაბნოდ ცოდვათა მოსანანიებლად. სიმარტოვეს არ შეუშინებია. მწირსა და უკაცრიელ სამყაროს მეტ ნუგეშსა და შვებას ჰპოვებდა, ვიდრე ცდუნებით აღსავსე ცხოვრებაში, იქ ლომებსა და ვეფხვებს ხელით იპყრობდა, იმორჩილებდა და ესე 40 წელი დაუყვია იქ და უსილავს ნათელი იგი დაუღამებელი... შემდეგ უთქვამს ზოსიმესათვის: წადი ახლა და ერთისა წლის შემდგომად მომინახულეო... ასეც უქმნია ზოსიმეს. ერთი წლის შემდგომ რომ მისულა იმავ ადგილს, იგი გარდაცვლილი დახვედრია. ლომს გაეთხარა მისთვის საფლავი და ზოსიმეს დაუფლავს.

ყველა გააკვირვა ქალის ნებისყოფამ.

სოფრონისთვისა ეს პირველი იყო საჯარო თხრობა და თავადაც ახლა კიდევ უფრო გაკვირვებული იყო, რომ ყველას ყურადღება დაიმსახურა, სულ მალე კი ეს ამბავი წიგნადაც დაწერა, „ცხოვრება მარიამ მეგვიპტელისა“, რითაც სახელი დიდად განითქვა.

ისიდორე ხუცესმა რა დაინახა ქალს უპირატესობა ენიჭებოდა სიწმინდის დაცვის ძალაში, ახლა არაკის ნაცვლად ისიც ნამდვილ ამბავს მოჰყვა:

— მოშორებით ამა ქალაქისაგან არს სოფელი, რომლისა ეკლესიაში იყო ხუცესი — ფრიად საკვირველი, რომელსაც მშობლებმა მოჰგვარეს ქალი ვინმე პირმშვენიერი. შჯულიერი იყო ქორწილი, მაგრამ ხუცესმა არწმუნა ქალი, რათა დასდგომოდნენ ორნივენი უბიწოსა ცხოვრებასა. ორთავენი ფსალმუნობდნენ ეკლესიაში, დაიცვნენ თავნი თვისნი სიწმინდით, ვიდრე სიბერემდე.

ამ თხრობამაც ყველა აალაპარაკა, ახლა უფრო ხუმრობის კილოზე იყვნენ და სოფრონიმ გულწრფელად აღიარა თავი ყოვლად უძლურად

ასეთი გმირობისათვის, რაზეც ყველამ სიტყვიერად თუ უსიტყვოდ კვერი დაუკრა.

ერთმა თქვა:

— ეს უაღრესობა, ალბათ, ღვთივ ბოძებული, საგანგებო ნიჭია რჩეულთათვის, თორემ ჩვეულებრივი მომაკვდავი ვერ შემძლებელ არს ესეო.

— დათრგუნვა ბუნებრივი ლტოლვილებისა, — ამბობდა მეორე,— ყოველმხრივ გაუმართლებელია. კაცი უნდა დააკვირდეს ბუნებას, თავის აგებულებას და ისე მოქმედებდეს. ღვთის უკეთეს კაცი რას გამოიგონებს?! ყვილა რომ ასე მოიქცეს, ადამიანის მოდგმა ხომ არ უნდა ამოწყდეს? შვილი და შვილიშვილები რომ არ მეგულებოდეს სახლში, ამ დუსჭირ ცხოვრებას რა გამატანინებსო!

ყველამ იოანეს გასედა, აბა რას იტყვისო, მაგრამ იოანემ არც ხუცესის საკვირველ დიდებულებაზე, არც ქალის გმირობაზე არაფერი თქვა, მხოლოდ ეს კი დაამატა:

— დასაკვირვებელი ადამიანს გარეგან აგებულებაზე რა აქვს? ყველაფერი ცსადლივ მეტყველებს თავის დანიშნულებაზე, მაგრამ დასაკვირვებელი შინაგანი რაობაა ადამიანისა, უმთავრესია ამოცნობა ვისთვის რისი უნარი მიუნიჭებია განმგებელს. მეტი აღარაფერი უთქვამს და არც ვინმე შეჰდავებია.

იოანეს არ შეეძლო ამ საგანზე მთელის გულწრფელობით ემსჯელა ხმამაღლა და თუ მსჯელობა არ იქნებოდა გულწრფელი, მას არც სარგებლობის მოტანა შეეძლებოდა ვისმესათვის, სიტყვები მხოლოდ გონებას ეანაბნევდნენ.

რომ წამოვიდნენ, გზად სოფრონიმ მაინც სთქვა:

— იქნებ ისიდორეს ნაამბობი მხოლოდ მისი ოცნებაა?

— ეგრეც რომ იყოს, — უპასუხა იოანემ, — ოცნება ჭეშმარიტების ის მოუცილებელი თანამგზავრია, რომელიც ხშირად წინ უსწრებს, იგი გზის მკვლევიცაა.

სოფრონისათვის იოანე ბოლომდე მაინც ამოუცნობი რჩებოდა, მისი მზერა საიდუმლოს ფარავდა, ჩაკირულ ხსოვნას მოწმობდა, რასაც მისი ხშირი თქმაც ემოწმებოდა „ნამდვილი ცოდვა დავიწყებაა“.

იოანეს ამ საგანზე უფრო ღრმად უნდა ეფიქრა და იმ ღამეს ბევრი უტრიალა ისიდორეს თხრობას, ჩაიწერა, ბევრი ეცადა განსავრცობად, მაგრამ ვერა და ვერ მიჰყვა ბოლომდე, რაღაც აკლდა. თხრობა ერთპიროვნული არ უნდა ყოფილიყო, იგი ყველასათვის მისაწვდომ განცდებით უნდა შემოფარგლულიყო. მისთვის მიწიერის განცდა ბიძგი იყო ასამაღლებლად, მაგრამ ეს მიწიერი ყველას ასე არ უბიძგებდა ამაღლებისათვის, პირიქით, იგი უფრო დაბლა დასწევდა და საბოლოოდ მიწას მიაჯაჭვებდა, თანაც ისე სამოდ, რომ მის დაძლევაზე არც იფიქრებდა. ასამაღლებელი ბიძგი მიწიერისა მრავალ წინაპირობას ითხოვდა, ამისათვის ადამიანი წინასწარ მომზადებული უნდა ყოფილიყო, მას შეურყვნელი რწმენა უნდა ჰქონებოდა იმისა, რომ მიწიერის დაძლევით ღვთაებრივს მიაღწევდა, რისთვისაც სხეულის დამთ-

რგუნველი ძალის მფლობელიც იქნებოდა, ასეთი კი ათასში ერთი თუ გამოერეოდა. ისიდორეს თხრობაც მისაბაძი მაგალითი ვერ გახდებოდა და ეს ამბავიც ასევე მოკლე თხრობად დარჩა ძის კრებულში.

რამოდენიმე დღეს დაპყვეს ხერთვისს და ერთ დილას გოკიას წამოვიდნენ. გაჰყვნენ გოკიას წყალს და მივიდნენ მთის ძირას კარწახის ტბასთან. ტბა იყო დიდი, აღვსილი თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა. ამ ტბას მოერთოდა წყალი ფოსოსი, რომელიც გამოსდიოდა ყარსის 'მთას და მიდიოდა ჩრდილოეთით, დასავლით კი — დიდებული მთა არტანისა. იოანე სანახაობით აღფრთოვანებული ამბობდა:

— ვინ ამოიცნობს რა საიდუმლოება იყო ჩაქსოვილი განგების შემოქმედებაში, როდესაც ბუნების ამ კუთხეს ძერწავდაო!

გოკიიდან წამოვიდნენ აწყურში.

აწყური შორიდანვე მოჩანდა უზარმაზარი კლდეზე აღმართული დიდი ციხით.

მოიგონეს გიორგი მაწყვერელი, მიაშურეს ზარზმას.

მღვდელნი და მამანი ზარზმისანი შემოეგებნენ, ტაძრად შევიდნენ, ილოცეს, წირვა ჩაატარეს და შემდგომ სერაპიონ ზარზმელი მოიგონეს.

— სერაპიონი კლარჯი იყო, — ამბობდა ერთი მამათაგანი, — მოწაფე მიქელ პარახელისა, ოპიზის დიდი მოღვაწე. მას ჩვენებით მიეღო ბრძანება, რათა სერაპიონი წარეგზავნა სამცხეს და იქ აღეშენებინა მონასტერი. აღაშენა სერაპიონმა მონასტერი, თავი მოუყარა ძმათ და მრავალთაც მიიზიდავდა მისი სახელგანთქმულობა. აწ კი აქ მოღვაწეობს სერაპიონის უფროსი ძმის შვილი ბასილი, რომელიც წერს წიგნს „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა". ჩვენ მუდამ ვიგონებთ სერაპიონის მოღვაწეობას, მის სწავლას და ძალისაებრ ჩვენისა ვცდილობთ მივბაძოთ მის გულმოდგინებას და შრომისმოყვარეობას.

სანთელთა სიმრავლით და საკმეველის სურნელებით სერაპიონისათვის ჰყვეს ლოცვა:

„ანგელოზთა თანამზრახველო, უძლურთ მკურნალო, ჭირვეულთა შემწეო, ღელვა-გვემულთა ნავთ-საყუდელო, გლახაკთა სიმდიდრეო, უცხოთა და მოგზაურთა ნუგეშინისმცემელო, მოღვაწეთა სამკაულო, მონაზონთა რჩეულებაო, მამათა სიქადულო, დამიხსენ ჩვენ ლოცვითა შენითა ყოველთაგან მტერისა მანქანებათაგან".

იოანემ და სოფრონიმ იჯერეს რა გული ხალხის სიყვარულითა და სამშობლოს სილამაზით, გაუდგნენ გზას პალესტინისაკენ.

თანამგზავრი ყვებოდა:

— უსან ქალაქს ვიხილეთ ერთი ბერძენი წმიდა ბერი, სახელად ლეონ, რომელიც გვეუბნებოდა: მერწმუნეთ, ძმანო, მომავალში მე გავმეფდებიო. ჩვენ ვუთხარით: დაგვიჯერე, მამაო, რომ ამაოა ეგ შენი ფიქრი. როდესაც მოვიდნენ ბარბაროსნი და ააოხრეს ქვეყანა, უსან ქალაქსაც მოადგნენ. ნახეს იქ მრავალი მონაზონი. ზოგი დახოცეს,

ზოგი ტყვედ წაიყვანეს. ასე, მათ ამბა იოანე, ამბა ესტატე და ამბა თეოდორე, რომელნიც ავადმყოფები უძლურნი იყვნენ, უნდა წაეყვანათ. ამბა იოანემ უთხრა ბარბაროსებს: წამოიყვანეთ ქალაქში და მე მოვაცემინებ თქვენთვის ეპისკოპოსს 30 დინარს. ბარბაროსებმაც გააყოლეს მას ერთი თავიანთთაგანი. ამბა იოანე შევიდა ეპისკოპოსთან, მოუთხრო თავისი ამბავი. ეპისკოპოსს მხოლოდ 8 დინარი აღმოაჩნდა. მისცა იგი ბარბაროსებს, მაგრამ ბარბაროსმა უთხრა: ან მომეცი კიდევ 24 დინარი, ან ჩემი თანამგზავრი დამიბრუნეო.

მაშინ გამოუყვანეს მას მონაზონი მტირალი. ეს 8 დინარი კი აიღო იმ ბერმა ლეონმა, რომელიც ამბობდა, რომ გამეფდებოდა. იგი მივიდა ბარბაროსებთან და უთხრა: აიღეთ ეს 8 დინარი, მეც მიმათავალეთ და გაათავისუფლეთ ის ავადმყოფნი, რამეთუ სიარული არ ძალუძთ. თქვენ მაინც მოკლავთ მათ და ახლა ტყუილად მოდიან თქვენთან. რაც შემეხება მე, სრულიად ჯანმრთელი სხეული მაქვს, თანაც თქვენთაგანნი ვარ. ბარბაროსნი ასეც მოიქცნენ. როდესაც ლეონი მათთან მიდიოდა, კანკალმა აიტანა და ვეღარ შეძლო სიარული. მათ შეიპყრეს იგი და თავი მოჰკვეთეს.

გმირობის, თავდადების განცდებით აღჭურვილნი მოვიდნენ ბასილი დიდის საფლავთან.

საფლავის ქვას ნაზიანზელის წარწერა ამშვენებდა.

წარწერით აღფრთოვანებულმა სოფრონიმ ხმამაღლა ამოიკითხა:

„...ნუ დამივიწყებ მე შენ თანა ნეტარსა მაგას სამკვიდრებელსა შენსა, რამეთუ დავიწყება შენი ვერ ძალმიძს და უფროს, რათა მსწრაფლ გეწვიო, რამეთუ წარმავალ არს საწუთრო ესე და რად სახმარ არს დაყოვნება ქვეყანასა ზედა და მწუხარებათაგან განდევნა?... სცანით ესე და უწყოდით, რამეთუ ბასილი, ვითარცა სურვილი იყო, ზეცად აღვიდა, ხოლო გრიგოლი ქვეყანასა ზედა დაშთა და ცხოვრობს ცხოვრებითა სალმობიერითა!“

მდუმარედ განაგრძეს გზა.

მინდვრის ყვავილები კი თითქოს ხმაურით დასდევნებოდნენ, წინ უსწრებდნენ, გზას უღობავდნენ, ისევ ჩამორჩებოდნენ, საყვედურობდნენ: რატომ გაგვირბიხართ, რატომ გვტოვებთო.

თავი XII

განსაცდელი

მამა თეოდორე ბედნიერი ბრუნდებოდა სერგისაგან. შორიდანვე შემოსცინინა მისმა სავანემ და ის იყო უნდა გაქცეულიყო, რომ სილაზე ირმის ნაფეხურები შენიშნა. მიჰყვა კვალს და სავანესთან სულ ახლოს ირემი დაინახა, რომელიც ორივე ფეხით მიწასა თხრიდა. უფრო ახლოს მივიდა და მოხუცის გვამი დაინახა. დააკვირდა — იცნო ევლოგი. მისკენ მიმავალს ვეღარ მიეღწია მასთან. იქნებ სინდისის

ქენჯნას შეეპყრო, იქნებ, თავშესაფარს ეძებდა დევნილი? — ფიქრობდა უკვე სიბრალულით განმსჭვალული თეოდორე. მამა იოაკიმე და ჭაბუკი მოიყვანა საფლავთან, დაფლეს. სამარეზე სანთელი დაუნთეს.

ამ ამბავმა თეოდორეს აღფრთოვანება დააშოშმინა და სერგისთან მომხდარს უკვე ისე ჰყვებოდა, თითქოს დიდმნიშვნელოვანი არაფერი მომხდარიყოს.

თეოდორეს საოცარ სითამამესთან ერთად სინაზეც ამშვენებდა. და მამა იოაკიმე მის სახეს დაკვირვებულ მზერას ვერ აცილებდა. კვლავაც მიუქცევია ყურადღება მისი განსაკუთრებულობისათვის, რაღაც იყო თეოდორეში მისთვის ამოუცნობი. მაგრამ რაკი იგი თავად არას იტყოდა, გრძნობდა, სათქმელად ეძნელებოდა და ცნობისმოყვარეობას აღვირს უბამდა.

თეოდორეც ამჩნევდა ამას და მეტად ფრთხილობდა, მის ერთ წინდაუსედავ სიტყვას შეეძლო ხელიდან გამოეგლიჯა საიდუმლოება.

მამ იოაკიმე ხარობდა თეოდორეს წარმატებით, მასში სულ ახალ-ახალ ღირსებებს ხედავდა და ჰმადლობდა ღმერთს.

თვითნება ჭაბუკი კი უკრძალველად შეესიტყვებოდა, განსაკუთრებით, ევლოგიზე უნდოდა ეთქვა ნიშნის მოგებით, მაგრამ თეოდორეს გამოხედვა ამის ნებას არ აძლევდა, მხოლოდ ეს კი უთხრა:

— ნეტა სიკეთისათვის მადლობა თუ უთქვამს ვისმეს?

— მადლობისათვის თუ იქმ სიკეთეს, ეს უკვე ქველმოქმედება აღარ არის, ღვთის წინაშე კი ქველმოქმედებაა უწინარესი, — ლმობიერი, დაღლილი ღიმილით ამბობდა თეოდორე და თან ერთი ამბავიც დაურთო:

— იყო ერთი ბერი, ხელოვნებით თერძი, დღე ჩამოუვლიდა სოლმე ღარიბებს, უსასყიდლოდ უკერავდა ტანისამოსს, თან განგებ რაიმეს მრუდედ მიაკერებდა, ოღონდ ისე, რომ პატრონს თავადაც ადვილად შესძლებოდა შეკეთება, მაგრამ საყვედური მაინც არ ასცდებოდა და უსაროდა — უმადურებამ უნდა მაცხოვნოსო.

— გადარეული ვინმე იქნებოდაო, — თქვა ჭაბუკმა და სენაკიდან გავიდა, რადგან იცოდა, თეოდორე კიდევ რასმე შეგონებას მოაყოლებდა, მას კი კუტკალიების ჭრიჭინი ერჩივნა, თხასთან ძიძგილაობა. ვაეს ყველაფერზე თავისი შეხედულებები ჰქონდა, თეოდორეს ჭარბი მზრუნველობა, რატომღაც აღიზიანებდა, მას მამა იოაკიმეს ზომიერი სიმკაცრე უფრო სიბლავდა.

მამა იოაკიმემ კარგად იცოდა, რომ ბავშვის აღზრდაში მთავარი დამოუკიდებლობის განვითარება იყო. ამიტომაც ხშირად არ უწონებდა თეოდორეს ბავშვის ნებივრობას და თავად იკისრა ბავშვის აღზრდა. ხედავდა, ჭაბუკი ჭკუასთან მწყრალად არ იყო, რამეთუ ჯერ ფიქრობდა და მერე მოქმედებდა, რაც ბევრ ხანდაზმულ ადამიანსაც არ ახასიათებდა. თავისუფალი ხეტიალის ნებას კი არ აძლევდა, თვითნებობისათვის დატუქსავდა, მაგრამ არასოდეს არ დასცინებდა, სასუმაროდ კი რასმე ისევ თეოდორეს ნათქვამს გაჰკენწლავდა. ეს კი თეო-

დორეს მოსწონდა, რომ მისი ნათქვამი მამა იაოკიმეს დასსომებოდა, ამიტომ იოაკიმეს არაფერს გაუსწორებდა, თანაც ხედავდა, რომ ყრმა უსაქმობის მსხვერპლი არ გახდებოდა.

ჭაბუკის მჩქეფარე სიცოცხლეში საოცრად სათუთი და გულფიცხელი ადამიანი ვლინდებოდა. დროს იხელთებდა თუ არა, ტბისაკენ გაუტევდა. ერთ ადგილზე გაიტვრინებოდა. აცქერდებოდა ტბის წვრილი კენჭებით მოოჭვილ ფსკერს, აკვირდებოდა, როგორ ისარკებოდა მისი სახე, თვალს აღევნებდა ფლამინგოებს, როგორ იჭერდნენ ლოკოკინებს, როგორ გულდასმით ისუფთავებდნენ მოვარდისფრო თეთრი, შელუნული გრძელი ნისკარტით ფრთებს და ფიქრობდა — რამდენად ლამაზი და სრულქმნილია ფლამინგო! თეოდორე კი ამბობდა: ადამიანი ყველაზე სრულქმნილიაო. ფლამინგო უეცრად შეფრინდებოდა წყალში, და გასცურავდა, გაივლიდა; რა ბედნიერი იქნებოდა ფლამინგოდ რომ დაბადებულიყო! საიდუმლოებით იყო სავსე ეს ქვეყანა და მისი ოცნებები პეპლებივით დაფარფატებდნენ. მიწა, ამ ვეება ხეებს რომ ამოზრდიდა, სიცოცხლეს რომ ასულდგმულებდა საიდუმლოებას მალავდა წყალში, ცის ლაჟვარდოვან გუმბათში!

სადაგი დღე იყო.

თეოდორე ჭაბუკთან ერთად ქალაქად წამოსულიყო სასმარის შესაძენად და ეზად რატომღაც სიკვდილზე წამოიწყეს საუბარი.

—ადამიანს ერთი ბედნიერება აქვს, — ამბობდა თეოდორე, — არ იცის როდის მოკვდება, მაგრამ იმავე დროს ვეშინია კიდეც მისი, ცოდვების მოუნანიებლად არ გახვიდე ამქვეყნიდან.

— ამისათვის მთელი სიცოცხლე ხომ არ უნდა იყო, როგორც ბერმონაზონი?! მე სიკვდილის წინ მოვინანიებ, — ამბობდა რაღაცით უკმაყოფილო ჭაბუკი.

— ღმერთმა დაგვიფაროს და იქნებ, ადამიანი უცაბედ ტყვიისაგან კვდება, იქნებ, წყალში იხრჩობა, იქნებ, ვისიმე წყევაში ამოსდის სული, ან ისეთი ცოდვა გიპყრობს — სხვის სიკვდილს უცდი... — შეწყვიტა თეოდორემ სიტყვა, ატყობდა ჭაბუკი ყურს არ უგდებდა.

ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ და როგორღაც მოულოდნელად შეეკითხა თეოდორეს ჭაბუკი:

— შენ ის არ გინდა მითხრა, თუ ვინ არის ჩემი დედა.

ეს კითხვა თეოდორეს მიმინოსავით დააცხრა. თითქოს არც ეფიქრა, თუ როდისმე ასეთ კითხვას დაუსვამდა ჭაბუკი და როგორ უნდა ეპასუხა, რა მოეგონებინა, ან რას მოუტანდა სიმართლის გაცხადება? ბუნებამ იმარჯვა და სრული სიწრფელით, განწირულებით, მოკლედ, ყველაფერს მოჰყვა.

ჭაბუკს თეოდორე შეებრალა, თავისი თავიც შეეცოდა და მადლიერებით გადაეხვია, თეოდორეს თვალებში კოცნიდა.

დაღლა რომ ივრძნეს, იქვე ხის ძირას ჩამოსხდნენ.

ჭაბუკი ხეს აცქერდებოდა. ხიდან თეოდორეს თავზე ობობა ეშვებოდა. უცებ ბიჭმა კატასავით ისკუპა, ობობას ხელი სტაცა და ხელის გულზე გასრესილი ობობა თეოდორეს დაანახა.

— რაღაცას გადავურჩებით, — თქვა ბედნიერი ღიმილით თეოდორემ და თან დასძინა, — ფათერაკი კაცს სწორედ მაშინ დაატყდება თავს, როდესაც ყველაზე ნაკლებად ელის.

წამოდგნენ და გზა განაგრძეს.

თეოდორემ ახლა საღვთისმეტყველო საუბრის წამოწყება დააპირა, მაგრამ ჭაბუკმა არ აცალა:

— არ მიოხრა, ახლა, ბერად უნდა აღიკვეცოო.

თეოდორე არც აპირებდა ამის თქმას. ვინ, თუ არა მან, კარგად იცოდა, რომ ბერობა აუცილებელი არ არის ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებისათვის, ადამიანი სულიერად უნდა ყოფილიყო სქიმოსანი.

ჭაბუკი კი თავისთვის ჯუჯღუნებდა:

— მირჩევნია კოლტები ვმწყემსო, მეხრედ დავუდგე გადამთიელს, ბატებზე ვინადირო, ვითევზაო, ვიდრე მარხვასა და მუხლთ დრეკაში სული დავლიო...

ასეთ საუბარში იყვნენ, რომ მიადგნენ დაყურძნებულ ვენახს.

ჭაბუკი თეოდორესათვის შეუმჩნევლად შეახტა ზღუდეს, მაგრამ ისე მოუზომავად, რომ უცაბედ ზღართანი მოადინა ვენახში. სმაურზე დიდმა ძაღლებმა, ყორნისფერა თმოსნებმა და საშინელებმა, ასტეხეს ყეფა.

დამფრთხალ ჭაბუკს ყურძნის მტევნის პირთან მიტანა ვერ მოესწრო, რომ თავს წამოადგა მოხუცი მევენახე, სტაცა ხელი, მაგრამ ხელიდან დაუსხლტა. ჭაბუკმა დიდი ქვა დაინახა, წამოავლო ხელი და ერთი მოქნევით ვენახის პატრონს სული გააცხებინა.

ხმაურზე მეზობლები გამოცვივდნენ, აყვირდნენ, გზაზეც ხალხი ჩერდებოდა, შეიქნა ერთი აურზაური.

გონებააბნეული თეოდორე, რაკი ჭაბუკს ვეღარ ხედავდა, მიხვდა, უბედურების მიზეზი ის იქნებოდა, გალავანს აწყდებოღა, გარს უვლიდა, უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა, მაგრამ ამაოდ — ვერას გებულობდა.

ჭაბუკი გალავნის მეორე მხრიდან გადამხტარიყო და გაუჩინარებულიყო.

დამნაშავის ძებნაში თეოდორეს სტაცეს ხელი.

თეოდორე დამფრთხალი კურდღელივით შეჰყურებდა ყველას.

— შენა ხარ იმ მოხუცის მკვლელი? — დასძახა ვიღაცამ და გამეტებით შეანჯღრია.

— ჰო, მე ვარ, — დაუფიქრებლად თქვა თეოდორემ.

— არ დაინდოთ, — იყვირა სხვამ და ზღუდიდან პირდაპირ თეოდორეს დაახტა.

ხალხი ფუტკრის ნაყარივით თავს იყრიდა მის ირგვლივ და ვისაც რითი შეეძლო, დაუნდობლად ურტყამდა. ბოლოს ნაგვემი, გაბაწრული თეოდორე გამგებელთან წაიყვანეს:

გამგებელმა განაჩენი არ დაგვიანა და მაშინვე გამოაცხადა:

„ჩამოხრჩობით განიყვანონ მკვლელი ამა სოფლიდან“.

ჭაბუკი სამალავში თავგზადაკარგული გართხმულიყო, ნაპირზე გამორიყული თევზივით ფართხალებდა, იკრუნჩხებოდა, გულხეთქებით ადევნებდა თვალყურს შორიდან და რა გაიგონა განაჩენი, გული ისე შეეკუმშა, ყელს უთანგავდა, ყურების შუილი თავბრუს ასხამდა, განცდები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ. რა უნდა ექნა? თავიც ენანებოდა და თეოდორეც! სიკვდილის იმდენად ეშინოდა, რამდენადაც სიცოცხლე უყვარდა!

მილეთის ხალხის ღრიანცელმა იქაურობა გააყრუა, ახლომახლო სოფლებიდანაც ხალხი მოაწყდა და მოაწყდა.

ეკლესიის დიდმა ზარმა განაჩენის სისრულეში მოყვანის ნიშანი მისცა. ხედავდა ჭაბუკი, როგორ ემზადებოდნენ ჯალათნი, როგორ მიჰყავდათ ნატანჯი და ნაგვემი თეოდორე განსაკითხავად. სინდისის ქენჯამ უცებ სალმობასავით დარია ხელი; წამოვარდა, გაქანდა და გულის სიღრმიდან ამოგლეჯილი ხმით იყვირა:

— ნუ მოჰკლავთ, უბრალოა იგი, მე ვარ ის, რომელმაც მოკლა კაცი! და სასჯელის ადგილზე თეოდორეს წინაშე დაენარცხა.

ხმაური ერთბაშად შეწყდა, ყველა ადგილზე გაირინდა.

ნაწამები თეოდორე სახრჩობელას ყულფთან მწევარის კლანჭებში მოქცეულ კურდღელივით დამშვიდებულიყო. უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ძელს ზემოდან გადმოსძახა:

— ადამიანო, შეგინდოს ღმერთმა ისევე, როგორც არ ინდომე, რომ მიმეღო სრულად მოწამის გვირგვინი. მე ვეწამე და ახლა შენ გინდა მოკვდე? — ესა თქვა და თავი ჩაჰქინდრა.

მომსდარი უმალ გამგებელს აცნობეს.

გამგებელმა ხალხი შეკრიბა.

მოვლენები ელვის სისწრაფით სცვლიდნენ ერთმანეთს.

სამსჯავრომ თავიდან მოისმინა მათი ამბავი. განცვიფრდნენ. შეიქმნა ძიება. ამბავმა არქიეპისკოპოსამდე მიაღწია. ახლა მან ბრძანა მასთან შეკრებილიყვნენ გამგებელნი და წინამძღვარნი.

იმსჯელეს.

შემდეგ ხალხის წინაშე გამოვიდა ეპისკოპოსი და აღიმაღლა ხმა:

— კანონი მეტყველებს: ვინც მოჰკლავს ადამიანს და ამავე დროს სხვა ადამიანს იხსნის სიკვდილისაგან, იგი იქმნას დახსნილი სიკვდილისაგან. აღიკვეცოს ბერად და ცოდვათა მოსანანიებლად უდაბნოდ განდგეს.

ჭაბუკი გულწრფელად აღვარვარებდა სიხარულის ცრემლებს იმაზე, რაზეც სულ რამოდენიმე ხნის წინ გაგონებაც არ უნდოდა — ახლა ბერობა მისთვის მკვდრეთით აღდგომა იყო.

მამა თეოდორეს შესახებ კი გაისმა:

— წამებისაგან ნატანჯი მოიხსენონ ჟამის წირვაში, განკურნონ, მოასვენონ და გაათავისუფლონ.

ჭაბუკი ზვიადი მორჩილებით იმოსებოდა პატიოსანი სქემით, ამიერიდან სახელდებული მამა ი ს ა ა კ.

მამა ისააკს სული ისე დაჟეჟოდა, ახირებული, დამყოლი გამხდა-

რიყო, მაგრამ ჩვეულებისათვის მაინც ვერ ეღალატნა და რამოდენიმე დღის მერე თეოდორეს მაინც ჩასჩურჩულა:

— მე რომ არ მოვსულიყავი, როგორ გიშველიდა შენი ღმერთიო?!

გრძნობდა თეოდორე, ეს საწყენად არ იყო თქმული, ეს შემარიგებელი სიტყვა იყო და ლმობიერად უთხრა:

— უფლისა ნებით მოხველ შენ.

ნამდვილი მწუხარება მცნებაზე ძლიერი აღმოჩნდა, განცდა — განსჯაზე უმაღლესი და სრულიად ახალგაზრდა, ამ ერთ დღეს იმდენ რასმე ჩასწვდა, რასაც მრავალი ადამიანი მთელ სიცოცხლეს მოანდომებდა.

...მშვიდად დაადგნენ გზას უდაბნოსაკენ, როგორც გზას ცისაკენ, მამა იოაკიმეც ხომ უნდა გაეხარებინათ!

ქალაქს რომ გადავიდნენ მამა ისააკს დაუძლეველი სურვილი დაეუფლა თეოდორესთან ერთად თითო ფიალა ღვინო შეესვა და სთხოვა შესულიყვნენ ქულბაქის მეღვინისას.

თეოდორემ თქვა:

— აღელვებულს ღვინო გარდარევსო.

— მე უკვე დავმშვიდდი და შემერგებაო, — მიუგო მამა ისააკმა.

— შენ წადი, მე ვერ შემოგყვებიო, — უთხრა თეოდორემ და იქვე მოშორებით ჩამოჯდა.

ირგვლივ რომ მიმოიხედავდა, ერთ ქალზე შეაჩერა თვალი თეოდორემ, არაერთხელ ენახა იგი, გაახსენდა კიდეც სად და როგორ და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ქალი კი მას თითქოს ვერც ამჩნევდა და მამა ისააკს უთვალთვალებდა და რა გამოვიდა ქულბაქიდან მამა ისააკ, დაინახა, როგორ წაავლო ხელი, განზე გაიხმო და უთხრა:

— შვილო ჩემო, არ უწყი, რამეთუ გმოსავს შენ სქიმა წმინდათა? ვითარ იკადრე და შეხვედი მსმელებთან, სადაც შენ გესმის ის, რაც არ გინდა და ხედავ მას, რისი ხედვაც არ გნებავს და მამათა და დედათა თანა აღერევი? ნუ, შვილო, ნუღარ ჰყოფ ასეთ საქმესა, გაეშურე უდაბნოსაკენ.

— წარვედ გზასა შენსა, ადამიანო, რამეთუ ღმერთი ეძიებს გულსა წმიდასა, — მიუგო ისააკმა და ზედაც არ შეხედა.

ქალმა აღაპყრო ხელნი ზეცად და თქვა:

— გმადლობ, შენ უფალო, ამ საკვირველებისათვის. ათეული წლები ვიყავ სკიტესა და ვერ მოვიპოვე გული წმიდა, ამას კი მსმელებთან აღრევით გული წმიდა მოუპოვებიაო!

ისააკისათვის ახლა სულერთი იყო, ვინ რას იტყოდა, მას თავისი შეხედულება ჰქონდა.

თეოდორემ კი სული მოითქვა, რა დაინახა ისააკმა იგი ქალი ჩამოიცილა.

მართალია, ისააკს გარეგნულად ბერობა კი მიეღო, როგორც სიკვდილიდან ხსნა, მაგრამ მაინც მთავარი იყო შინაგანად გამხდარიყო ბერი. ეს კი ფრიად ძნელი რამ იყო, რადგან ჯერაც ვერ გაეგო — გაემარჯვა თუ დამარცხებულიყო, სიბნელიდან უეცრად მზის სინათლეზე

გამოსულივით ვერას არჩევდა, ფიქრებიც მოუცილებელი კრაზანებივით დასტრიალებდნენ.

— ჩემისთანა უღირსი ღვთის სამსახურში რის მაქნისიაო? — შესჩივლა თეოდორეს გულისტკივილით.

— როდესაც ფიქრობ უღირსებაზე, სწორედ მაშინ ხარ ღვთის წინაშე ღირსეული, — კმაყოფილებით მიუგო თეოდორემ.

უბედურებამ გადაიქუხა, სულის ჩქროლვაც შენელდა, თუმცა ნატანჯი სხეული აღსასრულზე აფიქრებინებდა ხოლმე. თქმით კი არას იტყოდა, პირჯვარსაც მალულად გარდაისახავდა, ისააკს კი მაინც ეტყოდა:

— ლოცვის მოსწრაფე იყავ, ბრმას წინამძღვარ ექმენ, სნეულს შემწედ...

— მშიერი განაძღე, შიშველი შემოსე, ნურცა ძვირს იტყვი ძმისა შენისათვის ზურგს უკან, რასაც პირში ვერ ეტყვი, სხვისას ნურას ინდომებ, — გააგრძელა მამა ისააკმა. — თეოდორეს სიყვარულით მხრებზე მოხვია და თვალებში ჩახედა, უშედეგოდ არ ჩაევლო განსაცდელს, თეოდორეს სახეს ჩამავალი მზის ნათელი მოჰფენოდა, გულს ნაღველი სწვეთდა და ცდილობდა გაღიმებას.

თავი XIII

ჯერაჯღე

კონსტანტინოპოლის ირგვლივ ზღვაში უამრავი ხომალდი აფრააშლილი დასრიალებდა. ავარებს გაევსოთ ზღვა ველური ტომებით, დედაქალაქის კედლებს მისწყდომოდნენ და ისეთ შიშის ზარსა სცემდნენ, რომ ალყაშემორტყმულ ქალაქიდან ვერავინ გამოდიოდა.

პატრიარქი სერგი ლოცვებით, ღამის თევით, ხალხს ღვთის შემწეობის იმედს უცხოველებდა, და კარიბჭეებიც ღვთისმშობლის ხატებით იმოსებოდა.

ხანი უთვლიდათ:

„თქვენ არ შეგიძლიათ გადაიქცეთ თევზებად, რათა ზღვაში იხსნათ თავი. ვერც ჩიტებად გადაიქცევით, რომ გაფრინდეთ ცაში, ამიტომ უსიტყვოდ ჩაგვბარდითო“.

კონსტანტინოპოლი არც პასუხობდა და არც ნებდებოდა.

მაშინ ხანი წამოვიდა ორმხრივი იერიშით — როგორც ზღვით, ისე ხმელეთით, მაგრამ დედაქალაქი ისეთი თავგანწირვით იერიებდა შემოტევას, რომ თავდამსხმელები ადგილზევე განიგმირებოდნენ. მერე იმდენად გათამამდნენ, რომ თვითონვე გააღეს ქალაქის კარიბჭე, შეტევაზე გადასასვლელად. ჯარს ქალები და ბავშვებიც შერთვოდნენ და მტერს ყიჟინა დასცეს...

ამ მარცხის შემხედავი ხანის წყრომა ლომის ბდღვინვასა ჰგავდა და სხვა რომ ვეღარა მოისაზრა, ბრძანება გასცა ცეცხლი წაეკიდებინათ ნაგებობისათვის.

სპარსელებმა რა დაინახეს ქალაქზე დაფიონი, ეგონათ, ქალაქი აღებულიაო და გაიხარეს მოკავშირის წარმატებით, მაგრამ შაჰრაბაზრმა მალე მარცხი აშკარად დაინახა, გაეცალა იქაურობას და ჯარი სირიაში გარეკა.

კონსტანტინოპოლი თავის გამარჯვებას ღვთისმშობელს მიაწერდა, ამიტომაც, ზეიმზე მის სადიდებლად ლოცვას აღავლენდა. აიასოფიას დიაკონი გიორგი პისიდიელი პოეტიც იყო. მან აღფრთოვანებულმა სანახაობით იმავე დღეს შეჰქმნა ყოვლადწმიდა მარიამის დაუჯდომელი.

პატრიარქ სერგის ხელში კი პისილიელის მთრთოლვარე პერგამენტი სასოებითა ყღერდა, მოზეიმე ზღვა ხალხის ტალღებში შეუწყვეტლად გაისმოდა გულში ჩამწვდომი სიტყვები:

„გიხაროდენ პალატო ქრისტეს მეუფისაო... ვარდო დაუჭნობელო, შროშანო მშვენიერო, საკმეველო სულნელო... გიხაროდენ, ცისკარო ბრწყინვალეო, რომელმან აღმოგვიბრწყინვენ გზა... გიხაროდენ, სოფლისა სალხინებელო და ქვეყნით ზეცად ამაღლებულო კიბეო, გიხაროდენ, წიაღმყვანებელო სიკვდილისაგან ცხოვრებად... ჰოი, სიხარულის მიზეზო მხიარულ-ჰყვენ გულის-სიტყვანი ჩვენნი, რათა ქებით გიგალობდეთ...“

საგალობელი უმალ მიიღო მთელმა საქრისტეანომ აღმოსავლეთსა და დასავლეთში, იგი იქცა ნიმუშად მრავალ ჰიმნთათვის მომდევნო საუკუნეებში და დღესაც, თითქოს იმ დღის საზეიმო გზნებით აღავლენს ეკლესია.

როდესაც იმპერიის დედაქალაქი ზეიმობდა გამარჯვებას, იმპერატორი შორეულ კავკასიაში ხოსროს წინააღმდეგ ახალი დარტყმისათვის ემზადებოდა.

ვერ უძლებდნენ რა ჰერაკლეს შეტევას სპარსთა ჯარების მეთაურნი, დახმარებას ითხოვდნენ ხოსროსაგან. გაასპიტებული ხოსრო კი სიტყვებს ტყვიასავით ისროდა, უთვლიდა: „თუ არ შეგიძლიათ გამარჯვება; შეგიძლიათ მოკვდეთო“.

ჰერაკლე თავად მიუძღვოდა ჯარს და იხვეჭდა რა აურაცხელ სიმდიდრეს ხოსროს მიტოვებულ სასახლეებში, ზეიმობდა და ხოსროს უთვლიდა:

„გდევნი რა, მე ვისწრაფი ზავისაკენ. არა ჩემი კეთილი ნებით ვწვავ და ვანადგურებ სპარსეთს, არამედ შენით ვარ იძულებული. დავაქროთ ცეცხლი, ვიდრე ყველაფერი ალში დაიღუპება“.

მაგრამ ხოსრო არც პასუხობდა და თავდასაცავად ქალაქ სელევკიასთან მისადგომ ხიდებს ანგრევინებდა.

ნინევიასთან ჰერაკლემ საბოლოოდ გაანადგურა მტრის ჯარი და ხოსროც დამარცხდა.

სპარსელთა ამ დამარცხებას მოჰყვა აჯანყება თვით სპარსეთში. ხოსრომ გაქცევითაც ვეღარ უშველა თავს; იგი შეიპყრო სპარსთა დიდებულებმა. მის თვალწინ დაკლეს მისი შვილები, ამოწყვიტეს მის შთამომავალთაგან ყველა მამაკაცი და თავადაც ზედ დააკლეს.

ჰერაკლე კონსტანტინოპოლს სწერდა:

„უხაროდეს ცას და ზეიმობდეს დედამიწა. უხაროდეს ზღვას და ყოველივეს, რაც მასშია და ჩვენც ყველა ქრისტეანებმა აღვუვლინოთ ქება, დიდება და მადლობა ერთადერთ ღმერთს. გვიხაროდეს უდიდესი სიხარულით მისი წმინდა სახელისათვის. დაეცა ამპარტავანი ღვთისმბრძოლი! დაეცა და დაემხო მიწის წიაღში და მოისპო დედამიწიდან მისი სახსენებელი! შრომა მისი მის თავზე დაეცა და სიცრუე მისი ავიდა მის კორტოხზე“.

გიორგი პისიდიელი კი ისევ პოემით პასუხობდა:

„იზეიმე გოლგოთავ, ყოველი ქმნილება ისევ თაყვანს გცემს შენ“.

ყოველივე ეს შთაგონებით აღაგზნებდა პისიდიელს და ასლა უკვე ჰერაკლეს შეასხამდა ქებას აღმოსავლურ ყაიდაზე, პოემით „ჰერაკლიადა“, ანუ „ხოსროს დაცემა“.

ჰერაკლემ ყივჩაღთა მეფეს აღუთქვა ცოლად თავისი ასული, წამოიყვანა მრავალი ერი სპარსეთს, წამოიღო ძელი ცხოველი, წამოიყვანა ზაქარია მამათმთავარი და ძლევამოსილებითა და ზეიმით შევიდა იერუსალიმს.

ასე იქმნა ჰერაკლე პირველი ჯვაროსანი.

გიორგი პისიდიელის პოემა „ექვს დღეთაც“ ჰერაკლეს მიეძღვნებოდა, სადაც პირველ ადგილზე დაყენებულია თვით ჰერაკლეს პიროვნება და არა გამარჯვების ფაქტი, გამარჯვება მისთვის მხოლოდ ჩარჩოს წარმოადგენდა.

ბიზანტიელებს თავი მოსწონდათ პისიდიელით და ამბობდნენ: „აბა, ვინ უფრო უკეთეს ლექსებსა სთხზავს — ევრიპიდე თუ პისიდიელიო?“

ექვსი წლის ომის შემდეგ დაბრუნებულ იმპერატორს ბოსფორის ნაპირას შესვდნენ მშვიდობის სიმბოლოთი — ზეთის ხილის ტოტებით, ანთებული ჩირაღდნებით, გამარჯვების შეძახილებით, ახალი საგალობლებით.

თავისი დიდების სიმაღლეზე იდგა ჰერაკლე, სიხარულის ცრემლებით ირწყვოდა მიწა.

ჰერაკლემ შემოუარა რა დედაქალაქს, ტრიუმფით შევიდა ოქროს კარებით. მისი გამარჯვების ეტლი მიჰყავდა ოთხ სპილოს, რომელნიც შემდეგ მოედანზე ხალხს გაართობდა, ჰერაკლე კი ხალხს საჩუქრებს დაურიგებდა სპარსეთს მოხვეჭილი ნაალაფევიდან.

სპარსთა ასალმა მეფემ, კავადმა, მაშინვე ზავი შეკრა ჰერაკლესთან და გამოთქვა სურვილი კეთილმეზობლობისა. ბიზანტიას დაუბრუნდა ხოსროს მიერ დაპყრობილი ტერიტორია ედესიდან ალექსანდრიამდე — სირია, პალესტინა, ეგვიპტე.

კავადი მალე დასნეულდა და რვა თვის მეფობის შემდეგ სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა, ჰერაკლეს თსოვნით მიმართა, დაეცვა ტახტი მისი მცირეწლოვანი შვილისათვის და სწერდა:

„როგორც თქვენი ღმერთი მიანდვეს ხუცეს სვიმეონს, ისე მე შენ ხელთ გაბარებ შენ მონას, ჩემ შვილს, დაე ღმერთი, რომელსაც შენ

თაყვანსა სცემ, იყოს მოწმე იმისა, თუ შენ როგორ მოექცევი მას“.

მაგრამ ჰერაკლემ ვერავითარი პატრონობა ვერ მოასწრო, რადგან სპარსეთში ისევ გადატრიალება მომხდარიყო, მცირეწლოვანი, კანონიერი მემკვიდრე მოეკლა შაჰრაბაზრს და თავად ასულიყო ტახტზე:

ვითარებაში კიდევ კარგად ვერ გარკვეულიყვნენ, რომ უზურპატორიც ასევე ვერაგულად მოეკლათ და რადგან სასანიდებში აღარ აღმოჩნდა ტასტის შესაფერი მამაკაცი, გამეფდა ხოსროს ქალიშვილი.

ყოვლისმმუსრველმა სპარსეთმა დაჰკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

თავი XIV
შეხვედრა

ერთ დღეს იძრა პალესტინის მიწა და შუადღის ცაზე გამოჩნდა ჩრდილოეთისაკენ მიმართული ვარსკვლავი მახვილის სახით და ოცდაათი დღის განმავლობაში იდგა გაჭიმული — ასე გადმოგვცემს ჟამთა აღმწერელი და დასძენს, რომ იგი მაუწყებელი იყო არაბების ძლიერების გავრცელებისაო.

კეისარი ჰერაკლე, რომელსაც ვარსკვლავმრიცხველადაც აღიარებდნენ, ამ მოვლენას დაეფიქრებინა.

ბიზანტიის კეისარმა ველარ იზეიმა გამარჯვება.

სამხრეთიდან დაიძრა მუჰამედის მოძღვრებით აღფრთოვანებული, გამაჰმადიანებული არაბთა ლაშქარი, რომელიც ძალითა და მახვილით ავრცელებდა ახალ სარწმუნოებას.

მუჰამედს წინ უსწრებდა მესიანური მოლოდინი და აი, მუჰამედიც, მოწოდებით მიმართავს თავის ერს, არაბებს:

„განვწმინდოთ ჩვენი ტომების სარწმუნოება, მოვსპოთ კერპები, უარი ვთქვათ ყოველივე მიწიერზე, ვიწამოთ ერთი ალლაჰი და მისი მოციქული მუჰამედი, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ყველა, რამეთუ მან უწყის ჭეშმარიტება“.

ყველას კარს ადგებოდა უპოვართა ახალი მესიის ამბავი, მის ირგვლივ თავს იყრიდნენ მიმდევარნი.

მჭერმეტყველი მუჰამედი ხალხზე შთამაგონებლად მოქმედებდა; იღვიძებდა და ენთებოდა ათასობით გული, ათასობით მზერა მისჩერებოდა მუჰამედს, როგორც ჭეშმარიტების მახარობელს.

არაბულად მორჩილება ნიშნავდა „ისლამს“ და ამიტომაც მოძღვრებასაც შეერქვა ისლამი.

იგი მორწმუნეს, ანუ „მუსლიმს“ ავალებდა უპირველეს მორჩილებას მუჰამედისა, რომელსაც ალლაჰი ჰკარნახობდა; იმისათვის კი, რომ „მუსლიმს“ სარწმუნოება შეეთვისებინა, საჭირო იყო დღეში ხუთჯერ

ელოცა, წელიწადში ერთი თვის განმავლობაში — მეცხრე თვეზე რამადანისა, ე. ი. მეცხრე თვეზე არაბთა მთვარის წლისა, რომელსაც ჰქვია რამაზანი ანუ რამადანი, ემარხულა. მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე არაფერი ეჭამა. მორწმუნეს მუდამ უნდა ევლო სათაყვანებელ ადგილებში: მექას, მედინას; ვალდებული იყო თავისი შემოსავლის გარკვეული ნაწილი გაეღო ღარიბთა სასარგებლოდ, მონაწილეობა მიეღო საღმრთო ომში, ანუ არამუსლიმანთა წინააღმდეგ.

მუჰამედი ამბობდა:

— ჩემი საზოგადოების შენახვა ემყარება მათი ცხენების ჩლიქებსა და მათი შუბის წვერებსაო.

მაგრამ ამბობდა იმასაც, რომ ჭეშმარიტმა სარწმუნოებამ არ იცის ძალდატანებაო.

მექა არაბების სავაჭრო მთავარი ქალაქი იყო, აქედან ვითარდებოდა საქარავნო ვაჭრობა არაბებს შორის.

არაბების ჯარი უმთავრესად შესდგებოდა ბედუინებისაგან, ფიცხელი, მომთაბარე ცხენოსნებისაგან, რომელთაც მუჰამედის მოძღვრებისა არაფერი გაეგებოდათ, მაგრამ მათ წარმატებას ხელს უწყობდა ის, რომ ისინი ცხოვრობდნენ ბიზანტიის სასაზღვრო მიწაზე, იცოდნენ ბიზანტიელების სუსტი ადგილები, იცოდნენ ისიც, რომ ომებით დასუსტებული ბიზანტია პროვინციებში ახალ ძალას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

არაბებს თავიანთი ცხოვრების სიდუხჭირე აიძულებდათ შეკავშირებულიყვნენ და წარმართულიყვნენ იმ ქვეყნებისაკენ, სადაც მათ ნადავლი და ხარკის მიღება ელოდათ.

სირია-პალესტინასა და ეგვიპტეში კეისარ ჰერაკლეს ბატონობით ვამწარებულნი მუჰამედის მოწოდებას აღფრთოვანებით შეხვდნენ, არაბებს დახვდნენ, როგორც განმათავისუფლებლებს; ასევე იუდაველები, რომელნიც ძალით ინათლებოდნენ არაბებში მხსნელებს ხედავდნენ, მათკენ გარბოდნენ, უერთდებოდნენ.

ამგვარად მუჰამედი თავის გარშემო დიდ ძალას უყრიდა თავს, რითაც გადააჭარბეს ბიზანტიელებს. არაბებით გათამამებული იუდეველები, როგორც აბრაამის შთამომავალნი, ჰერაკლესაგან ითხოვდნენ აღთქმულ მიწას. ამან კი კვლავ ჩამოაგდო ომიანობა.

ბიზანტიელები არაბებს ძაღლებად იხსენიებდნენ, რაც არაბებს აცეცხლებდა და სულ მალე მუჰამედის ვეებერთელა მხედრობა მედინიდან ჩრდილოეთით დაიძრა.

ამ აღრევით შეძრწუნებული სოფრონი, მალიმალ გარბოდა რჩევისათვის იოანესთან სინას მთაზე. მისი გარეგანი დიდებულება შინაგანი სიმტკიცის ბრწყინვალებით ელვარებდა და ქრისტეანულ სამყაროს თავის ერთი შეხედულებითაც კი ამხნევებდა.

იერუსალიმშიც მოეტანათ თეოდორესა და ისააკის თავგადასავალის ამბავი და სოფრონი უდაბნოში უთვლიდა მასთან მოსულიყვნენ. დიდსანს არაფერი ისმოდა მათგან და აი, ხარების ბრწყინვალე დღესასწა-

ულის საღამოს, იოანე და სოფრონი სავანის ხეივანში რომ ისხდნენ, კრიალოსანს მარცვლავდნენ და გაზაფხულის ცის გამჭვირვალე სილურჯეს გასცქეროდნენ, აუწყეს ორი უცხო ვინმე ბერის მოსვლა.

— გვაკურთხენ, ღირსნო მამანო, — ძლივს გამოთქვა მოკრძალებით ისააკმა და მთრთოლვარე ხელი გაუწოდა.

თეოდორე კი იოანეს დანახვაზე თითქოს გაშეშდა.

იოანეც უნებლიედ წამოდგა, მაგრამ იგიც ადგილზე გაქვავდა.

სოფრონიმ იგრძნო, რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა, მან ჩვეულის სიდინჯით კურთხევა გაიღო. მისი სულში ჩამწვდომი მზერა იჭვნაკრავად ხან თეოდორეზე, ხან ისააკზე გადაიკლაკნებოდა.

საიდან მოსულხართო? — ჰკითხა.

ჩვენ სიკვდილისაგან გამოხსნილნი ის ცოდვილნი ვართ, თქვენი ყურადღების ღირსნი რომ გავხდით და რაკი იერუსალიმში ვერ გიხილეთ, ვიკითხეთ და აქეთ მოგვასწავლეს, — თქვა ისააკმა.

ყველანი დასხდნენ.

ისააკ მოკლედ მოჰყვა მომხდარს.

სოფრონი აღფრთოვანებული წამოიჭრა და გადაეხვია თეოდორეს.

— მეფე ხარ, მეფე, ჭეშმარიტად, — ეუბნებოდა, — ძმისათვის თავდადებული.

თეოდორე ძლივს აბამდა მადლიერების სიტყვებს, მაგრამ მის ხმაში ერთბაშად ისმოდა სათნოება, სიმდაბლე და გამბედაობა.

თეოდორე ცახცახებდა, როგორც წყალში მთვარის ანარეკლი. ოფლისაგან დაცვარულ სახეს წამებულის ღიმილი გადაურბენდა, ბაგენი გაპობოდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ უცაბედ ვერ მოესაზრებინა. დროს, რომელიც პატარა ცეცხლს ქარივით აქრობს, დიდი ცეცხლი ისე გაეჩაღებინა, მთელ მის არსებაში აალებულიყო და ახლა უკვე ჩაფერფლვით ემუქრებოდა.

სინამდვილე მთელის თავისი სიმაღლით, მრისხანებით, სიზმარს უფრო ჰგავდა. იოანემ ნამდვილად იცნო, გონება ფიქრებმა დასერეს. თვალის გუგები გაფართოვებოდა და გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა.

თეოდორე ყველაფერს ამჩნევდა, მაგრამ სდუმდა, რამდენი ყიჟინა იყო მის განცვიფრებაში! რა სირთულე იფარებოდა ამ სისადავეში!

იოანემ ვეღარ გაუძლო ფიქრთ შეჭირვებას, გული ამოსუნთქვის საშუალებას აღარ აძლევდა, წამოდგა, მივიდა თეოდორესთან, მხარზე ხელი ფრთხილად დაადო და უთხრა:

— მამაო, შემომხედე თვალებში.

თეოდორემ თავი ოდნავ ასწია, ქვემოდან გამოხედა და თვალი ისე გამჭოლავად, ისეთი მრავლისმთქმელი ღიმილით გაუსწორა, იოანეს თავი დაახრევინა.

იოანემ თვალებზე ხელები აიფარა, თითქოს ძლიერი ნათებისაგან თვალთ იფარვიდა და დაბალი ხმით წარმოთქვა:

— ასლა მოისვენე მამაო, და ხვალ თეოდოსე დიდის მონასტერში დაგელოდები.

მაგრამ თეოდორე ადგილიდან ვერ იძვროდა. მისი ყურადღება სოფრონს დაეპყრო, რაღაც ეცნობოდა, სადღაც ენახა და უცებ გონებაში გაიელვა ენატის სავანემ. ის, ის ჭაბუკი იყო და უნებურად ისაკსაც რომ თვალი გადაჰკრა — საოცარი მსგავსება დინახა მათ შორის, ნუთუ? ფიქრობდა რაღაცით გახარებული და უკვე მთვრალივით, კედელ-კედელ გავიდა.

შეფიქრიანებული სოფრონი გამომცდელ მზერას ვერ აცილებდა მოსულთ და იოანესათვის კითხვის გამომხატველი სახე მიეპყრო.

იოანემ მშვიდად ღიმილითაც კი წარმოთქვა რაღაც ორიოდე სიტყვა, მაგრამ გასშირებული სუნთქვა სულაც არ ემოწმებოდა თავისივე სიტყვებს, მის ხმაში იმდენი განცდა ეამოსჭვიოდა, დიდხანს ვერ გაუძლო იოანემ იქ ყოფნას და სულ ცალე თვითონაც გავიდა სენაკიდან.

ასლა ისააკიც დააფიქრა თეოდორეს ამ მოსწრებულმა გასვლამ, ეს მის ჩვეულებრივ მორიდებაზე მეტს მეტყველებდა და რაკი იოანესათვის აღარ მიუქცევია ყურადღება, მხოლოდ ის იფიქრა, რომ ნამგზავრს მართლაც მოსვენება ესაჭიროება და უფრო თავისუფლად განაგრძო სოფრონისთან საუბარი.

სოფრონის ასლა ისააკისაგან აინტერესებდა, რაც შეიძლება მეტი გაეგო თეოდორეზე, რომ მიმხვდარიყო რასმე, რა კავშირში შეიძლებოდა ყოფილიყო იგი იოანესთან. შიგადაშიგ კითხვებს აძლევდა უფრო მნიშვნელოვანის ამოსაცნობად, მაგრამ ამაოდ, რამეთუ ისააკმაც ბევრი რამ არ იცოდა.

სოფრონის მოსწონდა ისააკის დიდრონი თვალები, თავშეკავებული სიცილისაგან რომ ციმციმებდნენ და სითბოსთან ერთად შუქსაც ავლენდნენ, თავს ფრინველივით ცქვიტად ატრიალებდა, ბუქია თმები, სიჩაუქე, ყველაფერი ეს მის ბალღურ მეამიტობას ავლენდა.

ისააკ სწორედ იმ ასაკში იყო, თავად სოფრონი რომ პირველად პალესტინას მოვიდა. ასლა მასზე თვალს ასვენებდა და აოცებდა იმდენად, რომ ეცინებოდა კიდეც — როგორ ჰგავდა მას ისააკ გარეგნულადაც.

ისააკ დროდადრო კრძალვით ჩუმდებოდა, სირეგვენე რამ არ წამომცდესო, მაგრამ მონანიე ღიმილით მაინც იტყოდა იმას, რაზედაც სულაც არ ფიქრობდა.

სოფრონიმ ამ ყმაწვილკაცში ფხიანობა, ენერგიულობა დაინახა და მაშინვე გადასწყვიტა თავისთან დაეტოვებინა.

ისააკ ჯერ არავისზე ყოფილიყო გულშევარდნილ, მაგრამ სიყვარულის ჯადოსნურ ძალას მაინც ეტრფოდა და აღიარა, რომ ასკეტური ცხოვრება მას არ ხიბლავდა და თქვა კიდეც:

— ძნელია გაკეთება იმისა, რაზეც გული არ მიგიწევს.

სოფრონისათვის მისი სათქმელის ამოცნობა არ იყო ძნელი და მიუგო:

— სქიმა სიყვარულს კი არ გვიკრძალავს, იგი სიყვარულისათვის გვმოსავს, სიყვარულისათვის, რომელიც უმაღლეს სათნოებას ნიშნავს, განწმენდილს ყოველგვარ ბიწიერებისაგან, რასაც ადამიანი მხოლოდ სიმწიფის ასაკში აღწევს, როდესაც სრულქმნილი ხდება; მცენარესაც ყლორტი უნდა დაუმწიფდეს, რომ ნაყოფი გამოიღოს, ახლა მითხარი, მაინც რაზე არ მიგიწევს გული?

— ყველაფერზე, რაც იძულებითია, — თქვა მორიდებით ისააკმა.

— მაინც, მაინც? — ჩაეკითხა სოფრონი.

— მაინც? — გაიმეორა ისააკმა ღიმილით,—მაინც, თუნდაც ის, რომ არ შეიძლია ერთდაიმავე დროს, ერთი და იგივე ლოცვის შესრულება, რასაც მონასტრული ცხოვრება აიძულებს ადამიანს, მე ვლოცულობ მხოლოდ მაშინ, როდესაც მინდა გამოვიტირო საკუთარი თავი, როდესაც მინდა ვთქვა აღსარება, გამოვთქვა ჩემი თავით უკმაყოფილება ვისიმე მიმართ. მინდა ზოგჯერ სისარულისაგან ვიტირო კიდეც, მაღლობა შევსწირო უფალს და არავის არ გავანდო სათქმელი.

— სწორედ მხოლოდ ასეთ ლოცვას აქვს მადლი და ის, ვინც გამუდმებით ლოცულობს, ლოცულობს მაგ ბედნიერი წუთების მოსაპოვებლად... ახლა მითხარი, რას გააკეთებდი შენის სურვილით?

— ამაშია ჩემი უბედურება, რომ არ ვიცი, რისი შემძლებელი ვარ.

სოფრონი ხედავდა, რომ ისააკის ფაქიზი ბუნება გულისხმიერ მოძღვარს საჭიროებდა, რათა არ დაკნინებულიყო, არ დამსხვრეულიყო, არ გაბნეულიყო ის ღირსშესანიშნავი, რითაც ბუნებას უხვად დაეჯილდოვებინა და თქვა:

— მოგზაურობა თუ გიყვარს!

— ძალიან, — აღფრთოვანებით მიუგო ისააკმა.

—მოგზაურობისას, თუ დაკვირვებულიც იქნები, ბევრი რამის შეძენა შეიძლება. უპირველეს სასელი ენდა ძებნო, მწუსარეს არ განერიდო, მის მოცილებაზე არ იზრუნო, არამედ მის სულის სიღრმემდე ჩაწვდომას ეცადე, რამეთუ ბუნებაც უმშვენიერეს მარგალიტს ზღვის ფსკერზე ცრემლით წარმოშობს, მოსვენებას სარჯელი არჩიე, ვისაც სარჯელი არ უნახავს, იგი მოსვენებასაც ვერ შეიტყობს. სამოგზაუროდ წახვალ ჩვენს მამებთან ერთად; იქნები შემკრებელი სულის მარგებელ ამბავთა. ჩაიწერ, დაიხსომებ, თუ რამ მნიშვნელოვანს გაიგონებ ან დაინახავ. შენ გეტყობა მოსმენა იცი და ეს ახლა შენთვის მთავარია, ისედაც მოსმენა ზოგჯერ მჭევრმეტყველებაზე მეტია. ამით შენს სულიერ სამყაროსაც გაამდიდრებ და ჩვენს სულის საზრდელ ბეღელშიც წვლილს შემოიტან. ხვალვე იერუსალიმს მოხვალ და ჩვენს მამებთან ერთად სამოგზაუროდ წახვალ.

ესა თქვა და ის იყო კურთხევა უნდა მიეცა წასულიყო, რომ შეაჩერა და ჰკითხა:

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ შენ არ გითქვამს, საიდან, როგორ შეხვდი შენ თეოდორეს, თუ საიდუმლოება არ არის, მითხარი, ვინ

დააკისრა, ან თუ რამ აკისრებინა შენი აღზრდა, ვინ არის შენი დედა, თუ იცი?

ისააკმა თავი დახარა, უჭირდა აღიარება. არ იცოდა, თეოდორეს-ათვის ეს მოსაწონი იქნებოდა თუ არა და თავი რომ მაღლა ასწია, სოფრონის თვალებში ჩახედა და გაუბედავად წარმოსთქვა:

— ეს საიდუმლოება არ არის, მაგრამ ახლა უკვე მე მინდა, რომ თქვენ საიდუმლოდ შეინახოთ... მე ნამდვილად არ ვიცი ვინ არიან ჩემი მშობლები, მაგრამ ჩემი დაბადების ამბავი ჭეშმარიტებით ვიცი მამა თეოდორესაგან, — ესა თქვა და გაჩერდა.

— სთქვი ყველაფერი და ისეთი იმედი გქონდეს საიდუმლოების დაცვისა, როგორც რომ არ გეთქვას.

და დაჯდა ისევ ისააკ ამბის თხრობად იქიდან, საიდანაც თავად აიძულა თეოდორეს აღიარება.

სოფრონი უსმენდა და მღელვარებისაგან ველარც უსმენდა, რამეთუ მოგონებანი თავად მეტყველებდნენ.

ისააკ ამჩნევდა სოფრონი როგორ იძაბებოდა, ვერა ხვდებოდა, რატომ უნდა ემოქმედა მასზე მისი დაბადების ამბავს და ისევ თავის თავს სდებდა ბრალს, რომ არ უნდა ეთქვა, მერე ისე უნელა თხრობას, ბოლოს სულაც დადუმდა, რადგან ხედავდა სოფრონის ისე დაექუფრა სახე, ცრემლადაც დაიღვრებოდა, რომ არ წამომდგარიყო და მოსწრაფებულად არ ეთქვა მისთვის:

— ახლა კი გვიანაა, დავემშვიდობოთ ერთმანეთს, — და ისეთი ძალით ჩაიკრა გულში, ისააკიც ისე მიეკრა, ერთ მთლიანობად აქცია, უნდოდა ეთქვა „შვილი ხარ ჩემი", მაგრამ ვერ წარმოთქვამდა, ატირდა კი მის მხრებზე და ვიდრე ცრემლები მისივე სქიმაზე არ შეაშრო, ხელიდან ვერ გაუშვა და მაშინ კი უკვე გაბრწყინებული სახით შესცქეროდნენ ორივენი ერთმანეთს, მერე დაშორდნენ.

სოფრონიმ რა მოიხურა ჯარი, მუხლთ მოიყარა ჯვარცმის წინაშე და მდუღარებით ატირდა, ატირდა ღვთის მადლიერებით, სამართლიანობით და რა გული იჯერა, ცრემლმა განბანა წარსული ცოდვა-ბრალისაგან და კიდევ ერთხელ და კიდევ უფრო დაკვირვებით აღადგინა ისაკის ნაამბობი. ყველაფერი ისე ნათლად, ისე ცხადად იყო თქმული, რომ დაუჯერებელიც კი იყო. გული ისე ებჯინებოდა ყელში, ნერწყვს ძლივს ყლაპავდა. იგონებდა ისააკის სახეს და ყველაზე უტყუარ დასტურად მიაჩნდა მისი თვალები, ხასიათი, დედის მხოლოდ ბაგენი გამოჰყოლოდა... ენატის დედათა სავანე, ის საბედისწერო ღამე, რომელიც აღარ განმეორებულა.

სოფრონის ამაღლებულმა სიტყვამ ისაკს თავისი შემბოჭველი სქიმა უძვირფასეს მოსასხამად უქცია, კამკამა დღე ჩამოუდგა დაბინდულ სულში, იგი თავის თავს წარმოიდგენდა, როგორც მსედარი კეისრის წინაშე წარმდგარი ჯილდოს მისაღებად. ახლა გაიგო მთელის ძალით სიკვდილმისჯილის მოულოდნელი განთავისუფლების სიხარული. სოფრონი არ ჰგავდა ვნებაუქონელ მამებს, ისაკს რომ ენახა და

მზად იყო მისი მორჩილება ეკისრა, იგი კი ისეთ სახარბიელო რასმე სთავაზობდა, რასაც თავად ვერ მოიფიქრებდა.

ისააკ ულიმოდა ხეებს, ეხმიანებოდა ფრინველებს, ყველაფერს მსუბუქი ნათელი მოჰფენოდა, ყველაფერი მას ულიმოდა, ბედი გაშლილი წიაღით ეგებებოდა, ისააკ ქცეულიყო იმათ, რაც იყო.

— რა მივაგო უფალსა ყოვლისათვის, რომელი მიმაგო მე, რომელმან დამიცვა, ვითარცა გუგა თვალისა. მცნებანი შენნი შევიყვარო უფროის ოქროსა და ანთრაკისა, — ღაღადისში იყო ისააკ. ფრთებდამსხვრეულ არწივს ერთი სულის შებერვით ფრთები გამართვოდა და ერთი მძლავრი შემოკვრით ზეცას შეინავარდებდა.

ისააკ თეოდორეს ისეთი შეუნელებელი აღფრთოვანებით უყვებოდა როგორ ეპოვა ცხოვრების გზა, რომ თეოდორე აშოშმინებდა, ამშვიდებდა, ეუბნებოდა:

— საქმეს, მით უფრო ახალს, დინჯად უნდა შეუდგე, ბედნიერებას კიდევ მეტი სიდინჯით შეხვდე, ვიდრე უბედურებას.

ისააკის თხრობიდან ჩანდა, რომ სოფრონის არ გაემხილა მისთვის მამობა და თეოდორე კმაყოფილი იყო ამით. ისააკ თვითონაც მიხვდებოდა სიმართლეს დროთა ვითარებაში.

თეოდორემ გათენებისას შეიხსნა სინატიფით ამოტვიფრული სპილოს ძვლის პაწაწინა სანაწილე მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის ნატეხით და ისააკს შეაბა ყელზე:

— დღეიდან შენი მფარველი იყოსო, — დაღლილი ღიმილით წარმოთქვა და გზა დაულოცა.

მხურვალედ გადაეხვივნენ ერიმანეთს და შემდეგ სევდამორეული თეოდორე დიდხანს, დიდხანს გაჰყურებდა მის გზას, თითქოს რაღაცას იხსომებდა, ამასთან, მთელი ერთად განვლილი ცხოვრების გზაც გადაშლოდა. ეს პირველი გაყრა იყო, ისიც ისააკის დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე დადგომისა.

მარტოდ დარჩენილ თეოდორეს ირგვლივ შეუცნობელი იდუმალება იქსოვებოდა. ქორი ყრუდ წიოდა, სევდა ცრემლს ჰგვრიდა, იგი იმ ყვავილს დამსგავსებოდა, რომელსაც რაც მეტად გათელავ, მით უფრო სურნელოვანი ხდება. მხოლოდ ახლა აკვირდებოდა, რა ძალამ გამოატარა ესოდენ მძიმე ცხოვრება, როგორ ატარა ათეული წლების მანძილზე ნაღველით სავსე გული, რომ მისი სიმწარე არ უგრძვნია!

კაეშნიან სულის სიღრმის სამალავში მიყუჟული იდუმალი რამ სინათლეზე გამოეხმო უცაბედ შეხვედრას. ნოყიერ ნიადაგში სიყვარულს მზესავით აეღორძინებინა თესლი. გაზრდილიყო და იმ მარგალიტად ქცეულიყო, რომლის ძიებაშიც იყო ბიბლიური მეზვრე, ამ მარგალიტის მოპოვებით კი დიადი სახე მიიღო უძღებმა შვილმა.

თეოდორეს ყველაზე ძლიერ მსაჯულისათვის, დროისათვის გაეძლო, დროს ვერ გაეფანტა გრძნობები, ვერ მოეცარა რწმენა ადამიანში. თუ გარეგნული ფერთა სიუხვე და ელვარება ჩაფერფლილიყო, თუ მისი სახე დაღარულიყო, სულის სიხასხასე არ გაჰქრობოდა, ჟამს ში-

ნაგანი ცეცხლი ვერ ჩაექრო, რამეთუ ეს მზის სხივების ნაქარგი იყო სულის ქარგაზე. და თუ ცხოვრებას მისთვის გულგრილობა, ცილისწამება, უნდობლობა, თავისი ყველა სიავე არ დაეშურა, თუ სტიქიამ სიცხით წაართვა მას სილამაზე, დრომ მისცა მას სიმწიფის მშვენიერება.

გაუფურჩქვნელი ახალგაზრდობა კი დამჭკნარ სხეულში სიყვარულს ამა ქვეყნად ისევე ვერ იზეიმებდა, როგორც დაფლეთილი სამოსით სამეფო მეჯლისზედ წმინდანი ვერ წარსდგებოდა.

უჩვეულო სიმსუბუქესა გრძნობდა, სულის მეობა უქრებოდა, თავის თავს აღარ ეკუთვნოდა, თოვლის ფანტელივით დაფარფატებდა. მას უდიდესი ღვაწლი მოეპოვებინა — ადამიანის გულში კვალი დაეტოვებინა, ეს კი მთელი სამყაროს დაპყრობას ნიშნავდა, რომლის სიმდიდრის მემკვიდრეობა სამარადისო საუფლოში ელოდა. იგი შემძლებელ იქნებოდა სამსჯავროში ქრისტესათვის ეთქვა: მომიტევე, ვითარცა მე მივუტევე.

მის სასეს ეშვიდი არილი დასტრიალებდა, ბაგეთ კეთილი ღიმილი დავანებოდათ და იდუმალ სიჭაბუკე უხილავ პანთეონში დაფარულ ქორწინებას ზეიმობდა, ლოცულობდა:

„ღმერთო საუკუნეთაო, რომელმან ღირს მყავ მოწმედ ჟამად ამას და ვანწმინდე მდაბალი სული ჩემი ყოვლისა ბიწიერებისაგან ხორცისა, დიდება შენდა“.

ეს ცრემლიანი ლოცვა იმავე დროს სიხარულის ქვითინიც იყო.

იოანეს გამოგზავნილმა ცხენმა სარკმელთან დაიფრუტუნა და თეოდორე უცებ წამოიჭრა.

ცხენმა ერთი კი იუცხოვა მხედარი, ყალყზე შედგა, მაგრამ იცრქნო რა მისი დაჯერება, თავჩაქინდრულმა მწყობრი სიჩქარით გასწია. ცხენს გზის მიმართულებას არ აძლევდა და მასაც საითაც მოეგუნებებოდა იქით მიჰყავდა მხედარი. რაღაზე არ ფიქრობდა, რაღას არ გაიხსენებდა! როდესაც მოაგონდა თავდაპირველი თავშესაფარი, ლოცვად დამდგარი მოძღვრის სიკვდილი, მწარე ღიმილით გაიფიქრა, მეც სიმარტოვეში მიწერია სულის დალევაო. მაგრამ მხნეობა არა სტოვებდა, დავიწყებოდა ასაკი, გარემო, დაბრუნებოდა უზრუნველი ახალგაზრდობა. ისე დაღამებულიყო, ისე ასცდენოდა გზას ამ ხეტიალში, რომ ვერც შეეტყო. უცებ ცხენი ციცაბო ნაპრალთან ყალყზე შესდგა, მთელის ძალით თეოდორე მიწას დაანარცხა და თავად სამშვიდობოს დადგა.

იოანე კი ამ დროს თეოდოსე დიდის სავანეში მოუთმენლად ელოდა, ელოდა იმდენხანს რომ შეხვედრის მოლოდინის საზეიმო ელფერი გამქრალიყო. მოლოდინით აჟღერებული თაღებიც დადუმებულიყვნენ, ფსკერების გულისძგერაც ჩერდებოდა და ლამპრის მიღმა ჩრდილი მოჩვენებასავით გაწოლილიყო.

სენაკიდან გამოვიდა, ცას გახედა, იგიც გარინდულიყო, ახლაღა შენიშნა მის სარკმელთან მერცხალს დაეწყო ბუდის შენება და მიეტოვებინა, ვარდებს ისე ეყვავილათ, ვერავინ გაეხარებინა.

რას შეეძლო თეოდორეს დაყოვნება? იქნებ სულაც გადაიფიქრა

მასთან მოსვლა? ჰქონდა ამის უფლება, მაგრამ მისი ხმა, გამოხედვა ამას არ იუწყებოდა და ისევ და ისევ მოთმინებას იკრეფდა. გზას სავანის ვიწრო სარკმლიდან აღარ გაჰყურებდა, კარი ფართოდ გამოეღო და თავადაც გზის პირად დამდგარიყო.

შუაღამე გადასულიყო, მოლოდინის იმედიც გაწყდა. მობრუნდა სენაკში.

ძილი თითქოს არ ეკარებოდა, მაგრამ მიწოლილს წუთიერად ჩასთვლიმა, ჩასთვლიმა და ეზმანა კიდეც: თეოდორე შარავანდედით მოსილი სიმაღლეზე იდგა, სიხარულმა გამოაფხიზლა, მაგრამ როდესაც ისევ ჩასთვლიმა, შემზარავი რამ ეზმანა: უკუნეთ ბნელში ხედავს თავის თავს, სამეგლოვიარო სამოსში მტირალს; ადამიანთა აჩრდილები კი მოედინებიან, წინ ყრმა უსწრებთ, უკან-უკან რომ იხედება და ანიშნებს უსმინოს მაღლიდან ხმას და ესმის კიდეც: „ღვთის განგებით შვილი უ[illegible] დაიკლას". ისე ცხადად სედავდა ყველაფერს, ისე გარკვევით ესმოდა ხმა, რომ გველნაკბენივით წამოვარდა, ეს ჩვეულებრივი სიზმარი არ იყო!

მისი სუნთქვა ზღვის ღელვით ოხვრასა ჰგავდა, აწეწილი ფიქრებით უმალ სინას მთისაკენ გამოეშურა.

გამყინავი ფიქრები ცნობიერებას ახშობდა, მთვარეულივით ვიდოდა. თენდებოდა, სულში კი უფრო და უფრო ბნელდებოდა, წვიმაც მწუხარედ მოდიოდა.

სინას მთაზე ვისაც არ ჰკითხა წინა დღეს მოსული ბერის შესახებ, ვერავინ ვერაფერი უთხრა. ერთს დაენახა მხოლოდ, ცხენით იერუსალიმიდან ვავიდაო. ერთი მოხუცი მონაზონი ქალი იდგა, რომელსაც არავინ შეჰკითხვია და თავად კი ცდილობდა ყველას ვასაკონად თავისი სიტყვა ეთქვა, საოცრად მოუსვენრად ატრიალებდა თვალებს, საოცარი ნიშნისგება გამოსჭვიოდა სახეზეც, მისი იერი სრულიად არ შეეფერებოდა მისი სამოსელის ღირსებას.

— ყოველგვარ საოცრებას ელოდეთ მისგან, რაკი ყრმა მოუცილებია, კიდევაც თავისას არ მოიშლისო, — ქირქილებდა. მის კილოში კი სიტყვებზე მეტი ულმობლობა გამოსჭვიოდა. უთამამესი სიტყვაც კი დასცდა:

— იცნებ, იგი სულაც არ იყო ბერი და გაიპარაო.

იოანემ ერთი გახედვით ჩააჩუმა, მაგრამ მაინც თქვა:

— ნუ ვანიკითხავთ და არ განიკითხებითო.

— ერთნი ხართ ყველანი და ერთმანეთსაც იმიტომ იცავთო, — მაინც ჩაილაპარაკა ქალმა და უკვე ბრაზით დაჩრდილული გაეცალა იქაურობას.

ამ დროს გაისმა კიდეც ეკლესიის ზარის მწყობრი ხმა, აჩოჩქოლებული ხალხი თავს იყრიდა.

იოანე ელვის სისწრაფით ხალხის შუაგულში გაჩნდა.

ებრაელს, რომელსაც თეოდორე უსულო ენახა, აქ მოესვენებინა. სამოსელი შემოეფხრიწა, თავზე ნაცარი წაეყარა, გვამს კი არავის

აკარებდა, რაღაცას გაუგებარს ბუტბუტებდა, უფრო ლოცულობდა და, რა დაინახა იოანე, მუხლებში ჩაუვარდა, კალთაზე მოსწია, ფართოდ დაღებული თვალებით ანიშნებდა მისკენ დახრილიყო, ეეონა საკვირველს რასმე ეტყოდა, მაგრამ იოანემ არც უსმინა, ანიშნა გასცლოდა და იგიც მძიმედ, უკან-უკან იხევდა.

იოანე უფრო გულგრილ მოწმესა ჰგავდა, ვიდრე ჭირისუფალს, იხმო რა ორი ბერი, სამივემ თეოდორე თეოდოსე დიდის მონასტერში დაასვენეს. ყველანი გაისტუმრა და დარჩა მასთან მარტოდ.

მზის ალმაცერი სხივები კიაფობდნენ თეოდორეს გაყინულ სახეზე. დამსხვრეულ სხეულს სულის სიმრთელე სახიერებას არ უკარგავდა. ჭაღარით დათოვლილი თმები შუბლზე ჩამოჰყროდა. მარადიულ ცივ ძილს ნეტარება მოჰფენოდა, თითქოსდა უკვე მიეღო ზეციური მოქალაქეობა.

მის მიყინულ ღიმილში იოანემ ნათლად ამოიკითხა: ბედნიერებავ, შენ ციმციმებ შორიდან.

„არა ჯერ არს უზომო გლოვა მიცვალებულისათვის, არამედ უმჯობეს არს გულმოდგინე ფსალმუნება და ვედრება მისთვის. წუხილი იმაზე, რასაც აღარაფერი ეშველება ცოდვაა, უაზრობაა", — რამდენჯერ დაურწმუნებია ამ სიტყვებით მწუხარე ჭირისუფალი, მაგრამ ახლა ეს სიტყვები იოანესათვის არაფრის მთქმელი იყო. უნუგეშო სინანულით კვნესოდა გული და მხოლოდ ისევ სიკვდილი იყო მანუგეშებელი, სიკვდილში რაღაც მშობლიური გამოსჭვიოდა.

და რა მოვიდა სოფრონი, მიცვალებული დიდის პატივით დაკრძალეს თეოდოსე დიდის სავანეში.

თავი XIV

აღსარება

იოანემ კარგა ხანს დაჰყო თეოდოსე დიდის სავანეში, თეოდორეს საფლავი მას კიდევაც ამშვიდებდა, რამეთუ დღემდე თავის აღსასრულზე აფიქრობინებდა, მაგრამ თეოდორე სიზმრად მთელის თავისი ბრწყინვალებით, შარავანდედით მოსილი რომ ეცხადებოდა, მრავალგზის შეაგონებდა დაეტოვებინა იქაურობა, ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა მას გასაკეთებელი და იოანე რომ მაინც არ იძვროდა ადგილიდან, ერთ დღეს თეოდორემ ისევე სიზმრად განუცხადა წასულიყო საბა წმიდის სავანეს.

მაშინ კი დაფიქრდა იოანე, რომ მართლაც ჭარბი გოდება და ცრემლი გარდასულზე უაზრობა იყო. ადამიანი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე უნდა მოქმედებდეს, იღვწოდეს საუფლოში სამკვიდრებლის მოსაპოვებლად და თუკი იგი ერთგულია თავისი მწუხარების, მუდამ საფლავთან ყოფნა არაფერს მოუტანს, საფლავსაც ისევე მონახულება უნდა, როგორც ცხოვრებას დროდადრო სჭირდება გაცლა, რომ თავის-

თავში წესრიგი დაამყაროს და ცხოვრებასაც უფრო ღრმად ჩახედოს.

და აი, მართლაც, გამოეთხოვა თეოდორეს საფლავს, როგორც მისი შორჩილი და გაუდგა გზას.

ხმაურიან, სიცოცხლით სავსე იერუსალიმს გადაივლიდა და ფიქრები კი სულის უდაბნოს სერავდნენ.

იერუსალიმის აღმოსავლეთით საბა წმიდის ლავრა ბრწყინავდა და იოანეს მის დანახვაზე სიხარული დაეუფლა.

საბა წმინდის ლავრა განთქმული იყო მოღვაწეებით. აქ დაეწერა მარტვილი ქართველს თავისი „სინანულისათვის და სიმდაბლისა“, აქ მოენახა თავშესაფარი იოანე მდუმარეს და აქ მოვიდა მდუმარებისათვის იოანე მოსხი, რომელიც თავადაც მდუმარებით მოცულ ტაძარსა ჰგავდა.

იოანეს სარკმელთან მარადიული მწუხარების სიმბოლო, ცად აღმართული კვიპაროსები უსაზღვრო სივრცეში შეჭრილიყვნენ.

„ათეული წლები განმარტოვებით ცხოვრობ ადამიანი, — ფიქრობდა იოანე, — მოკლებული ხარ იმ მთავარს, რაც ქვეყნად შენთვისაა განკუთვნილი, ქალის სიყვარულს, რომელიც მთელ სამყაროს მოიცავს თავისი სიღრმითა და ფერადოვნებით, რისთვის?“

ერთიღა დარჩენოდა ნუგეშად — ელოდა ისააკს. ისააკ იყო მისთვის ერთადერთი, რომელიც ცოცხლად აკავშირებდა წარსულთან, მნიშვნელოვანს ხდიდა აწმყოს და მომავლის იმედს უცხოველებდა.

სოფრონი კი, ეს ურყევი დედაბოძი ეკლესიისა, თავის ღვაწლმოსილებას და თვალსაჩინოებას იერუსალიმის საპატრიარქო ტახტზე აეყვანა.

იოანეს ახარებდა მოწაფისა და მეგობრის ესოდენ საპატიო აღზევება, მაგრამ იმავე დროს აღონებდა პატრიარქის მძიმე ტვირთი, პასუხისმგებლობა და მით უფრო, რომ მას უკვე აღარ ძალედვა მისი თანამოსაგრეობა.

ცრიატი დღე იდგა და იოანეს სენაკში სხივი არსაიდან აღწევდა. შწუხრით მოცულ სიმარტოვეში ხეების მოძრავ ჩრდილებს რომ აკვირდებოდა, ჟიჟმატი რამ თუ გაუელვებდა ფიქრად.

— გვაკურთხენ, მამაო, — უცებ შემოესმა სანატრელი ხმა.

—გაკურთხოს ზეციერმან, — წარმოთქვა იოანემ და ხელებგაშლილი შეეგება, როგორც ღვიძლ შვილს, და ჩუმი ტირილით ატირდა, ერთხანს ისააკიც დუმდა, მხოლოდ მისი გულის ბაგა-ბუგი გაისმოდა, რამაც იოანეს თავისი სევდა დააფარვინა და უკვე გაბრწყინებული სახით ერთმანეთს ჩახედეს თვალებში.

ისაკს აღმოსავლეთი მოევლო. მისმა გაბრწყინებულმა სახემ, როგორც მზემ ღრუბლებიდან, შემოანათა და სხივმა იოანეს სულში ჩაიღწია.

ისაკს ცხოვრება თავისგულისად რომ აეწყო, ახლა ნახულისა და გაგონილის გაზიარებაზე ფიქრობდა, მაგრამ იოანეს ესოდენ სევდიან თვალებში ნაღველის მეტი რომ ვერაფერი ამოიკითხა, თითქოს მიხვდა

კიდეც, რომ მისგან სასიხარულოს ვერას გაიგებდა, სიტყვა ვერ დასძრა, ვიდრე იოანე თავად არ წამოიწყებდა.

იოანემ ისაკს მსარზე ხელი მძიმედ დააღო, სახეში ვეღარ უცქერდა, თავი დაბლა დაეხარა და უფრო ასლოს მიიზიდა. იგი მთელის სიფრთხილით და თანაგრძნობით განუცხადებდა მომხდარს, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანს და იმდენად გასაოცარს, რომ მისი ყოველნაირი რწმუნება, დამშვიდება ამაოდ რჩებოდა.

ისააკ ჩვილი ბალღივით ტიროდა. შეძრული თეოდორეს ხვედრით სახეზე ხელებაფარებული ლამის ღრიალებდა, ბოლოს მკერდი შეიხსნა და თეოდორეს უკანასკნელი საჩუქარი აჩვენა.

იოანემ იცნო — ეს ხომ თეოდორეს მან აჩუქა სულ ახალგაზრდამ პირველსავე შეხვედრისას და ისიც აქვითინდა. ასე ერთად გამოიტირეს ორივესათვის ერთნაირად ახლობელ და გულისმომწყვლელ ადამიანთან განშორება.

რა ჩაცხრა მდუღარება, იოანე არწმუნებდა, რომ თეოდორე დღესაც მათი მფარველია, მათთვის მლოცველი, და მომლოდინე მათთან შესვედრის. ისააკიც ჭეშმარიტად ირწმუნებოდა, რომ დიდი წყალობა იყო ღვთისა, რომ მისი ცხოვრება თეოდორესთან დააკავშირა, იგი იყო მისთვის ნამდვილი თავდადებული აღმზრდელი.

— ჭეშმარიტად მასში ანგელოზი იყო ჩასახლებული, — ამბობდა უკვე სულმოთქმული იოანე, — რამეთუ ადამიანისათვის შეუძლებელი იქნებოდა ასეთი მძიმე ჯვარის ზიდვა სულ აღმართში.

ისააკ კი, ცრემლების ყლაპვით ღაწვრილებით ჰყვებოდა თეოდორესთან ერთად განვლილ ცხოვრებას. გარდასულ დროთა მონაბერი იოანეს უძრავ სახეს ნაღვლიანი ღიმილით შეარხევდა.

ისააკს გარემოებანი ერთმანეთისათვის ვერ დაეკავშირებინა, წვალობდა, როგორც ობობა დაწყვეტილ ქსელის გაბმაზე. არ შორდებოდა ჭონებას კითხვა, თუ რა უკიდურესობას შეეძლო აეძულებინა თეოდორე, დაეფარა თავისი ქალობა? იოანესათვის კი გასაგები იყო, მაგრამ ჭიზეზი იგი სათქმელად შეუძლებელი, იმდენად სათუთი, იმდენად ღრმად განსაცდელი იყო, სიტყვებში იგი მხოლოდ გაუფერულდებოდა, და თვით განცდის წინაშეც დანაშაულს მოასწავებდა, ამიტომაც ამაზე არას იტყოდა.

ისააკს ერთი დღეც გაახსენდა:

— ზღვაში სამოგზაუროდ ნავში ჩავსხედით, მაგრამ პირქარი აფრებს აფერხებდა, იძულებულნი გავხდით უკან დავბრუნებულიყავით. ყველანი სინანულსა და წუხილს გამოვთქვამდით, თეოდორე კი ღვთის სადიდებელს აღავლენდა; ეგების, — იტყოდა, — სწორედ ეს პირქარია, რომ გვიცავს მოსალოდნელი უბედურებისაგან, უკან რომ გვაბრუნებსო. თან თავის ახალგაზრდობიდანაც ბევრს რასმე შესატყვისს გაიხსენებდა დასტურისათვის.

იოანემ აქ ფრთხილად ჩაურთო:

— არაფერი უთქვამს ვისიმე დანაშაულზე მის მიმართ?

— არასოდეს, არავისზე, — მტკიცედ მიუგო ისააკმა, — იგი მუდამ ამბობდა, რომ ადამიანი თუ ჩაუკვირდება მისთვის საზიანოდ მომსდარს, ყოველთვის დაინახავს, რომ დანაშაულის მიზეზი მასშივეა.

ისე დაათენდათ, ვერც შეიტყვეს, ძილი გაკრთობოდათ, მაგრამ მაინც მოსვენება არჩიეს. თან იოანემ დასძინა:

— ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, ისე ვიცხოვროთ, როგორც მას მოეწონებოდა და მაშინ მის წინაშე შეურცხვენელნი წარვსდგებით.

მეორე დღეს საღამომდე არ გამოსულან სენაკიდან, ეძინათ და შეხვედრისას უკვე აღარაფერი უთქვამთ წარსულზე. ერთად წავიდნენ საფლავის მოსანახულებლად და იქიდან მობრუნებულნი უკვე სოფრონისა და სხვათა ამბავს გამოკითხავდენ.

შემდეგ კი იოანემ სასხვათაშორისოდ ჰკითხა, ხომ არაფერი ჰქონდა მოგზაურობიდან მოსათხრობი, თუ ჩანაწერი.

მხოლოდ ახლა დაუბრუნდა ისააკს ხალისი თავის შესახებაც რაიმე ეთქვა. მას ისეთი გულმოდგინება გამოეჩინა, მონაპოვარი მთლიანად გადმოეწერა და იოანეს გადასცა, თან იუწყებოდა:

— მივიწიე ოდესმე იოპედ და მუნ ვპოვე წიგნი ესე ჰინდოთა საწიგნესა, რომელსა შინა სწერიან საქმენი ამის სოფრონისანი, ფრიად სარგებელნი სულისანი.

იოანე წიგნს გარინდებული ფურცლავდა, წიგნმა ისე გაიტაცა, დაავიწყა ისააკის იქ ყოფნა, ისააკ ამას ამჩნევდა, უხაროდა და მოუთმენლობით ელოდა, რას იტყოდა იოანე, მოუწონებდა თუ არა ამ პირველ მონაპოვარს. იოანე კი ფურცლავდა და ფურცლავდა ხელნაწერს. მიხვდა ისააკ, რომ იოანემ მასში რაღაც ყურადსაღები ჰპოვა, იოანე მარტოდ უნდა დაეტოვებინა და მოკრძალებით წარმოთქვა:

— გვაკურთხენ, მამაო.

— გაკურთხოს ზეციერმან, — წარმოთქვა უცებ გამორკვეულმა იოანემ, წამოდგა და გაბრწყინებული სახით შეხედა ისააკს, ისააკს კი თავი დაეღუნა კურთხევის მისაღებად. იოანემ უსიტყვო მადლიერებით დაუკოცნა თავი, მხრები და თქვა:

— ო, რა ძალა აქვს ადამიანს, როდესაც მის თავისებურებას თავისუფალი გზა მიეცემა! წადი ახლა სოფრონისთან, დღეს შენ მას სჭირდები ისე, როგორც არასდროს. მოუყევი მასაც რაც ამ წიგნში სწერია, შენ კი იცოდე, რომ დიდი განძი გიპოვია.

ისააკ ბედნიერი თვალებით შესცქეროდა იმისთვისაც, რომ თავად ვერ გაებედა მისი ასე უეცრად მიტოვება და სოფრონის მონახულება, ახლა კი როდესაც იგი თავად ავალებდა ამას, სიხარულით, სიამაყით გაუდგა გზას იერუსალიმისაკენ, სადაც სოფრონის შეხვდებოდა უკვე როგორც პატრიარქს. გზად ისააკს ხნიერი მონაზონი ქალი წამოეწია, თითქოს ეცნო კიდეც, მაგრამ ეცადა თავი აერიდებინა, რამეთუ უსიამო გრძნობამ გაჰკაწრა, მას ისედაც არავისთან არ უნდოდა გამოლაპარაკება, თავის ფიქრებთან სურდა დარჩენა. ქალი კი უკვე გვერდით მიჰყვებოდა, ისააკ მისკენ მაინც არ იხედებოდა, ქალი სახეში შეს-

ცქეროდა და რომ თავისკენ მაინც ვერ მოახედა, ოდნავ გაუსწრო, მოუბრუნდა და შესთხოვა:

— მოწყალება მოიღე, შვილო.

ისააკ შეკრთა, შეეშინდა კიდეც და უნდოდა რაც შეიძლება მალე ჩამოეცილებინა გზიდან, ქისაში გროშებს ძებნა დაუწყო, და ქისიანად ესროლა. ნაბიჯს აუჩქარა, იმედი მიეცა, რომ ვეღარ დაეწეოდა, ანდა რისთვის უნდა დასწეოდა?

ქალმა ქისა იცნო, სიხარულისაგან ცრემლები გადმოსკდა, ამდენ ხანს შეუნახავს, თან უტარებიაო და კიდევ უფრო გაბედულად, უფრო თამამად დაედევნა.

ისააკ გრძნობდა, როგორ მოსდევდა ქალი, სუნთქვა ეკვროდა, გადასწყვიტა მისკენ აღარ მოეხედა.

— მოწყალებას არ გთხოვ, კურთხევა მინდა, შვილო, შენგან, — უკვე ისევ გვერდით მისდევდა და ქისასაც აწვდიდა, — დაიბრუნე, მოწყალებას მე თავად გავიღებ, იმდენი დამიგროვებია.

— შვილოს მიწოდებ და კურთხევასა მთხოვ? — ნაბიჯის შეუჩერებლად, მისკენ მიუხედავად მიუგო ისააკმა.

— სიტყვა მაქვს შენთან, „მამაო“, მომისმინე! — სიტყვა მამაოს ისეთი ნიშნის გებით იტყოდა, თითქოს რაღაცაში ამხელდა კიდეც.

— დამეხსენ, ადამიანო, კურთხევას ჩემზე ღირსეულნი მოგცემენ და მოსმენითაც უკეთ მოგისმენენ, — ლამის ბრძანებით ამბობდა ისააკ.

— მომისმინე, გევედრები, სიტყვა მაქვს შენთან, — არ ცხრებოდა ქალი და რომ ვეღარ ეწეოდა, ხელი ჩაავლო მკლავში.

ისააკმა ხელი გამოჰგლიჯა და უყვირა:

— ნუ მაყოვნებ, დამეხსენ-მეთქი, ჩამომეცალე გზიდან.

— შენს მეტი ვერავინ მოისმენს ჩემს სათქმელს, — მეტად აღგზნებული ევედრებოდა.

— დამეხსენ, რა გინდა ჩემგან, — ისააკ ამბობდა და უკვე გაქცევაზე ფიქრობდა.

— ბედი მხოლოდ იმისათვის მაბოგინებს ბედშავს ამ წყეულ მიწაზე, რომ ბოლომდე ვერ შევსვი სასჯელის ფიალა, ბოლოშია მთელი სიმწარე დალექილი, სიკვდილის აჩრდილი თან მსდევს და შენგან ელის სასიკვდილო განაჩენს. — ამბობდა სასოწარკვეთილი ქალი.

— სიკვდილ-სიცოცხლის გამჩინებელი უზენაესია და მას მიმართე, წადი ეკლესიაში, მიდი მოძღვართან, იგი შეგინდობს... — ამბობდა ისააკ და როგორღაც ნაბიჯს აჩქარების ნაცვლად უნელებდა, უფრო ხმადაბლა, ლმობიერადაც კი გამოსთქვამდა სიტყვებს, თითქოს რაღაც ახსენდებოდა.

— ტაძარში წავიდე? სქიმებში გამოხვეულ ავაზაკებს გავანდო, მათ ვუთხრა აღსარება, ყველაფერი გადმოვულაგო და შემდეგ ერთმანეთს უქირქილონ და სასაცილოდ ამიგდონ?! — ისეთის მძულვარებით წარმოსთქვამდა სიტყვებს, თან სინანულით თავს იქნევდა, რომ არ შეეძლო უფრო უდიერად მოეხსენიებინა ისინი.

ისააკს უცებ მთელი სიცხადით გაახსენდა კონსტანტინოპოლი, თეოდორე, როგორი უმოწყალო, როგორი შემზარავი იყო ეულოგი თეოდორეს მიმართ, შეშინდა, რომ ახლა მას ემსგავსებოდა, შეჩერდა და მოუბრუნდა:

— სთქვი შენი სათქმელი, გისმენ, — თითქოს ბოდიშსაც კი უხდიდა.

ქალს მოეშვა, სახეც გაუნათდა, თვალებზე ცრემლებიც კი აუკიაფდა, უნდოდა გადახვეოდა კიდეც სიხარულისაგან, მაგრამ აბა როგორ, მაშინ იქნებ სულაც გამწყრალიყო, აღარ მოუსმენდა, ოღონდ ამდენი დევნით აქოშინებულს სიარული აღარ შეეძლო და სთხოვა:

— დავჯდეთ ამ ხის ძირას, დავიქანცე.

ისააკ მორჩილად ჩამოუჯდა.

ქალმა აღარ იცოდა საიდან დაეწყო, თითქოს მართლაც სიკვდილი წამოსდგომოდა თავს და უნდოდა ყველაფრის აღიარება მოესწრო. ხან საიდან მიუდგებოდა და ხან საიდან სათქმელს, აბნეულად ლაპარაკობდა, ცხადი იყო ლოგიკური აზროვნების უნარი დარღვეოდა.

ისააკ ერთხანს როგორც სნეულს სიბრალულითაც კი გახედავდა, მაგრამ რომ ვერ გაუგო რისი თქმა უნდოდა, რაღაც სანუგეშო სიტყვა უთხრა, შეჰპირდა, სხვა დროს უფრო დიდხანს მოგისმენო, ახლა კი აგვიანდებოდა და წამოდგა წასასვლელად.

შეშინებულმა ქალმა ისეთი ძალით მოსწია სქიმაზე, აიძულა ისევ დამჯდარიყო.

— მაშ, რაკი არ გნებავს გაიგო, როგორ დაიწყო ჩემი ცხოვრება, საიდან გაუკულმართდა ჩემი ბედი, პირდაპირ გეტყვი — დედა ვარ შენი!

ისააკმა ელდანაკრავი თვალი ჰკიდა, უნდოდა ხელი ეკრა და გაქცეულიყო, მაგრამ რა შეხედა მის მავედრებელ, დატანჯულ სახეს, დინჯად, მაგრამ მაინც მრისხანედ, წარმოთქვა:

— ჩემი დედა მკვდარია, — თქვა და თავისავე სიტყვამ შეაძრწუნა, არ უნდოდა სიკვდილი მის აღმზრდელს შეხებოდა და უმალ ნათქვამი შეასწორა:

— ჩემი დედა საუფლოსაა, ამქვეყნად აღარ დაიარება. შენ კი ცდომილებაში ხარ, გეშლები, რაკი ამბობ დედა ვარო, შვილიც გეყოლებოდა, ალბად დაგიკარგავს და ეძიებ, ეძიე და იპოვი, უსათუოდ იპოვი, თუკი გაგიზრდია, თუკი მისთვის ერთხელ მაინც „შვილო“ გითქვამს და მასაც შენთვის „დედა“ უწოდებია. დამშვიდდი, იგიც მოგძებნის და შეხვდებით ერთმანეთს. დედა ისეთი მომხიბვლელია, ისეთი მაღალი წოდებაა, ყველა შვილი ეტრფის მას და მით უფრო, თუ დაშორებულია.

ქალი ამ დროს სადღაც შორს უაზროდ გაჰყურებდა და თითქოს თავისთვის ამბობდა:

— ჩემი უბედურებაც იმაშია, რომ არც „შვილო“ მითქვამს მისთვის და არც მას უწოდებია ჩემთვის „დედა“. შორიდან კი თვალი არ მომი-

ცილებია მისთვის, ვხედავდი საიმედო ხელში იყო, მის გვერდით მისი აღმზრდელიც კი ისე ბედნიერად გამოიყურებოდა, რომ მე კიდევაც შურის თვალით ვუცქერდი მას. მე კი მხოლოდ 9 თვე ვზიდე, აუტანელ ტკივილებში ვშობე.. ეს მე ვიყავი ქულბაქიდან გამოსულს რომ შეგაგონებდი...

— შემგონებელი შესვლამდე შემაგონებდა, — მოუჭრა ისააკმა.

— პირწავარდნილი მამაა, — ჩაილაპარაკა ქალმა, — მანაც ასე მომიჭრა სიტყვა უკანასკნელი...

ისააკმა ველარ გაუძლო მის უბედურებას, ისევ წამოდგა და გზა განაგრძო.

ქალი უცებ გამოფხიზლებულივით წამოვარდა და ისევ ვედრებით აედევნა.

— მე ვერ გავიგე, რა გინდა ჩემგან, — ამბობდა ისააკ და ფეხს უჩქარიდა.

— მომისმინე, მომისმინე, ბოლომდე და შემდეგ თუნდა შემაჩვენე, — არ ნელდებოდა მუდარა ქალის.

ისააკს ისევ ევლოგის ამპარტავანმა, ულმობელმა სახემ გაუელვა გონებაში, გულის სავანის ქუხილით შეძრწუნებული ისევ შეჩერდა:

— სთქვი, ადამიანო, სთქვი, რა გინდა ჩემგან, — ამბობდა ისააკ და ანთებული თვალებით შესცქეროდა.

— დაჯექ, სული მომათქმევინე, არასა გთხოვ მოსმენის გარდა... შენი აღმზრდელი რომ მთელ ცხოვრებას სიცრუით ატარებდა, ქალი იყო და მამაკაცად წარმოაჩენდა თავს...

ისააკს უნდოდა ყელში სწვდომოდა, გზიდან გადესროლა, მაგრამ სულთმობრძავი ქალი განმგმირავი ხედვით აბრუებდა, იდუმალ ლოცვას წარმოთქვამდა, უფალს მოთმინებას შესთხოვდა, ევლოგის არ დამსგავსებოდა, ეცლია სათქმელის დამთავრება და შემდეგ, შემდეგ, საკადრის პასუხსაც გასცემდა.

— ...შენ იგი ჯერ მამად მიიჩნიე, ბოლოს დედად შეიცანი და ახლა როგორც წმიდანი სავანეს დაკრძალეთ, ის კი ისე წავიდა ამ სოფლიდან, აღსარების ღირსიც კი არ გახდა, ხომ ვხედავ, ვხედავ, რომ ძლივს უძლებ ჩემს სიტყვებს, მაგრამ იქნებ ის ჩემზე უარეს დღეშიც იყო, დღედაღამ მამათა შორის ტრიალებდა, შენ ალბათ ამაზე არც გიფიქრია, რამეთუ მამაკაცი იყო გეგონა, მამათმავლობასაც ვერ დასწამებდი, რამეთუ ქალწულების მიმტაცებლის ბრალი ედო, მე კი მას სწორედ მაშინ შევხვდი მეპატრაკე სერგის ძებნაში რომ იყო, მევე მივასწავლე შესაკრებელის გზა, მინდოდა შემეხედა მისთვის, იქიდან რომ გამოვიდოდა, მაგრამ იმდენ ხანს დაჰყო სალხინებელში, მე მოლოდინში ჩამძინებოდა...

— კმარა, — აქ უკვე შეურაცხყოფილმა ისააკმა იყვირა, წამოვარდა, ხელის კვრით მოიცილა, — შენ არა ხარ ღირსი მისი სახელის ხსენებისა, შენ არა გაქვს უფლება მისი აუგად ხსენებისა, — ტყვიასავით ესროდა სიტყვებს და ახლა უკვე გარბოდა, გარბოდა როგორც

დევნილი შმაგისაგან და თან მისდევდა განწირული ადამიანის სასოწარკვეთილი ხმა, წინ კი ევლოგის სახე უელავდა.

ქალს უკანასკნელი ძალ-ღონე მოეკრიფა, ისიც გაქანდა ძახილით:

— მომისმინე, მომისმინე, მაპატიე მომაკვდავს, არ ვახსენებ მის სახელს, არც უნდა მეთქვა, მთავარი ჯერ კიდევ არ მითქვამს, — დაეწია ქალი და ორივე ხელით მკლავზე ჩაეჭიდა.

— შენ როგორი ქრისტეანი ხარ, მოსმენა არ შეგიძლია და პატიებას როგორ შესძლებ?!

— მე ქრისტეანი არა ვარ, მე მხოლოდ მინდა ქრისტეანი ვიყო, ქრისტეანობას, როგორც დედობას დამსახურება უნდა და, თუ უფლის ნება იქნება, მე გავხდები ქრისტეანი.

— შენ თუ მართლაც გწადიან ჭეშმარიტი ქრისტეანი იყო, მომისმინე, შემინდე და შენ გაიგებ რა ძალა აქვს პატიებას, შენ მოიპოვებ უფლებას სთქვა ქრისტეანი ვარო, მე კი დედობის უფლებას მამაზეციერიც ვეღარ მომანიჭებს..

ისააკ შეჩერდა.

— დაჯექ, — ისე თქვა ქალმა, რომ იგრძნობოდა, იგი ვეღარც წამოდგებოდა, — მაშ, თუ ჩემ დედობას ვერ იწამებ, ეგების მამა იწამო შენი...

ისააკ მდუმარედ მძიმედ ჩამოჯდა.

— მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი, — თქვა ქალმა და მეტის სიდინჯით დასძინა, — სოფრონი მამაა შენი.

ქალს ეგონა ისააკ შეიცხადებდა, როგორც შეუძლებელს და გამარჯვებულის სახით გახედავდა, მაგრამ მისდა გასაკვირად, ისააკს თვალიც არ დაუსამხამებია.

ისააკ მხოლოდ დასტურს ისმენდა მასზე, რასაც გუმანით ხვდებოდა და სიხარულს არ იმჩნევდა.

ქალმა ისევ დინჯად ჰკითხა:

— მან თუ იცის, რომ შვილი ხარ მისი?

ისააკმა კითხვაზე კითხვითვე უპასუხა:

— მან თუ იცის, რომ შენა ხარ ჩემი მშობელი?

— არ იცის და არც უნდა იცოდეს, რომ მე ვარ შენი მშობელი, დამბადებელი უბრალოდ, დედა არა, — ქალმა ხელიც კი გაიქნია, ისეთი ბავშვური მეამიტობით, ისეთი შიშჩამდგარი ჯერ კიდევ ცრემლშეუშრობელ თვალებით, რომ მზად იყო ეაეცინა, თუკი მასში პატიებას, თანაგრძნობას დაინახავდა, როგორც ერთხელ უკვე დანაშაულზე დასჯილ ბავშვს უნდა ხსომებოდა აღარ გაემეორებინა და ისააკს, მართლაც, კინაღამ არ გაეღიმა, თავისი ბავშვობა გაახსენა ამ კილომ, თავი დაბლა დახარა, რომ მას არ შეემჩნია.

— ...შვილო, ახ არა, ისევ გაასწორა ქალმა, — შვილო, არა, მამაო, — განაგრძო თავისთავით უკმაყოფილო ქალმა.

— შენ რა, თავის მართლებას ხომ არ აპირებ? — ხელი დაიკრა მუხლზე ისააკმა და გაეცინა.

— იცინე, იცინე, მამაო, ისააკ სიცილსა ნიშნავს.

— ...მართალია, სოფრონი ჩემთვის არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი, მაგრამ...

— მაგრამ, — დამცინავი კილოთი იკითხა ისააკმა, — საიდან ირწმუნები, რომ მაინცდამაინც იგია ჩემი მამა?

— მაინცდამაინც იქიდან, რომ... შენ ჩემი თქმაც არ დაგჭირდებოდა მისი სახის ნაკვთებს, თვალთახედვას, თუნდაც სიარულის დროს ტანის შერხევას დაკვირვებოდე. მაგრამ მე მაინც ყველაფერი უნდა ვსთქვა... მას შემდეგ, რაც მე იძულებით მოვედი მონასტერში, იძულებით, რადგან ჩემ მდიდარ მშობლებს არ უნდოდათ გავყოლოდი ღარიბს, რომელიც მე მიყვარდა და მათდა დაუკითხავად ვსცოდე კიდეც მასთან, უარი მათქმევინეს ჩემს მემკვიდრეობით უფლებებზე და ფიცი დამადებინეს, დღიდან საქმის მიღებისა დამეცვა მე საწმიდე როგორც სულიერი, ისე ხორციელი. მე მართლაც ვიცავდი მას წლების განმავლობაში, რადგან მიყვარდა ის ადამიანი და არა იმისათვის, რომ მე ვიღაცის ან რიღაცის წინაშე ვიყავი ამით ვალდებული. მაგრამ ერთ დღეს ეკლესიაში წირვისას, სადაც მე წამიყვანეს მგალობლებთან ერთად, რადგან მე ხმითაც გამოვირჩეოდი, მრევლში შევნიშნე მომხიბვლელი ახალგაზრდა და სჩანდა იმდენად გამომწვევი იყო ჩემი მზერა, რომ იგი მოურიდებლად გამომელაპარაკა, ზრდილობაში არაფერი ეშლებოდა, მასაც თვალში მოვხვდი და მეორე დღესვე მოვახერხე და წყაროსთან შევხვდით, ჩვენ გვეგონა უკვე შეყვარებულნი ვიყავით და მეორედ იგი უკვე მონასტერში უნდა მოსულიყო ჩემთან, სწორედ იმ დღეს მონასტრის კართან აქლემებით ვინმე ბერი ღამის სათევად განისვენებდა. მე ვღელავდი, ვუთხარი კიდეც ილუმენიას, რაღა მაინცდაშაინც კარებთან უნდა მოესვენა, თუკი საერთოდ გარეთ შეეძლო დაძინება, თავლასთან მაინც მიეჩინათ ადგილი, მაგრამ ყური არავინ მიგდო, შუაღამისას მოვიდა კიდეც სოფრონი, მაშინ სოფონია ერქვა. იგი მოვიდა არა ჩემს განსახრწნელად, მოვიდა ჩემს გასატაცებლად, დასახსნელად, მას ჩემი ცოლად შერთვა უნდოდა, შვილის ყოლაზე ოცნებობდა, მე კი სულაც არ მიზიდავდა ოჯახური ყოფა, ერთფეროვანი ყოველდღიურობა და აღვასრულე რა ნებისაებრ ჩემისა, იმ ღამეს პირველად ვუღალატე აღთქმას და მასაც უარი ვუთხარი მონასტრის მიტოვებაზე. მეგონა, მას თავისუფალი სიყვარულით უფრო ვაამებდი, რადგან თავად მხიბლავდა საინტერესო მოლოდინი, საიდუმლო შეხვედრები, თავისი სიახლეებით, მოულოდნელობებით, მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო — მას რაღაც არ მოეწონა და იმ დღიდან აღარც გამოჩენილა. მე მიდგომილი აღმოვჩნდი, ეს გაცხადდა, რადგან მე ვერ მოვახერხე ჩანასახის აღმოკვეთა, არავინ დამეხმარა, რამეთუ მათ ეს მკვლელობად მიაჩნდათ და მაიძულებდნენ მეთქვა, ვინ იყო ჩემთან. მაშინ მე კიდევ იმედი მქონდა, სოფრონის მობრუნებისა, იმდენად დარწმუნებული ვიყავი ჩემი სილამაზის ძალაში და რომ დამეფარა იგი, ცილი დავწამე ვინმე ბერს. მე სასირცხვილოდ და ცოდვად

არ მიმაჩნდა ჩემი საქციელი, რადგან ყველა დედანი ცოტად თუ ბევრად სცოდავდნენ, ზოგს რომ მოჰბეზრდებოდა აღვირახსნილი ცხოვრება და წმინდანობა გადაეწყვიტა, ამპარტავნობაში გადავარდნილიყვნენ, ზოგი ერთთავად სხვის განსჯაში იყო, სხვის უბედურებაში ხედავდა თავის ბედნიერებას, შურით თუ ბოროტი განზრახვით ვის აღარ ასმენდნენ იღუმენიასთან, ერთმანეთს იოტის ოდენას არაფერს პატიობდნენ, მე კი, ვფიქრობდი, ჩემის მოქმედებით მხოლოდ ჩემს თავს ვავნებდი.. დრო გადიოდა, სოფრონი მაინც არ მოდიოდა და მე იგი შევიძულე ქალის მთელი მძულვარებით. შენ კი გატაცებით ჩასახული იძულებით გშობე, გამძვინვარებულმა ტკივილებისაგან აღარც ვიკითხე ქალი ვშობე თუ ვაჟი და დედობაზეც უარი თვალდახუჭულმა განვაცხადე და მათსავით ცბიერებით აღვიარე, რომ მე ჩემი სულიერი დედობა უფრო უმაღლესს მავალებდა. მათ ეს დაიჯერეს და შემინდეს დანაშაული. მე კი შეუცნობლად, ჩემდაუნებურად მხოლოდ შენზე ვფიქრობდი, მინდოდა გამეგო შენ ქალი იყავი თუ ვაჟი, შენი ნახვის, შენთან ყოფნის სურვილი ყველგან თან მდევდა და მაღონებდა, როგორც წყურვილი... იმ დიდ ხუთშაბათ დღეს კი ევლოგისთან რომ მოვედით და თეოდორეს ხელში დაგინახე, დაუძლეველმა ცნობისმოყვარეობამ გამაბედინა და თეოდორეს მივუახლოვდი; ვფიქრობდი იმით მაინც გავიხარებდი, რომ ქალი იქნებოდი, რადგან სოფრონის ოცნება იყო შესძენოდა ვაჟი. ბალღამით ამევსო გული, ვსთქვი — რაკი ასეთი ბედნიერი ყოფილა, ბედი მათ კიდევაც შეახვედრებს-მეთქი და აი, ხომ შეხვდით კიდეც!.. მეორედ კონსტანტინოპოლს განახე, შენთვის მძიმებით ამოქარგული ეს ქისა რომ გაჩუქე. შენ გამიღიმე, ხელიც კი დამიქნიე დამშვიდობებისას და იმ დღეს მე სიხარულისაგან ბევრი ვიტირე.. შემდეგ, არ ვიცი, შურისძიებით თუ ისევ გატაცებით, ერთ მეტად მომხიბლავ, დიდებულ კაცს თვალი დავადგი. ყაჩაღი აღმოჩნდა, ნამდვილად თავგადასავლების, ფათერაკების მოყვარე. პირველ გამოლაპარაკებისთანავე ისე საიდუმლოდ, ისეთი რუდუნებით შემაპარა თავის დიდებულ დარბაზებში, თითქოს დიდი ხნის შეყვარებულებს პირველად გვეძლეოდა საშუალება განმარტოვებით შევხვედროდით. მომეწონა იქაურობა და თავადაც თავის გულახდილობით. მე კიდევაც ვიცინოდი, როდესაც იგი ამბობდა: წმიდანის შეცდენაა საინტერესო, თორემ ამ ჩვენ ლამაზმანებს ერთმანეთისაგან ჩაცმულობითაც კი ვერ გამოარჩევ, უფრო სქელსა და თხელს თუ ნახავ, თორემ სუნამოსაც კი ერთსა და იგივეს ხმარობენ; ერთფეროვნება მომაკვდინებელია მამაკაცისათვის, რამეთუ შესაძლოა იგი სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდეს, ქალმა თუ ხასიათზე ვერ მოიყვანა!..

ამ აღსარებაში უცებ რატომღაც დამფრთხალმა შეხედა ისააკს, გაქცევას არ აპირებდესო და რა დაინახა იგი თითქოს არც უსმენდა, ისე წასულიყო ფიქრებში, მუდარით წარმოთქვა:

— უნდა მაპატიო, მე ხომ აღსარებაზე ვარ მამაოსთან, მე ხომ დედა არა ვარ, რომ შვილმა ყველაფერი არ აპატიოს და არც მოუსმინოს,

მამაომ უნდა მოისმინოს და მეც ყველაფერი უნდა აღვიარო... იმ კაცს მე კვლავაც შევხვდი და ისე აშკარად, რომ ეს უკვე ველარ მაპატიეს, სასჯელი დამადვეს და უდაბნოში მოსანანიებლად გამაწესეს. დიდხანს ვერ გავუძელი საშინელ სიმარტოვეს, იმ განაწესს და მაშინ უკვე ჩემის ნებით მივატოვე იქაურობა, ისე რომ, მონასტერში აღარ შემესვლებოდა. ცხოვრების გზაჯვარედინზე ვიდექ და უეცრად გადავწყვიტე, მოდი, შევიხედავ-მეთქი შესაკრებელს, ერთი შესვლით რა დაშავდებამეთქი და შევედი კიდეც. ყველამ ამრეზით ამხედ-დამხედა, ამას აქ რაღა უნდაო, დამცინავმა სიცილმა გადაუარა ყველას, ერთმა, დოინჯშემოყრილი წინ რომ წამოვიდა, სიცილი ვერ შეიკავა და ისე გადაიხარხარა, მეგონა, მეხი დამეცა, როგორღაც თავი მოვიკატუნე, ვეძებ, ვთქვი უნებურად და რომ ეკითხათ რას ეძებო, არ ვიცი რას ვუპასუხებდი; მაშინ დაცხრნენ და მე კი ისე გამოვვარდი იქიდან, უკან აღარ მიმიხედავს. მივხვდი, რომც წყალობის თვალით შეეხედათ ჩემთვის და იქ დავრჩენილიყავი, მაინც არ გამოვდგებოდი, გარეგნობით შესაძლოა ვერცა მჯობნიდნენ, მაგრამ იქ გამოცდილება უფრო მეტსა ნიშნავდა და მე მსახურად თუ დამიყენებდნენ, ისე გასაქანი არ მექნებოდა, მე კი ყველგან პირველობას ვეძებდი...

ქალი შეჩერდა, ქვევიდან გახედა, აბა, როგორ შეხვდა ამ ამბავსო. ვერა გაიგო რა, ღრმად ჩაფიქრებული ისააკ, ლამის მიწამდე დახრილიყო და აშკარა იყო, არ უსმენდა, მაშინ თამამად განაგრძო, გაუხარდა კიდეც, თუკი არ გაიგონებდა.

— ...ახლა ასე დავეხეტები, — განაგრძობდა, უფრო უცხო ადგილებს ვეტანები, სადაც არ მცნობენ, სადაც სამადლოდ შემიფარებენ. ძნელია შენი კუთხე არ გაგაჩნდეს, მაგრამ მაინც ასე მირჩევნია, თავისუფლება ყოველნაირ სიდუხჭირეს მინელებს.

ქალი უკვე ისეთ კილოზე და ისე მხნედ ლაპარაკობდა, მისთვის ასაკი არ არსებობდა, მიუხედავად თავისი ხანდაზმულობისა დღესაც ახალგაზრდა იყო. ისააკ რაღაცამ უცებ შეაკრთო და მისკენ მოიხედა.

ხომ არ გაიქცა და სხვა არ მომიჯდაო და რა დარწმუნდა იგივ იჯდა მის გვერდით, ოდნავ გაეღიმა კიდეც შინაგანი კმაყოფილებით, ქალს არც ეს გამოეპარა და შინაგანად გაეხარდა, გაეხარდა ისიც, ისაკმა რომ უთხრა:

— აბა, სთქვი ახლა ყველაფერიო.

— მე მგონი ყველაფერი ვსთქვიო და აი შენ არაფერი გითქვამს, შემინდობ თუ არაო. — გაკვირვებული შესცქეროდა ქალი და თან ხვდებოდა, რომ მას ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ ვერც გაეგო, ისე იყო ფიქრადქცეული და ახლა უფრო დაკვირვებით, უბრალოდ ჩამოსთვლიდა, საკუთარი განცდების გარეშე და ზოგ რამესაც გამოსტოვებდა, გარეგნულადაც კი მოწესრიგდა, წელში გაიმართა, თავი მაღლა ასწია და კარგი მომღერალივით ხელებსაც კი მიაქცია ყურადღება, გულზე დაიკრიფა და რომ ჩაახველა კიდეც, ისააკმა მოხედა და თქვა:

— მე გისმენ, დაიწყეო.

— თავიდან მოვყვე, თუ კიდევ რაიმე გავიხსენოო? — ეს ისე თქვა, მის ხმაში გამკილავი ბგერები გაისმა.

— თავიდან დაიწყე, — ისევე მისკენ მიუხედავად წარმოსთქვა ისააკმა.

— სიძვის დიაცმა მონაზვნობა ვიკისრე.

— ღმერთმა გაპატიოს, — თქვა ისააკმა.

— შემდეგ მონაზვნობის ფიცს ვუღალატე.

— ღმერთმა გაპატიოს.

— ღვთის ანაბარა დაგტოვე.

— ღმერთმა გაპატიოს.

აქ — უკვე ერთი და იგივე პასუხით გულმოსული ქალი სდუმდა.

— კიდევ? გაიხსენე, — ამბობდა ისააკ აუღელვებლად, თითქოს ელოდა უფრო მნიშვნელოვან რასმე იტყოდა.

— კიდევ? კიდევ რა გავიხსენო? — დაფიქრებით თქვა ქალმა.

— ჰო გავიხსენე. — ცილი დავწამე უბრალოს.

— რისთვის დასწამე? — გამომძიებელივით ეკითხებოდა უკვე ისააკ.

— რისთვის? იმ ადამიანის დასაფარავად, რომელიც შობილის მამა უნდა ყოფილიყო და რომელსაც, როგორც დიდგვაროვანს, პასუხსაც დიდს მოსთხოვდნენ.

აქ ისააკს გაახსენდა განაჩენი — თუ მოჰკლავ ადამიანს და ამავე დროს სხვას სიკვდილისაგან გადაარჩენ, ეპატიოს და რაღაც შინაგანი რწმუნებით წარმოსთქვა:

— ღმერთმა გაპატიოს.

ქალს კი ეგონა, სწორედ აქ მოისმენდა მისგან შეჩვენებას და სული შოითქვა.

— კიდევ? — ახლა უფრო ხალისიანად ეკითხებოდა ისააკ.

— კიდევ? შევიძულე ადამიანი მხოლოდ იმისათვის, რომ მიმატოვა, ამაში ჩემი შეურაცხყოფა დავინახე.

— ღმერთმა გაპატიოს, კიდევ?

— რა კიდევ? კიდევ? — ძლივს იკავებდა ქალი ბრაზს, მაგრამ რაღაც აზრმა გაუელვა და თითქოს სასაუბროდ განეწყო, კიდევაც ხალისიანად პასუხობდა. რაკი ხედავდა, რომ მისი ცხოვრებით კიდევ და კიდევ ინტერესდებოდა ადამიანი, რომლისაგან მხოლოდ ერთ სიტყვას ელოდა.

— მე მშურდა შენი აღმზრდელის ხვედრი, — თქვა ქალმა და პასუხს დაელოდა, მაგრამ ისააკ აღარაფერს ამბობდა, — რა, შური ცოდვა არ არის? — დამცინავი კილოთი შეეკითხა ქალი.

ისააკ ვეღარაფერს პასუხობდა, რამეთუ საპატიებელს ვერას ხედავდა, იმდენად, რომ ამართლებდა კიდეც.

ქალი გრძნობდა ისააკში რაღაც ხდებოდა და ბედნიერ წუთებს არ არღვევდა. ისააკიც ხედავდა, გულწრფელი იყო ქალი ბუნებით და ისე იმეორებდა მის ერთიდაიგივე შეკითხვას „კიდევ“? ეტყობოდა იუმორის

გრძნობაც ჰქონდა, რაც სინამდვილესთან ერთად ახალგაზრდა ქალს მოუგერიებელ, წარმტაც არსებად აქცევდა და ამ უკვე ჩამომჭკნარ, გაუფერულებულ, ნატანჯ ადამიანს ქალურ ხიბლს მაინც არ უკარგავდა. ისააკ ისევ მიწას ჩასციებოდა, ორივენი კი ერთნაირად კმაყოფილნი იყვნენ.

ბოლოს მაინც ამდენი განცდებით დაღლილმა, გულის ისეთი შემოტევა იგრძნო, შეეშინდა და მოკრძალებით მდუმარება დაარღვია:

— მამაო, ერთავად რომ გაიძახი, ღმერთმა გაპატიოს, ღმერთმა გაპატიოს, — ღმერთი უშენოდაც მაპატიებს, თუკი ინება პატიება, მე მინდა შენ მაპატიო და ერთხელ მაინც მითხრა „დედა“!

— მე გაპატიებ „დედავ“, ოღონდ ასევე გაპატიოს ღმერთმაც, — თქვა ისააკმა და წამოდგომა დააპირა.

— შენ ისე სთქვი „დედავ“, როგორც ყოველი, ყოველდღე მომმართავს წყალობის გაღებისას, ეგ სიტყვა „დედავ“ დამოკლეს მახვილივით დამკიდებია და ახლაცა მჩხვლეტს უმოწყალოდ, ისაკ, შვილო, გემშვიდობები, — ქალმა ვეღარა თქვა რა და ისააკის მხარზე მძიმედ დაეცა.

შეშფოთებულმა ისააკმა ქალს თავზე ხელი მოხვია, მისი ხედვა უკვე ამქვეყნიური აღარ იყო, სიცოცხლის სხივი ჩამქრალიყო.

— დედავ! — ახლა კი შვილმა შესძახა; ოდნავ შეარხია, იქნებ გონს მოსულიყო, მაგრამ მის სახეს მხოლოდ ბედნიერმა ღიმილმა გადაურბინა და მიეყინა კიდეც.

ატირდა ისააკ და დიდხანს ვერ წამოდგა, გვერდით უჯდა და ლოცვას წარმოსთქვამდა, უფალს მისთვის შენდობას გამოსთხოვდა.

დაღამებულიყო. გზად მიმავალ ორ ბერს უხმო, მახლობელ ეკლესიაში დაასვენეს, ყველა წესი შეუსრულეს და მესამე დღეს ეკლესიის სასაფლაოზე დაჰფლეს.

ისააკმა გადაიფიქრა იერუსალიმს წასვლა, ჯერ იოაკიმე უნდა მოენახულებინა, მასთან მოეთქვა სული, დამშვიდებულიყო და მერე უკვე წარმდგარიყო სოფრონის წინაშე.

იოაკიმე ჩვეულებრივ იორდანედან მომავალ გზას ანთებული ფანრით აჰყვებ-დაჰყვებოდა და უეცრად მარტოდ მომავალ ისაკს რომ შეანათა ფარანი, გული გადაუქანდა, ისეთ ნაღვლიან თვალებში ჩახედა, მიხვდა, უბედურება რამ შემთხვეოდა, უსიტყვოდ გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— თეოდორემ დაგვტოვა, წავიდა ჩვენგან, — ამბობდა ისააკ და ორივენი ერთად ატირდნენ.

— ვიტიროთ, ვიტიროთ, — ამბობდა იოაკიმე, — ვილოცოთ მისი სულის საოხად. მისმა ტანჯულმა სხეულმა კი ჭეშმარიტად მოისვენა.

შევიდნენ სენაკში.

მოქანცულ ისაკს აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა და ისევე მიეძი-

ნებოდა გაუხდელს, მაგრამ იოაკიმემ, როგორც ბავშვს, გახადა სამოსი, ფერხთ დაბანა, ასვა, აჭამა და ქათქათა საწოლშიც მოასვენა.

— ახლა მოისვენე, ხვალ მიამბობ ყველაფერს, თქვა იოაკიმემ და გასვლა დააპირა, მაგრამ ისააკმა შეაჩერა.

— არა, მოდი დაჯექ ჩემთან, რაღაც უნდა გითხრა.

იოაკიმე უსიტყვო მორჩილებით სასთუმალს ჩამოუჯდა.

ისააკისათვის ერთბაშად თქმა ყველაფრისა შეუძლებელი იყო მოკლედ, — ამიტომ პირდაპირ უთხრა:

— მამაო იოაკიმე, შენ ბრძენი ხარ და სინამდვილე რაც უნდა უცნაური იყოს, თვალს თამამად გაუსწორებ.. თეოდორე დედაკაცი ყოფილა. ქალწულებაში სახელად თეოდორა.

თავზარდაცემული იოაკიმე არც განძრეულა. ისაკის ნათქვამი თუმცა დასტური იყო მისი ეჭვებისა, მაინც მოულოდნელი იყო. არც შეუცხადებია და არც არაფერი უთქვამს.

— დაწვრილებით ხვალ მოგიყვები ყველაფერს, ოღონდ ახლა ერთ კითხვაზე მიპასუხე; დიდი ცოდვაა, როდესაც უაღსარებოდ სულს ლევ?

— აღსარება არ იყო მთელი მისი ცხოვრება?! ჩვენ შიშველი იგი არაოდეს გვიხილავს და იქნებ მას მხრებზე ფრთებიც კი ჰქონდა ჩაკეცილი, ანგელოზი იყო იგი და რა ცოდვა უნდა ჰქონოდა?! იგი აქვე იყო შეერთებული ზეციურთან და ახლა მხოლოდ მიწას ვალი ღაუბრუნა, მიწიერი მიწას დაუტოვა.

ცრემლმორეულ ისაკს მაინც ეღიმებოდა, ისე მოეშვა სულს, თითქოს საფლავის ლოდი გადაეგორებინა გულის სარქველიდან. დასაძინებლად გაემართა და იოაკიმესაც უთხრა:

— ახლა კი მშვიდობით დავიძინოთ. მოთმინება იქონიე და ხვალ იმდენსა და ისეთ რასმე გეტყვი, კიდევ არ ვიცი, თუ დაიტევ და არ გადაირევი.

წავიდა იოაკიმე თავის სენაკს არა ძილად, არამედ ლოცვად, ცრემლიან ლოცვად და მხოლოდ ალიონზე ჩაეძინა.

ისაკსაც ისე ღრმად ჩასძინებოდა, მზე უკვე საშუადღეოზე იყო, რომ გაეღვიძა. ისააკ არ შესულა იოაკიმესთან, მას მარტოდ უნდოდა გარემოს შემოვლა.

აქ ყველაფერს თეოდორას კვალი აჩნდა, ყველაფერი მასზე ღაღადებდა, ყველა ყვავილსა თუ ფოთოლში, თეოდორას კეთილ და ნაღვლიან თვალებს ხედავდა, მაგრამ ყველაფერი სევდას იწვევდა. ყველაფერს მისი ნათელის მაგიერ მისი ჩრდილი ადგებოდა.

იოაკიმეც გამოვიდა, დილამშვიდობისა უსურვეს ერთმანეთს და მდინარისაკენ წავიდნენ, სიგრილით დასხდნენ.

ისააკ ყველაფერს უწვრილესად ჰყვებოდა. ჰყვებოდა დინჯად, ისე თითქოს სხვის ამბავს ამბობსო საკუთარი განცდების გარეშე.

იოაკიმემ სცადა თავისი შეჭირვებული ფიქრების გაზიარება, მაგრამ ისააკმა უთხრა:

— სადღეისოდ საკმარისია, ხვალ შეკითხვები არ დაგჭირდება,

ყველაფერზე ისე მიიღებ პასუხს, რამეთუ დღეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი. შენ ყოველთვის იმ აზრისა იყავი, რომ ადამიანმა თავის პირადული უნდა დასთმოს სხვის საკეთილდღეოდ...

ისააკს უჭირდა თქმა, იოაკიმეც რაღაც თავისთვის საბედისწეროს ელოდა, ღელავდა და ერთხანს მდუმარედ მოდიოდნენ.

იოაკიმე ატყობდა ისააკს, რომ თქმა უჭირდა და ნაძალადევი ღიმილით წარმოსთქვა:

— ისეთი რა უნდა იყოს, შენთვის ვერ დავთმო?

— ძალიან ძნელი დასათმობია არა მარტო შენთვის, ჩემთვისაც, მაგრამ, — ისევ შეჩერდა ისააკ.

— რა მაგრამ, სთქვი, მე მხოლოდ გამეხარდება, თუ კიდევ რამის გაკეთება შემიძლია შენთვის.

— ჩვენ აქაურობა უნდა დავტოვოთ და წავიდეთ იერუსალიმს.

— წავიდეთ, რატომაც არა, წავიდეთ, თუკი წმიდა ქალაქის მოქალაქეობის ღირსად მივუჩნევივართ უფალს. ახლავე, საქმეს გადადება არ უნდა. ჩავრაზოთ დარაბები, ყველაფერი მოწესრიგებულად დავტოვოთ, რა იცი, იქნებ კიდევაც როდისმე მოვბრუნდე, ან ვინმემ თავი შეაფაროს, დაგვლოცავს, წავიდეთ, თეოდორას საფლავსაც ხომ უნდა მივხედოთ, პატრიარქსაც მსახურად მაინც გამოვადგები — აღგზნებული ამბობდა იოაკიმე, და თან გასამგზავრებლად მზადებას შეუდგა.

გახარებული ისააკს ბალღურად წარამარა გადაეხვეოდა, ჰკოცნიდა, ეუბნებოდა:

— მე უშენოდ არ შემიძლია, შენ თეოდორას მაგივრობას გამიწევ, აი, ნახავ, პატრიარქი რა ადამიანია და შენც კმაყოფილი იქნები.

მეორე დღეს კი უკვე იერუსალიმისაკენ გასდგომოდნენ გზას.

ისააკის საოცარ ამბების თხრობაში გზა შეუმჩნევლად ილეოდა.

იოაკიმე აღფრთოვანებული იყო ისააკით. რამდენჯერაც არ დააპირა რამის თქმა, ისააკმა არ აცალა, ისააკ მოყოლასთან ერთად ნათქვამს უფიქრდებოდა კიდეც და დასასრულს იკითხა:

— მართლაც, ღრმად რომ ჩავუკვირდე, რა უპატიებელი ცოდვა ჩაიდინა იმ ბედშავმა ქალმა? არა?

— უპატიებელი ცოდვა კი არა, მე ვფიქრობ, მას დიდი სიკეთე გაუკეთებია, იმდენად დიდი, რომ ყველა მისი შეცოდებანი დაფარული იქნება და შენდობილი უფლისაგან.

— აბა, გავარკვიოთ რა არის, საერთოდ, ცოდვა? — შეეკითხა ისააკ.

— ცოდვა არის ერთი ადამიანის მეორე ადამიანისადმი თუ ადამიანებისადმი საზიანო ქმედება თუ უმოქმედება. ცოდვაა, როდესაც შეგიძლია სიკეთის გაკეთება და არ აკეთებ, — დამაჯერებლად ამბობდა იოაკიმე.

— ეს კარგი, მაგრამ რომელი უფრო დიდი ცოდვაა, რასაცა ვიქმთ, თუ რასაც არა ვიქმთ?

— ვფიქრობ, — თქვა ჩაფიქრებით იოაკიმემ, — რასაც არა ვიქმთ.

— ეგრე იყოს, — არ შეედავა ისააკ, — მოვყვეთ თავიდან. სოფრონისათვის რომ თავი გაეწირა, მონაზვნობაზე უარი ეთქვა, მისი ცოლი გამხდარიყო, რა ოჯახს შეექმნიდა ასეთი ვნების პატრონი? სოფრონისათვისაც დიდი ცოდვა იქნებოდა ქალის ცდუნება და, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრების გზა, იქნებოდა კი დღეს პატრიარქი იერუსალიმისა?

— ესე იგი ქალს შეეძლო ბოროტების გაკეთება და არ გააკეთა, არ გაჰყვა ცოლად, ცოდვაში ჩადგა ფიცის ღალატით, მაგრამ მას ზიანი არ მოუტანია მეორე ადამიანისათვის, პირიქით, ჭეშმარიტ გზაზე დააყენა, ამდენად მისი ცოდვაც შენდობილ იქნება, — ამბობდა იოაკიმე.

— ახლა მეორე, ცილი დასწამა უბრალო ადამიანს, ადამიანს, როძლისთვისაც ეს ცილის წამება ოცნების აღსრულებასა და ბედნიერებას ნიშნავდა, — თქვა, თავის ნათქვამით გახარებულმა ისააკმა.

— მან მხოლოდ თავის თავს ავნო, უკეთ ცხოვრება უკუღმართად დაუტრიალდა, თავისი ადგილი ვერ მონახა, ისე ჩანს სადედოფლო ქალი იქნებოდა და თავი მოიკლა უბრალოდ, მაგრამ საბედნიეროდ ისეთნაირად, — ამბობდა აღგზნებით იოაკიმე, — ისე საბედნიეროდ, რომ ეკლესიას შეუძლია მისთვის ილოცოს, მისთვის ღვთისაგან შენდობა გამოითხოვოს, რისთვისაც მე და შენ უნდა ვეცადოთ იგი ჟამის წირვაში მოვაქციოთ. მას თავი დაუსჯია და ქვეყნისათვის კი დიდი სიკეთე დაუტოვებია.

— ჩანასახიც კი არ მოუკლავს, არ მოუპარავს, ქრთამი არ აუღია, არც მიუცია, სხვისი არა მიუტაცია რა, არავინ განუსჯია, არავის საიდუმლოება არ გაუცია, თავის კუთვნილ ქონებაზეც კი უარი უთქვამს, ათივ მცნება შეუსრულებია. მე კი მართლაც დანაშაულისათვის, კაცის მოკვლისათვის სქიმით შევიმოსე, ჩემს მაგიერ წამებულისაგან საყვედურიც კი არ მიმიღია, რა სინდისით, რა უფლებით უნდა განვსაჯო ადამიანი?

— მაინც რა ყოფილა ცოდვა? — ამბობდა იოაკიმე, რისთვის უნდა დაისაჯოს ადამიანი?

— ამქვეყნად ვერ გაიგებ, ვინ რისთვის ჯილდოვდება ან რისთვის ისჯება, მთავარია, ადამიანმა შენი შინაგანი სამყარო სიწმინდით დაიცვა და იქ, ჭეშმარიტ სამსჯავროში ყველა მიიღებს მას, რაც დაუმსახურებია.

— ამინ, — თქვა იოაკიმემ და თან დასძინა, — ადამიანმა არასოდეს არ უნდა მისცეს თავი სასოწარკვეთას, რა სასჯელიც არ უნდა მოგადგეს, რამეთუ ჩვენ არ ვიცით რისთვისაა იგი განზრახული, სასოწარკვეთა კი ჭეშმარიტად ყველაზე დიდი ცოდვაა.

— აი, შენ რომ სთქვი ჟამის წირვაში მოვაქციოთო, როგორ შევძლებთ ამას, მე ხომ მისი სახელიც კი არ ვიცი.

— მე მაგასაც გავიგებ, ჩემს თავზე ავიღებ შენზე გარდამხდარს,

საბაბს მოვუნახავ და თვითონ სოფრონის ვათქმევინებ, ნახავ, თუ ვერ შევძლებ. სოფრონიოს — კეთილგონიერებას ნიშნავს.

— მე დავარქმევდი მას ვასილისას — დედოფალს, ან სოსიპატრას — მამის მხსნელს. იოანე რაღას ნიშნავს?

— მადლს, მისი მადლითა ვართ ჩვენ ყველანი ღვთის წინაშე მიღებული, — ამბობდა იოაკიმე. თეოდორა კი ნიშნავს — ნიჭს ღვთისას.

და თუ მანამ იოაკიმეს მსოლოდ ზეთის ხილის მთამდე, ან იერიქომდე უნდა ეზიდა მოყვასის ტვირთი, ახლა სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეტვირთა ისააკის სულის სიმძიმე, მის განსაცდელს იზიარებდა, მონაწილე ხდებოდა მისი ჭირის, მისი თოფრაკი ახლა მისი სიბრძნე და სიყვარული იყო, რომლიდანაც ადამიანი საშვებელს უხვად მოიპოვებდა და იოაკიმეც კმაყოფილებით ფიქრობდა: გამოთქვამს ადამიანი თავის გულისწუხილს და ღებულობს შვებას, უბედურება იმაშია, რომ ადამიანს არ შეუძლია ყველასთან გამოთქვას, ამისათვის თანამგრძნობი, გულშემატკივარი ადამიანია საჭირო.

ამასობაში, იერუსალიმსაც მოაღწიეს. გზად იმ ბედშავის საფლავი მოინახულეს, სანთელი დაუნთეს, ლოცვა წარსთქვეს, ის ღამე თეოდორასთან ათიეს ფსალმუნებით და დილით კი მოვიდნენ საპატრიარქოს.

თავი XVI

„სიბრძნე ბალაჰვარისი"

იოანეს ჩამობნელებულ სენაკს ნათელი მოჰფენოდა. დღე და ღამეს ასწორებდა, დაფერფლილ გულში ნაპერწკლებს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა. ფენიქსს სიცოცხლე დაბრუნებოდა და საკუთარ გრძნობათა კანდელის შუქზე იღვენთებოდა, სულის სამხილზე იწვოდა, გულს სიღრმიდან მთელი წარსული ამოეფრქვია და მოგონებათა ზვავად გადმოესეთქა, შემოქმედებითი ნაკადი მდინარედ ქცეულიყო და მარადიულობის ზღვას ერთვოდა.

აღსარების სურვილი დაუფლებოდა და დაძრული ყინული კი წყალდიდობით იმუქრებოდა. სულის სამალავებში ღრმად დაფლულ მგზნებარების მეწყერს უკიდეგანო სინათლის ზღვაში გაჰქონდა და შემოქმედი ყოფიერების მსაჯულიც ხდებოდა. ნაპოვნი ჩონჩხი ხორცს ისხამდა, მის კალამს მეხსიერება მელნად ჰქცეოდა.

აფორიაქებულ გრძნობებში ისევე სწვდებოდა ნათელ აზრს, როგორც მდევარი გაუვალ შამბნარში ეწევა ნადავლს. მთრთოლვარე პერ-

გამენტის ხის ტევრთა შორის გამომკრთალ მთვარის ნათელზე გარდასულ დროთა ჰანგებით აყოერებდა.

აგონდებოდა პირველი მოსვლა პალესტინაში, პირველი განცდა მეუდაბნოვის მგზნებარებისა, შეხვედრა სოფრონისთან. აწმყო გადახლართული წარსულთან მომავალს ეტრფოდა.

ცისარტყელასავით აფერადოვნებული მოგონებანი გარს ეხვეოდნენ, ეჯარვოდნენ, ხან მოვარდნილ ნიაღვარივით წარიტაცებდნენ, ხან ელვასავით ჩნდებოდნენ, ხან როგორც საოცარი ცისფერი ხილვა, ხან მტანჯველი შეცოდება, ხან კი ჩრდილთა ციაგში ესმოდა როგორც შორეული მუსიკა, რომელიც ოდესღაც სულ ახლოს ჟღერდა.

ხედავდა, ნამდვილად ხედავდა, როგორ შვენოდა თეოდორას აბრეშუმ თმებზე თხელი, მოფრიალე მაქმანიანი რიდე, ესმოდა მისი კაბის შრიალი; როგორ ეხამებოდა მის მოხდენილ ტანს მსუბუქ სამოსელზე მჭიდროდ მორჭმული სარტყელი, როგორ ამშვენებდა ყვავილთ წნულებით შემკული ჩამოშლილი თმების რხევა-ბიბინი, როგორ გაეპო ღიმილს ვარდისფერი ბაგენი. მომაჯადოვებელი იყო მისი ხმა. მისი სიცილი. ერთი სუმბულით ხელში, შემოსილ დედოფალს ჰგავდა, ქალი იგი ხილად ჰქცეოდა უზენაესთან მისადგომად.

ცხადლივ ესმოდა ძახილი ქალისა: „ვიყო ცოლი შენი ვითარცა ვენახი მსხმო კიდეთა სახლისა შენისათა, შვილნი შენნი, ვითარცა ახალნერგნი ზეთისხილისანი გარემოს ტაბლასა შენსა. თუ ჩემი მოქცევა გსურს შენს სჯულზე, მოვედ წელიწადსა ერთსა ჩემსა ნებასა, თანამეყავ თვესა ერთსა გინდა ღამესა ერთსა და მე ვყო ყოველი ნება შენი, ხოლო შენ ესოდენმა მცირედმა ვნებამან ვერა გავსოს. რამეთუ შეცთომილსა მომაქცევ“. და მიდრკა მაშინ იოანე ნებას ქალისა რამეთუ ღმერთს ქალის სისუსტე მამაკაცის დიდსულოვნობისათვის მიუნდვიაო, სათუთი იყო გრძნობა, მძლავრ მკლავებში რომ ასტეხდა ფრთონას.

წამოიშალნენ თაროებიდან წიგნები: მარკიანესა, არისტიდესი, ნემესიოს ემესელისა, იოანე რუფუსისა, ცურტაველისა „მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა“.

აზრი გრძნობას წაეკიდებოდა, ვნება ნებას დაეჭიდებოდა და პერგამენტი ნაირფრად იკაზმებოდა.

ჩანჩქერივით ჩამოიქცეოდა პერგამენტზე მთელი ზღვა ფერებისა, სურნელებისა, ბგერებისა და შორეული ვითარცა ასლობელი იხილვებოდა. წარსული, აწმყო და მომავალი სიყვარულში ისე ერთიანდებოდა, როგორც ცეცხლი, ალი და სინათლე. ეს იყო შერწყმა სინამდვილისა ოცნებასთან, როდესაც მწუხარება და სიხარული ერთად ქვითინებდა — დათალსულ ფიქრთა აღორძინებაში სული კვლავ იძერწებოდა.

არსისა და აზრის მთლიანობას შეიცნობდა, იდუმალ სიღრმეში შეჭრილი მოციქულებრივ ღაღადისში იმყოფებოდა, მოფარფატე ფარვანასავით იხიბლებოდა, თითქოს თავად აღარც არსებობდა, ყველა-

ფერი თავისთავად ხდებოდა, თავისთავად იწერებოდა, აზრთა ვითარებას ბრმა მემუსიკესავით მისდევდა, მას უწრფელესი სიტყვა უნდა ეთქვა, რომ მონაპოვარი ყველას გაეზიარებინა.

იგი გატკეპნილი გზით სხვებთან ერთად მიაბიჯებდა, მას საკუთარი გზა გაეკვლია და თუ ადრე ბერძენნი წიგნებს არ წერდნენ — ცოცხალ აზრთა სიტყვა-გებაში ხედავდნენ აზრის განვითარების მნიშვნელობას, იმადაც, რომ ყველაფერი, ყველა დროში გულწრფელობით ვერ იწერება და შემდგომ თუ მაინც იწერებოდა — არსს ქურუმებს გაანდობდნენ და თავად წიგნს კი სამარეში თან ჩაიტანდნენ, რამეთუ ყველასათვის ღია იქნებოდა წიგნი, აზრს კი გაგება სჭირდება, ცოცხალი აზრის დაცვას კი უსიცოცხლო ასოები ვერ შესძლებდნენ.

იოანეს სინამდვილის გაცხადება არავისთვის არ შეეძლო, ამიტომაც შეფარვით დაწერა გულწრფელი წიგნი, რომელშიც ცოცხალი აზრი სტრიქონებს შორისაც იღვრებოდა და ის პირადი, რასაც უახლოეს მეგობარსაც ვერ გაანდობდა, ვერც მოძღვართან აღიარებდა, მთელ სამყაროს გააგებინა, ისტორიას სამსჯავროდ დაუტოვა და თავის სამშობლოს კი — საამაყოდ, რამეთუ ფერფლის ნაცვლად ცეცხლსა სტოვებდა.

ნაჩქარევად ჩაწერილი ბერძნულ ენაზე იერუსალიმს წაიღო მწიგნობარ ძმათა საკითხავად და უპირველეს სოფრონის აზრის გასაგებად.

უწინარეს ისააკ შემოსვდა. იოაკიმეც იქვე იყო, მას ისეთი ფსა გამოეჩინა საეკლესიო საქმეებში, ისე შეჰფერებოდა სოფრონის, სულ მალე არქიმანდრიტად აღზევებულიყო.

იოანეს მოსვლამ საზეიმო განწყობა შეჰქმნა, უმეტეს კი სოფრონიმ გაიხარა, გაიხარა დიდიხნის უნახავი მეგობრით და იმითაც, რომ მის ხელში პერგამენტის გრაგნილი დაინახა.

იოანემ ყმაწვილური თავმომწონებით და მოკრძალებითაც კი აღიარა.

— ჩემს პატრიარქს ხელდამშვენებული ვეახელიო.

სოფრონიმ სწრაფად და მღელვარებით დაუწყო გრაგნილს ფურცვლა.

უცებ წამოდგა და ისევ გადაეხვია:

— მე ვიცოდი, ვიცოდი, ისააკის მონაპოვარი შენთვის რად იქცეოდა, მაგრამ ასე უმალ?!

— მელნითა ოდენ ცხოველნი სიტყვანი გამომისახავნ. შენდა დამიტევებიეს, რათა შენ კეთილად შეამკო და განაცხადო ჩემ მიერ გამოსახული ესე და ყოველი ნაკლულოვანი სრულჰყო. მე ახლა ყველაფერს ვუჩქარი, უწმინდესობავ, თუ დრო ჩემთვისაც იპოვო, გადაიკითხე.

— როგორ, თუ დრო ვიპოვო, შენთვის დრო საძებარია? ახლავე, ახლავე ჩემს აზრს მოგახსენებ, — ამბობდა აღგზნებით სოფრონი და თან ისააკს ანიშნებდა ეხმო ყველანი, — შენთან ერთად ისმინოს ყვე-

ლამ, დასხედით, — თქვა სოფრონიმ და თავად ფეხზე გაჩერებულმა დაიწყო ხმამაღლა კითხვა.

სოფრონი გზადაგზა ჩერდებოდა, ჩამოჯდებოდა და ზოგ ადგილს საგანგებოდ განმეორებით წაიკითხავდა.

— კიდევ უკეთესი ისმინეთ, — თქვა სოფრონიმ და მეტის გზნებით ხელმეორედ, უფრო დინჯად წაიკითხა:

„მსგავს საწუთო ესე კაცსა, რომელსა სდევდა პილო ამრიზებული და მიაწყუდია იგი ჯურღმულსა საშინელსა. და ისილნა ხენი, რომელსა ზედა აღხდა და ისილნა კუალად ორნი თაგუნი, ერთი შავი და ერთი თეთრი, რომელნი სჭირდეს ძირთა მათ ხეთასა, რომელთა ზედა აღსრულ იყო კაცი. და შთახედნა ჯურღმულსა და ისილა ვეშაპი, რომელსა აღეშკმო პირი და ეგულებოდა შთანთქმა მისი. და აღისილნა ზე და ისილა თაფლი მცირე, რომელი ჩამოსდიოდა ხეთა მათ, და იწყო ლოკვა მისი. და კუალად არღარა მოისსნება განსაცდელი, რომელსა შთავრდომილ იყო. ხოლო თაგუთა მათ ხე იგი წასჭრეს და კაცი იგი დაეცა და პილომან აღიტაცა და მიუგდო ვეშაპსა.

აწ, ძეო მეფისაო, პილო იგი სახე არს სიკუდილისა, რომელი სდევს ძეთა კაცისათა, და ხე იგი სწუთო არს, და თაგუნი იგი დღენი და ღამენი და თაფლი იგი საწუთროისა ამის სიტკბოება არს და შეაქცევს კაცსა გემოვნება საწუთროისა. დღენი და ღამე აღსრულდებიან, სიკვდილი წარიტაცებს და ჯოჯოხეთსა შინა ვეშაპი იგი შთანთქამს და ესე არს ცხოვრება კაცთა".

— დიდებულია, დიდებული, უკეთ ხატოვნად თქმა შეუძლებელია, — ამბობდა სოფრონი და გადაესვია იოანეს, — მე ამას ჩემს ქადაგებაში გამოვიყენებ, რამდენს გავახარებ, ეს ყველამ ზეპირად უნდა ვიცოდეთ, ყრმათაც ვასწავლიდეთ.

ყველაც ემოწმებოდა და ამბობდა:

— ჭეშმარიტად, მამაო იოანე, თავად ხარ სიტყვით მკურნალიო.

— ამინ, — ხმამაღლა წარმოსთქვა იოაკიმემ და ყველამაც ერთხმად გაიმეორა:

— ამინ!

კითხულობს სოფრონი გატაცებით და ისევ ჩერდება:

— აჰა, შენი პეტრე იბერიც დაგიმოწმებია:

„...ვევედრები უფალსა, დამბადებელსა ცისა და ქვეყანისასა, სამებასა წმინდასა, რომელსა არა აქვს აღსასრული, სამინელსა და სახიერსა, ძლიერსა, მოწყალესა, უხილავსა, გამოუთქმელსა, მეუფესა, კაცთმოყვარესა, მეცნიერსა და არა უცნაურსა, რომლისაგან ძრწიან ყოველნი დაბადებულნი..."

ისააკს საკუთარი ღირსების შეგრძნების ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, საქმიან კაცის გამომეტყველება ჰქონდა და ისეთ ზრდილობასა და სინატიფეს ავლენდა, ყველასათვის გულითად მისანდობი, სასურველი და საქებარი იყო. და როდესაც აქებდნენ იოანეს, არ ივიწყებდნენ ისააკს.

იოანე ამ ხნის განმავლობაში თავდახრილი სდუმდა, სჩანდა შექებას არ იფერებდა.

— ჭეშმარიტად, — ამბობდა იოაკიმე, — სენი უმეტეს არა არს ხორცთაგან, არამედ გულისკლებისა არს.

და რა ჩაათავა კითხვა სოფრონიმ მივიდა იოანესთან და უთხრა:

— ნიჭი, შერწყმული პირველ თვისებებთან ურთიერთ სამსახურში ხდგას შენ სათავე იცოდი და სასრულსაც მიაგენი. შენ ჩემს წინაშე თავდახრილი დგახარ, მაგრამ რასაც შენ აკეთებ ის პატრიარქობაზე მეტია, — უკვე სიხარულის ცრემლებით ეხვეოდა იოანეს.

— ჭეშმარიტი სარწმუნოება მორცხვია, — თქვა იოაკიმემ.

ყველანი წამოდგნენ და ულოცავდნენ.

ეს იყო ნამდვილი დღესასწაული, როდესაც ერთის წარმატება ყველას პირად გამარჯვებად მიაჩნდა.

— არც ცაზე, არც დედამიწაზე, არ არსებობს დარი სილამაზისა, რომელსაც ფლობს სული ადამიანისა, — ამბობდა სოფრონი და ყველას თავისთან ეპატიჟებოდა.

დილით კი, როდესაც პატრიარქს ვალდებულება უხმობდა, უპირველეს იოანეს თანამოსაგრეობაზე იფიქრა და უთხრა მას:

— წმინდაო მამავ, საბა წმიდის ლავრის წინამძღვრობა მინდა შეგოგთავაზო.

— მომიტევე, — მიუგებდა იოანე, — მაცალე, ვიდრე წმიდა ადგილები მოვილოცო, რათა ვიტირო ჩემი ცოდვების გამო. ჭეშმარიტად მე ჯერ არ მიმიღწევია ისეთ სრულყოფისათვის, რომ სხვებისათვის, რომ სხვების სული განვაგო, რამეთუ ვისაცა სურს სულები განაგოს, ხამს იყოს მსგავსი წმიდა ანტონისა, პახუმისა, თევდორესი, პეტრესი. აწ გულმოდგინებისა ჩემისათვის მილოცეთ, რამეთუ არა სიმრავლისაებრ ძღვენთა და შრომათასა, არამედ სიმრავლისაებრ გულსმოდგინებისა მიაგებს ღმერთი სასყიდელსა.

იმ დღეს აღზევდა იოაკიმე მეუფედ და დადგინებულ იქნა ქორეპისკოპოსად. მასვე დაავალა სოფრონიმ დროებითი მეთვალყურეობა საბა წმიდის და სინას მთის სავანეთა.

იმ სიხარულით სავსე დღის დაღამებისას, ძილად მისვლის წინ იოაკიმემ ისააკს საიდუმლოდ გაანდო:

— იმ ბედშავის სახელი ყოფილა ანასტასია, რაც ნიშნავს „მკვდრეთით აღდგენილს“.

— იოაკიმე კი ნიშნავს დადგინებულს, ჰო, შენ იმ თავითვე ღვთისაგან ყოფილხარ დადგინებული, — ამბობდა გამარჯვებულის ღიმილით ისააკ.

თავი XVII

ა ღ ს ა ს რ უ ლ ი

მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიას უხდებოდა შებრძოლება უძლიერეს სალიფა ომართან.

არაბებმა სამხრეთ პალესტინაში რომის ძალაუფლების საყრდენი ციხესიმაგრე აიღეს.

კეისარი ჰერაკლე ამ დროს ანტიოქიაში იყო და ხედავდა, როგორ იხევდნენ უკან დამარცხებული რომაელები.

ბუნებაც თითქოს არაბების მხარეზე იყო. სამხრეთის ქარი რომაელების პირისპირ ქროდა, მტვრის ღრუბლებს ჯარს სახეში აყრიდა, მათ აღარ შეეძლოთ მტრის დანახვა, იწევდნენ ტრამალებისაკენ, ეხეთქებოდნენ მდინარის ნაპირთან ციცაბო კლდეს და წყალში ცვიოდნენ.

— მშვიდობით სირიავ! — მწუხარედ წარმოსთქვა იმედდაკარგულმა ჰერაკლემ და დასტოვა ანტიოქია.

იერუსალიმიდან წამოიღო ძელი მაცხოვრისა და დაბრუნდა კონსტანტინოპოლს.

არაბებმა დაიპყრეს ედისი, რომლის კედლებშიც ინახებოდა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, იგი მრავალჯერ იქნა გადახატული, მაგრამ ყველა ეს ხატი გაქრა, დარჩა მხოლოდ საქართველოში მოტანილი. „პირი ღვთისა“, ანჩის ხატად წოდებული, ერთხანს ქალაქ ანჩის საეპისკოპოს ტაძარში იყო დაცული, შემდეგ კი ტფილისს მისთვის საგანგებოდ აგებულ ტაძარში.

სარაცინებმა აიღეს დამასკო და ჩასხლდნენ ფინიკიაში.

ქრისტეანების სიძულვილით არაბები ქვეყანას ვერაგულად ძარცვავდნენ და ხალიფა ომარის კარავში ეზიდებოდნენ, რაც კი რამ საბუკვარი იყო.

ომარი ინარჩუნებდა რა პირველყოფილ უბრალოებას ბედუინისა, თავის ნაიარევი, დასახიჩრებული სახით პალესტინის მოსახლეობაზე შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენდა, სიტყვით კი ისე სწამლავდა ყოველს, ამბობდნენ ომარს ენა გველივით შებრუნებით დაჰკიდებიაო.

ბიზანტიელებმა სცადეს მოლაპარაკება სარაცინებთან, რომ ეგვიპტიდან დაეხიათ, რაზეც ისინი პირზე დუქმომდგარი ხარხარით ეუბნებოდნენ.

— შეგიძლიათ თქვენ გადასანსლოთ ეს ვეებერთელა სვეტიო?

— შეუძლებელიაო, — უპასუხებდნენ რომაელები.

— ჰოდა, ჩვენთვისაც შეუძლებელია ეგვიპტიდან უკან დახევაო.

და იწვოდა საწიგნე ალექსანდრიისა!

კეისარი ჰერაკლე დამარცხებების სიმწრით გმინავდა, აღარ ჰყავდა გამამხნევებელი პატრიარქი და მეგობარი სერგი, წყალმანკისაგან იხუთებოდა და 30 წლის მეფობის შემდეგ 66 წლისა გარდაიცვალა.

მასთან ერთად ბიზანტიის ძლევამოსილების მზეც ჩაესვენა.

ამ განსაცდელის ჟამს, როდესაც ცაზეც ბრძოლის ველი აირეკლებოდა, სოფრონი მთელის არსებით ჩაბმული ქვეყნის ვაებაში, ვერ სიმობდა საღვთისმეტყველო სარბიელს.

სოფრონი ჭეშმარიტებისათვის თავდადებას მთელის თავისი დიდებულებით ავლენდა.

სინას მთისაკენ მიმავალ იოანეს კი ისააკ თან გაჰყოლოდა.

როგორც კი გასცდნენ იორდანეს ერთი მილის მანძილით, იოანე შეიპყრო მხურვალებამ ციებ-ცხელებით.

ჰპოვეს მცირე ქვაბი და იქ დაივანეს.

სამ დღეს დაჰყო იქ მხურვალემ და იხილა ძილში კაცი, რომელიც ეტყოდა:

„ნუ წახვალ ამ ქვაბიდან“.

მაგრამ იოანე არ შეიწყნარებდა ამ მოწოდებას და მაინც ცდილობდა წასვლას, მაშინ მხურვალებამ უმატა. კვლავ ეჩვენა კაცი იგი და ისევ განუმეორა:

„შენ შენი თავის დაშვრომა კი ნუ გწადის, არამედ დამიჯერე მე და ნუ წახვალ“.

— ვინ ხარ შენ? — ჰკითხავდა იოანე.

„მე ვარ იოანე ნათლისმცემელი, — თქვა კაცმან, — ეს მცირე ქვაბი უაღრესია, ვიდრე სინას მთა, რამეთუ აქ, ჩემთან, მრავალგზის შემოსულა უფალი იესო ქრისტე. მომეცი სიტყვა, რომ დამკვიდრდები აქ და მე შენ განგკურნავ“.

იოანემ აღუთქვა თანხმობა და მართლაც, მყის განიკურნა.

აღფრთოვანებულმა გამოცხადებით, ისააკთან ერთად შეკრიბა ძმანი და სულ მალე იგი ქვაბი ეკლესიად აქციეს.

ეს ამბავი გაეგოთ იერუსალიმში, გაეგო თავადს, რომელსაც მეუღლითურთ მიეღო ქრისტეანობა, აღუთქვა უბიწო ცხოვრებაც, მაგრამ მონაზვნობა მაინც ვერ მიეღოთ, ღვთის მსახურებისათვის თავი ღირსად ვერ მიეჩნიათ, ფიქრობდნენ სქიმა ისევე ვერ დაამშვიდებდათ მათ, როგორც ჯალათს მეწამული მანტია. საერო ქრისტეანს კი უბრალო ქველმოქმედებაც დამშვენდებოდა, ღირსებად მიეთვლებოდა და ისინიც გულუხვად ქველმოქმედებდნენ, მთელ თავიანთ ქონებას ღატაკთ ახმარდნენ, თავს კი ყოველდღიური შრომით ირჩენდნენ—ქსოვით, თუ ეკლესიისათვის სამსახურით. ახლა კი წამოსულიყვნენ იოანესთან ახლადაგებულ ეკლესიისათვის დიდი შემოწირულებით.

მიუხედავად ხანდაზმულებისა თვალებში ახალგაზრდული ცეცხლი უგიზგიზებდათ. მოწიწებით და სიყვარულით შესცქეროდნენ მათსავით წლებით დაძაბუნებულ იოანეს.

— ქრისტე არს ჩვენს შორის, — წარმოსთქვა იოანემ, როგორც კი იცნო.

— არის და იყოს, — მგზნებარებით წარმოსთქვა ორივემ.

თავადი და იოანე გადაეხვივნენ ერთმანეთს, როგორც საომარ ბრძოლებიდან დაბრუნებული მეგობრები.

შევიდნენ ახალ ტაძარში და შემოწირულების სამადლობელოდ მათ-თვის პარაკლისი გადაიხადეს.

იოანეს ისე აჩვილებოდა გული, საგალობლებს უცრემლოდ ველარ ისმენდა და ახლაც ატირდა ღვთის სიყვარულით, მეგობრის დაბრუნებითა და ქალის გადარჩენით გულმოწყალული.

აქ, ამ ღვთიურ ნაკვალევ მიწაზე მისი „სიბრძნე ბალაჰვარისი" უკვე ქართულად კიდევ და კიდევ იხვეწებოდა, მაგრამ სხეული მისი წლებით და ჯაფით უფრო მეტად ძაბუნდებოდა.

— უკეთესია კისერნი მოგტყდეს მაღლით დამიზნებისათვის, ვიდრე კუზი ამოგივიდეს დაბლა ცქერისაგან, — ეტყოდა ისააკს უკვე ძალაგამოლეული, მაგრამ მაინც წელში გამართული იოანე.

აქ დღისა და ღამის ბრწყინვალებას ვერ ჩრდილავდა ცხოვრების ამაოება და უკანასკნელ წუთამდე ახალგაზრდული მღელვარებით აღსავსე, ერთ დღეს მოულოდნელად გაირინდა.

სოფრონიმ მისდამი მიძღვნილ სიტყვაში თქვა:

— მუზარადით დაცულნი დაეცემიან, ჯავშნიანი განიგმირებიან, ზნეობრივ სამყაროს დაყრდნობილი კი ვით მთა სიონისა შეურყეველია... ღვთაებრივ სიყვარულს ვერ იტევს ადამიანის ბუნება, იგი სიხარულთან ერთად სევდაცაა, მუდამ სევდიანიც იყო განსვენებული, მაგრამ სიკვდილი ხომ განახლებაა, შეძენაა და ვითარცა ყამირ მიწას მიბარებული თესლი, იგიც მეტად გაიზრდება, მეტად დამშვენდება და საუკუნეებშიც მეტის ბრწყინვალებით აღორძინდება.

დიდის დიდებით დაკრძალეს იოანე თეოდოსე დიდის სავანეში.

სოფრონი კი იმ სავანიდან აღარ წასულა, იქ დარჩა და იქიდან მართავდა თავის საპატრიარქოს.

მეუფე იოაკიმე განსაცვიფრებელ ხუროთმოძღვრების ნიჭს ავლენდა, თითქოს მხოლოდ ასლა მიეგნო თავისი ჭეშმარიტი მოწოდებისათვის და თავდაუზოგავად, უანგაროდ ერთბაშად რამოდენიმე მშენებლობას უძღვებოდა, რამეთუ იერუსალიმი თითქმის დანგრეული იყო.

არაბებმა დაიპყრეს სპარსეთი და გააუქმეს მეფობა.

ანტიოქიამაც სცნო მათი ძალაუფლება, მაგრამ ყველაზე საშინელი იყო ის, რომ მკვიდრნი მერყეობდნენ. სოფრონის მთავარი დიაკონი, ხელობით მარმარილოს მომსსმელი, მუსლიმანთაგან მოსყიდული, მათ სალოცავს, მიზგითს, აშენებდა. სოფრონიმ უბრძანა თავი დაენებებინა, რადგან ეს არც კაცს ეპატიებოდა და მით უფრო სასულიერო მსახურს. დიაკონმა აღუთქვა ფიცით, რომ აღარ იქმდა, მაგრამ ფარულად მაინც განაგრძობდა შენებას. მაშინ სოფრონი მივიდა მასთან, მოჰკიდა ხელი და განზე მოისროლა, ეკლესიიდან განკვეთა წყევლით, რის შემდეგაც სულ მალე დიაკონი დასნეულდა და ტანჯვით განუტევა სული.

მძარცველი ბრბოები დათარეშობდნენ ტაძრებში. საჭურველთა წკრტიალის შემზარავი ხმაური პატრიარქს საშუალებას არ აძლევდა აღესრულებინა ლოცვანი.

ხალიფა ომარი იერუსალიმის კარს ღრუბლებში გარინდებული მეხივით მოსდგომოდა. სოფრონი მის ვერაგულ ლიქნას აშკარად ხედავდა, მაგრამ იმის ფიქრით, რომ ომარი შეუნარჩუნებდა მოსახლეობას ქრისტეანული სარწმუნოების თავისუფლებას, მაინც ენდო და ქალაქი ჩააბარა.

ომარი გამარჯვებულის ქედმაღლობით იერუსალიმში აქლემზე წამომჯდარი შემოვიდა, აქლემისავე მატყლის გაცვეთილი, მქისე, ოფლით აშმორებული, დასვრილი ჯვალოთი შემოსილი:

ომარმა შესვლისთანავე მოიწადინა სოლომონის ტაძარში შესვლა, ამრეზილს მობრეცილ ღიმილში კბილები უელავდნენ.

სოფრონი ტაძრის კართან აღუდგა და მოსთხოვა ტაძარში საკადრისად შესულიყო.

ძლივს დაითანხმეს სელის ტანისამოსი ჩაეცვა და ისიც იმ დრომდე, ვიდრე მისი ჯვალო გაირეცხებოდა და გაშრებოდა.

სოფრონის სული ეღვენთებოდა, ომარის გადახლართულ წარბებში მიჩქმალულ ბოროტ ზრახვას ხედავდა და ამბობდა:

— აღსრულდა წინასწარმეტყველ დანიელის სიტყვა „ესე არს ჭეშმარიტად სისაძაგლე მოოხრებისაო“.

ხედავდა სოფრონი, როგორ იძულებით აღებინებდნენ ხელს სარწმუნოებაზე, როგორ ილახებოდა სიწმინდე, ინგრეოდა ტაძრები, საშველი კი არსაიდან ჩანდა.

და აი, როგორც კი ომარმა მთელი აღმოსავლეთის მეფედ სცნო თავი, საზეიმო ლოცვის დროს ჩასაფრებულმა სპარსელმა, მახვილის ერთი დარტყმით ადგილზე განგმირა.

— დაე, დახშულ იქნას ბაგენი ყოვლისა, ვინც უჯერო კადნიერებით დაგმობს ქრისტესა ჩემსა, — თქვა სოფრონიმ, ეგონა საშველი გამოჩნდაო, მაგრამ უარესი მოხდა, ახლა სრული ანარქია დამყარდა.

ჰერაკლეს მემკვიდრეთ თავის ნებაზე მიეშვათ საქვეყნო საქმენი, არც ხალხი სცნობდა მათ, როგორც სისხლის აღრევის, უკანონო ქორწინების შვილებს.

ტახტზე ავიდა ჰერაკლეს შვილიშვილი, მონოთელიტი კონსტანტინე III, ხალხში კოსტად წოდებული. მან უპირველეს მაქსიმე და ანასტასი საპყრობილეში გამოკეტა. შემდეგ მოუხმო კონსტანტინოპოლს, რათა განემარტა მათთვის, რომ უკანონოდ და გაუმართლებლად მოქმედებდნენ. ლიქნითაც ბევრს ეცადა დაეყოლიებინა, მაგრამ ორივე მტკიცედ განუცხადებდნენ, რომ მათ სწამთ თავიანთ გზისა და არც როდის გადაუხვევენ მისგან.

მაშინ კოსტამ მსაჯულებს უსასტიკესი განაჩენი გამოატანინა: „მოვკვეთოთ მათ ენა და მარჯვენა ხელი, როგორც ღვთის მგმობელი გონების მსახურნი“.

ნაწამებნი მოატარეს სამეფო ქალაქის თორმეტსავე უბანს და განიგზავნენ სამუდამო ექსორიობასა და პყრობილებაში ლაზიკის ქვეყანას.

ლაზიკაში, საეგროს ცაგერის მახლობლად მაქსიმე და ანასტასი ერთმანეთს დააშორეს. მაქსიმე ერთ ჩაკეტილ თემის მაღალ მთაზე აღმართულ ციხეში შეამწყვდიეს, რომელსაც ქიმერიოს ერქვა; ანასტასი კი — ციხესა თუსუმიან წოდებულსა და სულ მალე კი მათი სხეული იქვე, ქართულ მიწას ამოეფარა. მათ საფლავზე აიგო ეკლესია და დარჩა მაქსიმე თქმულებაში, როგორც წვიმის ღვთაება, მისი ნააზრევი კი გაუქმებულ ისტორიულ-ფილოსოფიურ ღირებულებად იქცა.

თეოდოსე დიდის სავანეში განმარტოვებული სოფრონი არაბულ ენაზე თარგმნიდა იოანეს „სამოთხეს“, თხრობათ წინ წარუმძღვარა იოანეს უკანასკნელი ხვედრი და უწოდა კრებულს „ალ-ბუსთანი“, რამეთუ ამ წიგნში, როგორც ბუსთანში, გადახლართულ ხეების მსგავსად გაერთიანებულია მამაკაცთა და დედაკაცთა, ერისკაცთა, მონაზონკაცთა და მონაზონ ქალთა მშვენიერ თავგადასავალნი.

სულ მალე კი ეს ღირსეული კვერთხის მფლობელი, სიამაყე იერუსალიმისა აღესრულა და დაკრძალეს იგიც თეოდოსე დიდის სავანეში.

მის საფლავის ქვას წარეწერა:

„ო, მესიავ, იყავი ჩემი შემწე დაწყებისას და დასრულებისას იმ გზაზე, რომელიც შენკენ მოემართება, ამინ!“

НУЦУБИДЗЕ КЕТЕВАН ЗАХАРЬЕВНА

ИОАНЭ МОСХИ

Исторический роман.
(На грузинском языке)
Издательство «Мерани»
пр. Руставели, 42
Тбилиси
1989

მხატვარი ხ. ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორები: რ. გოცირიძე, მ. მგალობლიშვილი
ნ. ბურჯანაძე.
გამომშვებინ. კვატაშიძე

ხ. ბ. 4317

ჩაბარდა წარმოებას 3.01.89 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 26.04.89 წ. უე 06670— ფორმატი 60×84 1/16. გარნიტურა ივერია. ქაღალდი საბეჭდი №2. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,91. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 8,34. პირობითი-საღებავ-გატარება 8,14. ტირაჟი 5.000. შეკვეთა №238.

ფასი 70 კაპ.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 50.

Типография № 1 Государственного комитета Грузинской ССР
по делам издательств, полиграфии и книжной торговли,
Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.